

290  
2002

თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

03. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები

ТРУДЫ ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА  
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ

PROCEEDINGS OF I. JAVAKHISHVILI TBILISI STATE  
UNIVERSITY



ISSN 1512-1313

**ეკონომიკა**  
**ЭКОНОМИКА**  
**ECONOMICS**

**34**



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის  
გამომცემლობის განყოფილება  
1992  
PROCEEDINGS OF Tbilisi State  
UNIVERSITY  
247

საქართველოს  
ეკონომიკა

1992



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА  
TBILISI UNIVERSITY PRESS

ТРУДЫ ТБИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО УНИВЕРСИТЕТА  
ИМ. ИВ. ДЖАВАХИШВИЛИ



PROCEEDINGS OF I. JAVAKHISHVILI TBILISI STATE  
UNIVERSITY  
347

**ЭКОНОМИКА**  
**ECONOMICS**  
3-4

ТБИЛИСИ 2002 TBILISI

# ეკონომიკა

3-4

- აპთანდოლ სილაბაძე - თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ღარისა ყორღანაშვილი - რედაქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- 6060 პაპანაშვილი - პასუხისმგებელი მდივანი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

- იური ანანიაშვილი (ემდ, პროფ.)
- როზუტა ასათიანი (ემდ, პროფ.)
- კლიმენტი აჩუაშვილი (ემდ, პროფ.)
- ნოდარ ბიჭიაშვილი (ემდ, პროფ.)
- ესტატე ბოლოკაძე (ემდ, პროფ.)
- ბიკნტი გაბიაშვილი (ემდ, პროფ.)
- გივი გამსახურდია (ემდ, პროფ.)
- რევაზ გოგოხია (ემდ, პროფ.)
- გრიგოლ თოდუა (ემდ, პროფ.)
- მურთაზ მაღრაძე (ემდ, პროფ.)
- ელგუჯა მეტეხიშვილი (ემდ, პროფ.)
- გივი მიქელაძე (ტმდ, პროფ.)
- გაიოზ ნადირაშვილი (ტმდ, პროფ.)

- ნუგზარ პაიჭაძე (ემდ, პროფ.)
- ოთარ საღარეიშვილი (ემდ, პროფ.)
- მირიან ტუხაშვილი (ემდ, პროფ.)
- როინ ქუტიძე (ემდ, პროფ.)
- თამაზ ჩიკაიძე (ემდ, პროფ.)
- ელეარდ ცირაშვილი (ემდ, პროფ.)
- ნოდარ ჭითანაძე (ემდ, პროფ.)
- მიხეილ ჯიბუტი (ემდ, პროფ.)
- თენგიზ ჭიპრაძე (ემკ, პროფ.)
- გიორგი ბაბუნაშვილი (ემკ, პროფ.)
- იზოლდა ადეიშვილი (ტმკ, დოც.)
- ჯემალ კახინაშვილი (ემკ, დოც.)
- ფიქრია წოწკოლაური (ემკ, დოც.)

სარედაქციო კოლეჯიის უცხოელი წევრები:

- პატრიკ ბულონი - პარიზი 8 უნივერსიტეტის პროფესორი (საფრანგეთი)
- მელანი რივი - ბრუნელის უნივერსიტეტის ასოცირებული წევრი, დოქტორი (დიდი ბრიტანეთი)
- პარალელ კონი - ბრანდენბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (გერმანია)
- ვლადიმერ შინაშვილი - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ევროპის (რუსეთი) ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
- იოჰან ციხარაძე - ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი (გერმანია)
- ძრის ჯარბიანი - ბრუნელის უნივერსიტეტის პროფესორი (დიდი ბრიტანეთი)

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002

0601000000  
608(06)-02

ISSN 1512-1313

<http://www.tsu.edu.ge/scientificpublications/347.htm>

## РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

**Автандил Силагадзе** - председатель, член-корреспондент Академии наук Грузии,  
доктор экономических наук, профессор

**Лариса Корганашвили** - редактор, доктор экономических наук, профессор

**Нино Папачашиვილი** - ответственный секретарь, кандидат экономических наук

**Юрий Анианишвили** (дэн, проф.)

**Розета Асатиани** (дэн, проф.)

**Клименти Ачелашвили** (дэн, проф.)

**Нодар Бичиашвили** (дэн, проф.)

**Эстатэ Болокадзе** (дэн, проф.)

**Бикенти Габидзашвили** (дэн, проф.)

**Гиви Гамсахурдия** (дэн, проф.)

**Реваз Гогохия** (дэн, проф.)

**Григол Тодуа** (дэн, проф.)

**Муртаз Маградзе** (дэн, проф.)

**Элгуджа Меквабишвили** (дэн, проф.)

**Гиви Микеладзе** (дтн, проф.)

**Гаიоз Надирашвили** (дтн, проф.)

**Нугзар Паичадзе** (дэн, проф.)

**Отар Сагареишвили** (дэн, проф.)

**Мириан Тухашвили** (дэн, проф.)

**Рони Кутидзе** (дэн, проф.)

**Тамаз Чикваидзе** (дэн, проф.)

**Эдуард Цирамуа** (дэн, проф.)

**Нодар Читанава** (дэн, проф.)

**Михаил Джибути** (дэн, проф.)

**Тенгиз Чиабришвили** (кэн, проф.)

**Георгий Бабунашвили** (кэн, проф.)

**Изольда Адеишвили** (ктн, доц.)

**Джсмал Кахнишвили** (кэн, доц.)

**Пикрия Цоцколаури** (кэн, доц.)

### Иностранные члены редакционной коллегии

**Патрик Булон** - профессор университета "Париж 8" (Франция)

**Мелани Рипп** - ассоциированный член Брунельского университета, доктор  
(Великобритания)

**Гаралд Кунц** - декан экономического факультета Технологического института  
Бранденбурга, профессор (Германия)

**Владимир Шенаев** - заместитель директора института Европы (Россия) Российской  
Академии наук, член-корреспондент академии

**Иоган Цимерман** - профессор Бременского университета (Германия)

**Крис Джарвис** - профессор Брунельского университета (Великобритания)

## EDITORIAL BOARD

**AVTANDIL SILAGADZE** - Editor-in-Chief, Corresponding Member of the Georgian Academy of Sciences, Doctor of Science (Economy), Professor  
**LARISA KORGANASHVILI** - Editor, Doctor of Science (Economy), Professor  
**NINO PAPACHASHVILI** - Executive Secretary, Candidate of Science (Economy)

Iuri Ananiashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Nugzar Paichadze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Rozeta Asatiani (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Otar Tsagareishvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Klimenti Achelashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Mirian Tukhashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Nodari Bichiashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Roin Kutidze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Estate Bolokadze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Tamaz Chikvaidze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Bikenti Gabidzaashvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Eduard Tsiramua (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Givi Gamsakhurdia (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Nodar Chitanava (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Revaz Gogokhia (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Mikhail Jibuti (Dr. Sci.(Econ.), Prof.)
Grigol Todua (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Tengiz Chishbrishvili (Cand. Sci.(Econ.), Prof.)
Murtaz Magradze (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	George Babunashvili (Cand. Sci.(Econ.), Prof.)
Elguja Mekvabishvili (Dr. Sci.(Econ.), Prof.)	Lzolda Adeishvili (Cand. Sci.(Technol.), Assist.prof.)
Givi Mikeladze (Dr. Sci.(Technol.), Prof.)	Jemal Kakhniashvili (Cand. Sci.(Econ.), Assist. prof.)
Gaioz Nadirashvili (Dr. Sci.(Technol.), Prof.)	Pikria Tsotskolauri (Cand. Sci.(Econ.), Assist. prof.)

### Associate Editors (Foreign)

**Patrick Boulon** - Paris 8, University Professor (France)

**Melanie Rain** - Brunel University associated member, Dr. (UK)

**Harald Kunz** - Brandenburg Technological institute, Dean of economics Depart, Prof. (Germany)

**Vladimir Shenaev** - Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Deputy Director of Institute of Europe (Russia)

**Johan Zimmermann** - Professor, Bremen University (Germany)

**Chris Jarvis**-Brunel University Professor (UK)



**ეკონომიკური თეორია.  
 ეკონომიკურ მოქალაქეობათა ისტორია**

**მ. თეთრუაშვილი-ძარღვაძე**

**ეკონომიკური მემოკრატის განვითარების  
 შესახებ**

ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ტრანსფორმაციის გზაზე საქართველოში მიღწეული მთელი რიგი პოზიტიური შედეგების მიუხედავად, კვლავ მიმდინარეობს მწვევე კრიზისული მოვლენები და ეს განსაკუთრებით გამოვლინდა ეკონომიკური რეფორმების მეორე ეტაპზე. კრიზისის მოცული აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო – ეკონომიკა, პოლიტიკა, ფინანსები, ენერჯეტიკა, ეკოლოგია, დემოგრაფია, იდეოლოგია, კულტურა, ხელოვნება, განათლება, ადამიანთა ცნობიერება და სხვა.

აღნიშნულის დამადასტურებლად ეკონომიკური ზრდის ორი ინტეგრალური მაჩვენებლის (რეალური მშპ-ის ინდექსი და ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული მშპ) ანალიზიც კმარა.

უკანასკნელ წლებში უცხოურ წყაროებში გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიის და დსთ-ს ქვეყნებში (სულ 26 ქვეყანა საქართველოს ჩათვლით) რეალური მშპ-ის დინამიკა 1989-1998 წლების განმავლობაში არასახარბიელო სურათს იძლევა. მაგრამ, თუ არ გავითვალისწინებთ იუგოსლავიას, სადაც ცნობილი მიზეზების გამო 1998 წელს კატასტროფული მოვლენები განვითარდა, განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობა საქართველოში აღინიშნება. 1989 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი საქართველოსათვის შეადგენდა (%%-ში): 1990 წ. – 84,9; 1991 წ. – 67,0; 1992 წ. – 36,9; 1993 წ. – 26,1; 1994 წ. – 23,4; 1995 წ. – 24,0; 1996 წ. – 26,6; 1997 წ. – 29,6; 1998 წ. – 30,0 და ყველაზე მაღალი მაჩვენებლის მქონე პოლონეთს იგი ჩამორჩებოდა: 1990 წ. – 1,04-ჯერ; 1991 წ. – 1,23-ჯერ; 1992 წ. – 2,29-ჯერ; 1993 წ. – 3,36-ჯერ; 1994 წ. – 3,94-ჯერ; 1995 წ. – 4,11-ჯერ; 1996 წ. – 3,93-ჯერ; 1997 წ. – 3,75-ჯერ; 1998 წ. – 3,84-ჯერ.

საქართველოს შემდეგ მშპ-ის დინამიკა ყველაზე დაბალი იყო მოლდოვაში. საქართველო მას ჩამორჩებოდა შესაბამისად 1,15-ჯერ; 1,20-ჯერ; 1,55-ჯერ; 2,16-

საქართველო  
 ეკონომიკის  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

ჯერ; 1,77-ჯერ; 1,60-ჯერ; 1,33-ჯერ; 1,21-ჯერ; 1,08-ჯერ [1,46].


მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ ამ მაჩვენებლის მიხედვით, საქართველოს ყველა სხვა ქვეყანასთან შედარებით (რუმინეთის, სლოვენისა და ხორვატიის გარდა) 1980-1989 წლებში უკეთესი მახასიათებლები ჰქონდა.

დსთ-ის ქვეყნებში 2000 წელს 1990 წელთან შედარებით საშუალოდ შეადგენდა: მშპ-ის მოცულობა – 62,2%-ს; სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა – 55,0%-ს; სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია (მეურნეობის ყველა კატეგორიის მიხედვით) – 62,0%-ს; ინვესტიციები ძირითად კაპიტალში (დაფინანსების ყველა წყარო) – 29,7%-ს, მაშინ როდესაც ამ მაჩვენებლებით საქართველო უკანასკნელ ადგილზე იმყოფება (სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის მოცულობით ყაზახეთისა და უკრაინის გარდა. ორივეგან იგი უდრის 52%-ს) და შესაბამისად შეადგენდა: 37,8%-ს; 58,0%-ს; 7,0%-ს [2,62,64].

რაც შეეხება მეორე მაჩვენებელს – ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებულ მშპ-ს, ამის მიხედვითაც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ფონზე (15 რესპუბლიკა), საქართველოში ყველაზე უარესი მდგომარეობაა. 1999 წლის მონაცემებით მხოლოდ ტაჯიკეთს და მოლდოვას ვუსწრებთ წინ, ისიც მცირედით (საქართველოში ეს მაჩვენებელი უდრიდა 1950 დოლარს, ტაჯიკეთში – 748 დოლარს და მოლდოვაში – 1745 დოლარს). ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (4500 დოლარზე მეტი) აღენიშნებათ: ესტონეთს (9096 დოლარი), ლატვიას (6341 დოლარი), ბელორუსს (5722 დოლარი) და რუსეთს (4539 დოლარი) [3,57]. ეს ქვეყნები წინ გვისწრებდნენ შესაბამისად: 4,66-ჯერ; 3,25-ჯერ; 2,93-ჯერ; 2,32-ჯერ.

შექმნილი მდგომარეობის მიზეზად უამრავი ეკონომიკური და ენდოგენური ხასიათის ფაქტორი არსებობს.

ჩვენ იმის ილუზია არა გვაქვს, რომ დღესაც და კვლავაც გარკვეანი ფაქტორები არ იმოქმედებენ ჩვენს ეკონომიკაზე, რომ ეს ხემოქმედება დროებითია, თუნდაც მხოლოდ იმ ფაქტორების გამო, რომ ჩვენ მსოფლიო სამეურნეო ბრუნვაში ვართ ჩაბმული და ეს პროცესები მომავალში უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება. მაგრამ, განსაკუთრებული ზრუნვის ობიექტად უნდა ვაქციოთ ენდოგენური ფაქტორები, რომელთაგან წინა პლანზე ვაყენებთ ეკონომიკური პოლიტიკის უქონლობას. ეკონომიკურ პოლიტიკას განვიხილავთ, როგორც ცალკეული ადამიანების, ადამიანთა ჯგუფების და სახელმწიფოს მიერ დასახულ და გადასაწყვეტ ეკონომიკურ მიზნებს და ამოცანებს, რომლებშიც ასახულია მათი კონკრეტული ინტერესები. ეს არის მეთოდების, საშუალებებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელთა მეშვეობითაც ყალიბდება, კონკრეტდება და ხორციელდება ეს ინტერესები. იგი მიჩნეულია, როგორც საზოგადოების მწარმოებლური ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების, მისი ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. გავიხსენოთ ჯერ კიდევ დ. რიკარდოს (1772-1823) მიერ პოლიტიკური ეკონომიის წინაშე მდგარი ამოცანების





ფორმულირება, როდესაც იგი ამ მეცნიერების ამოცანად თვლიდა ეკონომიკური კანონების შეცნობის პარალელურად ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას. თითქმის ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამს ა.მარშალი. იგი მიუთითებს, რომ ეკონომიკური მეცნიერების ამოცანაში შედის პრაქტიკულ ცხოვრებაში, უწინარეს ყოვლისა კი, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმძღვანელოს შემუშავება. ასეთი სახელმძღვანელოს საჭიროება არასოდეს არ ყოფილა ასე აუცილებელი, როგორც ამჟამად [4,100].

მრავალ ამოცანას შორის, რომელიც საქართველოს წინაშე დგას, დღეს ერთ-ერთი უმთავრესია ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რომელიც დაფუძნებული იქნება ეკონომიკური დემოკრატიის ჩამოყალიბების, დამკვიდრების და მისი შემდგომი განვითარების პრინციპებზე. როგორც მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია გვჩვენებს, კაცობრიობის განვითარების მაგისტრალური მიმართულება იყო, არის და მომავალშიც იქნება ეკონომიკური დემოკრატია.

ეკონომიკური დემოკრატიის პრინციპების განვითარება თავისთავად რაიმე დიდ, განსაკუთრებულ კაპიტალდაბანდებებს არ მოითხოვს და ამიტომ საჭიროა საკანონმდებლო ორგანოების მიერ მათი დაჩქარებული შემუშავება და ცხოვრებაში დანერგვა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები („მეწარმეობის შესახებ“, „ანტიმონოპოლიური სამსახურის შესახებ“, „საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ“ . .) და სხვა საკანონმდებლო აქტები საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ აღიარებული არიან დემოკრატიულობის საკმაოდ მაღალი ხარისხის დოკუმენტებად, ჯერ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური დემოკრატიზაციის პრინციპები უკვე დანერგილია, რომ შექმნილია ისეთი ეკონომიკური გარემო, ეკონომიკური თამაშის ისეთი წესები, რომლებიც ხელს შეუწყობენ საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას. ამ მიმართულებით გასაკეთებელი ძალიან ბევრია. მოქმედებს უამრავი ფაქტორი, რომელიც ხელს უშლის ეკონომიკური დემოკრატიის განვითარებას და, მაშასადამე, ეკონომიკურ ზრდას.

მაგალითის სახით დავასახელებთ ბაზარზე (დარგში) თავისუფალი შესვლისა და იქ კონკურენციულ გარემოში ფუნქციონირებისადმი სახელმწიფოს მხრიდან შექმნილ ბარიერებს. უამრავი რეკომენდაცია, კანონმდებლობაში არსებული უზუსტობა, მათი წაკითხვის მრავალგარიანტულობა და სხვა ხელს უშლის თავისუფალი მეწარმეობის განვითარებას. ამას ემატება ყოველგვარ ზღვარს გადასული რაოდენობის (ყოველ ნაბიჯზე შექმნილი) „დროებითი კომისიები“, „შტაბები“, „შემსწავლელი ჯგუფები“, „მებრძოლი კომისიები“, როდესაც მათ შემადგენლობაში ისევ სახელმწიფო ნომენკლატურის წარმომადგენლები არიან. განა შეიძლება რეალურ ეკონომიკურ დემოკრატიაზე ლაპარაკი, როდესაც ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ასზე მეტი მაკონტროლებელი ორგანოა. საქმე იქამდე არის მისული, რომ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ინსტიტუტები სათანადოდ ვეღარ

უზრუნველყოფენ კანონების აღსრულებას, მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა ეკონომიკურ უსაფრთხოებას, მათი საკუთრების უფლებების დაცვას.

სახელმწიფოს მხრიდან თავისუფალი ეკონომიკური საქმიანობის გარშემო შემოჯარული კანონიერი თუ უკანონო ბორკილები ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის კორუფციისა და ქაოსისათვის, ხალხის გადატაკებისათვის. „როდესაც ქვეყანაში ამკრძალავი კანონები ბევრია, ხალხი ხდება ღარიბი, როდესაც იზრდება კანონები და ბრძანებები, იზრდება ქურდებისა და ყაჩაღების რიცხვი.“ ძველი წელთაღრიცხვით VI-V სს.-ში ღაო ძის მიერ გამოთქმული აზრები ზედმიწევნით ზუსტად ასახავს საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას. კორუფციის წყალობით ქვეყანა ყოველწლიურად მილიარდ ლარზე მეტს კარგავს. ამის შედეგი კი ის არის, რომ რეფორმების მიმდინარეობის განვლილ პერიოდში მოხდა მოსახლეობის ბუნებრივი ნიშნის მკვეთრად განსხვავებულ ფენებად დაყოფა. საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის მონაცემებით, მდიდრები მოსახლეობის 3-4%-ს შეადგენენ (უმაღლესი რანგის პოლიტიკური ელიტა, ბიზნესის ელიტა და მსხვილი მესაკუთრეები), მაშინ, როდესაც მოსახლეობის დიდ ნაწილს (60-65%) ღარიბები შეადგენენ.

უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სახელმწიფო მართვის იერარქიის ყველა დონეზე ბიუროკრატიული აპარატის რაოდენობისა და მათზე გაწეული ხარჯების მაქსიმალური შემცირება (აქ რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ საქართველოს პარლამენტის წევრების რაოდენობასაც და მათზე გაწეულ ხარჯებსაც). ამასთან, ყოველივე ეს ისე უნდა მოხდეს, რომ არ დაიარღვეს ადამიანთა უფლება შრომაზე.

თეორიულად დასაბუთებულია და მსოფლიოში დაგროვილი პრაქტიკაც გვიდასტურებს, რომ მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის უშუალო ეკონომიკური კავშირების, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის დროს სახელმწიფო მეურვეობის მცირედით შესუსტებასაც კი უდიდესი დადებითი შედეგები მოაქვს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. დღეს უკვე არაერთი მეცნიერი (ასილაგაძე, თბასილია, თაიკვაიძე, აილარიონოვი, ანურიევი და სხვები) ამტკიცებს, რომ ეკონომიკურ ზრდასა და ეკონომიკაზე სახელმწიფო ფისკალურ დატვირთვას შორის კავშირს უნივერსალური ხასიათი აქვს - ეკონომიკაზე ნაკლები სახელმწიფო დატვირთვის მქონე ქვეყნები უფრო სწრაფად ვითარდებიან, ვიდრე ქვეყნები, რომელთა ეკონომიკაზე სახელმწიფო დატვირთვა მეტია.

უფრო მეტიც, ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც საქართველოში მიმდინარე კრიზისულ მოვლენებს ხსნიან როგორც გარდამავალი ეკონომიკისათვის დამახასიათებელ ნიშანს. ისევე მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებით დადასტურებულია, რომ იმ ქვეყნებმა, რომლებმაც გარდამავალი ეკონომიკის პირობებში შეამცირეს ეკონომიკაზე სახელმწიფო ფისკალური დატვირთვა, მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს მიაღწიეს.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვითვალისწინებთ ამ გამოცდილებას და საწინააღმდეგოს ვაკეთებთ. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და

ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებით, სახელმწიფო ხარჯები უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და შპს-სთან მიმართებაში შეადგინა (სახელმწიფო ინვესტიციების გამოკლებით): 1996 წ. - 7,7%; 1997 წ. - 10,2%; 1998 - 9,9% და 1999 წ. - 11,2% [5].

საქართველოში ეკონომიკური დემოკრატიის განვითარების სხვა ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის კიდევ უნდა დასახელდეს: ბიზნესის დაწეობასთან დაკავშირებული პროცედურების სირთულე, ლიცენზირებული საქმიანობის სახეების სიმრავლე, მათი სიძვირე; ყოველად გაუმართლებელი საგადასახადო სისტემის არსებობა, რომელიც ჩანასახშივე კლავს ნებისმიერ ახალ წამოწყებას და რომელიც არათანაბარ პირობებში აყენებს კონკურენტებს; სამეურნეო საქმიანობის სფეროში გაუმართავი კანონმდებლობა; ცენტრსა და რეგიონებს შორის ფინანსურ-ეკონომიკური უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის გაუმიჯნაობა; ადამიანთა ცნობიერებაში დემოკრატიული ღირებულებების დანერგვის სიძნელებები; მოსახლეობის ეკონომიკური ცოდნის („ერის ეკონომიკური აღზრდის“ - ფ.ლისტის ტერმინით) ამაღლების საქმეში არსებული ჩაქვრდნები და მრავალი სხვა.

აღნიშნულ ფაქტორებს შორის ყველაზე რთული გადასაწყვეტია და დიდ დროს მოითხოვს ადამიანთა ცნობიერებაში დემოკრატიული გარდაქმნების დანიშნულების სწორად აღქმა, შეთვისება, ვინაიდან თვით ადამიანის ბუნება განაპირობებს გარდაქმნებისადმი ნელი ტემპით აყოლას. ამარშალი მიუთითებს, რომ ინსტიტუციური ფორმები შეიძლება სწრაფად შევცვალოთ, მაგრამ იმისათვის, რომ ისინი მყარნი აღმოჩნდნენ, სათანადო შესაბამისობაში უნდა იმყოფებოდნენ თვით ადამიანებთან; ეს ცვლილებები სტაბილურობას ვერ შეინარჩუნებენ, თუ უფრო სწრაფად იცვლებიან, ვიდრე თვით ადამიანი [4,329].

სახელმწიფომ უნდა მოხსნას (ან შეასუსტოს) ეკონომიკური დემოკრატიის განვითარების შემზღველადი ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: კერძო საკუთრების კონფისკაცია, კონტრაქტების შეუსრულებლობა, სამეურნეო საქმიანობის არათანაბარი პირობების შექმნა და ამ პირობებში წინასწარ განუჭვრეტადი ცვლილებების შეტანა, პირდაპირი საგადასახადო დაბეჯერა, სახელმწიფო სესხები; სახელმწიფო ხარჯები, საბიუჯეტო დეფიციტი და სახელმწიფო ვალები, ინფლაცია, რეპრესიული სავალუტო-ფულადი პოლიტიკა და სხვ.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რაში აისახება სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ეკონომიკური დემოკრატიის პირობებში? ვერ დავეთანხმებით იმ ავტორებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უნდა წაივდეს ეკონომიკიდან. საქართველოს უნდა პქონდეს ერთიანი, ძლიერი სახელმწიფო, მაგრამ ამასთან ერთად მან თავი უნდა დაანებოს ეკონომიკაში ტოტალურ ჩარევას, „შეასუსტოს ეკონომიკური სისტემის ბორკილები“ [6].

სახელმწიფომ მთავარი აქცენტი უნდა გადაიტანოს ისეთი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულებაზე, როგორებიცაა: ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;



შ. ნათენაძე

შრომითი დანახარჯების როლი ვასწარმოვნაშო

უსოვარი დროიდან ცნობილია, რომ კაცობრიობის არსებობა და მისი გარკვეული მიზანმიმართულებით მოძრაობა შესაძლებელია მხოლოდ შრომით, რომლის პროცესშიც ადგილი აქვს არა მარტო მატერიალური და სულიერი ფასეულობების შექმნას, არამედ წარმოებრივი საშუალებებისა და ცოცხალი სამუშაო ძალის ხარჯვას. მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში შრომა, როგორც პროცესი, იმ საერთო მნიშვნელად წარმოდგა, რომელმაც აღნიშნული ფასეულობანი ასახა, დააფიქსირა და გარკვეულწილად შეაფასა, მაგრამ ფასწარმოქმნის სფეროში მისი როლი რატომღაც დაკნინდა, ამიტომ მისი ანალიზი და ამის ნიადაგზე მისი შინაგანი ბუნების გამოაშკარავება კვლავ აქტუალურ პრობლემად რჩება. ეს იმითაც დასტურდება, რომ თანამედროვე პირობებში შრომითი ხარჯების გააზრებამ შედარებით კონკრეტული დანიშნულება შეიძინა, ვინაიდან იგი დაფიქსირდა როგორც სამეწარმეო პროცესებში ჩადებული რესურსების ღირებულების ის რაოდენობა, რომლის სრულყოფილი გამოყენების ნიადაგზეც ყოველი მეწარმე კონკრეტულად განსაზღვრული სარგებლიანობის (კერძოდ, მოგების) მიღებას ელოდება.

იმასთან დაკავშირებით, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში შრომითი ხარჯები ღირებულებით – ფულადი ფორმით ფიქსირდება, სამეურნეო პრაქტიკაში აუცილებელი გახდა მათი პირველ რიგში ფულადი ფორმით წარმოსახვა და ანგარიშგება. მაგალითად, საწარმოო და შრომითი რესურსები, რომლებიც საკვლავწარმოებო პროცესების აუცილებელი კომპონენტებია, მეწარმეთა მიერ იანგარიშება როგორც იმ რაოდენობის ფულადი სახსრები, რომლებიც ამ კომპონენტების შესყიდვაზე დაიხარჯა. სწორედ ამ უკანასკნელზე (ყიდვა-გაყიდვაზე) დაყრდნობით შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ საწარმოო და შრომითი რესურსები სამეწარმეო პროცესებში საკუთარი ფასებითაა ჩართული. ამიტომ ისინი მეწარმის მიერ იანგარიშება როგორც ინდივიდუალური ხარჯების ღირებულება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ღირებულებით-ფულადი ფორმით შრომითი ხარჯები გაიგივებულია მეწარმის მიერ ბაზარზე შექმნილი შრომის

იარაღებისა და შრომის საგნების (პირველ რიგში, – ნედლეულის) ფასთან. საკითხის ამ კუთხით ანალიზი გეიხვენებს, რომ საკვლავწარმოებო პროცესებში შრომითი ხარჯები ფუნქციონირებს როგორც მათი წინამძღვარი. ვინაიდან ეს უკანასკნელი გარკვეული სახის მიზნისა და მოტივის მატარებელია, შრომის იარაღებისა და შრომის საგნების შესყიდვისას დახარჯულ ფულად თანხას თვით მეწარმე უკვე წარმოებული საქონლის (ნივთის, მომსახურების) რეალიზების შემდეგ უკან იბრუნებს, რომელთა ურთიერთშეჯერების ნიადაგზე იგი საკუთარი სამეწარმეო პროცესების შედეგებს აფიქსირებს. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ სამეწარმეო პროცესებში შრომითი ხარჯები გამოიყენება როგორც წინამძღვარი (შრომის იარაღებისა და ნედლეულის შესყიდვის აუცილებელი პირობა) და როგორც შედეგი [უკვე მზა პროდუქციის ან მომსახურების გასაღების (რეალიზების) ნიადაგზე მიღებული სარგებელი], თუ შრომით ხარჯებს მხოლოდ ამ კუთხით განვიხილავთ, რომელიც ეკონომიკურ კავშირურთიერთობაში აუცილებელი და კანონზომიერი მოვლენაა, მივხვდებით, რომ ბაზრის ურთიერთსაპირისპირო მხარეთა (აგენტთა) შორის ყოველი სახის გარიგება (ხელშეკრულება, კონტრაქტი) მხოლოდ მათ მიერ გაწეული შრომითი ხარჯებითა და მოსალოდნელი შედეგებით ფასდება. მათი ურთიერთთანაფარდობისა და ურთიერთმოქმედების დონე პრაქტიკაში შეიძლება იყოს დადებითი (შედეგები რაოდენობრივად მეტია, ვიდრე ხარჯები), საშუალო (შედეგები და ხარჯები რაოდენობრივად ტოლფასოვანი სიდიდეებია) და უარყოფითი (შედეგები რაოდენობრივად ნაკლებია, ვიდრე ხარჯები). მართალია, შრომითი ხარჯებისა და მათი შედეგების ურთიერთშეთანასწორობის შესახებ საკითხის კვლევა-ძიება უსხოვარი დროიდან მოდის, მაგრამ მათი მეცნიერულ საწყისებზე ანალიზი XX საუკუნის შუაში განხორციელდა, რომელმაც საკუთარი ასახვა ამერიკელი რუსი ემიგრანტის ვ. ლენტიცივისა და რუსი ებრაელის ი. კანტოროვიჩის შრომებში პოვა [1]. თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში სწორედ ამ მიმართულებით მიმდინარეობს ხარჯებისა და შედეგების ურთიერთთანაფარდობაში შეფასება [2], რომელიც ყოველი მეწარმის მანათობელ შუქურად ითვლება. საკითხის ამ კუთხით გაანალიზება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც საბაზრო კავშირურთიერთობის ზემოქმედებით ყოველი მეწარმის ფუნქციონირება მუდმივ ცვალებადობას განიცდის, რაც მას აიძულებს ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის საკუთარი შედეგები გაწეული ხარჯების ნიადაგზე მიღებული შემოსავლებით დაფარვის გზით შეაფასოს.

კვლავწარმოებით პროცესებში შრომითი ხარჯები და შედეგები დროსა და სივრცეში ერთიმეორეს ენაცვლებიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონე შრომითი ხარჯების ყველა სახის შედეგებით უნდა განისაზღვროს [3, 40], ამ წინადადებას მხოლოდ მაშინ აქვს შინაარსობრივი (ფუნქციური) დატვირთვა, თუ არსებულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების დონეს შრომითი ხარჯების შედეგების სარგებლიანობით შევაფასებთ. ამიტომ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ადამიანის შინაგანად დამახასიათებელი, მისთვის შესაფერისი და მისაღები, კონკრეტულად



განსაზღვრული მოთხოვნების სრულფასოვანი დაკმაყოფილებისათვის საჭიროა არა საერთოდ გარკვეული რაოდენობის, არამედ მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის შრომითი ხარჯები, რომელთა შედეგებიც სპეციფიკური დანიშნულებისა და მნიშვნელობის ფასეულობებითაა განპირობებული. ცხადია, ამ კუთხით საკითხის გააზრება მიგვანიშნებს, რომ კვლევა-ძიებისა და ახსნა-განმარტების სფეროში შრომის მხოლოდ ის ხარჯებია მისაღები, რომელთა საბოლოო შედეგებიც ადამიანის მოთხოვნილებებს საბაზრო გარიგებებში დაფიქსირებული დონით აკმაყოფილებს.

როგორც ისტორიული ფაქტები მოწმობენ, აღნიშნულმა გარემოებამ ეკონომისტებს შორის წარმოუვა აზრი კონკრეტულად დახარჯული შრომის იმასთან მიმართებაში შეფასების შესახებ, რომელიც აფიქსირებს, – თუ როგორი თვისებებით ხასიათდება მისი შედეგები. რა თქმა უნდა, მეწარმის აზროვნებაში ყოველთვის სასარგებლო თვისებების მქონე შედეგი ცურავს, ვინაიდან მისი საქმიანობის მიზანი და მოტივი მოგების მიღების აუცილებლობითაა განპირობებული. შრომითი ხარჯების ასეთი შედეგები უფრო ნათლად თანამედროვე პირობებში მოჩანს, როდესაც კონკურენციის ზემოქმედებით შეფოთებული მეწარმე მოვალეა (და თანაც იძულებული) გამოიყენოს შედარებით პროგრესული ტექნოლოგიები და ტექნიკური მოწყობილობები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხარჯებისა და შედეგების ამ კუთხით გააზრება განპირობებულია არა მარტო მეწარმეთა შორის კონკურენტული ბრძოლის გააქტიურებით, გაღრმავებითა და გამწვავებით, არამედ იმითაც, რომ ფასწარმოქმნის ეკონომიკური საფუძვლის დასაბუთების ამოსავალ და თანაც განმსაზღვრელ ფაქტორად თანდათანობით სასარგებლო თვისებების მქონე შრომითი ხარჯები იანგარიშება (მიიჩნევა). ჩვენი გაგებით, სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებს აზრთა სხვადასხვაობას ეკონომიკურ ლიტერატურაში, რომელიც ჯერ კიდევ არისტოტელედან მოდის და რომელიც შედარებით მწვავედ ავსტრიული სკოლის წარმომადგენლებმა დააყენეს. როგორც სამეურნეო პრაქტიკამ დაამტკიცა, ფასებში უბრალოდ ხარჯების ასახვა საერთოდ ფასწარმოქმნის საკითხებს დადებითად ვერ წყვეტს. ამიტომ საჭირო გახდა ფასებში ისეთი ხარჯების ჩასმა, რომელთა შედეგებიც მეწარმისა და მომხმარებლის ფუნქციონირების აეკარგიანობას ამჟღავნებს (ააშკარავებს).

როგორც ცნობილია, მეწარმისა და მომხმარებლის პოზიციები საბაზრო ფასების ვარგისიანობის გარკვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო მიხედვითაა განპირობებული, ვინაიდან მათგან პირველი მოგების მიღებისათვის იბრძვის, მეორე კი – საკუთარ მოთხოვნილებათა სრულყოფილი დაკმაყოფილებისათვის. მართალია, ამ უკანასკნელთა ურთიერთსაპირისპირო ქმედება სპეციფიკურია, მაგრამ აქ ის საერთო თვისებაც შეიმჩნევა, რომლის შესაბამისად მეწარმეცა და მომხმარებელიც საბაზრო ეკონომიკის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე კანონების მოთხოვნათა შესაბამისად მოძრაობენ. ამიტომ შეუძლებელია იმის უგულებელყოფა, რომ პრაქტიკულად ისინი თავიანთ საქმიანობაში (გარიგებაში) ერთიანი მიზანმიმართულებით არ მოძრაობენ. თუმცა ისინი თავიანთი მიზნების




მიღწევას ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ფუნქციონირებითა და ერთიმეორისაგან განსხვავებული მეთოდებითა და გზებით ახერხებენ. ცხადია, ყოველივე ეს საბაზრო ეკონომიკის ზემოქმედებით ნიველირდება და შედეგად ისეთი სახის ელფერს იძენს, რომელიც კონკრეტულად მოცემულ მომენტში ყველასათვის ნამდვილად მისაღები ხდება.


როგორც უკვე აღინიშნა, მეწარმისა და მომხმარებლის მიერ მიზნობრივად განხორციელებული ინდივიდუალური ხარჯები ყოველმხრივ იზომება და ფასდება როგორც მატერიალურ და სულიერ ფასეულობათა დამზადებისა და გასაღების წანამძღვარი და შედეგი. სწორედ ამიტომ მათი ინდივიდუალური ხარჯები ფასწარმოქმნის სისტემაში მეტად მნიშვნელოვანი და მათრიენტირებული კომპონენტებია. საბაზრო ფასში მათი ასახვა იძლევა ისეთი სახის ეკონომიკურ ბერკეტს, რომელშიც მოწინას ურთიერთსაპირისპირო მხარეთა ინდივიდუალური ფუნქციონირების პრიზმული ანალიზი და რომლის შესაბამისადაც მათი ხარჯები და შედეგები ცალ-ცალკე ნამდვილად შეიძლება იყოს დადებითი, საშუალო და უარყოფითი. აქედან გამომდინარე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საბაზრო ფასების პირველი სოციალურ-ეკონომიკური დანიშნულება იმაში ელინდება, რომ მან სრულყოფილად უნდა ასახოს ხარჯებისა და შედეგების თანაფარდობა და ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვროს მათი მნიშვნელობის ის კოეფიციენტი, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება მეწარმეთა და მომხმარებელთა ხარჯების მიზანმიმართულებით რეგულირება.

ამ საკითხის დადებითად მოგვარების მიზნით აუცილებელ პირობად რჩება ის, თუ რა სახის შრომითი ხარჯები უნდა აისახოს ფასებში. ეკონომისტთა შეხედულებების განსხვავებამ განაპირობა ხარჯების კლასიფიკაცია და წინა პლანზე წამოსწია კერძო და საზოგადოებრივი, აშკარა და ფარული, გარე და შიდა, სრული და საშუალო, ალტერნატიული და ზღერული და სხვა სახის ხარჯები, რომლებიც საწარმოო პროცესებში მათთვის განკუთვნილ ფუნქციებს ასრულებენ. მიუხედავად ამისა, ფასებში მათი სრული ასახვა იმდენად შეუძლებელია, რომ ეს უკანასკნელი მთელი რიგი წინააღმდეგობების აღმოცენების საწინდრად მოგვევლინა, ეინაიდან იგი იწვევს: ა) ფასებში თვით ხარჯების მრავალჯერ ასახვას და ამიტომ, ბ) ფასების უშედეგოდ და უზომოდ გაბერვას (ინფლაციას). ამ წინააღმდეგობის თავიდან აცილების ან შერბილების მიზნით მეწარმეთა უმრავლესობა ცდილობს საბაზრო ფასების დანიშნულება საკუთარი ინდივიდუალური ხარჯების პოზიციებიდან შეაფასოს, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ მისთვის პირველ რიგში გარე და შიდა ხარჯებია მისაღები. კერძოდ, საგარეო ხარჯებად ისინი მიიჩნევენ შრომითი მომსახურების, ნედლეულის, სათბობის, საცხებლის, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის მომსახურების, ელექტროენერჯის, სამეწარმეო ტექნოლოგიებისა და ისეთი სახის საშუალებების შექმნაზე გაწეულ ხარჯებს, რომლებიც ყიდვა-გაყიდვის გზით გარედან მიიღება, ხოლო შიდა ხარჯებად კი - საკუთარი რესურსებისა და შესაძლებლობების ამოქმედებისათვის საჭირო ხარჯებს.

სამეწარმეო ფორმირებათა მიერ შიდა და გარე ხარჯებად დაყოფა იმით



არის მნიშვნელოვანი, რომ გაირკვეს, თუ რომელი ხარჯები პირველ რიგში ასანაზღაურებელი და რა დანიშნულების სიგნალებია მოსალოდნელი. მართალია, მეწარმე ვალდებულია პირველ რიგში გარე ხარჯები დაფაროს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ის იძულებულია შიდა ხარჯების დაფარვის აუცილებლობას ყურადღება არ მიაქციოს, ვინაიდან იგი ასეთ სიტუაციაში მოლოდინის თეორიით საზრდოობს, რომლის გათვითცნობიერების ნიადაგზე ის რწმუნდება, რომ უახლოეს მომავალში საბაზრო პირობები მისთვის სასარგებლოდ შეიცვლება. სავალალოდ, როგორც საბაზრო ეკონომიკური სისტემის მოძრაობა ადასტურებს, იგი იმდენად ცვალებადი და წინააღმდეგობრივია, რომ მასზე იმედების დამყარება ნამდვილად ფუჭი ფანტაზიორობის შედეგია. მეწარმემ უნდა იცოდეს, რომ საბაზრო პირობები, რომლებიც ძირითადად სამეწარმეო კონკურენციის შედეგად ყალიბდება, არაფის პატიობს თვითდაჯერებულობასა და მოდუნებას, ხვალისდელი დღის ხარჯზე ცხოვრებას და, საერთოდ მომავლისაგან უკეთესი შედეგების მიღების მიზნით ლოდინს, რის გამოც მეწარმეთა გარკვეული რაოდენობა მართლაც კოტრდება. სამეურნეო პრაქტიკის ანალიზი კი ადასტურებს, რომ მეწარმეთა გაკოტრება იწყება არა გარე ხარჯების სრულად აუნაზღაურებლობის დროს, არამედ მაშინ, როდესაც ისინი შიდა ხარჯებს ნამდვილად ვეღარ ფარავენ. სწორედ ასეთ პირობებში ისმის მათთვის გამაფრთხილებელი (როდესაც შიდა ხარჯები სრულად არ ანაზღაურდება) და კატასტროფული (როდესაც გარე ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობა იკარგება) სიგნალი. ამიტომ მათი ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ პირობად რჩება საშინაო და საგარეო ხარჯების სრული ანაზღაურება, რომელიც შედეგად შეიცავს როგორც ეკონომიკურ, ისე ნორმალურ მოგებას. აქედან გამომდინარე, სოციალურ-ეკონომიკური დანიშნულებითა და მნიშვნელობით საბაზრო ფასის მეორე თვისებაა მეწარმეთა გარე და შიდა ხარჯების სრული ანაზღაურება, რომელიც მათთვის თვითანაზღაურებისა და თვითდაფინანსების ეკონომიკური გარანტია, გარდა ამისა, საბაზრო ფასების ფორმირებაზე განსაკუთრებულად ზემოქმედებს ზღვრული ხარჯები, რომელიც გაილება მაშინ, როდესაც ადგილი აქვს პროდუქციის დამატებითი ერთეულის წარმოებას. თუ ცნობილია, რომ საერთო ხარჯებში, რომელიც მუდმივი და ცვალებადი ხარჯების ერთობლიობაა, ცვლილება ცვალებადი ხარჯების ცვლილებით განისაზღვრება, მაშინ ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ პროდუქციის ერთეულზე გაწეული ხარჯები ზღვრული ხარჯების ზემოქმედებითაც იცვლება, ვინაიდან სწორედ ეს უკანასკნელი საზღვრავს საერთო ხარჯების იმ რაოდენობას, რომელიც დამატებითი ან უკანასკნელი პროდუქტის (ან პროდუქციის ერთეულის) წარმოებისთვისაა (დამზადებისთვისაა) საჭირო (გაეხსენოთ გოსენის პირველი და მეორე კანონის მოთხოვნები, რომელთა შესახებაც ადრე გვქონდა აღნიშნული [4]). გვაქვს რა ყოველივე ეს მხედველობაში, საჭიროა მივიანიშნოთ, რომ საბაზრო ფასების სოციალურ-ეკონომიკური დანიშნულების შესაბამე ეფექტი ზღვრული ხარჯების ასახვაში ელინდება, ვინაიდან მეწარმეთათვის ამ



უკანასკნელთა ზღვრული შემოსავლებით ანაზღაურება უკვე ნიშნავს მოქმედი საბაზრო ფასის მხრიდან ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელშემწყობი პირობების შექმნას.

როგორც ვხედავთ, შრომითი ხარჯები შესაბამისი სახეებით სამეწარმეო აგეარგანობის თანაფარდობაშია გააზრებული, რომელიც მათემატიკური სიზუსტით ანგარიშგებას ექვემდებარება, თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბაზარმა თავისი მუდმივცვალებადობის გამო არ იცის შრომითი ხარჯების მათემატიკურ კრილში დაჯამების ნიადაგზე ფასების დაწესება, ვინაიდან მისთვის ეკონომიკურ მოვლენათა კანონზომიერი სველა სტიქიურობის კავშირურთიერთობაში ვლინდება. მიუხედავად ამისა, საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი მსგავსი პრობლემები მათემატიკურ-ეკონომიკური მეთოდებითა და მოდულებით რეგულირდება, რომელიც სამეწარმეო საქმიანობაში არსებული წინააღმდეგობების შერბილებასა და დადებითად გადაწყვეტას ემსახურება. ალბათ, სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ყოველი სახის ეკონომიკური კონცეფციები და დებულებები (რა თქმა უნდა, ფასწარმოქმნის სფეროშიც) მათემატიკური ფორმულებითა და მოდულებით ზუსტდება და პროგნაზირდება, რათა ისინი შესაბამისი შინაარსით გამოაშკარავდნენ. ყოველივე ეს კი, როგორც წესი, შესაძლებელია მხოლოდ ფასებზე ორიენტაციით, რომელთა ფორმირებაც სამეწარმეო ხარჯებისა და შედეგების მათემატიკური შეთანხმწორებისა და მათთვის ერთიანი საბაზრო მნიშვნელის მოძებნის ნიადაგზე წარიმართება. ჩვენი აზრით, სწორედ ამ საკითხების ანალიზსა და დასაბუთებაში შეინიშნება ეკონომისტთა შორის ის განსხვავება, რომელმაც საკუთარი ასახვა ფასწარმოქმნის შესახებ თეორიულ დასკვნებსა და მიმდინარეობებში პოვა.

როგორც ცნობილია, მარქსისტულ ეკონომიკურ მოძღვრებაში ფასების ერთიან საბაზრო მნიშვნელად საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა იყო აღიარებული, რომლის ფორმირების მექანიზმიც მეწარმეთა კონკრეტულ ბრძოლასთან იყო დაკავშირებული. თანამედროვე პირობებში მის შესახებ აზრი თითქმის დავიწყებას მიეცა, თუმცა საბაზრო ფასების ფორმირებაზე მოქმედი მეწარმეთა შორის კონკურენცია საგრძნობლად გამწვავდა და გაღრმავდა, რომლის შედეგადაც ფასების ერთიანი საბაზრო მნიშვნელის ფორმირების სპეციფიკა და ხასიათი შესამჩნევად გარდაიქმნა. მიუხედავად ამისა, ფასი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა უცვლელი დარჩა, ვინაიდან ყოველთვის და ყველგან მეწარმეთა შრომითი ხარჯები ბაზრის მიერ მხოლოდ ფასებზე ორიენტაციით იანგარიშება, ფასდება და რეალიზდება. ამიტომ ფასების ერთიან საბაზრო მნიშვნელად მხოლოდ ის ხარჯებია მისაღები, რომლებიც ურთიერთსაპირისპირო აგენტებს შორის გარიგებაში (ხელშეკრულებებსა და კონტრაქტებში) ფიქსირდება და რომელიც მათი შემდგომი ფუნქციონირების სახელმძღვანელო დებულებად ცხადდება. იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნულ გარიგებაში აგენტთა ინდივიდუალური ინტერესები იურიდიულად უკვე დაცულია, ფასების ერთიანმა საბაზრო მნიშვნელმა მასში

(გარიგებაში) უფლებრივი (ნორმატიული) დანიშნულება შეიძინა, რომლის მთავარი არსიც ურთიერთმომრიგებელთა (აგენტთა) მოთხოვნებისა და ინტერესების თანაბრად ასახვასა და დაცვაში ვლინდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში ფასების ერთიანი საბაზრო მნიშვნელი დაფიქსირდა და ასახა შედარებით სპეციფიკური გაგებით. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში რ. კოუზმა იგი დაახასიათა როგორც ტრანსაქციული (სამომრიგებლო, საღაპარაკო-სახელშეკრულებო) ხარჯები, რომელთა ანაზღაურებაც შესაძლებელი და აუცილებელია ურთიერთგამრიგებელთა ინდივიდუალური შემოსავლების ხარჯზე [3,102]. ვინაიდან ტრანსაქციული ხარჯები უფრო მეტად სამეწარმეო მნიშვნელობის ინფორმაციას იძლევა, ჩვენი აზრით, ისინი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც საპრეისკურანტო ხარჯები, რომლებიც კონკრეტულად მოცემულ მომენტში მისაღებია როგორც მეწარმისათვის, ისე მომხმარებლისათვის (ასეთი სახის ხარჯები, როგორც ცნობილია, გამოიყენება მომსახურების სფეროში). აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავძინოთ, რომ საბაზრო ფასების მეთხე და მათორიენტრებული მნიშვნელობის სოციალურ-ეკონომიკურ დანიშნულებას წარმოადგენს საბაზრო აგენტების მოთხოვნებისა და ინტერესების სრულფასოვანი ასახვა და რეალიზება, რომელიც ორივე მხარეს საერთოდ უსაფრთხო ფუნქციონირების გარანტს აძლევს.

მაშასადამე, როდესაც საუბარია ისეთი მოვლენის თეორიული გაანალიზებისა და პრაქტიკული დასაბუთების შესახებ, როგორც საბაზრო ფასია, მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის სამეწარმეო ფორმირებების ინდივიდუალურ ხარჯებს, ვინაიდან თვით ფასებში მათი ხვედრითი წონა ყოველთვის იყო და კვლავ რჩება როგორც განმსაზღვრელი და დომინირებული მნიშვნელობის ელემენტი, რომლის უარყოფაც საბოლოო ანგარიშით თვით ფასების უარყოფასაც ნიშნავს. ეს მოსაზრება შესაბამისი შინაარსით უფრო მეტად მაშინაა ნიშანდობლივი, როდესაც ექსტრემალური სიტუაციების ზემოქმედებით სახელმწიფო იძულებულია ბაზარზე ზღვრული ფასები დააწესოს, რომელთაგან განსაკუთრებულად თვით ფასების ტერი და იატაკი მოჩანს. პირველის დანიშნულებაა მომხმარებლისათვის საბაზრო ფასების მისაწვდომლობის, მეორისა კი - მეწარმეებისათვის თვითდაფინანსების უზრუნველყოფა. ეს იმას ნიშნავს, რომ ფასების იატაკი მეწარმეთა ინდივიდუალური ხარჯების დაბლა არ შეიძლება დაწესდეს. ამიტომ შრომითი ხარჯების როლი ფასწარმოქმნაში და, საერთოდ, საბაზრო ფასების ფორმირებაში მეტად მნიშვნელოვანი და ნამდვილად განმსაზღვრელი ფაქტორია, რომელსაც მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობაში შესაბამისი მნიშვნელობის ადგილი უკავია.

1. Канторович Л. М. Экономический расчет наилучшего использования ресурсов. М., "Наука", 1959
2. Томас Т. Нэгл, Рид К. Холден. Стратегия и тактика ценообразования. С.-П. "Питер", 2001
3. Цены и ценообразование. Под ред. В. Е. Есипова. С.-П. "Питер", 2000
4. ნათუნაძე შ. გოსენის კანონების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ეკონომიკა. თბ., 2002, №1-2.

**შ. ნათუნაძე**


**Роль трудовых затрат в ценообразовании**

Проанализированы вопросы, связанные с выяснением и проявлением роли трудовых затрат в ценообразовании. В частности, исследуются взаимозависимость и взаимодействие затрат и результатов, внутрифирменных и внешних затрат и специфика их отражения в цене. Вместе с тем рассмотрены предельные затраты и их значение в формировании цен.

**Sh. Natenadze**

**The Role of Labor Costs in Price Formation**

The article analyzes the questions connected with the elucidation and manifestation of the role of labor costs in price formation. In particular, the article investigates the interrelation and interaction of costs and outcomes, in-house and external costs and the specific character of their reflection in the price. A special emphasis is made on the analysis of market transactions among counterparts realizing own interests through market prices.



0. ანალიზი

ფულის მიწოდების კიბერნეტიკული მოდელი

ეკონომიკაში ფულის მიწოდების რეგულირების პროცესი, რომელსაც სახელმწიფო ბანკი ახორციელებს, ექცევა ავტომატური მართვის თეორიის ჩარჩოებში. ამ შემთხვევაში სამართავი, ანუ სარეგულირებელი პარამეტრის როლში გამოდის ფულის მასა, რომელშიც შემდეგში ჩვენ ვიგულისხმებთ M1 ფულად აგრეგატს. განმარტების თანახმად, ეს არის მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის (ქალაქის ბანკნოტები და ლითონის მონეტები) – Cu და საჩეკო ანაბრების (უვადო დეპოზიტების) – D ჯამი:


$$M1 = Cu + D.$$

აღნიშნოთ ფულის მასის სასურველი, ანუ გეგმური მნიშვნელობა  $\bar{M1}$ –ით და ჩავთვალოთ, რომ ავტომატური მართვის ამოცანა მდგომარეობს შემდეგი ტოლობის

$$M1 = \bar{M1}$$

შესრულებაში. განვიხილოთ, თუ როგორ ხორციელდება ამ სიტუაციაში მართვის (რეგულირების) პროცესი და რა მოდელით აღიწერება იგი.

გამოვსახოთ ფულის მიწოდების რეგულირების მოგადი სქემა შემდეგნაირად:




ნახ.1

სახელმწიფო ბანკი, როგორც მმართველი სისტემა, უკუკავშირის არხით ღებულობს შეგყობინებას ეკონომიკაში M1-ის სიდიდის შესახებ. თუ

აღმოჩნდება, რომ  $M1$ -ის მოცემული მნიშვნელობა არ შეესაბამება სასურველ  $\overline{M1}$ -ს, მაშინ პირდაპირი კავშირის არხით იგი ახორციელებს ეკონომიკაზე გემოქმედებას, რაც გამოვლინდება სახელმწიფო ბანკის აქტივების სიდიდის  $H$ -ის ცვლილებაში. ამ აქტივებში შედის სავალუტო რეზერვები (ოქრო და უცხოური ვალუტა), სახელმწიფო საზღვარის ფასიანი ქაღალდები, კომერციულ ბანკებზე გაცემული კრედიტები, სახელმწიფოზე

გაცემული კრედიტები. როდესაც  $M1 < \overline{M1}$ , ე.ი. როდესაც საჭიროა ეკონომიკაში ფულის მასის გადიდება, სახელმწიფო ბანკი იწყებს თავისი აქტივების ზრდას. იგი ხორციელდება ან სავალუტო ბაზარზე უცხო ვალუტის შესყიდვით, ან ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახაზინო თამასუქების შესყიდვით, ან კიდევ კომერციულ ბანკებზე და სახელმწიფოზე კრედიტის გაცემით (შესაძლებელია აქ ჩამოთვლილთა კომბინაციური გამოყენებაც). ნებისმიერი ამ ოპერაციის დროს სახელმწიფო ბანკიდან ეკონომიკაში ხვდება ფულის გარკვეული რაოდენობა. როდესაც  $M1 > \overline{M1}$ , მაშინ ხორციელდება საწინააღმდეგო პროცესი – სახელმწიფო ბანკი ამცირებს თავის აქტივებს და სანაცვლოდ ახორციელებს ეკონომიკიდან ფულის საჭირო რაოდენობის ამოღებას.

გემოთ განხილულ ზოგად სქემაში განსაკუთრებით საინტერესოა პროცესი




რომლის გადამცემი ფუნქცია\* აიგება უკუკავშირის მექანიზმის გათვალისწინებით. ეს რომ ასეა, საილუსტრაციოდ განვიხილოთ ამ პროცესურის დეტალური სქემა, რომელსაც ნახ. 2-ზე მოყვანილი სახე აქვს.

სქემაზე წარმოდგენილი ბლოკების დანიშნულებისა და როლის გასარკვევად, აგრეთვე, თითოეული ბლოკის და მთლიანად სისტემის გადამცემი ფუნქციის სახის დასადგენად საჭიროა ზოგად ჩარჩოებში აღწეროთ საბანკო სისტემის მექანიზმი.

\* გადამცემი ფუნქცია  $W(s)$  მართვის თეორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცნებაა. ზოგად შემთხვევაში იგი ამყარებს შესაბამისობას სამართავი სისტემის მართვად  $\hat{y}(s)$  გემოქმედებასა და სამართავ  $\hat{u}(s)$  მნიშვნელობას შორის:

$$\hat{Y}(s) = W(s)\hat{u}(s),$$

სადაც  $s$  კომპლექსური რიცხვია და განისაზღვრება ლაპლასის გარდაქმნის საფუძველზე [1].



ნახ. 2

დავუშვათ, რომ სახელმწიფო ბანკმა გადაწყვიტა ფულის მასის გადიდება. მაშინ, ზემოთ აღნიშნულის თანახმად, H გამოსახავს სახელმწიფო ბანკის მიერ ეკონომიკაში განსახორციელებელ ფულად ინექციას. ეს ინექცია, ისევე როგორც ზოგად შემთხვევაში კომერციული ბანკების მიერ გაკეპული კრედიტები, ორი მიმართულებით მიემართება. ერთი ნაწილი გაედინება საბანკო სისტემის გარეთ ნაღდი ფულის სახით და ილექება საოჯახო მეურნეობებსა და ფირმებში. სქემაზე ამ გადინების პროცესს შეესაბამება II ბლოკი გადამცემაში  $W_2(s)$  ფუნქციით. ინექციების მე-2 ნაწილი კი პირველი ბლოკის საშუალებით, რომლის გადამცემ ფუნქციასაც  $W_1(s)$  წარმოადგენს, ხვდება კომერციულ ბანკებში საჩეკო ანაბრების სახით. სხვადასხვა სიტუაციაში თანაფარდობა საბანკო სისტემიდან გადინებულ ფულსა და საჩეკო ღეპოზიტებს შორის შეიძლება სხვადასხვა იყოს. მაგრამ ცხადია, რომ  $W_1(s)$  და  $W_2(s)$  ოპერატორებმა უნდა დააკმაყოფილონ პირობა

$$W_1(s) + W_2(s) = 1.$$

სიმარტივისათვის ვიგულისხმობთ, რომ ეკონომიკაში არსებობს მკაცრად დაფიქსირებული უპირატესობა ნაღდი ფულსა და უვალ ᦒეპოზიტებს შორის, რომელიც მუდმივად გამოვლინდება. მაშინ ადვილად ვაჩვენებთ, რომ II ბლოკის გადამცემაში ფუნქციის, ანუ ნაღდი ფულის გადინების ᦒეპერატორის კონკრეტული სახე იქნება

$$W_2(s) = \frac{\alpha}{1+\alpha}, \tag{1}$$

ხოლო პირველი ბლოკის გადამცემაში ფუნქცია, ანუ უვალ (საჩეკო) ღეპოზიტების წარმოქმნის ᦒეპერატორი კი მიიღებს შემდეგ სახეს:

$$W_1(s) = \frac{1}{1+\alpha}, \tag{2}$$

სადაც,  $\alpha$  არის საჩეკო ანაბრებთან ნაღდი ფულის უპირატესობის კოეფიციენტი,

ანუ რაოდენობრივად ახასიათებს მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის Cu-ს შეფარდებას კომერციულ ბანკებში არსებულ საჩეკო ლეკომიგების D-ს სიდიდესთან.

კომერციულ ბანკებში მოხვედრილი უკიდურეს ლეკომიგები შეიძლება გამოეყენებულ იქნეს კრედიტის გასაცემად და თუ ეს მოხდება, მაშინ ეკონომიკაში ფულის რაოდენობა გაიზარდება გაცემული კრედიტის სიდიდით (შეუნიშნოთ, რომ კრედიტის დაბრუნებისას შესაბამისი სიდიდით მცირდება ფულის რაოდენობა ეკონომიკაში). იდეალურ პირობებში (და მას ვიხილავთ სწორედ ჩვენ, როდესაც ეკონომიკაში ყოველთვის არსებობენ კრედიტის აღების მსურველები, კომერციული ბანკების მიერ შექმნილი ფულის რაოდენობა (ანუ გაცემული კრედიტების სიდიდე)  $K$ , ერთი მხრივ, დამოკიდებულია მოზიდული ლეკომიგების სიდიდემე -  $D$ -ზე, - როგორც წესი, კრედიტის გაცემა ხდება ლეკომიგის ფარგლებში. მეორე მხრივ, თანამედროვე საბანკო სისტემაში მოქმედებს სავალდებულო რეზერვირების წესი, რომლის თანახმადაც კომერციული ბანკები ვალდებული არიან სახელმწიფო ბანკის მიერ დადგენილი ნორმატივის შესაბამისად სახელმწიფო ბანკში უპროცენტო რეზერვის სახით შეინახონ მოზიდული ანაბრების ნაწილი. სავალდებულო რეზერვების არსებობა ზღუდავს კომერციული ბანკების მიერ ფულის შექმნის უნარს, რადგანაც გასაცემა კრედიტის სიდიდე განისაზღვრება უკვე არა მთლიანი ლეკომიგებით, არამედ სავალდებულო რეზერვების გამოკლების შემდეგ მათი დარჩენილი ნაწილით.

გარდა ამისა, კომერციული ბანკები ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ შეანაბრებენ ნებისმიერ მომენტში შეიძლება მოითხოვონ ნაღდი ფული თავისი ანაბრის ფარგლებში. ამიტომ გაკოტრების თავიდან ასაცილებლად კომერციული ბანკები აუცილებელ რეზერვებთან ერთად ქმნიან ნაღდი ფულის ნებაყოფლობით რეზერვებს, რაც, ასევე, ამცირებს მათ კრედიტუნარიანობას.

ლეკომიგებიდან აღნიშნული სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეზერვების  $R$ -ის ფორმირების პროცესს შეესაბამება სქემა 2-ის IV ბლოკი  $W_3(s)$  გადამცემა ფუნქციით, ხოლო III ბლოკი კი ასახავს კომერციული ბანკების მიერ ლეკომიგებიდან ფულის შექმნის (კრედიტების გაცემის) პროცესს  $W_4(s)$  ოპერატორით (გადამცემა ფუნქციით). რადგანაც მთლიანი რეზერვებისა და გაცემული კრედიტების ჯამი ემთხვევა ლეკომიგების სიდიდეს, ამიტომ უნდა შესრულდეს პირობა

$$W_3(s) + W_4(s) = 1.$$

თუ დაეუშვებთ, რომ სავალდებულო და ნებაყოფლობითი რეზერვების ნორმა მთლიან ლეკომიგებში ფიქსირებულია და შეადგენს  $r$ -ს, მაშინ ცხადია, რომ IV ბლოკის გადამცემა ფუნქციის სახე იქნება

$$W_4(s) = r. \tag{3}$$

შესაბამისად დაკონკრეტდება III ბლოკის გადამცემი ფუნქციაც და იგი მიიღებს შემდეგ სახეს:

$$W_1(s) = 1-r. \tag{4}$$

კომერციული ბანკებიდან გაცემული კრედიტები  $K$  უკუკავშირების არხით კვლავ ხვდება საბანკო სისტემაში და მეორდება ის პროცესები, რაც ზემოთ იყო აღწერილი. ამიტომ, მოგადი შემთხვევისათვის, როდესაც  $H, D, K, Cu, R$  და  $M1$  სიდიდეები  $t$  დროის ფუნქციებს წარმოადგენენ, სქემამ ნაჩვენები პროცესები მთლიანობაში ლაპლასის გარდაქმნის გამოყენებით აღიწერება შემდეგი განტოლებებით:

$$\begin{aligned} W_2(s)(\hat{H}(s) + \hat{K}(s)) &= C\hat{u}(s), \\ W_1(s)(\hat{H}(s) + \hat{K}(s)) &= \hat{D}(s), \\ W_4(s)\hat{D}(s) &= \hat{R}(s), \\ W_3(s)\hat{D}(s) &= \hat{K}(s), \\ C\hat{u}(s) + \hat{R}(s) + \hat{K}(s) &= \hat{M1}(s), \end{aligned} \tag{5}$$

სადაც მოგადად ჩანაწერი  $\hat{f}(s)$  წარმოადგენს  $f(t)$  -ს ასახვას:

$$\hat{f}(s) = \int_0^{\infty} f(t) e^{-st} dt;$$

$t$  დროის ცვლადია.

მე-5) სისტემიდან მარტივი გარდაქმნებით მივიღებთ:

$$\hat{D}(s) = \frac{W_1(s)}{1 - W_1(s)W_3(s)} \hat{H}(s) = W_D(s)\hat{H}(s);$$

$$C\hat{u}(s) = \frac{W_2(s)}{1 - W_1(s)W_3(s)} \hat{H}(s) = W_{cu}(s)\hat{H}(s);$$

$$\hat{K}(s) = \frac{W_1(s)W_3(s)}{1 - W_1(s)W_3(s)} \hat{H}(s) = W_k(s)\hat{H}(s);$$

$$\hat{R}(s) = \frac{W_1(s)W_4(s)}{1 - W_1(s)W_3(s)} \hat{H}(s) = W_R(s)\hat{H}(s);$$

$$\hat{M1}(s) = \frac{1}{1 - W_1(s)W_3(s)} \hat{H}(s) = W(s)\hat{H}(s).$$

ამ გამოსახულებებში  $W_D(s), W_{cu}(s), W_k(s), W_R(s)$  და  $W(s)$  წარმოადგენენ უკუკავშირის გადამცემ ფუნქციებს, ანუ მულტიპლიკატორებს.

კერძოდ,  $W_p(s)$  არის უვალო დემონიტების მულტიპლიკატორი,  $W_m(s)$  – ნაღდი ფულის მულტიპლიკატორი,  $W_k(s)$  – საკრედიტო მულტიპლიკატორი,  $W_r(s)$  – საბანკო რეზერვების მულტიპლიკატორი და, ბოლოს  $W(s)$  არის ფულადი მულტიპლიკატორი, ანუ საბანკო სისტემის მულტიპლიკატორი. იგი გვიჩვენებს რამდენით გაიზარდება ეკონომიკაში ფულის M1 აგრეგატი, თუ ფულადი ბაზა (ანუ სახელმწიფო ბანკის აქტივების სიდიდე) გაიზარდება ერთი ერთეულით. კერძო შემთხვევისათვის, როცა ცალკეული ბლოკების გადამცემა ფუნქციები განისაზღვრებიან (1) – (2), (3) – (4) დამოკიდებულებებით, ადვილად შევამოწმებთ, რომ საბანკო სისტემის მულტიპლიკატორი (გადაცემა ფუნქცია)  $W(s)$  შემდეგ სახეს მიიღებს:

$$W(s) = \frac{1 + \alpha}{r + \alpha}$$

განმარტების თანახმად,  $0 < r < 1$ . ამიტომ მოყვანილი გამოსახულებიდან გამომდინარეობს, რომ  $W(s) > 1$ . ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბანკის მხრიდან ერთი ლარის ინექციას ეკონომიკაში მოჰყვება ფულის მასის გაცილებით მეტი სიდიდით მრღა.

**ლიტერატურა**

1. Теория автоматического управления. М., Наука, 1972
2. Сакс Дж. Д., Ларрен Ф. Б. Макроэкономика. Глобальный подход. М., Дело, 1996

**Ю. Ананишвили  
Кибернетическая модель предложения денег**

Предпринята попытка представить процесс предложения денег в виде модели автоматического управления. С этой целью экономика рассматривается как система, на вход которой из центрального банка поступает денежная инъекция, а выходом является определенный денежный агрегат. Построен ряд передаточных функций обратных связей с четким экономическим содержанием.

**Ananiashvili I  
Cybernetic Money Supply Model**

The article attempts to present the money supply process as an automatic control model. For this purpose, economy is considered as a system with money injections from the central bank at its entry and with specific Mo, M1, M2 and M3 at its exit. A series of transmission functions of feedback with the clear-cut economic content are built.



**წ. ქოქიაშვილი**

**საქართველოში იმპერიალიზმი და იმპერიალიზმის აპტიურობის სტიმულირებისათვის**

ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მოითხოვს კონკურენციული გარემოს შექმნასა და მის განვითარებას, რაც უფექტიანი ინოვაციური და ინვესტიციური საქმიანობის საფუძველია. დღეს ქვეყნის ეკონომიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა კარდინალურ გარდაქმნას საჭიროებს, მაგრამ მხოლოდ საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობით, სახელმწიფოს ჩაურევლად შეუძლებელია სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის ამოცანების გადაჭრა. როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, ინოვაციური და საინვესტიციო პოლიტიკა სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია და საქართველოშიც შეუძლებელია მის გარეშე მაკროეკონომიკური რეგულირების განხორციელება.

სახელმწიფოს ინოვაციური პოლიტიკის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა ფუნდამენტური კვლევების ფინანსური მხარდაჭერა და განვითარება. ეკონომიკის კომერციულ სექტორს არ აინტერესებს მათი დაფინანსება შედეგების გაურკვეველობისა და რისკის მაღალი დონის გამო. გარდა ამისა, ფუნდამენტური კვლევა ხანგრძლივად გრძელდება, უზარმაზარ დანახარჯებსა და ძიების რთულ ორგანიზაციას მოითხოვს. ამიტომ, როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, გამოყენებითი, საექსპერიმენტო და დანერგვითი დამუშავების დიდი ნაწილის ჩატარება შესაძლებელია როგორც სხვადასხვა კოლექტივის კოოპერაციულ საწყისებზე გაერთიანების გზით, ისე სახელმწიფოს აქტიური ფინანსური მხარდაჭერით.

მეცნიერებაზე გაღებული ხარჯების არსებით ნაწილს განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფარავენ. მაგალითად, აშშ-ში მარტო ფუნდამენტურ მეცნიერებაზე წელიწადში საშუალოდ 9 მლრდ. დოლარს ხარ-

ჯავენ, რაც მასზე გაწეული მთელი ხარჯების 80 %-ს შეადგენს [1,29].

განვითარებული ქვეყნების მშპ-ში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მეცნიერებაზე გაწეული ხარჯების წილი საშუალოდ 5 - 6 %-ია და ზრდის ტენდენციით ხასიათდება, მაშინ როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი, მრავალჯერ სექსტორიზებული ბიუჯეტის პირობებში, მწირი, ძალზე მიზერული თანხაა და იგი 0,2%-ს შეადგენს [2].

განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო ახდენს ინოვაციური პოლიტიკის ყველაზე პრიორიტეტული პროგრამების შემუშავებას. იგი ქმნის ხელსაყრელ ინოვაციურ კლიმატს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროში, რისთვისაც არა ერთი და ორი არაპირდაპირი ბერკეტი გამოიყენება. მათ შორისაა მრავალფეროვანი შეღავათები და სანქციები, წარმატებული ფორმებისათვის ფუნდამენტური კვლევის შედეგების უსასყიდლოდ გადაცემა და ა.შ. ამის ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ აშშ-ში ჯერ კიდევ 1981 წელს მიღებული კანონი „ეკონომიკური გაჯანსაღების შესახებ“. იგი ითვალისწინებს საგანგებო წესებსა და შეღავათებს, რომლებიც განაპირობებენ სამეცნიერო კვლევებზე დანახარჯების გადიდებას, სტიმულს აძლევენ წვრილი ფორმების მიერ ინოვაციური პროცესების სარისკო(ვენჩურული) დაფინანსების ფონდების ფორმირებას, სამეცნიერო-კვლევითი პარტნიორობის ჩამოყალიბებას.

საბაზრო მექანიზმის მდგრადობას უზრუნველყოფს სახელმწიფოს განმსაზღვრელი როლი გრძელვადიანი ინვესტიციების რეგულირებაში. განვითარებულ ქვეყნებში კარგა ხანია გაცნობიერებული აქვთ საინვესტიციო პროცესების სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და გრძელვადიანი პროგრამების მიღების აუცილებლობა. კერძოდ, იაპონიაში სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის საერთო სტრატეგიას ოთხი უწყება აყალიბებს, რომელთა შორის მთავარია ორი - მეცნიერებისა და ტექნიკის საბჭო და სააგენტო. ასეთივე ცენტრალიზებული ორგანიზებია საფრანგეთსა და გერმანიაში. განვითარებული ეკონომიკის მქონე მრავალ ქვეყანაში შემუშავებული აქვთ გეგმები, რომლებშიც დირექტიული მაჩვენებლებია მოცემული. მაგალითად, საფრანგეთის ოთხწლიან ინდიკატურ გეგმაში სავალდებულოა ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ღონისძიებების შესრულების მონაცემების ჩართვა. იაპონიის სახელმწიფო ორგანოების რეკომენდაციები, მართალია, დირექტიული არაა, მაგრამ ფორმები მათ განუხრელად ასრულებენ, რის სტიმულსაც მათ შეღავათები აძლევენ.

ამჟამად საქართველოს რეალურ სექტორში არსებული ინვესტიციები არ შეესაბამება ეკონომიკის განვითარების მოთხოვნებს. ინოვაციური და საინვესტიციო აქტიურობის ნეგატიურმა დინამიკამ გამოიწვია წარმოებრივი აპარატის მნიშვნელოვანი ფიზიკური და მორალური ცვეთა.

ამიტომ აუცილებელია მეცნიერულად დასაბუთებული საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავება, რომლის შედეგი უნდა იყოს ინვესტიციების როგორც მოცულობის გადიდება, ისე ეფექტიანობის ამაღლება. ამისათვის აუცილებელია ამაღლდეს სახელმწიფოს როლი ინოვაციური და საინვესტიციო პოლიტიკის რეგულირებაში. სამაშულო წარმოების განახლება და განვითარება შეუძლებელია ინოვაციური და ინვესტიციური აქტიურობის სტიმულირების გარეშე. „ამჟამად

საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკიდან, შეიძლება ითქვას, ამოვარდნილია სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროცესების მართვა. ინოვაციურმა პროცესებმა უნდა განსაზღვროს ქვეყნის მომავალი. არსებული ვითარება კი ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას“ [3,116].

საინვესტიციო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო აპარატის მიმდინარე მდგომარეობას და ეკონომიკის პერსპექტიული პრობლემების გადაჭრაში არსებულ პირობიტეტებს. ახალ პირობებთან კვლავწარმოების ადაპტირების მექანიზმი აუცილებელია ევრდნობოდეს საინვესტიციო პოტენციალს და მსოფლიო მოთხოვნებთან მის შესაბამისობას.

ბოლო წლებში საქართველოში კიდევ უფრო შენეულა წარმოებრივი აპარატის განახლების ისედაც დაბალი ტემპები. მოძველებული მოწყობილობის შეცვლის კოეფიციენტი 4-ჯერ უფრო დაბალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ამის შედეგად მატულობს ძირითადი საწარმოო კაპიტალის ცვეთა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მათი სწრაფად მოძველება იმ დარგებში, რომლებიც ეკონომიკაში სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის ტემპებს განსაზღვრავს. პერსპექტივაში ეს, რა თქმა უნდა, გამოიწვევს ეკონომიკის დანარჩენი დარგების ტექნიკური აღჭურვილობის დაჩქარებულ მოძველებას. ამასთან, გასათვალისწინებელია ჩვენი ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი თვისებრივი ჩამორჩენა მსოფლიო ანალოგებისაგან.

აგრარული სექტორის დარგების მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების ანალიზი იმას მოწმობს, რომ წარმოების ტექნიკური დონე ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება აქ გამოყენებული მანქანებისა და მექანიზმების უმნიშვნელოვანესი ჯგუფების თითქმის 85%. იმ მოძველებული ტექნიკის ხვედრითი წილი, რომელიც გადაუდებელ შეცვლას საჭიროებს, 27%-ს აჭარბებს. კვებისა და გადამამუშავებელ მრეწველობაში უმნიშვნელოვანესი სახეობების მოწყობილობაზე არსებული მოთხოვნა 55%-ითაა დაკმაყოფილებული. ინოვაციური პროცესების წარმართვას აქ არსებითად აფერხებს ძირითადი საწარმოო კაპიტალის ხანდაზმულობა[2]. აგრარული სექტორის თითქმის ყველა დარგში მანქანა-მოწყობილობების ერთ მესამედზე მეტს ორი და მეტი საამორტიზაციო ვადა აქვს ნამუშევარი.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაჭრაზეა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ამიტომ აუცილებელია მნიშვნელოვნად დაჩქარდეს წარმოების განახლების ტემპები პერსპექტიული ტექნოლოგიების, ტექნიკისა და ინოვაციების დანერგვის ხარჯზე.

საბაზრო ურთიერთობების განვითარების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ინოვაციები საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მთავარი მამომრავებელი ძალაა და მჭიდრო კავშირშია საინვესტიციო საქმიანობასთან. აღსანიშნავია, რომ წარმოების განახლების ამოცანებს ხშირად წვევტენ მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარადების ყოველმხრივი სტიმულირების გზით. მაგრამ ეს კურსი ყოველთვის არ იძლევა მოსალოდნელ შედეგებს. ამას,

პირველ რიგში, განაპირობებს რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების თვით ბუნება. ეს ფონისიბებები მხოლოდ გარკვეულ საშუალო დონემდე იძლევა მოქმედი საწარმოების ტექნიკური დონის ამაღლების შესაძლებლობას.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს აქვს იმის შესაძლებლობები, რომ ახალი საწარმოების მშენებლობის გზით წარმოების განახლებაზე პირდაპირ მოახდინოს გავლენა. მთლიან კაპიტალურ დაბანდებებში ცენტრალიზებული დაბანდებების ხვედრითი წილი უახლოვს ხანში 15%-ზე მეტი ვერ იქნება [4,23]. მაგრამ სწორი მანეჯერობისას ამ რესურსებსაც შეუძლიათ გარკვეული უფექტის მოტანა. მათ ძალეუთ წახალისონ საინვესტიციო საქმიანობა საკმაოდ მაღალი ტექნიკურ-ტექნოლოგიური დონისა და კოოპერაციის მაღალი ხარისხის მქონე წარმოებების შექმნა-განვითარებაზე ბიუჯეტის სახსრების თავმოყრის გზით. ეს ხელს შეუწყობს იმას, რომ გაიზრდება ბაზრის მოთხოვნა გარკვეული სახეობის მაღალხარისხოვან ნედლეულზე, პროდუქციაზე, მომსახურებაზე, მაკომპლექტებელ ნაკეთობებზე, ხელსაწყოებსა და მოწყობილობაზე.

პერსპექტივაში საინვესტიციო პოლიტიკას საფუძვლად დაედება ორგანიზაციულ-ეკონომიკური და ფინანსური ინსტრუმენტები. ამას ადასტურებს განვითარებული ქვეყნების გამოცდილება, სადაც სახელმწიფო ხელსაყრელ პირობებს ქმნის ეკონომიკის რეალური სექტორის ობიექტების ინოვაციური და საინვესტიციო აქტიურობის ამაღლებისთვის, მცირე ბიზნესის და პრიორიტეტული დარგების მხარდაჭერისთვის.

საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების კვალდაკვალ სულ უფრო მეტ როლს შეასრულებს ფინანსური რესურსების მობილიზების არასაბიუჯეტო მეთოდები. მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს ამ პროცესის ორი ძირითადი მიმართულება – ამერიკული და იაპონური.

ამერიკელი მენეჯერების შრომის შეფასება მიღებული დივიდენდის ზომაზეა დამოკიდებული და ისინი იძლევიან არიან უზრუნველყონ მაქსიმალური მიმდინარე მოგება.\* ისინი ამით განსხვავდებიან მრავალი იაპონელი მმართველისაგან, რომლებიც წარმოებას ავითარებენ, უპირველეს ყოვლისა, სტრატეგიული მიმართულებების მიხედვით და ძირითადად გრძელვადიანი კრედიტების ხარჯზე.

საინვესტიციო პროცესში პირდაპირი ჩარევის გარდა, მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია საინვესტიციო აქტიურობაზე არაპირდაპირი გზით ზემოქმედების მრავალი მეთოდი. სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის სისტემის მეშვეობით სახელმწიფო არეგულირებს გადასახადებს, კრედიტებს, საბაზო ტარიფებს, საამორტიზაციო პოლიტიკას.

---

\* ასევე წავიდინე რუსეთშიც. ფინანსური რესურსების მობილიზების ძირითად მეთოდად აქ აქციონირება იქცა. თანაც იგი მრავალი ხარეხით ხორციელდება. უკვე შექმნილია პირველისა და აქციონერული საზოგადოებების რეკორდული რაოდენობა, რომელთა მთავარი მიზანია მოგების მაქსიმალურად სწრაფად მიღება, რასაც მოსდევს პერსპექტიული განვითარების ამოცანების უგულვებელყოფა. აქციონირება ხშირად მიღის საქველმოქმედო გზით და საყოველთაო დევიციტით, აგრეთვე მოზარებისა და გასაღების საიდლო არხების უქონლობით (სამურწრო კავშირების მოშლის გამო).

გრძელვადიანი საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირების საკრედიტო მეთოდებს ხშირად არ იყენებენ. ეს მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ადრინდელი საკრედიტო სისტემისთვის დამახასიათებელ უარყოფით მომენტებს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უარი ეთქვათ ეკონომიკაზე ზემოქმედების ისეთ მძლავრ საშუალებაზე, როგორც კრედიტია. საკრედიტო ბერკეტები საშუალებას მოგვცემს არა მარტო შევუხამოთ ინოვაციური და ინვესტიციური განვითარება სახელმწიფოს ინტერესებს, არამედ სახსრების დაბრუნებადობა გამოვიყენოთ როგორც წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების სტიმული. ტექნიკის ახალი ნიმუშების და პროგრესული ტექნოლოგიების შექმნის პრობლემების გადასაჭრელად გამოყოფილი შედეგათიანი კრედიტი აღძრავს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებისა და წარმოებაში მათი შედეგების ათვისების ინტერესს. გარდა ამისა, შედეგათები შეგვიძლია გამოვიყენოთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტად. მაგალითად, პროდუქციის გარკვეული სამომხმარებლო თვისებების მისაღწევად, თვისებრივად ახალი ტექნოლოგიების და ტექნიკის მისაღებად და ა.შ.

საფინანსო-საკრედიტო სფეროს გარდაქმნის კარგად მოქმედი ორდონიანი საბანკო სისტემის შექმნისა და კომერციული ბანკების სრულფასოვანი ქსელის განვითარების კვალდახე შესაძლებელი გახდება როგორც საკრედიტო საქმიანობის ეფექტიანი სახელმწიფოებრივი რეგულირება (კრედიტზე საპროცენტო განაკვეთის ფორმირებაზე ცენტრალიზებულად ზემოქმედების გზით), ისე დემონოპოლიზაცია და კონკურენცია სახსრების გაცემის სფეროში. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფისთვის დანიშნული გრძელვადიანი კრედიტების ხვედრითი წილი ამჟამად საკმაოდ მცირეა მათ მთლიან მოცულობაში. მათზე დაწესებული პროცენტი იზრდება, რომელსაც დადებითი შედეგებიც მოაქვს და უარყოფითიც - ეს პროცესი დადებითა ფულის მიმოქცევის სტაბილურობის თვალსაზრისით, მაგრამ ეკონომიკაში კლებულობს საინვესტიციო აქტიურობის გაძლიერების შესაძლებლობები.

ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მძლავრი ბერკეტია მოქნილი საგადასახადო სისტემა, რომელიც სისტემურ მიდგომას ითვალისწინებს საქმიანობის სხვადასხვა სფეროების, მაგალითად, საინვესტიციო და ინოვაციური სფეროების ურთიერთმოქმედებისა და განვითარების მიმართ. მაგალითად, თუ ფირმა ახორციელებს ეფექტიან ტექნიკურ-ტექნოლოგიურ და ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებებს (საწარმოო ბაზის განახლება ახალი ტექნიკის საფუძველზე, მეცნიერებატევადი საწარმოო ტექნოლოგიების დანერგვა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების გაფართოება, საექსპორტო მიწოდების გაძლიერება და სხვ.), მაშინ საგადასახადო განაკვეთი უნდა მცირდებადეს საკანონმდებლო აქტებში გათვალისწინებული სკალის შესაბამისად და, პირიქით.

ცნობილია, რომ ინოვაციური პროცესები გაზრდილ დანახარჯებს მოითხოვს, განსაკუთრებით წარმოების მომზადებისა და ათვისების ეტაპზე. ამიტომ მას თან ახლავს, ერთი მხრივ, ნაკეთობათა დამუშავებასა და ათვისებაში სახსრების დაბანდების რისკი, მეორე მხრივ კი – დამატებითი ხარჯები. ეს გასაგებს ხდის ახალი ტექნიკის შექმნაში მონაწილე კოლექტივების სწრაფვას საგადასახადო ტვირთის შემცირებისაკენ.

საღვარგარეთული გამოცდილების გამოყენებით შედეგით მთავრობამ შეიმუშავა მოდელი, რომელიც მოგების დაბეგვრის ზომის ოპტიმიზების შესაძლებლობას იძლევა. გაანგარიშებებიდან ჩანს, რომ 25-50%-იანი განაკვეთით დაბეგვრის დროს მკვეთრად მცირდება საქონელმწარმოებლების მიღრეკილება ინოვაციებისაკენ, ხოლო 50%-ის შემდეგ ისინი საერთოდ არ მონაწილეობენ ინოვაციურ პროცესში. ამ მოდელის მეშვეობით მიღებული მონაცემების ფარდობითი ხასიათის მიუხედავად, (კვლავწარმოების პირობების გათვალისწინებით) მაინც გვაქვს იმის ფიქრის საფუძველი, რომ დაბეგვრის სისტემაში ჩვენი საწარმოების სამეწარმეო ინოვაცია ნულს უახლოვდება, საექსპორტო საქმიანობა კი წამგებიანია.

მრეწველობის განვითარება პროტექციონისტული ღონისძიებების სრულყოფას საჭიროებს. ეს საკითხი იმდენად სერიოზულია, რომ მის გადაჭრაზე ცალკეული დარგების მომავალი დამოკიდებული. ვგულისხმობთ არა მარტო სამეცნიერო და საწარმოო პოტენციალის დაკარგვას, არამედ ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაკარგვასაც. საკმარისად არაა განვითარებული საგადასახადო სისტემა იმპორტულ ტექნიკაზე.

მსოფლიოში არსებობს ბაზარზე იმპორტული პროდუქციის მიწოდების მართვის პრაქტიკით შემოწმებული მეთოდები. მათგან ყველაზე უფრო მისაღებია ყველა შემოტანილი საქონლის დაბეგვრა. ამგვარი მიდგომის მიზანია ადგილობრივი წარმოებისა და ტექნიკის დარგში საღვარგარეთ მიღწეული წარმატებების გამოყენების ოპტიმიზაცია. თანამედროვე დასავლურ ეკონომიკაში ყველა კორპორაცია პრინციპში ერთნაირად იბეგრება, მაგრამ საქმიანობის ამა თუ იმ სახეობის სტიმულირებისათვის მრავალ შეღავათს იყენებენ.

საგადასახადო სისტემა განვითარებულ ქვეყნებში ათეული წლების განმავლობაში მუშავდებოდა. მთავარი ყურადღება ეთმობოდა გადახდის წესებისა და საპროცენტო განაკვეთების ფორმირებას. მაგალითად, აშშ-ის საგადასახადო კოდექსი ათასზე მეტ გვერდს მოიცავს, მასში შესულია ასამდე ისეთი საგადასახადო შეღავათი, რომელიც ასე თუ ისე მოქმედებს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის ტემპზე. საგადასახადო მექანიზმის ეფექტიანად ფუნქციონირებას ხელს უწყობს მოქნილი, რეგულარულად განახლებადი და ამავე დროს მკაფიოდ ფორმულირებული წესების ნაკრები. ამგვარად, საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში უსარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებენ საგადასახადო სისტემის სრულყოფას. იქ ფუნქციონირებს ფასიანი ქაღალდების ისეთი ბაზარი, რომელიც კაპიტალის მოზიდვას უზრუნველყოფს, ხოლო ფასები უშუალოდ უკავშირდება წარმოების რენტაბელობას.

საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საგადასახადო შეღავათების



დაკავშირებას სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის დაჩქარებასთან. გადასახადი საგრძნობლად უნდა მცირდებოდეს ისეთი მაღალტექნიკური პროდუქციის დამუშავებასა და ათვისებაზე გაწეული დანახარჯების მოცულობაზე დამოკიდებულებით, რომელიც თავისი ტექნიკურ-ეკონომიკური მანევრებულობით საუკეთესო მსოფლიო ნიმუშებს შეესაბამება. მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი შედეგათები, რომლებიც უკავშირდება მეცნიერული კვლევების ჩატარებას, ახალი, პროგრესული ტექნოლოგიების და პროდუქციის დამუშავებასა და ათვისებას. მაგრამ უკეთესი იქნებოდა დასაბეგრი თანხის გაანგარიშების დროს საერთოდ გამოგვერიცხა სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გამოყოფილი ასიგნებანი. იგივე ეხება უმაღლესი სასწავლებლისთვის კვლევითი მიზნებით გადაცემულ მოწყობილობას. მიზანშეწონილია უფრო აქტიურად შემოვიღოთ საგადასახადო კრედიტი, რომლის გამოყენების დროსაც საერთო დასაბეგრი ბაზა იცვლება სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული ხარჯების წლიურ მატებაზე დამოკიდებულებით.

წარმოების განახლების სტიმულირებისთვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ის მეთოდი, რომელიც შეედეთშია მიღებული. აქ აქციონერთა საზოგადოებები და სხვა სტრუქტურები ვაღდებულები არიან სახელმწიფო ბანკში უპროცენტო ანგარიშზე შეიტანონ სახსრები: მოგების ანგარიშზე – დაწესებული წლიური ფონდის 25%, კაპიტალურ დაბანდებათა საგანგებო ანგარიშზე – 20% და განახლების ანგარიშზე – 10% [5,4]. თუ თვითონ ისინი ამ სახსრებს დანიშნულებისამებრ არ დახარჯავენ, მაშინ მათ სახელმწიფო გამოიყენებს სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით. გარდა ამისა, არსებობს გამომგონებლობით მიღებული შემოსავლის 50%-მდე დაქვითვა, რომელსაც კაპიტალურ დაბანდებათა საერთო რეზერვში რიცხავენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე პირობებში იზრდება პირველადი საწარმოო რგოლების მნიშვნელობა საინვესტიციო საქმიანობაში. ადრე არსებობდა ისეთი ბერკეტები, რომლებიც სუსტად, მაგრამ მაინც ზღუდავენ საწარმოთა სახსრების გადანაწილებას მოხმარებაზე საწარმოო აპარატის განახლების საზიანოდ. მათ შორის იყო საგადასახადო ბერკეტებიც. ახლა არასამთავრობო სექტორში უკვე მოხსნილია შეზღუდვები ხელფასზე და იმ სახსრების მატებაზე, რომლებიც მოხმარებაზე იხარჯება, რამაც არსებითად შეასუსტა ამ პროცესის გზაზე არსებული წინაღობები.

ჩვენში არსებული საგადასახადო პოლიტიკა ცალკეული პოზიციების მიხედვით განსხვავდება მსოფლიო პრაქტიკისაგან საინვესტიციო და ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების ნაწილში. კერძოდ, ბუნდოვანია, თუ რის ხარჯზე გაფართოვდება დასაბეგრი ბაზა. თუკი ეს დაბეგვრის პროგრესულობის გაძლიერების გზით მოხდება, მაშინ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს მის უარყოფით გავლენას ეკონომიკის განვითარებაზე. დასავლეთში საგადასახადო სისტემების ლიბერალიზაციამ გამოიწვია საშემოსავლო დაბეგვრის სკალების პროგრესულობის კლება და კორპორაციის გადასახადის შემცირება განაკვეთების რაოდენობის შეკვეცისა და მათი ლიფტინგის ხარისხის დაცემის გამო. ამან კი განაპირობა გადასახადების ამოღების დაცემა

როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებიდან. იმატა უძრავი ქონების გადასახადისა და არაპირდაპირი გადასახადების მნიშვნელობამ, რომლებიც საფრანგეთში, მაგალითად, მთელ საგადასახადო შემოსულობათა დაახლოებით 50%-ს შეადგენს [5,96].

საინვესტიციო და ინოვაციური აქტიურობის მნიშვნელოვანი რეკულატორია საამორტიზაციო სისტემა. ნებისმიერი დანიშნულების ტექნიკური აღჭურვილობის მომსახურების ოპტიმალურ ვადებზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: დამზადების ხარისხი, ტექნიკური მომსახურების დონე, ექსპლუატაციის ხარისხი, გამოყენების დონე და ა.შ. მათი ერთობლივად ზემოქმედების გათვალისწინება, თანაც ამორტიზაციის ნორმების მოქმედების მთელ პერიოდში, შეუძლებელია. ამიტომ ამორტიზაციის პერიოდი არ გამოდგება მოწყობილობის შეცვლის დროის განსაზღვრის კრიტერიუმად.

მოქმედი საამორტიზაციო სისტემა არსებითად სრულყოფას საჭიროებს. ამორტიზაციის ნორმების ამადლება და ანარიცხების თანხების გადიდება აფართოებს საწარმოთა ფინანსურ შესაძლებლობებს და ამადლებს მათ საინვესტიციო აქტიურობას. ამჟამად საამორტიზაციო სისტემის სააღრიცხვო ფუნქცია ჭარბობს მის მასტიმულირებელ როლს. ამორტიზაციის ნორმების გადასინჯვას ეს ეთარება დიდად არ შეუცვლია. თუმცა შესაძლებელი გახდა სახსრების გადარიცხვა მხოლოდ მომსახურების ნორმატიული ვადის განმავლობაში და საწარმოებს მიეცათ დანქარებული ამორტიზაციის მეთოდის გამოყენების ნება. ძირითადი კაპიტალის აღდგენისათვის ანარიცხების ნორმები უმნიშვნელოდ გაიზარდა (ექსპერტთა გაანგარიშებით საშუალოდ 18%-ით). თუ გაუთვალისწინებთ საინვესტიციო სფეროში არსებულ ინფლაციის ტემპებს, მაშინ საამორტიზაციო ანარიცხების გადიდებას არ შეუძლია ფასების ზრდის ელიმინირება. ამორტიზაციის ნორმების გადიდების შემდეგ ისინი კვლავ იმაზე 1,5-ჯერ ნაკლები დარჩა, ვიდრე განუთარბულ ქვეყნებშია. ამორტიზაციის დაბალი ნორმები, განსაკუთრებით კი გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებში, აგრძელებენ წარმოების განახლების ციკლს, პრაქტიკულად არ ითვალისწინებენ მორალურ ცვეთას. დაძლეული არაა ამორტიზაციის ნორმების დიფერენციაციის მაღალი ხარისხი.

მასტიმულირებელი ფუნქციის გაძლიერება დაანქარებს ტექნოლოგიურ სიახლეთა დანერგვას. საჭიროა საამორტიზაციო პოლიტიკის ლიბერალიზება, მოწყობილობის სახეობათა მეტისმეტად დეტალიზებაზე უარის თქმა ანარიცხების გაანგარიშების დროს. საამისოდ უნდა გადავიდეთ მსხვილ საკლასიფიკაციო ჯგუფებზე, რომლებისთვისაც დაწესდება ძირითადი საწარმოო კაპიტალის მომსახურების ერთიანი არადარგობრივი ნორმატიული ვადები. პირველ ნაბიჯად შეიძლება გამოდგეს ამორტიზაციის ნორმების რაოდენობის შემცირება. შემდეგ მთლიანად ან ნაწილობრივ უარი უნდა ეთქვას მათ დარგობრივ დიფერენცირებაზე.

მორალურად და ფიზიკურად მოძველებული საწარმოო აპარატის განახლება რომ დანქარდეს, აუცილებლად უნდა ამადლდეს საამორტიზაციო სისტემის მოქნილობა და გაუმჯობესდეს მისი ნორმატიული ბაზა, კერძოდ კი

იმ დარგებისთვის, რომლებიც სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესს განსახლვრავენ. ამის შემდეგ მაღალეფექტიანი ნაკეთობების გამოშვებ საწარმოებში უნდა გამოვიყენოთ დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდები. ისინი უპირველეს ყოვლისა ისეთ დარგებშია მიზანშეწონილი, სადაც პროდუქციის, ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის განახლების მაღალი ტემპებია. ამასთან, ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, საწარმოებს უნდა შევთავაზოთ არჩევანი - ან დაჩქარებული ამორტიზაცია, ან მისი სწორხაზოვნად და თანაბრად დარიცხვა.

დაჩქარებული ამორტიზაციის გამოყენებასთან დაკავშირებული უპირატესობები შეიძლება უპროცენტო სესხების უპირატესობებს შეეადაროთ. პრაქტიკაში ორ ძირითად ხერხს იყენებენ - ამორტიზაციის პერიოდების ხანგრძლივობის ხელოვნურად შემცირებას და პირველ წლებში სახსრების დარიცხვას გაზრდილი ოდენობით (თანაბარ მეთოდთან შედარებით), მაგრამ მომდევნო წლებში მათი შემცირებით. მოწყობილობის ექსპლუატაციის საწყის პერიოდში საგადასახადო შედეგათების უზრუნველყოფის გარდა დაჩქარებული ამორტიზაცია იძლევა მომსახურების მეორე ნახვეარში სარემონტო მომსახურების ხარჯების ზრდის კომპენსირების შესაძლებლობას რენოვაციაზე შესრულებული შედარებით დაბალი ანარიცხების ხარჯზე. დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდების ფართოდ გავრცელების უმნიშვნელოვანესი პირობაა მანქანათმშენებლობის აღმავლობა, მისი პროდუქციის ხარისხისა და ტექნიკური დონის არსებითად ზრდა.

საინვესტიციო აქტიურობა დიდადაა დამოკიდებული საზღვარგარეთული კაპიტალის მოზიდვაზე. დიდი ხნის განმავლობაში ჩვენში გაბატონებული იყო საზღვარგარეთ მიღწეული წარმატებების „იმიტაციური“ გადმოღება, უმთავრესად - კრედიტის საფუძველზე განხორციელებული ტექნიკის იმპორტის ხარჯზე. ასეთმა მიდგომამ დაგვანახა თავისი უპერსპექტივობა. თუმცა, სხვა ქვეყნებში (იაპონია, სამხრეთ კორეა და სხვ) მან დადებითი როლი შეასრულა სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარების საწყის ეტაპზე. ჩვენს ქვეყანაში უარყოფითი შედეგების ძირითადი მიზეზი იყო საინვესტიციო ციკლის დიდი ხანგრძლივობა, რამაც გარკვეულწილად სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის სტაგნაციაც კი განაპირობა.

უცხოური კაპიტალის ფართოდ გამოყენების დროს აუცილებელია ერთობლივი საწარმოების (როგორც საინვესტიციო პროცესის განხორციელების საწყისი სტადიის) შექმნისა და ფუნქციონირების გამოცდილების გათვალისწინება.

საქართველოში სულ უფრო პოპულარული ხდება თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის იდეა მათი საქმიანობის საზღვარგარეთული გამოცდილების საგულდაგულოდ შესწავლის საფუძველზე. ერთობლივი საწარმოებისა და თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ახალი ტექნოლოგიებისა და მმართველობითი გამოცდილების მიღებაა. სამამულო ეკონომიკაში უცხოური კაპიტალის

დაბანდების უპირატესობები ბაზრის ტყეადობის გაფართოება და კარგად განვითარებული სამეცნიერო პოტენციალია. დასავლელი პარტნიორებისთვის ინვესტიციების დაბანდება საქართველოში იმითაა საინტერესო, რომ ეს ბაზრის მოპოვებას, იაფი სამუშაო ძალისა და ნედლეულის გამოყენებას უწყობს ხელს. ხშირად უცხოელ პარტნიორებს სურთ „სიცოცხლე გაუხანგრძლივონ“ იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც უკვე რამდენადმე მოქველდა დასავლეთის ბაზრებისათვის და საკმარისად მომგებიანი არაა. ამასთან, საქონლის კონკურენტუნარიანობას აღწევნ წარმოების ნაკლები დანახარჯებით.

დასავლეთის ფირმებს საქართველოში იზიდავს იმ საქონლის გასაღების შესაძლებლობა, რომელიც უკვე ჭარბადაა მსოფლიო ბაზარზე. ერთობლივი საწარმო, როგორც წესი, ეყრდნობა დასავლურ ტექნოლოგიას. იგი იყენებს ადგილობრივ ნედლეულს და უპირატესად დასავლეთის მოწყობილობას და მაკომპლექტებელ ნაკეთობებს, რომელთაგან ადგილობრივი პერსონალი მზა პროდუქციას აწყობს მისი დიდი ნაწილის გასასაღებლად შიდა ბაზარზე. არც თუ საუკეთესო იმპორტ შემცველი ტექნიკის საფუძველზე ერთობლივი საწარმოები იმაზე უფრო სწრაფად ავსებენ შიდა ბაზარს, ვიდრე მანქანებისა და მოწყობილობის პირდაპირი იმპორტით. ასეთ საწარმოებს ჯერჯერობით მცირე წელიწადი შეაქვთ საზღვარგარეთ შემუშავებული მოწინავე ტექნოლოგიების გადმოტანასა და ათვისებაში, ტექნოლოგიური და მეცნიერებატყეადი დარგების განვითარებაში.

უემოადინიშნულიდან გამომდინარეობს, რომ აუცილებელია სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების სფეროში. მის შემადგენელ ელემენტად შეიძლება იქცეს ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებების განვითარების ეროვნული პროგრამები, სადაც შედის უკვე დამუშავებული სამამულო ტექნოლოგიების, ტექნიკის, პროდუქციისა და მასალების დაყვანა მსოფლიო ბაზრის მოთხოვნამდე. მოწინავე ტექნოლოგიებში შექმნილ ზოგიერთ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ჩვენი ქვეყნის, ისე საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნისთვისაც. მათი სწრაფად ათვისება და შესაბამისი ნოუ-ჰაუს გაყიდვა უპასუხებს არა მარტო სამამულო, არამედ საზღვარგარეთელი ინვესტორების ინტერესებსაც. ასეთი პროექტების სარეალიზაციოდ უნდა შეიქმნას ერთობლივი საწარმოებისა და ტრანსნაციონალური კომპანიების განშტოებული ქსელი.

გარდა ამისა, საჭიროა ერთობლივი საწარმოების საქმიანობის ორიენტაციის გადატანა და კაპიტალის დაბანდების ფორმების რეალიზაცია მაღალტექნოლოგიური მზა საქსპორტო პროდუქციის გამოშვებაზე უნიკალური სამამულო სამეცნიერო დამუშავებების გამოყენებით. ამისათვის საჭიროა საგადასახადო შეღავათების გამოყენება (რომლებიც წარმატების შემთხვევაში მრავალჯერ იქნება გამოსყიდული).

ბუნებრივია, რომ უცხოელ ინვესტორებს აინტერესებთ ჩვენს ეკონომიკაში კაპიტალის დაბანდების სამართლებრივი და ეკონომიკური პირობები. ბოლო წლებში გამოყენებული იყო უცხოელი ინვესტორების სახსრების ეფექტიანად

დაბანდების სულ უფრო ფართო შესაძლებლობები, მათ შორის, შენერებული ან დაკონსერვებული დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტების შექმნა; წარმოების მოდერნიზაცია; არსებული ტექნოლოგიების, ტექნიკისა და მასალების დამუშავება საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. დადგენილია, რომ ის უცხოელი მოქალაქეები, რომლებიც ჩვენთან ამა თუ იმ ობიექტს იძენენ, საკუთრებაში მიწის იმ ნაკვეთსაც იღებენ, რომელზეც ეს ნაგებობა დგას.

ცხადია, არამომგებიანი წარმოება კაპიტალის დაბანდების საიმედო ობიექტი არ არის. ამასთან, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ დაბანდებისთვის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრას. აქ ორიენტირად უნდა იყოს აღებული არა მარტო ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაცია, არამედ იმ გზების პოვნაც, რომლებიც შედარებით შემჭიდრობულ ვადებში შესაძლებელს გახდის კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვებას. ამის მიღწევა, თავის მხრივ, შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერებატევადი წარმოების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა ყოველმხრივი მხარდაჭერის ხარჯზე.

ინოვაციური და საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირების შიდა შესაძლებლობების გამოყენებით აუცილებელია უცხოური კაპიტალის უფრო ფართოდ მოზიდვა. უცხოური ინვესტიციები ხელს შეუწყობს ეროვნული ეკონომიკის ჩართვას მსოფლიო მურნეობაში და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. ამრიგად, საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის პარადიგმების შეცვლა საშუალებას მოგვცემს გადავიდეთ ეკონომიკური ზრდის ინოვაციურ ტიპზე. განვითარებულ ქვეყნებში ამ ტიპზე გადასვლა დაიწყო 70-იანი წლების შუა ხანებში, ხოლო „ახალინდუსტრიულ ქვეყნებში“ – 80-იან წლებსა და 90-იანი წლების დასაწყისში. ინოვაციური ეკონომიკური ზრდა ყვრდნობა სამეწარმეო ინციანტივის განვითარებას სამეცნიერო-ტექნოლოგიურ და საინვესტიციო საქმიანობაში, რაც ეროვნული ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნების დონეზე კონვერსიისა და ქვეყნის აღმშენებლობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

### ლიტერატურა

1. Новицкий Н., Ориентиры инвестиционной деятельности. М., «Экономист», 1999, №3.
2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მასალები.
3. ასათიანი რ. საქართველოს ფინანსური კრიზისი და ტრანზიტული პროცესების მაკროეკონომიკური რეგულირება. იხ. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები. ტ. I, თბ., საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, 2000.
4. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2001-2005 წლების ინდიკატური გეგმა. საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო. თბ., 2001.
5. Чайковская Н.В., Дисциплина инновационного рынка: формирование и эффективность. М., «Луч», 1995.

**Л. Кокцаури.**

**О стимулировании инвестиционной и инновационной активности в Грузии**

В современных условиях у государства ограничены возможности для прямого влияния на обновление производства путем строительства новых предприятий. Следовательно, по мере внедрения рыночных отношений все большую роль будут играть внебюджетные методы мобилизации финансовых средств.

В активности долгосрочной инвестиционной деятельности важную роль могут сыграть кредитные методы стимулирования. Выделенный для решения проблемы создания новых образцов техники и прогрессивных технологий льготный кредит возбуждает интерес к НИОКР и внедрению их результатов в производство.

Мощным рычагом регулирования экономики и роста эффективности производства является гибкая налоговая система, которая предусматривает системный подход к взаимодействию и развитию инвестиционных и инновационных сфер. Если, например, предприятие обновляет производственную базу, внедряет наукоемкие производственные технологии, расширяет экспортные поставки и т.д., тогда ставка налога должна сокращаться.

Важным регулятором инвестиционной и инновационной активности является амортизационная система. Повышение норм амортизации и увеличение сумм отчислений расширит финансовые возможности предприятий и приведет к их инвестиционной активности. Это требует либерализации амортизационной политики.

Наряду с внутренними возможностями стимулирования инвестиционной и инновационной деятельности необходимо и широкое привлечение иностранного капитала. Иностранные инвестиции будут способствовать включению национальной экономики в мировое хозяйство и ускорению промышленного развития страны.

**L. Kokiauri**

**On the stimulation of Investment and Innovative Activity in Georgia**

Under present conditions, the State has limited opportunities for direct influencing the renovation of production through the development of new enterprises. Consequently, the role of the methods for mobilizing extra-budget funds will be increasing together with the introduction of market relations. Credit promotion techniques may play a significant part in the intensification of long-term innovative activity. The allocation of preferential credits

for developing new machinery and progressive technologies provokes interest in the research and development work as well as in the introduction of its outcomes into production. A flexible taxation system providing for a systematic approach to the interaction and development of investment and innovative spheres is deemed to be a powerful lever for the economy management and production growth. If, for example, an enterprise renovates its production base, introduces high technologies, expands export deliveries, etc., the rate of taxation should be reduced. The system of depreciation is an important regulator of the investment and innovative activity. An increase in depreciation rates and in the size of allocations will expand financial possibilities of enterprises and speed up their investment activity. All this prompts the necessity of liberalizing the depreciation policy. Parallel with internal possibilities of stimulating the investment and innovative activity, the energetic attraction of foreign capital should be encouraged. Foreign investments will contribute to a more effective integration of national economy into world economy and to the acceleration of industrial development.

**სექტორული ეკონომიკა. მენეჯმენტი**

**ბ. ბაბუნაშვილი**

**აბრარული სექტორის მარბეჟის  
ეკოლოგიზაცია**

საქართველოს ეკონომიკაში ბუნებრივი რესურსების გამოყენების დაბალი ეფექტიანობა და მაღალი ბუნებატყუადობა მეტწილად განისაზღვრება აგროსამრეწველო კომპლექსისა და სამრეწველო კომპლექსის თანამედროვე მდგომარეობით.

ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება მოითხოვს თეორიასა და პრაქტიკაში ნამოყალიბებული აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების ტექნოგენური კონცეფციის გადასინჯვას. აუცილებელია აბრარული სექტორის მყარ განვითარებაზე გადასვლა. აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მთავარი პრინციპი უნდა იყოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში ყველა ღონისძიების ეკოლოგიზაცია, მიწის რესურსების ფუნქციონირების ბუნებრივი თავისებურებების გათვალისწინება, და უკვე ამ პრინციპთან შესაბამისობაში, მასზე ორიენტაციისას საჭიროა მექანიზაციის, ქიმიზაციის, მეღიორაციის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის ღონისძიებების განხორციელება. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია საბაზრო რეგულატორების (შეღავათების, კრედიტების, გადასახადების და სხვა) შესაბამისი სისტემის შექმნა, პრიორიტეტების შეცვლა განაწილებაში, აგროსამრეწველო კომპლექსების კაპიტალურ დაბანდებებში, დანახარჯების ბუნებათდამცავი როლის გამძლიერებაში და ა. შ.

ნეგატიური ტენდენციების დასაბლევად აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში და სასურსათო პრობლემის სწრაფი გადაწყვეტისათვის მიზანშეწონილია აგროსამრეწველო კომპლექსის კომპლექსური პროგრამის შექმნა, რომელიც ორ ქვეპროგრამას მოიცავს:

- სოფლის მეურნეობის ეკოლოგიზაციას;
- აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო-გამსაღებელი სფეროს (ინფრასტრუქტურა და გადაამუშავებელი მრეწველობა) დანქარებულ განვითარებას, რომლის განხორციელება სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის

გამოყენების და დანახარჯების ლიკვიდაციის შესაძლებლობებს ქმნის. ინფრასტრუქტურის (გზები, საწყოები, ვაკრობა და სხვ.) და მრეწველობის გადამამუშავებელი დარგების (კვების და მსუბუქი) განვითარების დაჩქარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკოლოგიური სიტუაციის სტაბილიზაციისა და სასურსათო უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისათვის.

ამემად, ინფრასტრუქტურის და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების ჩამორჩენით გამოწვეული დანაკარგები 20-30%-ს შეადგენს. ეს ნიშნავს, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის ბუნებრივი რესურსების ეკვივალენტური ნაწილი, რომელსაც იყენებენ დაკარგული პროდუქციის წარმოებისათვის, საბოლოო ანგარიშით, არარაციონალურად მოიხმარება. ხორციელდება წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანაკარგების კომპენსირება სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებით და, მაშასადამე, ექსპლუატაციაში სულ ახალი ბუნებრივი რესურსების შეტანით ან არსებულის აღტვირთვის გაზრდით. როგორც განაგარიშებები მოწმობენ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დანაკარგების ლიკვიდაციის, მისი რეზერვების გამოყენების შედეგად, შეიძლება გამოთავისუფლდეს (ყველა გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 30 %-მდე) ბუნებრივი რესურსების მნიშვნელოვანი მოცულობა, მოხმარების ფონდის შეუმცირებლად.

აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების რესურსდამზოგავი გზა ინფრასტრუქტურის და გადამამუშავებელი მრეწველობის დაჩქარებული ტემპებით განვითარების საფუძველზე ეფექტიანია უახლოეს პერსპექტივაში. მან ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანას. უკვე უახლოეს წლებში აუცილებელია აქტიური მოხმარებიდან ათეული ათასობით პექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ამოღება, განსაკუთრებით ისეთისა, რომელიც ძლიერაა დაზიანებული ანთროპოგენური ზემოქმედებისა და ნეგატიური ბუნებრივი პროცესებისაგან. სიტუაციას ართულებს აგროსამრეწველო კომპლექსის ბუნებრივი პოტენციალის საერთო გამოფიტვა უმეტეს აგრარულ რეგიონებში, რაც ხელს უშლის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოცულობის მნიშვნელოვან სტაბილურ მატებას უახლოეს მომავალში.

აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოო-გამსაღებელი სფეროს დაჩქარებული ტემპით განვითარება არსებითად არის ეკოლოგიური პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული ვარიანტი სოფლის მეურნეობაში, თავისებური კომპენსაციური პროგრამა ბუნებრივი რესურსებისადმი მიმართებაში. ეს მიმართულება ითვალისწინებს აგროსამრეწველო კომპლექსის ღრმა სტრუქტურულ გარდაქმნას, რომლის დროსაც მცირდება დასაქმებულთა რიცხვის ხვედრითი წონა აგროსამრეწველო კომპლექსის ძირითად დარგებში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, და ამ მაჩვენებლების ზრდა ინფრასტრუქტურასა და გადამამუშავებელ მრეწველობაში. მიწისა და წყლის რესურსების ეკონომიისათვის საჭიროა საბოლოო მოხმარების ზრდის მსგავსი ალტერნატიული ვარიანტების ფართო გამოყენება.

ეკოლოგიური უსაფრთხოების დასაბუთების უმნიშვნელოვანეს ასპექტს

წარმოადგენს ბიოსფეროსა და ქსენობიოტიკების ურთიერთობის საკითხი. ამ მიმართებით მნიშვნელოვანია ნიადაგის დაცვა პესტიციდებისაგან. მათი გამოყენებისას გარკვეული ნაწილი აუცილებლად ხვდება ნიადაგში და შემდგომ ბიოსფეროში. პესტიციდების ტოქსიკური ზემოქმედება მნიშვნელოვნად განისაზღვრება ნიადაგის ტიპის, მისი ბუნებრივი თვისებების და აგროკლიმატური პირობებით. სპეციალისტების მონაცემებით, მცენარეთა ავადმყოფობის, მავნებლებისა და სარეველებისაგან მოსავლის დანაკარგები ერთ მესამედს და მეტს შეადგენს. ეს განაპირობებს მცენარეთა დაცვის აუცილებლობას. ამასთან ყველა შხამქიმიკატი ბიოციდური ნივთიერებაა და მათი არსებობა მემცენარეობის პროდუქციაში, წყალში, ნიადაგსა და ჰაერში აღამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშია. ერთი მხრივ, მოსავლის შენარჩუნებისთვის შხამქიმიკატების გამოყენების აუცილებლობა და, მეორე მხრივ, მათი გამოყენებით გამოწვეული ნეგატიური მოვლენები განაპირობებენ მცენარეთა დაცვის ინტეგრალური მეთოდების გამოყენებას, რაც ითვალისწინებს კოლონოურად უვნებელი დაცვითი ღონისძიებების შემუშავებას შხამქიმიკატების მინიმალურად გამოყენების პირობებში.

დღევანდელ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მინერალური სასუქების გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს ნიადაგის კონომიკურ ნაყოფიერებას. ამ პირობებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ შეტანილმა სასუქებმა არ გამოიწვიონ პროდუქციის ხარისხის გაუარესება (მათში ნიტრატების კონცენტრაციის ზრდა) და არ მოახდინონ ნეგატიური გავლენა გარემო სამყაროზე ინტენსიურად სასუქების სისტემატური და დიდი დოზებით გამოყენება მნიშვნელოვნად აუარესებს პროდუქციის ხარისხს, მასში მატულობს მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია და, ამასთან ერთად, ნიადაგსა და გრუნტის წყლებში მატულობს მავნე შენაერთთა შემცველობა. ეს კი უშუალოდ უკავშირდება აგროტექნიკური ვადების, დოზების და შეფარდების დაუცველობას და მცენარის კვების რეჟიმის დარღვევას. ამიტომ აუცილებელია მოსავლის მიღებაზე განსაზღვროთ მისი რაოდენობა და ხარისხი, აგრეთვე სასუქების გამოყენების შედეგად ნიადაგისა და გრუნტის წყლების ქიმიური შედგენილობა და მოვახდინოთ შესაბამისი რეაგირება.

მინერალურ სასუქებს და ქიმიზაციის სხვა საშუალებებს გადაშწვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების საქმეში. ქიმიზაცია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდებისა და შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა. ამასთან, სასუქების შეტანას მხოლოდ მაშინ აქვს დიდი ეფექტი, როდესაც ოპტიმალურ ვადებში დოზებით, აგროწვის დაცვით ტარდება ყველა ეს სამუშაო, დაცულია აგროტექნიკური ღონისძიებები (ნიადაგის დროული და სწორი დამუშავება, მადალხარისხოვანი სათესლე მასალის გამოყენება, თესვა, კულტივაცია, მორწყვის ოპტიმალურ ვადებში ჩატარება და სხვა.), ამ დროს მადლდება მიწების გამოყენების ინტენსივობა. დიდი ეკონომიკური ეფექტი მიიღწევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მნიშვნელოვანი

გადიდებით და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით. მემცენარეობის პროდუქციის წარმოების ინტენსიფიკაცია შემოქმედებითი პროცესია. აქ შაბლონი დაუსწავლელია. წინასწარ განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებისადმი ფორმალურმა მიდგომამ შეიძლება საბოლოოდ მოგვეცეს უარყოფითი შედეგი, ხოლო სასუქებისა და სხვა ქიმიური საშუალებების ჭარბმა გამოყენებამ გამოიწვიოს გარემოსა და მიღებული პროდუქციის გატუჯვიანება. ამასთან, უფრო მეტად ჭუჭყიანდება გრუნტებისა და მდინარეთა წყლები. ეს პრობლემა ძალიან სერიოზულია. სარწყავი სისტემებისა და წყალსაცავების შექმნასთან დაკავშირებით შემცირდა მდინარეთა მუდმივი ჩამონადენი, მკვეთრად იკლო მდინარეთა და მათ მიერ დრენირებული ტერიტორიების ქიმიური და სხვა ნარჩენი ნივთიერებებისაგან თვითგაწმენდის შესაძლებლობამ. ზოგიერთი მდინარე უკვე გადაიქცა გატუჯვიანებულ კოლექტორად. ეს მოვლენები ართულებს მოსახლეობის წყალმომარაგებას. ქიმიურ საშუალებათა ინტენსიური გამოყენება (ნორმებისა და ვადების ხშირი დარღვევით) სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების მიზნით, ქმნის მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების ნარჩენი რაოდენობით მიწებისა და წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გატუჯვიანების საშიშროებას, რაც დიდ ზიანს აყენებს ბუნებას და ადამიანთა ჯანმრთელობას დადგენილია, რომ მარტო მინერალური სასუქების სისტემატური შეტანის შედეგად უარესდება ნიადაგების სტრუქტურული შედგენილობა და ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. ორგანული სასუქი კი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ნიადაგის ხარისხს და, ამავე დროს, ამდიდრებს მას ჰუმუსით, რომლის ბალანსი ამჟამად სოფლის მეურნეობაში ინტენსიურად გამოყენებულ ნიადაგებში მნიშვნელოვნად არის დარღვეული. ასე მაგალითად, როგორც გამოკვლევებით დასტურდება, ჰუმუსის შემცველობა ყავისფერი ნიადაგების სახნავ პორიზონტში შემცირებულია 30-40 პროცენტით, მთის შავმიწებში 25-35 პროცენტით და ა. შ. აქედან გამომდინარე, ასევე მნიშვნელოვანია ნიადაგის დაცვის საქმეში ორგანული სასუქების სწორი გამოყენება, რაც ძირითადად უკავშირდება მათი შენახვისა და ტრანსპორტირების ორგანიზაციას.

ამჟამად შხამქიმიკატებისა და მინერალური სასუქების მნიშვნელოვანი ნაწილი უკონტროლოდ გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა მიერ. ამ ნივთიერებათა შექმნა შეიძლება ბაზრობებზე არაკვალიფიციური პირებისაგან, რომლებმაც არ იციან არც შენახვის და არც გამოყენების ვადები და დოზები. მაშინ, როდესაც საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში შხამქიმიკატები და სასუქები არ იყიდება. მათ დოზირებას, ნიადაგში შეტანას და ა. შ. ახდენენ სპეციალური სამსახურები. ამის შედეგად გამორიცხულია მათი არასწორი გამოყენების შემთხვევები. ასეთი მიდგომა საქმისადმი საბაზრო ურთიერთობის ფორმირების პირობებში, ჩვენი აზრით, მეტად სასარგებლო იქნება.

სამელიორაციო სამუშაოების კომპლექსი თავისი სოციალური და ეკონომიკური შინაარსით მიწის დამცავი ღონისძიებების რიცხვს მიეკუთვნება. მან უნდა უზრუნველყოს შემდეგი მიზნების მიღწევა: მიწის რესურსების

დაზოგვა და უფრო სრული გამოყენება, მიწის რესურსების მდგომარეობის გაუმჯობესების შედეგად სამეურნეო ეკონომიკური ეფექტის მიღება.

ამ მიზნების შესრულების ზომა გამოვლინდება მიწის დაცვის საქმიანობის სოციალური და ეკონომიკური შედეგების მანვენებლების დახმარებით. ამასთან, ეკოლოგიური შედეგია გამოყენებისათვის ვარგისი მიწის რესურსების რაოდენობის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება, ხოლო ეკონომიკური - მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება, წარმოების ეფექტიანობისა და ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის ზრდა.

საქართველოში ამჟამად მელიორირებულია 692,0 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი, რაც ქვეყანაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 35,3 პროცენტს შეადგენს. აქედან 492,2 ათასი ჰექტარი სარწყავია, 162,8 ათასი ჰექტარი დაშრობილი, 60 ათასი ჰექტარი მლაშობი და ბიცობიანი მიწებია. გარდა ამისა, გაწვლავანებულია 369,0 ათასი ჰექტარი საძოვრები. 1986-1990 წლების საშუალო მონაცემებით მელიორირებული მიწები ქვეყანაში წარმოებული სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ნახევარზე მეტს იძლეოდა.

ცნობილი მიზეზების გამო, მელიორაციის დარგში მკვეთრად გაუარესდა მდგომარეობა. რეგიონებში დაიწყო ისეთი პროცესები, როგორებიცაა: ნიადაგის მეორადი დაჭაობება, დამლაშება, გამოშრობა, ეროზია და სხვა, რაც ხშირად გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

მიუხედავად ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, აუცილებელი გახდა მელიორაციის დარგის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, ეკონომიკური და ორგანიზაციული რეფორმების ფართო მასშტაბით განხორციელება. მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების, შრომითი და წყლის რესურსებით უზრუნველყოფის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის და, აქედან გამომდინარე, სასოფლო - სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის გათვალისწინებით საქართველოში პერსპექტიული სამელიორაციო კონტი 2233,0 ათასი ჰექტარით განისაზღვრა, საიდანაც სარწყავი მიწების ხვედრითი წონა 44,2; გაწვლავანებული საძოვრებისა - 34,2; დაშრობილის - 15,3; ხოლო მლაშობი მიწებისა - 5,6 პროცენტს შეადგენს. დღევანდელი მდგომარეობით მელიორირებულ მიწებად ითვლება 1061,0 ათასი ჰექტარი.

სურსათით უზრუნველყოფისათვის წყლის მართვის (მიწების მელიორაციის კომპლექსური განვითარების) სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია მელიორაციის კომპლექსური განვითარების ღონისძიებების ეტაპობრივი განხორციელება: I ეტაპზე - თვითდინებით სისტემების რეანიმაცია 2005 წლამდე პერიოდისათვის, II ეტაპზე გათვალისწინებულია დანარჩენი არსებული და ჩამოწერილი სისტემების რეანიმაცია (2005-2010წწ.), ხოლო III ეტაპზე ახალი მიწების მელიორაცია (2010 წ. შემდგომი პერიოდი).

სამელიორაციო ღონისძიებების დასაბუთებისას აუცილებელია დავიცვათ სამეურნეო მიდგომა, კერძოდ: რაც შეიძლება უფრო სრულად გავითვალისწინოთ სამელიორაციო ღონისძიებების სხვადასხვა ვარიანტის სოციალურ-ეკონომიკური



შედევები როგორც ახლო, ისე შორეული პერსპექტივისათვის; სამელიორაციო ღონისძიებების ხარჯებისა და შედეგების შეფასებისას აუცილებელია აგრეთვე დროის ფაქტორის გათვალისწინება; საერთოდარგობრივი (მრავალდარგობრივი, დარგთაშორისი) მიდგომა სამელიორაციო ღონისძიებების დასაბუთების მიმართ.

ასევე აუცილებელია მელიორაციული და ეკოლოგიური პირობების შესწავლა. ბევრ შემთხვევაში ახალი სარწყავი სისტემების აგებისას მათ შესწავლას ნაკლები ყურადღება ექცევა, რის შედეგადაც მიღებული მასალები არ იძლევა საშუალებას საჭირო დონით შეფასდეს ტერიტორიის პიდროკოლოგიური, გეოქიმიური და ნიადაგობრივ-მელიორაციული მდგომარეობა; დამუშავდეს საჭირო მელიორაციული ღონისძიებები და რეკომენდაციები, გათვალისწინებული იქნეს შესაძლებელი გართულებები და მოსალოდნელი შედეგები ხანგრძლივი პერიოდისათვის. ირიგაციისათვის შერჩეული მიწების ყველა ტიპი ღრმად უნდა იქნეს შესწავლილი მელიორაციისა და ათვისების თვალსაზრისით. აუცილებელია, აგრეთვე, სარწყავი ტერიტორიების და მომავალი სარწყავი რაიონების გრუნტის წყლების ბალანსისა და რეჟიმის გამოკვლევა. შესასწაველია გრუნტის წყლების ქიმიური შედგენილობის ფორმირების პროცესი მორწყვამდე და მორწყვის შემდეგ. მიწების მორწყვისას უნდა მოხდეს ტერიტორიის დეტალური კომპლექსური მელიორაციული დარაიონება, რაც დასაბუთებული უნდა იქნეს სხვა ბუნებრივ მანქვენებულთან ერთად, მონაცემებით ნიადაგებისა და ნიადაგგრუნტის აქტიურ ზონაში მარილების მარაგების და მათი დანაწილების შესახებ. ყოველი ახალი საირიგაციო მშენებლობა ან ძველი სარწყავი სისტემების რეკონსტრუქცია და მელიორაციული გაუმჯობესება გულისხმობს მიწების ნაყოფიერების ამაღლებას. მორწყვის შედეგად ახალი, წინასწარ გაუთვალისწინებელი პროცესების წარმოშობა და მათი უკონტროლო განვითარება ამცირებს სარწყავი მიწების გამოყენების ეფექტიანობას.

ქვეყნის დაშრობილი მიწების გამოყენების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უკავია კოლხეთის დაბლობის დაშრობასა და სასოფლო-სამეურნეო ათვისების პრობლემებს - განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როდესაც ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივ სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა და შეიცვალა კოლხეთის დაბლობისადმი წაყენებული მოთხოვნები.

კოლხეთის დაბლობის დაშრობის და ათვისების საქმეში, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, არის მთელი რიგი საკითხები, რომელთაც აქედანვე სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. კოლხეთის დაბლობი ძალზედ რთული მელიორაციული ობიექტია. მისი დასავლეთი ნაწილის ნიადაგების უმეტეს ფართობს ახასიათებს მძიმე მექანიკური შემადგენლობა და ბლიერი დაჭაობება. ჭარბტენიან ნიადაგებს შორის ყველაზე მეტი ფართობი უკავია ტორფიან და ლამიან-ჭაობიან, აგრეთვე მდელოს ჭაობიან ნიადაგებს.

ლამიან-ჭაობიან ნიადაგებს ვრცელი ფართობები უკავია მდ. რიონის ორივე მხარეს. უმეტეს ნაწილში ამ ნიადაგებს ახასიათებს მძიმეთიხიანი მექანიკური შედგენილობა.

მდელოს ჭაობიანი ნიადაგები გამოირჩევა კარგად გამოსახული ჰუმუსოვანი ფენით, უკეთესი სტრუქტურით და ხელსაყრელი ფიზიკური თვისებებით.

ბუნებრივ-ნიადაგური პირობების მრავალფეროვნება, დაჭაობების გამოწვევით ფაქტორთა სხვადასხვაობა აუცილებელს ხდის თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში დაშრობითი მელიორაციის შესაბამისი ხერხებისა და მეთოდების გამოყენებას.

კოლხეთის დაბლობის ჭაობიანი ნიადაგების მელიორაციის ძირითადი მიზანია ნიადაგიდან ჭარბი ტენის მოცილება, მისი ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების გაუმჯობესება საინჟინრო-მელიორაციული და აგროტექნიკური ღონისძიებების სწორი შეთანაწყობით. ამ მხრივ ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს დაშრობი ქსელების კარგად მოვლასა და ექსპლუატაციას, დაშრობილი მიწების სწორ სასოფლო-სამეურნეო ათვისებას.

დაშრობილი მიწების გამოყენების არასასურველი მდგომარეობა გამოწვეულია არა მარტო უკანასკნელ წლებში საბიუჯეტო კრიზისით განირობებული საექსპლუატაციო ხარჯების შემცირებით, არამედ სამელიორაციო სამუშაოების არადაამკაყოფილებელი შესრულებით, დაუმთავრებელი ობიექტების ექსპლუატაციაში გადაცემით, დაპროექტებაში დაშვებული ნაკლოვანებებით, მელიორაციული ღონისძიებების მთელი კომპლექსის ჩაუტარებლობით, მრავალწლიანი კულტურების გაშენებისას - კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი პირობების გაუთვალისწინებლობით და ა. შ. ამასთან, დაშრობილი მიწების ათვისების პერიოდში ადგილი აქვს მიღებული რეკომენდაციის უხეშ დარღვევებს. ნაკლები ყურადღება ექცევა დაშრობილი ნიადაგების კულტივირებას, საერთოდ, პიდრო და აგრომელიორაციული ღონისძიებების შეთანხმებულ გატარებას, რის შედეგადაც დაშრობილ მიწებზე იქმნება კულტურული მცენარისათვის არახელსაყრელი მელიორაციული მდგომარეობა.

აღმოსავლეთ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის საქმეში, ირიგაციის განვითარებასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს დამლაშებული და ბიცობი ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების გატარებას. ქვეყანაში მათ 205 ათასი ჰექტარი ფართობი უკავიათ, საიდანაც 200 ათას ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო სავარგულია და განლაგებულია ინტენსიური მიწათმოქმედების ზონაში.

დამლაშებული ნიადაგების გაუმჯობესების ძირითადი ღონისძიებებია გრუნტის წყლების დაწვეა, რაც აუცილებელია კაპილარულად ამოსული გრუნტის წყლისაგან სარწყავი წყლით დასველებული ნიადაგის ზედა ფენის იზოლაციისათვის. ამ წყლების შეერთებამ შეიძლება ახალი დამლაშება გამოიწვიოს.

მეორე, რაც ხაზგასმითაა აღსანიშნავი - ეს არის ჩანაენონ წყლების მოცულობის უზრუნველყოფა სათანადოდ მოწყობილი ხშირი გადამგდები ქსელების მეშვეობით. გასაკვირა, რომ ამგვარი სამუშაოების ჩატარებას ყველაზე მეტად მოითხოვს ძლიერ დამლაშებული ნიადაგების მასივები, სადაც ახლოა

ზედაპირთან გრუნტის წყლები.

დიდ ყურადღებას მოითხოვს, აგრეთვე, ზემოაღნიშნული ნიადაგების მეღლიორაციული ღონისძიებების ჩატარების შემდეგ მორწყვისა და სარწყავი მიწების გამოყენების სწორი მეთოდების შემოღება.

ბიცობი ნიადაგები უარყოფითი წყალმართვ-ფიზიკური და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების გამო ნაკლებპროდუქტიულია, ძლიერი ბიცობი კი - უნაყოფო. ამ ნიადაგების სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ინტენსიურად ჩასართველად საჭიროა ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც მოიცავს სამეღლიორაციო ხვნას, ქიმიურ და ბიოლოგიურ მეღლიორაციას.

სამეღლიორაციო ხვნა წარმოებს საკლანტავე და სამიარუსიანი გუთნით, სპეციალური ბიცობი მიწების გასაფხვიერებლად. ქიმიური მეღლიორაციის დროს იყენებენ გოგირდისა და აზოტის მკავეს, თაბაშირს, გაჯს და სხვა.

ბიოლოგიური მეღლიორაცია მრავალწლიანი ბალახებისა და პარკოსანი კულტურების თესვას და მათ იყენებენ მწვანე სასუქად. ამ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა.

დასავლეთ საქართველოში დიდ ფართობზეა გავრცელებული ეწერი ნიადაგები, რომლებიც მეტად მწირი და მცირემოსავლიანია. ჰუმუსოვანი ფენის სისქე აქ 10-12 სმ ძლივს აღწევს, ხოლო ჰუმუსის რაოდენობა 1-3%-ს არ აღემატება. სახნავი ფენის არასასურველი ფიზიკური თვისებების გამო გვიანი შემოდგომის, ზამთრისა და ადრე გაზაფხულის პერიოდში წყალი ნიადაგის ზედაპირზე ტბორდება, ხოლო გვალვიან პერიოდში ნიადაგი დიდ სიღრმეზე შრება, რის შედეგადაც სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი მინიმუმამდე მცირდება.

ეწერი ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ერთერთი ძირითადი გზაა კირის შეტანა, რითაც ეს ნიადაგები, ჯერ ერთი, მდიდრდება მცენარისათვის მეტად საჭირო საკვები ნივთიერებით, მეორეც, საგრძნობლად უმჯობესდება ნიადაგის ქიმიური და ფიზიკური თვისებები. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს საბაზოები დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში მოიპოვება, რითაც ადვილდება და ეკონომიკურად ხელსაყრელი ხდება მათი გამოყენება.

ეროზია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე საშიშ პროცესს, რომელიც საფრთხეს უქმნის გარემომცველი ბუნების ეკონომიკურ სტაბილურობას მთელს მსოფლიოში. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, რომელიც ხასიათდება დანაწევრებული, რთული და დიდქანობიანი რელიეფით, ნაღველების საკმაოდ დიდი რაოდენობით და მაღალი ინტენსივობით, გაბატონებული ქარებით, რის გამოც საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული ნიადაგის ეროზია. იმ პროცესთა შორის, რომლებიც იწვევენ ნიადაგის დეგრადირებას (ეროზია, დაბლაშება, დაჭაობება, წყლით შეტბორვა, გამოშრობა და სხვა), ეროზია ყველაზე მეტად საშიშია როგორც თავისი გავრცელების მასშტაბებით, ისე ზემოქმედების შედეგებით. დაჭაობების ან გამოშრობის შედეგად ნიადაგის მდგომარეობა, მართალია, მნიშვნელოვნად უარესდება, მაგრამ ეს გაუარესება

არ ატარებს შეუქცევად ხასიათს; ეროზირებული ნიადაგი კი ფაქტობრივად საშუალოდაა დაკარგული ჩვენთვის, რადგან ნიადაგის ახალი ფენის შექმნას სჭირდება მეტად ხანგრძლივი პერიოდი და რამდენიმე თაობის მიზანმიმართული შრომითი და მატერიალური დანახარჯები.

საქართველოს ბუნებრივი პირობები და ადამიანის არასწორი სამეურნეო მოქმედება განაპირობებს მიწების ეროზიულ მოვლენებს. იგი სოფლის მეურნეობას დიდ ზიანს აყენებს: დადგენილია, რომ ეროზიული მოვლენებით ჩამორეცხილ ნიადაგებზე სასოფლო სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა 35–70 პროცენტით მცირდება. ეროზიული ნიადაგები ყოველწლიურად 20–ჯერ მეტ აზოტს, ფოსფორს, კალციუმს და სხვა ელემენტებს კარგავს, ვიდრე სასუქების შეტანისას იღებს. ეროზია ანადგურებს არა მარტო ერთი წლის მოსავალს, არამედ იკარგება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დიდი ნაწილი. ნიადაგმცოდნეობის ინსტიტუტის მონაცემებით, ქარის მიერ შირაქის ველის ერთი ჰექტარიდან გატანილი იყო 39980 კგ პუმუსი, 1740კგ აზოტი და 255კგ ფოსფორი. არანაკლები ზარალი მოაქვს წყლისმიერ ეროზიას, ხანგრძლივი ინტენსიური წვიმების შედეგად ნიადაგის ჩამორეცხვა ფერდობზე განლაგებული სახნავე ფართობის ერთი ჰექტარიდან 200–250 ტ., ხოლო კოკისპირული წვიმების დროს 300–500 ტ-ს აღწევს. ამის შედეგად საგრძნობლად ეცემა ნიადაგის ნაყოფიერება და მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ საზღვრებში მთელი სახნავე ფართობებიდან წყლისმიერ ეროზიას განიცდის 205,7 ათასი ჰექტარი, მათგან ძლიერ ეროზირებულია 20,8, საშუალოდ – 74,4, ხოლო სუსტად 110,5 ათასი ჰექტარი. ეროზირებულ სათიბებს უკავიათ 50,3 ათასი ჰექტარი, საიდანაც ძლიერ ეროზირებულია – 6, 5, საშუალოდ – 19,2, ხოლო მცირედ – 24,5 ათასი ჰექტარი. საძოვრებიდან ეროზირებულია 496,6 ათასი ჰექტარი, აქედან ძლიერ ეროზირებულია – 171,3 ათასი ჰექტარი, საშუალოდ – 208,9 ათასი ჰექტარი და მცირედ ეროზირებულია 118,4 ათასი ჰექტარი.

აღმოსავლეთ საქართველოში ფართოდაა გავრცელებული ქარისმიერ ეროზია. დეფლაციას განიცდის 105,5 ათასი ჰექტარი. ამგვარად, მთელ საქართველოში ეროზიის ზემოქმედებას განიცდის 1,1 მლნ ჰექტარი მიწის ფართობი, საიდანაც ეროზირებულია 858,0 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული.

მიწის რესურსების რაციონალური გამოყენება გულისხმობს მისი ნაყოფიერების მუდმივ ამაღლებას, დაცვასა და აღდგენის ღონისძიებების ფართო მასშტაბით გატარებას. მიწა, როგორც აღვნიშნეთ, ეროზიული მეურნეობის ყველა დარგის სივრცობრივ ბაზისს წარმოადგენს. ამდენად ეროზიული მეურნეობის სხვადასხვა დარგში სხვადასხვა დანიშნულება აქვთ.

საზოგადოების განვითარებამ განაპირობა სულ უფრო და უფრო მზარდი მოთხოვნილება ნედლეულზე. სასარგებლო წიაღისეულის ღია წესით მოპოვების ფართოდ დანერგვამ მნიშვნელოვნად გაზარდა დარღვეული მიწების ფართობები, რის შედეგადაც მწყობრიდან გამოდის სხვადასხვა სავარგულის, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ფართობები. კარიერის მიდამოები



ხშირად გადაქცეულია ეროზიული და მეწვერული მოვლენების კერად, მიმდებარე ტერიტორიებზე აღინიშნება გრუნტის წყლის რეჟიმის ცვალებადობა და მოსაზღვრე სავარგულების პროდუქტიულობის დაცემა.

ქვეყნის მცირე მიწიანობის პირობებში, ადამიანთა საქმიანობის შედეგად დარღვეული მიწების აღდგენა, ანუ რეკულტივაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მიწების რეკულტივაცია სასოფლო-სამეურნეო, ტყისა და სხვა სავარგულების ზრდის მუდმივი რეზერვა, მეორეც, მისი გატარება აუცილებელია გარემოს დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე.

საქართველოში ღია წესით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შედეგად დარღვეული მიწების, ნაყარების, გამამდიდრებელი ქარხნების ნარჩენების და სხვათა მიერ დაკავებული ფართობი 7,5 ათას ჰექტარს შეადგენს, საიდანაც სარეკულტივაციოა 3,0 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი.

კარიერული წესით დამუშავებული ნაკვეთების აღდგენა ორ ეტაპად – ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაციით ხორციელდება. ტექნიკური რეკულტივაცია ითვალისწინებს დასამუშავებელ ფართობზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის წინასწარ, განცალკევებულად მოხსნას, ქანის ნაყრის ზედაპირის მოსწორებას და მასზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენის თანაბრად გაშლას. რეკულტივაციის ბიოლოგიური ეტაპი ითვალისწინებს ტექნიკურად აღდგენილი მიწების ნაყოფიერების ამაღლებას, მყარი და პროდუქტიული მცენარეული საფარის შექმნას, ნიადაგწარმოქმნის დაჩქარებასა და მათ მოშადებას სასოფლო-სამეურნეო, სატყეო და სხვა დანიშნულებით გამოყენებისათვის.

ბოლო დროს საქართველოში მკვეთრად გამწვავდა ეკოლოგიური სიტუაცია. სამთო-გამამდიდრებელი კომბინატების ნაყარის ქვეშ მოქცეულია ასეულობით ჰექტარი ნაყოფიერი მიწები. ყოველწლიურად იზრდება ჰაერისა და წყლის გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია გაჭუჭყიანებული წყლისა და ჰაერის გაწმენდის, სამრეწველო ნარჩენებისა და მეორეული რესურსების გადამუშავების ტექნოლოგიების შემუშავება და დანერგვა.

საქართველოს ნიადაგების ეროზიისაგან დაცვის 1999-2005 წლების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებულია 50 მლნ ლარი. მთლიანად ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებებისთვის საჭიროა დაახლოებით 2,3 მლრდ ლარი. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა გამოიხმოს დამატებითი სახსრები ეროზიისაგან ნიადაგის დასაცავად. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მიწათმოქმედებისათვის უვარგისი აღმოჩნდება.

**Г. Бабунашвили**

### **Экологизация отраслей аграрного сектора**

Высокая природоемкость и низкая эффективность использования природных ресурсов в экономике Грузии объясняется кризисом в агропромышленном и промышленном комплексах.

В настоящее время потери, вызванные неразвитостью инфраструктуры и перерабатывающей промышленности, составляют 20 - 30%. Это означает, что эквивалентная часть природных ресурсов агропромышленного комплекса, используется нерационально.

Для преодоления негативных тенденций в развитии агропромышленного комплекса и скорейшего разрешения продовольственной проблемы целесообразно создание комплексной программы агропромышленного комплекса, что, в свою очередь, будет способствовать росту урожайности сельскохозяйственных культур.

**G. Babunashvili**

### **Ecologization of Branches of Farming**

High natural capacity and the irrational utilization of natural resources in the economy of Georgia are conditioned by the current situation in the agro-industrial and industrial complexes. Currently, losses due to the backlog in infrastructure development and processing industry make from 20 to 30 percent. It means that the equivalent part of natural resources of the agro-industrial complex directed at the compensation of the lost production is being, ultimately, used irrationally. To overcome the negative trends in the agro-industrial complex development and for a speedier solution of the production problem, it would be expedient that a comprehensive program for the agro-industrial complex be worked out and provided, in turn, for an increase in agricultural crop productivity.



3. კოლუზიზმი

აბრარულ სექტორში შარული ეკონომიკის  
 ღებალზაციისათვის

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება ამჟამად მიჩნეულია ქვეყანაში განხორციელებული პოლიტიკის მიმდინარე ეტაპის უმთავრეს ამოცანად. მის მიღწევაზე ბევრადაა დამოკიდებული საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარება და ეკონომიკური უშიშროების\* მყარი გარანტიების შექმნა. ჩრდილოვანი ეკონომიკის ღეგალიზება წარმოადგენს ქვეყანაში კორუფციის დაბლვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას. იგი თავისი არსით არის სამართლებრივი სივრცის გარეთ არსებული სამურნეო ურთიერთობა, ხოლო კორუფცია უნდა განვიხილოთ როგორც კანონის დარღვევის ფასი, რომლის გადახდაც კანონისაგან თავის არიდების გარანტიას წარმოადგენს. ამდენად, კორუფცია ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობის აუცილებელი თანმდევი ატრიბუტია და ჩრდილოვანი ეკონომიკის ღეგალიზება მნიშვნელოვანწილად გამოაცდის კორუფციას მის მკვებავ ეკონომიკურ საყრდენს. აბრარულ ეკონომიკაში (სექტორში) ჩრდილოვანი ეკონომიკის ღეგალიზაციის გზების ძიებისას, უპირველეს ყოვლისა, პასუხი უნდა გავცეს შემდეგ კითხვას:

როგორია ეკონომიკის ღეგანდელი მდგომარეობა და სად უნდა ვეძებოთ ჩრდილოვანი ეკონომიკის მკვებავი ფესვები ამ დარგში?

ამ კითხვას პასუხი რომ სწორად გავცეთ, საჭიროდ მიგვანინა მოკლედ შეფურღეთ ქვეყნის აბრარული სექტორის არსებული მდგომარეობის შეფასებასა და დარგში მიმდინარე რადიკალური აბრარული რეფორმის შედეგების შესახებ.

უკანასკნელ წლებში საქართველოს აბროსამრეწველო კომპლექსი (ასკ) ღრმა კრიზისმა მოიცვა. ამაში განსაზღვრული როლი შეასრულა ჩრდილოვანმა ეკონომიკამ და კორუფციამ. 1995 წლისათვის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულება 1986-1990 წლების საშუალო მაჩვენებელთან შედარებით შემცირდა 75 პროცენტით, ხოლო 2001 წლისათვის—52 პროცენტით.

\*ქარულ ეკონომიკურ ღიტარტურაში დამკვიდრებული „უაფრობის“ ტერმინის პაუხედავად, ატორი მიზანშეწინილად იულის „უშიშროების“ გამოყენებას (რედ);

აღლა საწარმოო ინფრასტრუქტურა, თაობების მიერ შექმნილი პოტენციალი განანაგების პირას მივიდა; განსაკუთრებით დაზარალდა სამედიცინო და აგროსურვისული მომსახურების სისტემები. მკვეთრად შემცირდა მრავალწლიანი ნარგავების ფართობები და მისი პროდუქტების წარმოება, დაიშალა და დატაცებულ იქნა მსხვილი მეცხოველეობის კომპლექსები, პრაქტიკულად შეწყდა ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნების, მცენარეთა დაცვის, ვეტერინარიის, სასელექციო და სანაშენე სამუშაოები.

კატასტროფულად დაეცა წარმოება კვების მრეწველობაში. ღვინის წარმოება შემცირდა 4-ჯერ, ხილისა და ბოსტნეულის კონსერვებისა - 27-ჯერ, ნაის შუა პროდუქციის - 90-ჯერ, ხორცისა და ხორცის პროდუქტების - 45-ჯერ, რძისა და რძის პროდუქტების - 30-ჯერ, ქვეყნის საზოგადოებრივ სექტორში თითქმის აღარ ხდება შამპანური ღვინოების, საკონიაკე სპირტების და სხვა მარაგის ფორმირება (კერძო სექტორში კი იგი ძირითადად ფალსიფიკაციის გზით ხორციელდება). შედეგად დაიკარგა პოზიციები შიდა და ტრადიციულ გარე ბაზრებზე.

1990-2002 წლებში მკვეთრად დაირღვა ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ფასთა პარიტეტი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას შორის. მოიშალა სოფლის სოციალური და საწარმოო ინფრასტრუქტურა. პრაქტიკულად შეწყდა სკოლების, კლუბების, ჯანდაცვის, კომუნალური ობიექტების მშენებლობა, დაჩქარებული ტემპებით ცვდება ძირითადი ფონდები, ეცემა სოფლისა და გადაამუშავებული საწარმოების ტექნიკური შეიარაღების დონე. შრომის ნაყოფიერება დარგში 2,5-3-ჯერ შემცირდა, პროდუქციის თვითღირებულება 2-ჯერ გაიზარდა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემცირების შედეგად რეალურად დადგა შიმშილის პრობლემა, საქართველო სურსათის ნეტო-ექსპორტიორიდან ნეტო-იმპორტიორად იქცა. ქვეყანაში შემოდის კონტრაბანდული, ფალსიფიცირებული, დაბალი ხარისხის და ადამიანის კვებისათვის უფარვის პროდუქტები დემპინგური ფასებით. მოსახლეობის დიდი ნაწილის სურსათით მინიმალური დაკმაყოფილება მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეული ქვეყნების ჰუმანიტარული დახმარებით გახდა შესაძლებელი. აქვე საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ, მიუხედავად ამისა, აგრარული სექტორი ქვეყნის ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით აღმოჩნდა უფრო მეტად სიცოცხლის უნარიანი და მისი ზრდის ტემპები უფრო მეტია, ხოლო დაცემის მასშტაბები კი შედარებით მცირე. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ამ სექტორში ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მასშტაბები არ არის ისეთი ღრმა, როგორც ქვეყნის ეკონომიკის სხვა დარგებში. ასე-ში იგი ყველაზე მეტადაა გამოხატული კვების და გადაამუშავებული მრეწველობის საწარმოებში. ჩვენი გაანგარიშებით აქ მისი მასშტაბი 50-60%-მდეა.

ცნობილია, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები და ფორმები მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვადასხვა დარგებსა თუ საქმიანობის სფეროებში. ამის მიხედვით, ყველაზე აღურიცხავი სექტორია ვაჭრობა (68%), სასტუმროები და რესტორნები (71%), მრეწველობა (42%), მშენებლობა (58%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (38%). კერძო საკუთრების



ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის ღირებულებაში თითქმის 98 პროცენტია, რაც განაპირობებს კიდევ ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის შედარებით დაბალ მასშტაბებს ასკ-ის ეკონომიკაში. მაგრამ როგორც ზევით აღვნიშნეთ, მისი მასშტაბი მაღალია კვების მრეწველობის, დამზადებისა და ინფრასტრუქტურის სფეროებში. ამის გათვალისწინებით, ჩვენი შეფასებებით ასკ-ს სისტემაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბი 30-35 პროცენტის ფარგლებშია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღურიცხაობა არ არის ჩრდილოვანი ეკონომიკის მთავარი კრიტერიუმი და იგი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა. ასკ-ს თითოეულ სფეროში არსებულ არალეგალურ ბიზნესს თავისი სპეციფიკა გააჩნია და მის ღვეგალიზაციას კონკრეტული მიდგომები სჭირდება.

ასკ-სისტემაში ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის გამომწვევი ძირითადი ფაქტორებია:

- გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი რეალობა. აქ იგულისხმება პოსტ-კონფლიქტური მდგომარეობა და საზღვრების დაუცველობა. სხვადასხვა მიზეზთა გამო, საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილია ისეთი ზონები, სადაც ქვეყნის იურისდიქცია ფაქტობრივად არ ვრცელდება ან თუ ვრცელდება, ის არ არის სათანადოდ დაცული;

- ადრინდელი ტოტალიტარული სისტემის იდეოლოგიური მემკვიდრეობა, ძველი მენტალიტეტის გადმონაშთები, რაც ელინდება როგორც სახელმწიფო სტრუქტურებში, ისე კერძო სექტორშიაც;

- საზოგადოებაში გაბატონებული კორუფციასთან შემგუებლობის განწყობა, აგრობიზნესმენტა მზადყოფნა გადაიხადონ ქრთამი, გაიღონ რაღაც გასამრჯელო და სხვ.;

- დარგში ჩრდილოვანი ეკონომიკის ღვეგალიზაციის მიზნით მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები არაეფექტიანია. ნებისმიერ სახელმწიფოში მთავრობა ასრულებს არსებით როლს ზემოთ აღნიშნული პრობლემების დარეგულირებაში და თუ ეს ასე არ ხდება, ქვეყანა სიღატაკეშია, ხოლო განვითარება არამდგრადია. ამის მთავარ მიზეზს არაკომპეტენტურობა, კვალიფიკაციის დეფიციტი წარმოადგენს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უახლეს პერიოდში საქართველოში აუცილებელია ეკონომიკური რეფორმის გაგრძელება და დანქარება, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის გაძლიერებაზე, წარმოების ტემპების მატებაზე, საბაზრო ინსტიტუტების და ინფრასტრუქტურის ფორმების განვითარებაზე, მეწარმეობის აღორძინებაზე, საბაზრო გარემო პირობების შექმნა-ფორმირებაზე, სოციალური ორიენტაციის რეალურად გამოკვეთასა და გაფართოებაზე.

თუ საბაზრო მექანიზმში სახელმწიფო ჩარევას და ფასების დაწესებას დაიწყებს, მაშინ საბაზრო მექანიზმი ფაქტობრივად გამოითიშება. ამგვარი ინტერვენცია უარყოფითად იმოქმედებს ბაზარზე. ხელისუფლების ინტერვენციას ძირითადად ბაზრის წარუმატებლობა იწვევს. ეს კი მაშინ ხდება, როდესაც

საბაზრო მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს მიწოდებას, რასაც გაუმართლებელ ფასებამდე მივყავართ. ბაზრის არსიდან გამომდინარე, ფასები კონსტრუქციის მიხედვით ყალიბდება. თუ საქონლის მიწოდება მეტია მოთხოვნაზე – ფასები დაბალია და პირიქით, თუ საქონლის მიწოდება მცირეა, მაშინ მოთხოვნა მასზე დიდია და ფასიც მაღალია. თუ ბაზრის ფასების ამ წონასწორობაში სახელმწიფო უშუალოდ ჩაერევა, ეი. დააწესებს ფასებს, მაშინ იგი ბრძანებულურ-გამანაწილებელი სისტემის აღდგენას გამოიწვევს, რაც დაუშვებელია. ითვალისწინებენ რა აღნიშნულ არგუმენტებს, სპეციალისტები საზოგადოდ პირდაპირი ინტერვენციის წინააღმდეგი არიან და მხარს უჭერენ არაპირდაპირ ინტერვენციას. ჩვენ სწორედ ეს უკანასკნელი მიდგომა მიგვაჩნია მართებულიად, ჩრდილოვანი ეკონომიკის დაბლევისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად ღონისძიებად. ეს მიდგომა უნდა იქნეს ასკ-ს სისტემაში გამოყენებული მეურნეობის რეფორმის ამ გარდამავალ ეტაპზე.

სახელმწიფო ინტერვენციის პოლიტიკის უმთავრეს მიმართულებად და ფორმებად მიგვაჩნია:

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის ინტერვენციულად შესყიდვა;
- პატიოსანი, კვალიფიციური კადრების გამოყენება;
- სოფლის ტექნიკური და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- აგრარული სფეროს მეცნიერული უზრუნველყოფა;
- დოტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი წარმოების საშუალებების შესაძენად;
- ოპტიმალური საგადასახადო, საბაჟო და სადაზღვევო პოლიტიკის შემუშავება და დანერგვა.

როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, სახელმწიფოს ზემოაღნიშნული არაპირდაპირი ინტერვენციის ექვსივე ფორმა ეფექტიანია, მათი გამოყენება არ არღვევს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს, და, ამავე დროს, სახელმწიფოს იმ მიზნების განხორციელების საშუალებას აძლევს, რომლებიც მოცემულ მომენტში საზოგადოებრივად მნიშვნელოვანია და აუცილებელია ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციისათვის და კორუფციის მასშტაბების შესამცირებლად.

აღნიშნულის სარეალიზაციოდ უნდა განხორციელდეს შემდეგი გადაუდებელი ღონისძიებები:

- სახელმწიფო შესყიდვის სისტემის რეფორმის ახალი ეტაპი;
- ფალსიფიკაციასთან ბრძოლის, სასურსათო პროდუქციის უსაფრთხოების კონტროლის და სტანდარტებისადმი შესატყვისობის სისტემის რეფორმა;
- აგრობიზნესის ლეგალიზაციის მიზნით საგადასახადო სისტემის ოპტიმიზაცია, მცირე და საშუალო ბიზნესის აუცილებელი მხარდაჭერა;
- მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობის სისტემის გაძლიერება;
- ბრუნვაში არსებული ნაღდი ფულის საბანკო არხებში მოზიდვა;

- ვაჭრობის სფეროს მოწესრიგება;
- მიღებული კანონებისა და საკანონმდებლო აქტების ცხოვრებაში რეალიზება;
- აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის ოპტიმიზაცია;
- შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება და მათი ლეგალიზაციის ხელშეწყობა;
- აგრარული რეფორმის საჯაროობისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზაციის საკითხებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სისტემის ფორმირება.

საქართველოს სოფლის მეურნეობას ნორმალური, თავისუფალი ბაზარი ესაჭიროება. თუ რაიმე პროდუქტი შეიძველს ვერ პოულობს, ეს ნიშნავს, რომ მას ძალიან ბევრს, ან ძალიან ძვირად აწარმოებენ. საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის უფრო მეორე მხარეა დამახასიათებელი. ამ პირობებში მხოლოდ საბაზრო ვერიფიკაციის შემდეგ შეუძლებთ იმის გაგებას, თუ რა გეოჯდება პროდუქციის გარკვეული რაოდენობა, ვინ აწარმოებს ძვირად და ვინ იაფად. თუ ყველა ამ პრინციპით იმოქმედებს, მაშინ ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევა და ეკონომიკური სისტემის უფექტიანი მოქმედებაც შესაძლებელი გახდება.

დღეს საქართველოს აგრარულ სექტორში საბაზრო ეკონომიკისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება არის გზა, რომლითაც შეუძლებთ ჩრდილოვანი ეკონომიკის სრულ ლეგალიზაციასა და კორუფციის მინიმუმამდე შემცირებას.

აგრარულ სექტორს აქვს საკმარისი პოტენციალი გაფართოებული კვლავწარმოებისათვის. სწორედ მან შეიძლება უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი პროდუქციის საჭირო მოცულობის წარმოება და მოგების სწრაფი მიღება. ამიტომ სოფლის მეურნეობა მოწოდებულია იყოს იმ ჯაჭვის ძირითადი რგოლი, რომელსაც სხვა დარგების გამოცოცხლება ძალუკა კერძოდ, ქვეყნის კვების მრეწველობა, რომელსაც წარსულში მრეწველობის მთლიან პროდუქტიაში 40%-ზე მეტი ეკავა, ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადაამუშავებაზე მუშაობს.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ კორუფცია, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, დღეს ყველა დარგში არსებობს და მათ შორის სოფლის მეურნეობაშიც. მის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავე დღეს შეიძინა, როცა თავად კორუფციის მასშტაბები ძალზე საშიში გახდა ეროვნული ეკონომიკისათვის და საფრთხე შეუქმნა ქვეყნის დამოუკიდებლობას. როგორ ვებრძოლოთ კორუფციას, ან რა მოსაობს მას?

ამ კითხვაზე, პირდაპირ, ცალსახად პასუხის გაცემა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ მინც გვინდა ჩვენეული პასუხი გაცეთ მას.

კორუფციას სპობს კანონების ცოდნა, საჯაროობა, სამართლიანობა, პროფესიონალიზმი, კერძო საკუთრების დაცვით, პასუხისმგებლობა, რაციონალური სახელმწიფოებრივი რეგულირება, საშემსრულებლო

დისციპლინის დამკვიდრება, ძლიერი ნების ხელისუფლება. ამის გარეშე ქვეყანაში კორუფცია და ჩრდილოვანი ეკონომიკა არ მოისპობა.

## **II. Koguashvili.**

### **О Легализации теневой экономики в аграрном секторе**

Рассмотрены масштабы теневой экономики в аграрном секторе Грузии и отрицательные последствия ее проявлений; проанализированы основные факторы, вызывающие теневую экономику и проявления коррупции; даны направления государственной интервенционной политики в АПК, обоснованы масштабы ее использования, основные пути реализации и механизмы их совмещения с принципами рыночной экономики; показано значение и необходимость использования потенциала аграрного сектора в экономике страны. В заключительной части автор излагает свое видение решения проблемы коррупции.

## **Koguashvili P**

### **On Legalizing Shadow Economy in Agrarian Sector**

The article deals with the scale of shadow economy in the agrarian sector of Georgia and its harmful effects. Discussed are the main factors giving rise to shadow economy and the manifestation of corrupt practices. Main directions of the state intervention policy in the agro-industrial complex with the substantiation of their utilization scopes are given together with the main ways of implementation and the mechanisms of their compatibility with the principles of a market economy. Also shown are the significance and necessity of the employment of the agrarian sector potential in the country's economy. In conclusion, the author shares his views concerning the solving of the problem of corruption.



**მიკროეკონომიკა. შრომის ეკონომიკა**

**რ. ბერიძე**

**ავიასატრანსპორტო საწარმოს სისტემური რესტრუქტურისა და  
 ბიზნეს-პროცესების რეორგანიზაციის საფუძველზე**

ავიასატრანსპორტო საწარმოს რესტრუქტურისა და არის რთული პროცესი, რომელიც სისტემურ საფუძველზე უნდა განხორციელდეს. ამ შემთხვევაში რესტრუქტურისა და ბიზნეს-პროცესების უზრუნველყოფის პროცესი წარმოადგენს საწარმოს პრობლემების გადაწყვეტის ხერხს. ამრიგად, რესტრუქტურისა და ბიზნეს-პროცესების რეორგანიზაციის ძირითადი საშუალებაა რეორგანიზაციის საფუძველზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ავიასატრანსპორტო საწარმოს შემდგომი ფუნქციონირება მისი სისტემური რესტრუქტურისა და ბიზნეს-პროცესების გარეშე უზრუნველყოფილია. ამას ადასტურებს წარმატებული საავიაციო ბიზნესის წარმომადგენლების (Continental Airlines, Lufthansa, SAS, American Airlines და სხვა) მაგალითი, ისინი სრულად ან ნაწილობრივ ფლობენ შესაბამისი საწარმოების აქციების პაკეტს და აღწევენ მოგების შემდეგ ნორმებს: სარემონტო სახელოსნოები - 1-5%-ს; სასტუმროები - არა ნაკლებ 5%-ს; მგზავრთა კვების წარმოების ფაბრიკები - 1-2%-ს; ბილეთების გაყიდვის სააგენტო და ტურისტული სააგენტოები - 10%-ს. თვით სამგზავრო ავიაკომპანია ზარალიანია ბრუნვის 10%-მდე; გლობალური დისტრიბუტორული სისტემები (Global Distribution System) - არა ნაკლებ 5%-ით; ექსპრეს-ფოსტა - 10-20%-ით; ავიაკომპანიის ბაზირების აეროპორტში რესტრუქტურისა და მდარეობები - 5-10%-ით [1,58-59].

პოსტინდუსტრიული სამყაროს საავიაციო ბიზნესი ძირითადად განსხვავდება სხვა ქვეყნებისაგან - აქ მსხვილი წამებთან ავიასატრანსპორტო კომპანია საავიაციო პოლდინგის ღრმად ინტეგრირებული ჯაჭვის რგოლია. მისი ამოცანაა სხვა ქვეყნების მდარეობების მაღალრენტაბელური ბიზნესის უზრუნველყოფა.

გ. ი. ავიასატრანსპორტო საწარმოს რეორგანიზაციის მიზნობრივი დანიშნულება საავიაციო პოლდინგის ბიზნესში ინტეგრაციაა. ავიასატრანსპორტო საწარმოს საქმიანობა შემოსავლიანი იქნება, თუ ის ჩაერთვება ავიამგზავრების კომპლექსური მომსახურების მრავალმხრივ დივერსიფიცირებულ ბიზნესში.

ამ შემთხვევაში ავთოსატრანსპორტო საწარმო ხდება საავიაციო პოლდინგის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი კლემენტი, ხოლო დივერსიფიცირებული ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია შიდასაფორმო დაგეგმვა, კვალიფიციური კადრები და მართვის განსაკუთრებული ტექნოლოგია.

რიგი ობიექტური მიზეზების გამო ავთოსატრანსპორტო საწარმოებს არ შეუძლიათ ერთდროულად მოახდინონ მიზნობრივი დანიშნულების რეალიზება. რესტრუქტურისაციის გეგმის შემუშავებისათვის აუცილებელია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეიძლება მიზნობრივ დანიშნულებასთან დაახლოება. მაშინ რესტრუქტურისაციის პროცესი შეიძლება შედგეს საწარმოს რესტრუქტურისაციის რიგი ცალკეული პროექტისაგან.

ავთოსატრანსპორტო საწარმოს რესტრუქტურისაციის რეალურად მისაღწევი თანამიმდევრული ეტაპების რეალიზება შეიძლება პროექტების მართვის კონცეფციაზე დაყრდნობით. ამ კონცეფციის საფუძველს შეადგენს შეხვედრება პროექტზე, როგორც ნებისმიერი სისტემის (ჩვენ შემთხვევაში – ავთოსაწარმო) საწყისი მდგომარეობის ცვლილებაზე, რომელიც დაკავშირებულია დროისა და სახსრების დანახარჯებთან.

დღეისათვის სისტემური რესტრუქტურისაციის პროექტებში საწარმოს რეფორმირების სხვადასხვა ეტაპზე გამოიყენება შედარებით ახალი მეთოდური მიდგომები:

– ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი (Business Process Reengineering) – ბიზნეს-პროცესების კარდინალური გარდაქმნის მეთოდი საწარმოს საქმიანობის ხარისხობრივად ახალი, მეტად მაღალი დონის მაჩვენებლების მისაღწევად; იგი გამოიყენება როგორც საწარმოს რეორგანიზაციის და ცალკეული ბიზნეს-პროცესების გარდაქმნის კომპლექსური საშუალება.

– ABC/ABM – მეთოდოლოგია (Activity Based Costing/Activity Based Management) – ღირებულებითი ანალიზის, აგრეთვე მენეჯმენტის პროცესის ეფექტიანობის ამაღლების მეთოდების ერთობლიობა. იგი გამოიყენება როგორც ანალიტიკური, აგრეთვე ორგანიზაციული ერთეულების და პროცესების ეფექტიანობის ამაღლების საშუალება.

– მეთოდი „სუსტად დროში“ (Just In-Time) – სამუშაოსა და მუშაობის მომსახურების ხარისხის ამაღლების მეთოდების ერთობლიობა; გამოიყენება საწარმოო საქმიანობის ხარისხის და ეფექტიანობის ამაღლებისათვის მომწოდებლებს, დამკვეთებსა და შემსრულებლებს შორის ურთიერთობების ოპტიმიზაციისათვის;

– ტოტალური ხარისხის მენეჯმენტის (Total Quality Management) მეთოდოლოგია – საწარმოს მართვის მეთოდების ერთობლიობა, რომლის ძირითადი ბერეკტია ხარისხი.

– ცოდნის მენეჯმენტის (Knowledge Management) მეთოდები – მეცნიერებისა და პრაქტიკის დისციპლინათა შორისი მიმართულება, რომლის რეალიზაციაც ხდება კონკრეტული ბიზნესის დანართებში. იგი მიმართულია ცოდნის შექმნის, ასევე მისი გამოყენების პროცესის ეფექტიანობის ამაღლებაზე.

ავიასაწარმოს აუცილებელი ორგანიზაციულ-ფუნქციური პოტენციალის ფორმირებისათვის საჭიროა მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ხელმძღვრედ გააზრება და შემდგომი ორგანიზაციული პროექტირება, გარე გარემოს ცვლილებების მოთხოვნების თვალსაზრისით საწარმოს საქმიანობაში რაციონალური ქცევის წესების შეტანით. ავიასატრანსპორტო საწარმოს რესტრუქტურისაცია რთული პროცესია და იგი უნდა ჩატარდეს სისტემურ საფუძველზე. საწარმოს სისტემურ რესტრუქტურისაციაში ჩვენს მიერ გაიგება გადაწყვეტილებების მიღების წესების დაუფლება და რეალიზაცია, რომლის საფუძველზეც ხდება საწარმოს შიდა ცვლილებების მართვა და მნიშვნელოვანი გარე ცვლილებების გათვალისწინება, ყოველივე ეს უზრუნველყოფს ცვალებად გარე გარემოსთან დინამიკურ წინასწრობას. აღნიშნული წესის რეალიზაცია შეიძლება მხოლოდ საწარმოს მართვის საბაზრო ფუნქციის კომპლექსის საფუძველზე, რომელთა სისტემური დანერგვაც შეადგენს ავიასატრანსპორტო საწარმოს რეფორმირების არსს. შეიძლება ითქვას, რომ ავიასატრანსპორტო საწარმოს კომპლექსური რესტრუქტურისაციის სისტემის ობიექტია საწარმოს ორგანიზაციულ-ფუნქციური პოტენციალი.

საქართველოს ავიასაწარმოების ფუნქციონირების სპეციფიკური პირობებისა და საავიაციო ბიზნესის თავისებურებების გამო რთული პრობლემაა მენეჯმენტის ისეთი ფუნქციების რეალიზაცია, როგორცაა: სტრატეგიული და შიდასაფირმო დაგეგმვა, მარკეტინგი, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და ინოვაციური პოლიტიკა, საწარმოო და ფინანსური მენეჯმენტი, პერსონალის მენეჯმენტი.

ჩვენი აზრით, ესაა ავიასატრანსპორტო საწარმოს რესტრუქტურისაციის (PC) ძირითადი დიდი და რთული პრობლემა.

პრობლემის გადაწყვეტა საჭიროებს განსახილველი ასპექტების მიხედვით რთული პრობლემების დეკომპოზიციას, მათ შორის თითოეულისათვის დგება თავისი საკუთარი სისტემა (ანუ შინაარსობრივი მოდელი).

$$P_c = P_1; P_2; \dots P_n;$$

ეს სხვადასხვა სისტემა (განხილვის ასპექტების მიხედვით) აღწერს ერთსა და იმავე ობიექტს სხვადასხვა პოზიციიდან და შეესაბამება მოდულებს ( $M_i$ ), რომლებიც ქმნიან ასპექტების სპექტრს, სადაც აღიწერება პრობლემის გადაწყვეტი სისტემა:

$$S_c = M_1; M_2; \dots M_n;$$

სადაც:  $M_1$  - სტრატეგიული და შიდასაფირმო დაგეგმვა (საწარმოს სტრატეგია);  $M_2$  - მარკეტინგი;  $M_3$  - სამეცნიერო კვლევითი მუშაობა და ინოვაციური პოლიტიკა;  $M_4$  - საწარმოო მენეჯმენტი;  $M_5$  - ფინანსური მენეჯმენტი;  $M_6$  - პერსონალის მენეჯმენტი;  $M_7$  - მენეჯმენტი;  $M_8$  - საწარმოს შიდა ცვლილებების მართვა (ორგანიზაციული კონცეფცია);  $M_9$  - საწარმოს გარე ცვლილებების გათვალისწინება (ბიზნესის სტრატეგია).

ავიასატრანსპორტო საწარმოს კომპლექსური რესტრუქტურისაციის ( $S_c = M_1; M_2; \dots M_n$ ) განსახილველი სისტემის ასპექტების შესაბამისად შინაარსობრივი

მოდელების კომპლექსის ფორმირება ემყარება ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის (ბპრ) მეთოდებს.

„რეინჟინირინგი“ ტერმინის ავტორია მ. ჰამერი. ის ბპრ-ს განიხილავს როგორც რევილუციას ბიზნესში, რომელიც ნიშნავს ა. სმიტის მიერ ორასი წლის წინ შემოთავაზებული ორგანიზაციის აგების საბაზო პრინციპებიდან გადახვევას და ბიზნესის რეკონსტრუირებას აქცევს საინჟინრო საქმიანობად.

დღეისათვის ბპრ-ით ხელმძღვანელობს მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი კომპანია. ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი არის თანამედროვე მენეჯმენტის თეორიის ახალი პრაქტიკულად გამოუყენებელი მიმართულება.

რეინჟინირინგი ახალი ცნებაა თანამედროვე ბიზნეს-ლექსიკონში. უცხოეთში გამოცემულ ეკონომიკის ლექსიკონებში ის გვხვდება 1995 წლიდან, ხოლო რუსეთში გამოცემულში -1998 წლიდან. სემანტიკურად და მორფოლოგიურად სიტყვა „რეინჟინირინგი“ დაკავშირებულია სიტყვა „ინჟინირინგ“- თან, რომელიც ეტიმოლოგიურად წარმოდგება ლათინური „Ingenium“ (გამომგონებლობა). სიტყვა „რეინჟინირინგს“ თანამედროვე ქართულ ენაში არ აქვს სემანტიკური ეკვივალენტი, ეს ნათლად გამოჩნდება მისი აზრობრივი დატვირთვის და წარმოშობის ისტორიის დრმა ანალიზის შემთხვევაში.

რეინჟინირინგი გულისხმობს ბიზნეს-პროცესების მეტად სიღრმისეულ გარდაქმნას, უიღრე ყველა სხვა სახის ხერხი და საშუალება. მაგ. ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ რეინჟინირინგის პროგრამის რეალიზაციის დროს ცვლილების შედარებითმა სიდიდემ შეიძლება მიაღწიოს 40%-ს, მაშინ როცა სხვა სახის მოდერნიზაციის დროს ცვლილება დაახლოებით 10-20%-ია.

რეინჟინირინგი განიხილება როგორც ტეილორიზმის პრინციპების საწინააღმდეგო მიდგომა, რომლის თანახმადაც ეფექტიანობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ნებისმიერი საშუალოს დაყოფა მრავალ ელემენტარულ, ხშირად განმეორებად ოპერაციებად. რეინჟინირინგის არსი კი იმაშია, რომ ორგანიზაციამ ახლებურად განსაზღვროს თავისი საქმიანობის შინაარსი, შიდა სტრუქტურაში ოპერაციული სპეციალიზაციიდან აქცენტი გადაიტანოს ორგანიზაციის შიდა ბიზნეს-პროცესებზე, რომლებიც ორიენტირებულია კლიენტების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ბპრ-ის საფუძველზე ორგანიზაცია ისწრაფვის ელემენტარული ოპერაციები გააერთიანოს უფრო დიდ, აზრობრივად დამთავრებულ ერთეულში. ამისათვის საჭიროა თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების შესაძლებლობების ფართო გამოყენება.

მ. ჰამერი და ჯ. ჩამპი იძლევიან „რეინჟინირინგის“ შემდეგ განმარტებას: „რეინჟინირინგი არის ბიზნეს-პროცესების ფუნდამენტური ხელმძღვრედ გააზრება და რადიკალური გადაპროექტება თანამედროვე ბიზნესის საკვანძო შედეგობრივი მანევრებლების: დანახარჯების, ხარისხის, მომსახურების დონის და ოპერატიულობის არსებითი (ნახტომისებური) გაუმჯობესებისათვის“ [2,59].

ეს განსაზღვრება შეიცავს ოთხ საკვანძო სიტყვას: ფუნდამენტური, რადიკალური, ნახტომისებური და პროცესი.

განასხვავებენ პირდაპირ და უკუ რეინტინირინგს. პირდაპირი მდგომარეობის ახალი საწარმოს დაპროექტებაში, უკუ კი- მოქმედი ფირმის რეორგანიზაციაში. ბპრ ვიწრო გაგებით წარმოადგენს ძირითადი ბიზნეს-პროცესების გადაპროექტებას, ფართოდ კი გულისხმობს ორგანიზაციული სტრუქტურის სრული კონფიგურაციის შეცვლას.

ბიზნეს-პროცესების რეინტინირინგის საწყის ფაზაზე აუცილებელია პასუხი გაეცეს ავიასატრანსპორტო საწარმოს საქმიანობის შემდეგ ფუნდამენტურ საკითხებს: რატომ აკეთებს საწარმო იმას, რასაც აკეთებს? რატომ აკეთებს საწარმო ამას (რასაც აკეთებს) ასეთი ხერხით? როგორი უნდა გახდეს საწარმო? ამ კითხვებზე პასუხის გაცემით სპეციალისტებმა უნდა გამოავლინონ და ხელმძღვრედ გაიაზრონ წესები, რომლებიც საფუძვლად უდევს ბიზნესის წარმოების მიმდინარე ხერხებს. ხშირად ეს წესები აღმოჩნდება მოძველებული, მცდარი ან უადგილო. ბიზნეს-პროცესების რეინტინირინგი იწყება იქიდან, თუ რას აკეთებს საწარმო, როგორ აკეთებს ამას და შემდგომ ახდენს კონცენტრირებას იმაზე, თუ რა უნდა იყოს.

რადიკალური გადაპროექტების დროს ხდება არსებული სტრუქტურების, პროცედურების უარყოფა და სამუშაოების შესრულების სრულიად ახალი ხერხების შემოთავაზება.

ბიზნეს-პროცესების რეინტინირინგის გამოყენება მიზანშეწონილია იმ შემთხვევებში, როცა საჭირო ხდება ფირმის საქმიანობის მაჩვენებლების საკმაოდ მკვეთრი (ნახტომისებური) გაუმჯობესება მართვის ძველი მეთოდების ახლით შეცვლის გზით.

პროცესი საქმიანობის შიდა ნაბიჯების (სახეების) სიმრავლეა, იწყება ერთი ან მეტი შესასვლელისგან და მთავრდება კლიენტისათვის საჭირო პროდუქციის შექმნით. თითოეული ბიზნეს-პროცესის დანიშნულებაა კლიენტს შეთავაზოს საკონკრეტო ან მომსახურება, რომელიც მას აკმაყოფილებს ღირებულების, მუდმივობის, სერვისისა და ხარისხის მიხედვით. ტერმინი „მომხმარებელი“ გაიგება ფართო ცნებით. ეს შეიძლება იყოს უბრალოდ კლიენტი, ან შეიძლება იყოს სხვა პროცესი, რომელიც მიმდინარეობს საწარმოს გარე გარემოცვაში.

რეინტინირინგის ობიექტია ბიზნეს-პროცესები და არა ორგანიზაცია. როგორც ტ. დევენპორტი აღნიშნავს, „პროცესი – ეს არის სამუშაოების, მოქმედებების (activities) მოწესრიგებული ერთობლიობა დროსა და სივრცეში, დასაწყისის და დასასრულის (პროცესორის) მითითებით და შესასვლელების და გამოსასვლელების ზუსტი განსაზღვრით“ [3,97].

როგორც განსაზღვრებიდან ჩანს, პროცესი შედგება შესასვლელის (პროცესის რეალიზაციის საჭირო რესურსები), გამოსასვლელის (პროცესის რეალიზაციის შედეგები) და პროცესორისგან (გამოსასვლელების მიღებისათვის შესასვლელებზე განხორციელებული სამუშაოებისა და ოპერაციების ერთობლიობა).

ბიზნეს-პროცესების მოდელირების საერთო მიდგომა, რომელიც საფუძვლად უდევს მოდელირების უმეტეს მეთოდებს და აუცილებელია მათი გამოყენებისათვის,

შედგება პროცესების თანმიმდევრული დეკომპოზიციისაგან – საერთოდან კერძოსაკენ. ჩვეულებრივ ასეთ მიდგომას უწოდებენ სტრუქტურულს. საწარმოს საქმიანობის დეკომპოზიცია იწყება მისიის გამოვლენით და მისი დაყოფით შემადგენელ მიზნებად, ქვემიზნებად და მათი მიღწევის საშუალებებად.

ეს საშუალებები შეიძლება იყოს პროექტები, პროგრამები, მართვის ფუნქციები. დასახული მიზნების მიღწევისათვის საწარმოს მთელი საქმიანობის წარმოდგენა შეიძლება 5-7 მეგაპროცესის სახით. ამ დროს მნიშვნელოვანია საწარმოს ორგანიზაციული საზღვრების და, აქედან გამომდინარე, გარე და შიდა მეგაპროცესების განსაზღვრა. ავიასატრანსპორტო საწარმოს გარე მეგაპროცესებია მარკეტინგი და გასაღება, ხოლო შიდა მეგაპროცესებია სტრატეგიული და შიდასაფირმო დაგეგმვა, ფინანსები, მენეჯმენტი, წარმოება.

შემდგომში თითოეული მეგაპროცესი ექვემდებარება უფრო დეტალურ ანალიზს, მოდელირებასა და დეკომპოზიციას ცალკეული პროცესების, ასევე სამუშაოების მიხედვით, რომლის შედეგად მიიღება ორგანიზაციის პროცესების სტრუქტურული იერარქიული მოდელები.

მეგაპროცეს „მარკეტინგის“ ( $M_2$ ) ძირითად პროცესებს განეკუთვნება: ბაზრების კომპლექსური გამოკვლევა; საწარმოს საწარმო-გასაღებითი შესაძლებლობების ანალიზი; მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება; მარკეტინგ-მიქსის პოლიტიკის დაგეგმვა; გასაღების რეალიზაცია; მარკეტინგის ორგანიზაცია; მარკეტინგული საქმიანობის კონტროლი.


ნახ. 1-ზე უწყვეტი ისრებით ნაჩვენებია მეგაპროცეს „მარკეტინგის“ ურთიერთკავშირი საწარმოს სხვა მეგაპროცესებთან. პუნქტირული ისრებით კი ნაჩვენებია ცალკეული შიდაპროცესების ურთიერთკავშირი მეგაპროცეს „მარკეტინგთან“.

ასევე შეიძლება მოყახდინოთ ცალკეული პროცესების დეტალიზაცია. მაგალითად, საწარმოს კომპლექსური მარკეტინგული გამოკვლევა არის ბაზრის მიზნობრივი სეგმენტების შერჩევის, საქონლის და მომსახურების, მარკეტინგული სტრატეგიების შემუშავების ბაზა. ასეთი ფართომასშტაბური გამოკვლევების პირობაა კომპიუტერული სისტემების არსებობა.

ასევე შეიძლება განხილულ იქნეს მეგაპროცესების „მენეჯმენტისა“ და „მარკეტინგის“ ურთიერთმოქმედება SWOT ანალიზის საშუალებით მისიისა და მიზნების, მარკეტინგული სტრატეგიების (ინტენსიური განვითარება, დივერსიფიკაცია და ინტეგრაცია) ფორმირებისათვის.

შემდგომ ეტაპზე ხდება გასაღების – მარკეტინგ-მიქსის პოლიტიკის ფორმირების საფუძვლების შემუშავება.

მარკეტინგ-მიქსის პოლიტიკის შემუშავებისას შეიმჩნევა მეგაპროცეს „მარკეტინგის“ ურთიერთმოქმედება სხვა მეგაპროცესებთან: წარმოება (სასაქონლო პოლიტიკა), სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და ინოვაციური პოლიტიკა, ფინანსები (ფასების პოლიტიკა). ე.ი. ავიასატრანსპორტო საწარმოს გასაღების სისტემა წარმოდგება როგორც საწარმოს სტრატეგიების რეალიზაციის მეთოდი.



ნახ. 1. ავთსატრანსპორტო საწარმოს მეგაპროცეს „მარკეტინგის“ პროცესების სქემა.

სტატიაში არ განვიხილავთ რეინჟინირინგის ინსტრუმენტებს (შემოქმედებითი აზროვნება, ტექნიკური და სოციალური ფაქტორი) და იმ პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფენ რეინჟინირინგის წარმატებას (მოტივაცია, ღიჯერობა, თანამშრომლები, საერთო ხედეა, ბიუჯეტი, ფოკუსირება, როლისა და მოვალეობის ზუსტად განსაზღვრა, კონკრეტული შედეგები და კონსულტაცია).

განვიხილოთ, თუ როგორ ცვლის რეინჟინირინგი ავთსაწარმოს რეკონსტრუირებად ბიზნეს-პროცესებს. მისი ძირითადი ხერხების შინაარსი ხასიათდება შემდეგნაირად:

- თუ სხვადასხვა თანამშრომლების მიერ შესასრულებელი უბრალო ამოცანები შეიძლება შესრულდეს ერთი თანამშრომლით, მაშინ ისინი ერთიანდებიან ბიზნეს-პროცესის ერთ პროცედურაში;
- ავთსატრანსპორტო საწარმოს თანამშრომლებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებაში ეძლევათ დიდი უფლებამოსილებები;
- სამუშაო პროცედურები სრულდება ისეთი თანმიმდევრობით, რომელიც უზრუნველყოფს მათი შესრულების მაღალ ხარისხს;
- ბიზნეს-პროცესების მრავალგარანიტული ტექნოლოგიის შემუშავება;
- სამუშაოს იქ შესრულება, სადაც შეიძლება მისი ეფექტიანად გაკეთება;

— შემოწმებების რაოდენობის და მმართველობითი გადაწყვეტილებების შემცირება;

— შუთანხმებების რაოდენობის მინიმუმირება გარე კონტაქტების შემცირების გზით;

— „უფლებამოსილი“ მენეჯერი უზრუნველყოფს ერთიანი კონტაქტის არსებობას, ასრულებს ბუფერის როლს რთულ პროცესებსა და დამკვეთს შორის;

— ჭარბობს ცენტრალიზებული-დეცენტრალიზებული მიდგომა.

რეინჟინირინგს თან ახლავს ავთოსაწარმოს მუშაობის ორგანიზაციის არსებითი ცვლილება, ამიტომაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ცვლილებების პროცესების მართვა. პროექტის ჩაშლა შეიძლება გამოიწვიოს ზედმეტმა სინქარემ, არასაკმაო დაფინანსებამ და, რაც მთავარია, ცვლილებებისადმი შინაგანი შეწინააღმდეგების დაძლევის უუნარობამ, რომლის მიზეზები შეიძლება იმადგებოდეს პირად და სტრუქტურულ ბარიერებში.

თეორიული თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს რეინჟინირინგის პროცესის თანმხლები ცვლილებების მენეჯმენტის საკითხებს, რომლებიც უფრო რთულია, ვიდრე თვით ცვლილებების შემუშავება. არსებობს ამ ამოცანის გადაწყვეტის მრავალი თეორია, მაგრამ ყველაზე მარტივია და პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება ამერიკული მეცნიერ-ფსიქოლოგის კურტ ლევეინის მიერ შემოთავაზებული თეორია[4]. ამ თეორიაზე დაყრდნობით და ამ სფეროში პრაქტიკული პროექტების ანალიზის საფუძველზე შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ბპ-ის შემთხვევაში ცვლილებებისათვის საკუთარი გარდაქმნების გარდა, აუცილებლად საჭიროა მოსამზადებელი სტადია და შედეგების განმტკიცების სტადია.

მოსამზადებელი სტადია ანუ „გაღება“, თავის ძირითად მიზნად ისახავს მიმდინარე მდგომარეობა გახადოს უფრო ცუდი და აუტანელი, დაიყვანოს აბსურდულ მდგომარეობამდე. ამრიგად, ხელგონურად იქმნება გარდაქმნის აუცილებლობის შეგრძნება და იგი ყველა დაინტერესებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს. ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ საწარმოს კოლექტივი შედის მომავალი ცვლილებების ფსიქოლოგიური სამზადისის სტადიაში.

„მოძრაობის“ სტადია ითვალისწინებს ყველა დაგეგმილი ცვლილების ჩატარებას და ამ პირობებში წინააღმდეგობის გადალახვას. ამ შემთხვევისათვის კურტ ლევეინი გვიჩვენებს ცვლილებებს მოვეკიდოთ როგორც „მოძრაობას“. ამიტომ აუცილებელია გარდაქმნის განსაზღვრული წესების დაცვა, საჭიროა არა მარტო მოძრაობის მიზნის, არამედ მარშრუტის ცოდნაც, ეი საჭიროა სწრაფად მოძრაობა და „არა სინქარის გადაჭარბება“.

ბოლო მთავარი სტადია „გაყინვა“ მთავარ ძირითად მიზნად ისახავს განხორციელებული ცვლილებები გახადოს უკუქცევადი, ე.ი. განამტკიცოს ანუ „გაყინოს“ ის. ეს სტადია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგანაც წარმატებით განხორციელებული გარდაქმნის შემდეგ სიტუაციამ შეიძლება ქვემოთ დაიწიოს. ე.ი. „ნოსტალგიის“ საფუძველზე რომ არ მოხდეს ნელი უკუსვლა, საჭიროა ახალი მდგომარეობის დაფიქსირება ანუ „გაყინვა“. ამის გაკეთება შეიძლება მოტივაციის სხვადასხვა ხერხით, ფსიქოლოგიური ან

მატერიალური სტიმულირების სახით, მიმდინარე სიტუაციის უპირატესობების განმარტებით, ახალი პერსპექტივების ხედვით.

ბპრ-ის კომპლექსური მეთოდოლოგიის შემადგენელი ნაწილია ცვლილებების მენეჯმენტი. ახალი კონცეფციით, რომელსაც ეწოდება ფუნქციათაშორისი ჯგუფის მეთოდი, ხდება მატრიცულ ორგანიზაციული სტრუქტურის და საპროექტო მენეჯმენტის უპირატესობების ადაპტაცია ბპრ-ის გამოყენებით ამოცანებთან.

აღნიშნული მიდგომა ეფუძნება იმას, რომ უმეტეს შემთხვევაში გარდაქმნების ხელისშემშლელია პერსონალის სხვადასხვა ინტერესი. ამიტომაც გარდაქმნის დაწყებისას მნიშვნელოვანია ორგანიზაციის შიგნით წინააღმდეგობის მოხსნა. ეს შესაძლებელია ფუნქციათაშორისო ჯგუფის შექმნის საფუძველზე. საწარმოებში იქმნება ამა თუ იმ ოპერაციების განხორციელებაში მონაწილე მენეჯერების და სპეციალისტების ჯგუფი, რომლებიც არიან ყველა ქვედანაყოფის მეტად ავტორიტეტული და შემოქმედებითად მოაზროვნე წარმომადგენლები. ცვლილებების მენეჯმენტში საწარმოს ხელმძღვანელობა ამ ჯგუფს აძლევს მაღალ უფლებამოსილებას. ჯგუფის შიგნით ხდება მათი მონაწილეებისათვის პროექტის პრაქტიკული რეალიზაციის სტიმულირების სისტემის შემოღება. მონაწილეთა პოტენციური ფინანსური ინტერესი იმდენად დიდი უნდა იყოს, რომ მოახდინოს ადრინდელი დამინისტრაციული პოზიციების დაკარგვის კომპენსირება. ამავე დროს ავიასაწარმოს სხვა მენეჯერებსა და სპეციალისტებს, რომლებიც არ შედიან ამ ჯგუფში, არ შეეძლებათ დაუპირისპირდნენ არსებული ჯგუფის ერთსულოვნებას, ხოლო აუცილებელი ცვლილებები პრაქტიკაში საკმაოდ სწრაფად დაინერგება.

ავიასატრანსპორტო საწარმოს ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის პროცესში წარმატების მისაღწევად აუცილებელია ნათლად განისაზღვროს, თუ კონკრეტულად რა არის გასაკეთებელი. ბპრ ვარაუდობს მოცემული მომენტისათვის საწარმოს ბიზნეს-მოდელის და მომავლისათვის მიზნობრივი ბიზნეს-მოდელის აგების ერთ-ერთი ვარიანტის განხილვას.

ბიზნეს-მოდელი უნდა მოიცავდეს ავიასაწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმალიზებულ აღწერას, სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის ინფორმაციული ნაკადების და დოკუმენტნაკადების სქემას, საწარმოს ინფორმაციულ სტრუქტურაში ასახული ბიზნეს-პროცესების აღწერას.

პრაქტიკული რეინჟინირინგის გამოცდილებამ წარმოშვა ბიზნეს-პროცესების მოდელირებისა და შემუშავების სხვადასხვა მეთოდოლოგია და სტანდარტი. ძირითადად ისინი გაერთიანებულია თანამედროვე CASE - საშუალებების (Computer - Aided System of Engineering) ბაზაზე ბიზნეს-პროცესების სქემების აგებისა და აღწერის რეგლამენტაციით. „რეინჟინირინგის კომპიუტერულ-ორიენტირებული სისტემები“ დანიშნულია სამუშაოთა ტექნოლოგიის მოდელირებისა და ანალიზისათვის.

საქართველოს პირობებისათვის ავიასატრანსპორტო საწარმოების ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი თავისი თანმიმდევრობის ან მუშაობის ჩატარების

თვალსაზრისით უნდა მიმდინარეობდეს რამდენიმე ეტაპის მიხედვით:

- ცვლილებების ობიექტის განსაზღვრა და მისი "გაღღობა";
- სამუშაოების არსებული ტექნოლოგიის დოკუმენტირება და ბიზნეს-პროცესების კლასიფიკაცია;
- ოპტიმიზაციის კრიტერიუმების შემუშავება და შემზღვეველი პირობების განსაზღვრა;
- სამუშაოების არსებული ტექნოლოგიის ანალიზი;
- ახალი ტექნოლოგიის შემუშავება, შეთანხმება და დოკუმენტირება;
- ცვლილებების დანერგვა;
- განხორციელებული გარდაქმნების ეფექტიანობის კონტროლი;
- ცვლილებების კორექტირება და განმტკიცება.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი მიმართულია საქართველოს ავიასატრანსპორტო საწარმოების სისტემური რესტრუქტურისაციის გატარებასა და ისეთი პრობლემების გადაწყვეტაზე, როგორებიცაა: საერთო მენეჯმენტი და მარკეტინგის სისტემის არასრულყოფილება და მუდმივი ორგანიზებული ტექნოლოგიური გარდაქმნის პრაქტიკის უქონლობა. ბპრ-ის მეთოდოლოგიის გამოყენება ხელს უწყობს ავიასატრანსპორტო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

### ლიტერატურა

1. Ott James, Phillips Edward H. Fuel costs split majors into winners or losers. //Aviat. Week and Space Technol. 2000. 153, №17.
2. Хаммер Майкл, Чампи Джеймс. Реинжиниринг корпорации: манифест революции в бизнесе. – СПб.: СПбГУ, 1997.
3. Ойхман Е.Г., Попов Э.В., Реинжиниринг организаций и информационные технологии. – М.: Финансы и статистика, 1997.
4. Белик Е.В. Бизнес-реинжиниринг. – М.: ТАНДЕМ, 1998.

**Р. Беридзе**

### **Системная реструктуризация авиатранспортного предприятия на основе реинжиниринга бизнес-процессов**

В статье уточнены проблемы авиатранспортных предприятий в переходной экономике; сформулировано понятие "системная реструктуризация предприятия" в условиях перехода к рыночным отношениям; Процесс системной реструктуризации авиатранспортного предприятия предлагается осуществить в виде инновационного проекта с применением новых методических подходов, в ч. реинжиниринга бизнес-процессов (Business Process Reengineering).

Подчеркивается, что общим подходом моделирования бизнес-процессов является последовательная декомпозиция процессов – от общего к частному. Вся деятельность авиапредприятия по достижению поставленных целей представлено в виде мегапроцессов. Детально проанализирован мегапроцесс «Маркетинг»;

Основные понятия, методы реинжиниринга бизнес-процессов и менеджмента изменений, являются современным инструментарием в реализации проекта системной реструктуризации авиатранспортного предприятия.

**Beridze R**

### **A Systematic Restructuring of an Air-transport Enterprise on the Basis of Business Process Re-engineering**

The article defines problems of an air-transport enterprise under the economy of transition and formulates the notion of a systemic restructuring of an enterprise taking place under conditions of a transition to market economy relations. The work proposes implementation of a process of systemic restructuring of air-transport enterprises in the form of innovative projects, with the use new procedural approaches, including business process re-engineering. It is underlined that the general approach to the modeling of business process, from the general to the individual. For achieving the set goals, the entire activity of an air-transport enterprise is presented as megaprocesses; the megaprocess "Marketing" (M2) is discussed in detail. Modern tools of implementation of the systemic restructuring process of an air-transport enterprise are the main notions and techniques of business process re-engineering and management of changes.



6. ცანავა, მ. ტაბატაძე

რესტრუქტურიზაციულ სამრეწველო საწარმოთა მართვის პრობლემები ბარდამავალ ეპონომიკაში

საქართველოს სამრეწველო კომპლექსის სტრუქტურული გარდაქმნის პროცესი ნელი ტემპით მიმდინარეობს, საწარმოთა უმრავლესობა უნაროა საკუთარი ძალებით უზრუნველყოს წარმოების რესტრუქტურიზაცია, მათი საინვესტიციო მიზიდულობა კი სუსტი და უიმედოა. ამგვარი მდგომარეობა მრავალმა ფაქტორმა გამოიწვია, რომელთაგან უმთავრესია არახელსაყრელი საკრედიტო კლიმატი და მენეჯმენტის დაბალი დონე, მსხვილ ინვესტორებთან ურთიერთობებში წარმოქმნილი კონფლიქტები, რესურსების დაუბალანსებლობა, შიდა ბაზრის შეზღუდულობა და მისი დაუცველობა, უცხოეთის ბაზრებზე შეღწევის დაბალი პოტენციალი, სამრეწველო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა, ჩრდილოეთი ეკონომიკის დიდი მასშტაბები და სხვა.

სამრეწველო საწარმოები პრივატიზების გამოყენებული ფორმების მიხედვით დღეისათვის შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს:

1. სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები;
2. კერძო საკუთრების საწარმოები;
3. საპრივატიზაციო ვალდებულებებით (ტენდერის წესით) მართვის უფლებით გადაცემული საწარმოები.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში დღეისათვის ძალიან დაბალია რენტაბელობის დონე, საწარმოთა დიდი ნაწილი წამგებიანია. 2001 წელს წმინდა მოგებამ 1,5 მლნ ლარი, ზარალმა კი 34 მლნ ლარზე მეტი შეადგინა. ამ ჯგუფის საწარმოთა მიმართ აუცილებელია სახელმწიფო რეგულირების ქმედითი ღონისძიებების ამოქმედება და სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა (სანაცია, გრძელვადიანი მიზნობრივი დაკრედიტება და სხვა).

დანქარებული პრივატიზაციის ზოგიერთმა არასასურველმა ტენდენციამ განსაკუთრებული სიმწვავეით იჩინა თავი მეორე ჯგუფის საწარმოებთან მიმართებაში. უპირობოდ პრივატიზებულ საწარმოთა გარკვეული ნაწილი ამჟამად

განერგებულია, რის ძირითად მიზეზადაც მიიჩნევა მესაკუთრეთა მრავალფეროვნების გამო საკუთრების დაქუცმაცება წვრილ ინვესტორთა შორის და, შესაბამისად, პასუხისმგებლობის დეფიციტი, მიმდინარე და პერსპექტიული პერიოდისათვის სამოქმედო პროგრამების უქონლობა, გაკოტრების კანონის უმთქმელობა, რომლის მექანიზმის სრულყოფილად გამოყენების შემთხვევაში ფაქტობრივად გამოირიცხება საწარმოთა განერგება და ვალების დაგროვება, საკუთრების უფლების შემდგომი დელეგირებისათვის აუცილებელი საბაზრო სტრუქტურების განუვითარებლობა (ფასიანი ქაღალდების ბაზრები, საინვესტიციო ფონდები და სხვა). ამ საწარმოთა მიმართებაში აუცილებელია ჩამოყალიბდეს სახელმწიფო რეგულირების სამართლებრივი და ეკონომიკური მექანიზმები.

საპრივატიზებო ვალდებულებებით გაყიდულ საწარმოებში ხშირია კონფლიქტური სიტუაციები და სასამართლო დავები, რაც სერიოზულად აფერხებს საწარმოთა ნორმალურ ფუნქციონირებას. ამის მაგალითია სს „მადნეული“, სს „ჭიათურმანგანუმი“, სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“, შპს „კვარციტი“ და სხვა.

საქართველოს ეროვნული მეურნეობის ცალკეულ დარგებში პრივატიზების განხორციელების ერთიანი გეგმის მიხედვით სამრეწველო საწარმოთა პრივატიზება ძირითადად დასრულებულია, დარჩენილია ცალკეული მსხვილი საწარმო, რომელიც არ ექვემდებარებოდა პრივატიზებას, აგრეთვე ის საწარმოები, რომლებიც ეკონომიკური კრიზისის გამო ვალაუვალნი გახდნენ და გაბნეულა მათი განსახელმწიფოებრიობა. აქ პრივატიზება მიზანშეწონილია განხორციელდეს უპირატესად ტენდერის წესით, ხოლო ნაწილის - აუქციონის გზით. განსაკუთრებით აქტუალურია სამართლებრივი რეგულირების საკითხები სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა მართვის საქმეში. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება სს „თბილავიამშენს“, შპს „ორბს“, შპს „მიონს“, შპს „პეგასს“, სს „ორიონს“, სს „გამთიშველს“, შპს „სტანდარტს“ და სხვა. ამასთან, სრულიად ახლებურად აყენებს აღნიშნულ საწარმოთა ფუნქციონირების საკითხს მათი სახელმწიფო წილის მართვის უფლების გადაცემა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსათვის საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის №40 ბრძანებულების თანახმად, რომელმაც გააუქმა პრეზიდენტის 2000 წლის №51 ბრძანებულება სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში სახელმწიფოს წილის მართვის უფლების დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებებისათვის გადაცემის თაობაზე. სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში შეიქმნა სპეციალური დეპარტამენტი, რომელმაც უნდა იკისროს ყველა პროფილის სახელმწიფო საწარმოთა მართვის ფუნქციები, რაც, ჩვენი აზრით, ხსენებულ პროცესებში დარგობრივი სამინისტროების და უწყებების მონაწილეობის იგნორირების პირობებში გაუმართლებელია.

სამრეწველო საწარმოთა ფუნქციონირების პირობების გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ვალების რესტრუქტურისაციის თაობაზე სამთავრობო გადაწყვეტილების მიღებამ. ამ გზით 2000 წელს 30 საწარმომ 25

მღნ ღარზე მეტი შეღაღათი მიიღო (შს „მიონი“, სს „ორიონი“, სს „თბილქიშფარმი“, სს „ვარძია“, სს „ივერია“ და სხვა). ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებღა აგრეთვე ქონების კონსერვაცია (აღსანიშნავიღა, რომ რუსეთის ფედერაციაში კონსერვაციის ხანგრძლივობა 10-15 წელიღა). იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის სამრეწველო კომპლექსში არასაკმარისიღა სწარმოო სიმძღავრეების დარტიროვის და წარმოების რეაბილიტაცია-განვითარების ტემპები, გადახვეღას სატიროებს კანონმდებლობით მოქმედი შეღაღათები ვადების გახანგრძლივების თვალსაზრისით (ძირითადი ფონდების კონსერვაცია, სავადსახადო დავადიანების რესტრუქტურიზაცია).

სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შესუსტებამ მრეწველობის რეფორმირების პროცესში (განსაკუთრებით სარწის ვტაპზე) და სწარმოთა რესტრუქტურიზაციის პროცესის გატიანურებამ განაპირობა კრიზისული მოვლენების გახანგრძლივება ამ სფეროში, რასაც ხელი შეუწყო აგრეთვე ეკონომიკურ ურთიერთობთა მეტისმეტმა დიბერადიზაციამ, რამეთუ მიიწნოღა, რომ მესაკუთრეთა ფუნის და მეურნეობის საბაზრო ტიპის შესაბამისი სტრუქტურების ფორმირება თავისთავად შექმნიღა ეკონომიკის ტრანსფორმაციის და საბაზრო ურთიერთობებში დამკვიდრების ბუნებრივ წანამძღვრებს, რაც, სამწუხაროდ, პრაქტიკულად ამ გზით არ წარმართა.

ბუღალტრული აღრიცხვის წარმოშობის ისტორია საუკუნეებს ითვლის და მსოფლიოს ცივილიზაციის პარალელურად სრულყოფას განიცდის მისი უსაზღვროდ დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამო. ყოფილი საბჭოთა კავშირის არსებობის 70-წლიანი ისტორიის მანძილზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების ერთიანი უნიფიცირებული მძლავრი სისტემა, რომელიც მორგებული იყო მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მეთოდებს, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ამ სისტემას ხაზი გადაუესვათ და უსარგებლოდ მივიჩნიოთ. დღემდის მსოფლიოს მასშტაბით ზოგადად წარმოების დანახარჯთა გაზომვის სამი ძირითადი მოდელია აღიარებული. მ.შ. პირველი ე.წ. „სრული არკეკლის მოდელი“ ყოფილ საბჭოთა კავშირში შეიქმნა. აღსანიშნავია, რომ ამ მოდელის საერთაშორისო აღიარება აქვს მოპოვებული. მის ძირითად ნაკლად მხოლოდ დიდი შრომატევადობაა დასახელებული, რაც მას დაბალ კონკურენტუნარიანს ხდის მართვის ეკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარე. აღნიშნულიდან გამომდინარე, თამამად უნდა ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანას ყოფილი საბჭოთა კავშირიდან საკმაოდ მძლავრი ბაზა გააჩნია, რაც საჭიროებს სახელმწიფოებრივ რეგულირებას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს ჩვენს ქვეყანაში მმართველობითი აღრიცხვის სფერო თითქმის პარალიზებულია, რაც ისედაც კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ეკონომიკას უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებს.

ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად მივიჩნევთ ქვეყნის მასშტაბით აღრიცხვა – ანგარიშგების სფეროში რადიკალური ღონისძიებების გატარებას. პირველი, რაც ამ ეტაპზე გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია, არის ის, რომ სამთავრობო დონეზე ცენტრალიზებულად დამუშავდეს ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტები, როგორც ფინანსური აღრიცხვის, ისე მმართველობითი აღრიცხვის სფეროსათვის. პარალელურად უნდა განხორციელდეს ამ დარგის სპეციალისტთა პროფესიის პრესტიჟის აწევა მსოფლიოს ცივილიზებული ქვეყნების პრაქტიკიდან გამომდინარე. მკვეთრად უნდა გაუმჯობესდეს აღრიცხვის დარგის სპეციალისტების მომზადების დღეისათვის არსებული მდგომარეობა. ჩვენს უნივერსიტეტში უნდა აღდგეს აღრიცხვის, ანალიზის და აუდიტის კათედრასთან არსებული სასწავლო ლაბორატორიები, სადაც სტუდენტები მაღალ დონეზე გაივლიან სასწავლო პრაქტიკას.

ფრიად მნიშვნელოვანია ყველა ის საკითხი, რომელიც კომერციული ანგარიშაინობის საფუძველია და ყოფილ საბჭოთა სისტემაში არ გამოიყენებოდა:

პირველი ესაა საწარმოებში აღრიცხვის მოწყობა პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით.

საზოგადოდ, საქმიანი ორგანიზაცია (ფირმა, საწარმო) შედგება ცალკეული განყოფილებების ერთობლიობისაგან, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა ფუნქციას ახორციელებს. როგორც წესი, ცალკეულ განყოფილებებს სხვადასხვა მენეჯერი ხელმძღვანელობს, ისინი პასუხისმგებელი არიან მათ დაქვემდებარებაში მყოფი განყოფილების მოღვაწეობის შედეგებზე. მმართველობითი აღრიცხვის მეთოდოლოგიის მიხედვით ფირმის შიგნით არსებული ნებისმიერი განყოფილება განიხილება როგორც დანახარჯების ან მოგების ცენტრი.

დანახარჯების ცენტრი საწარმოს ისეთი განყოფილებაა, რომლის მოღვაწეობაც დაკავშირებულია მხოლოდ დანახარჯების გაწევასთან და, რომელიც უშუალოდ არ ღებულობს შემოსავალს. რაც შეეხება მოგების ცენტრს, ეს ისეთი განყოფილებაა, რომელიც დანახარჯების გაწევასთან ერთად უშუალოდ შემოსავალსაც ღებულობს.

განყოფილებების მიხედვით მომზადებული ინფორმაცია მთავარ მენეჯერს საშუალებას აძლევს გადაწყვიტოს ფირმისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ისეთი საკითხები, როგორებიცაა: არის თუ არა განყოფილების მოღვაწეობა წარმატებული (მომგებიანი)? გაუმჯობესდა თუ გაუარესდა განყოფილების მოღვაწეობა? ხომ არ არის მიზანშეწონილი განყოფილების დახურვა ან ახალი განყოფილების ჩამოყალიბება?

დანახარჯების ცენტრის მენეჯერის მოღვაწეობის შესაფასებლად ანგარიშობენ „მართვის ეფექტიანობის კოეფიციენტს“, რომელიც მიიღება განყოფილების მიერ გაწეულ დანახარჯების ფაქტობრივი სიდიდის შეფარდებით დაგეგმილ (საბიუჯეტო) მაჩვენებელთან. მოგების ცენტრის შეფასების მთავარ

კრიტიკრიუმს კი მიღებული მოგების სიდიდე წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დღის წესრიგში უნდა დადგეს ქვეყნის მახშტაბით, დარგობრივ (სექტორულ) ჭრილში, პასუხისმგებლობის ცენტრების მიხედვით აღრიცხვის სისტემების დამუშავება (პცას). პცას-ის ფუნქციონირება სამი ძირითადი ამოცანის გადაწყვეტას გულისხმობს. **ძირველი** ცალკეული პასუხისმგებლობის ცენტრის (განყოფილებების) მიხედვით ბიუჯეტის შემუშავებაში მდგომარეობს. ბიუჯეტი წარმოადგენს იმ საშომს, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს ცალკეული განყოფილების მოღვაწეობის აკარგიანობა. **მეორე** ამოცანა ცალკეული პასუხისმგებლობის ცენტრების საქმიანობის ამსახველი სააღრიცხვო ინფორმაციის მომზადებაში მდგომარეობს. **მესამე** კი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადების ამოცანის გადაწყვეტას გულისხმობს.

უნდა აღინიშნოს, რომ დანახარჯების აღრიცხვის სისტემა, ე.წ. „ნორმატიული მეთოდი“, მეთოდოლოგიურად და პრაქტიკულად საკმაოდ მაღალ დონეზე იყო დამუშავებული ყოფილ საბჭოთა კავშირში. ამ მეთოდზე დაყრდნობით სრულიად მარტივად შეიძლება „ბეჯლის“ და „ახლის“ შეთანაწყობა. პრობლემას ამ სფეროში დანახარჯთა ნორმირების სფერო წარმოადგენს.

მმართველობითი აღრიცხვის სფეროს ერთ-ერთი არსებითი თავისებურება ისაა, რომ იგი ორგანულად ერთიანდება ეკონომიკურ ანალიზთან. აქედან გამომდინარე, წარმოების დანახარჯები განიხილება ყოველთვის კომპლექსურ ჭრილში „ხარჯი, მოცულობა, მოგება“ (CVP)\*. CVP ანალიზი ერთმანეთთან აკავშირებს ბიზნესის ხარჯებს, მოცულობასა და მოგებას. მისი გამოყენებით შეიძლება ხარჯებზე ბიზნესის აქტიურობის ცვლილების ზემოქმედების შესწავლა

ამ ურთიერთკავშირის გაგება არსებითია გეგმებისა და ბიუჯეტების შედგენისას ბიზნესის სამომავლო ოპერაციების სწორად წარმართვისათვის. CVP ანალიზი ეხმარება მენეჯერებს იწინასწარმეტყველონ, რა გავლენა ექნება სხვადასხვა სტრატეგიებსა და გადაწყვეტილებებს ბიზნესის წარმატებაზე. CVP ბლოკ-სქემის მიხედვით ტარდება ე.წ. **სენსიტიური ანალიზიც**, რომელიც იმ ეფექტის შეფასებას გულისხმობს, რომელსაც მოახდენს გადაწყვეტილების მიღებისას გამოყენებულ მოდელში ერთ-ერთი ცვლადის შეცვლა ამ მოდელის გამოყენებით მიღებულ შედეგზე. სენსიტიური ანალიზი პასუხობს კითხვას: „რა მოხდება თუ“ ერთეულზე ფასი ან ცვლადი ხარჯები ან ფიქსირებული ხარჯები იქნება სხვა.

**ინკრემენტალური ანალიზი** გამოიყენება სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღებისას, ე.ი. ხარჯების ამოსაგლეწად, რომელიც მიიღება საერთო დანახარჯებს შორის სხვაობით ალტერნატიული გზების ძიებისას.

სარგებელი, რომელიც შეიძლება მივიღოთ ამა თუ იმ ალტერნატიული გზის განუხორციელებლობის შემთხვევაში. ისინი, მართალია, არ აღრიცხება საბუღალტრო ჩანაწერებში, მაგრამ მნიშვნელოვანია ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

\* CVP (Cost, Volume, Profit)- ხარჯი, მოცულობა, მოგება.

## ლიტერატურა

1. Энтони, Р., Рис Дж. Учет ситуаций и примеры (перевод с английского). М., 1993.
2. Томас П. Карлин, Альберт Р. Маркин. Анализ финансовых отчетов (на основе ГААР), М., 1998.
3. Мюллер Г., Гернон Х. Учет: международная перспектива, М., 1999.
4. Райс Э. Бухгалтерский учет и отчетность без проблем (перевод с английского). М., 1999.
5. Мэтьюс М. Р., Перера М. Б. Теория бухгалтерского учета (перевод с английского). М., 1999.

**Ф. Бурдули**

### **Природа управленческого учета согласно ГААР**

Грузинская экономика стоит перед значительными преобразованиями. Происходит и реформация бухгалтерского учета. Закон, принятый грузинским парламентом о бухгалтерском учете, регулирует только финансовый учет и сферу учета. Что касается управленческого учета, он почти парализован. В статье на эти проблемные вопросы обращено внимание. Под различными углами рассмотрена природа управленческого учета, для чего применяется уже апробированная литература, которая используется в высших учебных заведениях и в практике мира.

И на основе научного анализа высказывается предположение, что сфере управленческого учета в пределах масштабов страны следует придать государственное внимание. Как можно быстрее надо создать национальные стандарты управленческого учета, основанные на признанном менеджменте и на национальных принципах.

**F. Burduli**  
**Nature of Management Accounting under GAAP**

The Georgian economy encounters significant changes, the reformation of the accounting system being one of them. The Law of Georgia on Accounting passed by the Georgian Parliament regulates only financial accounting and settlements. As for the management accounting, it is almost paralyzed. The article focuses just on the problematic issues. The author considers the problem of management accounting from various aspects, using the literature, which has been time-tested in the curricula of universities and practically applied throughout the world. Based on a scientific analysis, the author proposes that the issue of management accounting would be given more attention on the part of governmental structures, and that national standards based on the approved management and national principles be worked out and introduced on the country's scale.

### 3. კუპრაიშვილი

#### ბულალტრული აღრიცხვის რეორგანიზაციის ძირითადი ასპექტები საქართველოში

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველო აქტიურად მონაწილეობს მსოფლიო მასშტაბის სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში: აბრეშუქის გზა, კასპიის ნავთობი, დიდი ნავთობი (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი) ტრასეკას პროექტი და ა. შ. ამან განაპირობა ქვეყნის ჩართვა მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში. თავის მხრივ, ეს ზემოქმედებს მის ფორმირებად ეკონომიკაზე როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მიმართულებით.

თავისთავად გლობალიზაციის პროცესი, რომლის განხილვა წარმოუდგენელია რეგიონულ ეკონომიკურ სივრცეთა შექმნის, საინვესტიციო შესაძლებლობათა გაფართოების, საერთაშორისო ფინანსური ბაზრის განვითარების, საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში რადიკალური ცვლილებების გარეშე, დღის წესრიგში აყენებს ფინანსური ურთიერთობების გარკვევისას ერთიანი მიდგომის (ერთიანი ენის – რომელსაც, ხშირად ბიზნესის ენასაც უწოდებენ) შემუშავების აუცილებლობას. ეს მიიღწევა ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების ერთიანი (საყოველთაოდ აღიარებული) ნორმების შემუშავების გზით. მიუხედავად ამისა, ერთიანობა არ ნიშნავს ერთნაირობას. აქ მხედველობაში მიღებულია ერთიანი ზოგადი პრინციპები, ამოსავალი დებულებები, ჩარჩოები, რომელთა შესაბამისადაც უნდა განხორციელდეს საწარმოს ფინანსური შედეგის გამოთვლა და ფინანსური მდგომარეობის შეფასება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ჩამოყალიბებული საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დარეგულირების მსოფლიო პრაქტიკამ დაგვანახა, რომ აუცილებელია ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების უმთავრეს საკითხთა პარამონიზაცია აღნიშნულის აუცილებლობაზე ამ დარგის ცნობილი ქართველი მეცნიერი გ. ბიგვაეა ჯერ კიდევ 1992 წელს მიუთითებდა [1].

თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციის პროცესი ბულალტრული

აღრიცხვის, ანგარიშებისა და კონტროლის სფეროსაც შეეხო; ეს დასტურდება იმით, რომ კომპანიათა შესახებ ევროპის ქვეყნების კანონმდებლობის დირექტივებში შეინიშნება ევროკავშირის ქვეყნებში კონტროლისა და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხების პარაშინიზაციის მცდელობა. მაგ, მე-4 დირექტივა ადგენს ანგარიშების ფორმატს; მე-7 იხილავს კონტროლის საკითხებს; მე-8- აუდიტის საკითხებს. ეს დირექტივები შეიცავენ მინიმალურ მოთხოვნებს, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყანათა კანონმდებლობებს დაედო საფუძვლად [2].

ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების სფეროში ერთიანი მიდგომის არარსებობა ხშირად საკმაოდ უხერხულ სიტუაციებს იწვევდა. ამის თვალსაწირო მაგალითია შემთხვევა, რომელსაც ხშირად იხსენებენ ხოლმე სხვადასხვა მაღალი ტრიბუნლიდან. კერძოდ, 1993 წელს აშშ ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების კომისიის თავმჯდომარემ ა. ლევიტმა თავის მოხსენებაში, რომელიც ეხებოდა გერმანიის საკითხებს, კერძოდ „დაიმლერ-ბენცს“, აღნიშნა, რომ მას ხელთ აქვს ამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის გერმანული სტანდარტებით, რომლის მიხედვით კომპანიის შოგება 168 მლნ დასავლეთგერმანული მარკაა; იმავდროულად იგივე კომპანიის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებული იყო ამერიკული სტანდარტებით, აფიქსირებდა ზარალს 1 მილიარდ დასავლეთგერმანულ მარკამდე [3] ამ ფაქტთან ერთად აღსანიშნავია, რომ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის საჭირო მანქნებლები არ იყო დარღვეული, უბრალოდ მიდგომები იყო სხვადასხვა.

ცხადია, ასეთი მიდგომარეობა ძალზე აწუხებს ფინანსისტებს, ბანკირებს ან კომერციულ სტრუქტურათა ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით ინვესტორებს. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციის მომზადების საყოველთაოდ აღიარებული მიდგომების არარსებობისას ინვესტორი ცდილობს თავისი კაპიტალის დაბანდების რისკის შემცირებას და ამ მიზნით ეწევა დამატებით სერიოზულ დანახარჯებს შესაბამისი გამოკვლევის და ანალიზის ჩასატარებლად. ამან მას ხელი უნდა შეუწყოს შედარებით ნაკლები რისკის პირობებში მიიღოს გადაწყვეტილება. ყოველივე ეს შესაძლებელია ფინანსური ანგარიშგების მკაფიო სტანდარტიზაციის პირობებში.

ფინანსური ანგარიშგების საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტები აუცილებელია განვითარებადი, ახლადფორმირებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან უცხოური კაპიტალის მოზიდვაში. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სისტემის სრულყოფით დაინტერესებულნი არიან, აგრეთვე, მაღალგანვითარებული ქვეყნებიც; ისინი, ფუნქციონირებენ რა დივესიფიცირებული საერთაშორისო ბაზრით, რომელსაც ახასიათებს სხვადასხვაგვარი რყევები და რისკები, ისწრაფვიან არა მხოლოდ სტაბილურობის გარკვეული დონის მისაღწევად, არამედ ცდილობენ ასევე უზრუნველყონ შემდგომი ეკონომიკური ზრდა.

საერთაშორისო თანამეგობრობის მხრივ სააღრიცხო-საანგარიშგებო ინფორმაციისადმი ასეთი მოთხოვნების არსებობის გამო ჩვენს ქვეყანაში

აუცილებელი გახდა ბიზნესისათვის ხელშეწყობა ამ მეტად მნიშვნელოვანი უბნის რეფორმის განხორციელება საერთოდ მიღებულ ნორმებთან შესაბამისობის მისაღწევად. მიუხედავად ამისა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი რამ არ გაკეთებულა. 1998 წლის დასაწყისში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმა საქართველოში მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იყო. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა (მეწარმეთა შესახებ კანონის მე-13 მუხლი) და ამ რეფორმის განხორციელების მოთხოვნა და არა მაინცდამაინც სურვილი. რეფორმის მოთხოვნა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოდიოდა, რომლებიც კისრულობდნენ და აპირებდნენ საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის მხარდაჭერას.

მსოფლიო სააღრიცხვო პრაქტიკაში ბუღალტრული აღრიცხვის მრავალი სისტემაა გავრცელებული, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია აღრიცხვის ანგლო-ამერიკული სისტემა, რომელიც აღრიცხვა-ანგარიშგების რეგულირების საკითხებში უპირატესობას პროფესიულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ანიჭებს. სწორედ ამ მიმართულებას მიანიჭა უპირატესობა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ახლებური მიდგომების არჩევისას ჩვენმა ქვეყანამ. ქვეყანაში ჩამოყალიბდა პროფესიული საზოგადოებრივი ორგანიზაციები ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში. სწორედ მათი ძალისხმევით და განსაკუთრებით კი პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის აქტიური საქმიანობით (რომელიც უკვე ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის წევრია) გადაიდგა სერიოზული ნაბიჯები ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის გზაზე, რომელმაც ლოგიკურად მიგვიყვანა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ კანონის მიღებამდე. (ეს კანონი მიღებული იქნა 1999 წლის 5 თებერვალს). კანონის მიღების მიზანი სწორედ ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა იყო; ამ კანონითვე მოხდა სფეროების გამიჯვნა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირება დაეკისრა ფინანსთა სამინისტროს. კერძო სამართლის სუბიექტებისათვის კი მოხდა ამ ფუნქციის დელეგირება ბუღალტერთა დამოუკიდებელი პროფესიული ორგანიზაციებისა და პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიისათვის. ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დებულება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის გზაზე.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის შემდეგი ეტაპი იყო პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ 2000 წლიდან ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სამოქმედოდ შემოღება. ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო იმდენად, რამდენადაც საქართველომ იკისრა ბუღალტრული აღრიცხვის მოწყობა და ფინანსური ანგარიშგების მომზადება საერთაშორისო ნორმების მიხედვით, რაც მის მიმართ მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნების დამოკიდებულების

ინტენსივუმი მთელ მსოფლიოში საქართველოში იყო. ინტენსივუმი მთელ მსოფლიოში საქართველოში იყო.

პოლიტიკური მიმართულებით შეცვლის სათავე გახდა.

რეფორმის გზაზე მნიშვნელოვანი იყო ასევე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით აგებული და შემუშავებული სრულიად ახლებური ტიპის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის მიღება. იგი მთლიანად ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს ანგარიშგებითი ინფორმაციის საიმედოობას, ხარისხიანობას, ობიექტურობას და სისრულეს.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლამ, ახალი ანგარიშთა გეგმის შემოღებამ ფაქტობრივად საჭირო გახადა სერიოზული მუშაობის განხორციელება ამ დოკუმენტის უშუალო შემსრულებლამდე დასაყვანად. გაიშალა სათანადო მუშაობა უცხოელი სპეციალისტების ხელმძღვანელობით, ადგილობრივი პროფესიონალებისა და სამეცნიერო დაწესებულებების წამყვანი სპეციალისტების მონაწილეობით; დაიწყო აღრიცხვის ძველი სისტემიდან ახალზე გადასვლის არცთუ ისე უმტკივნეულო პროცესი (კონვერსია). ეს პროცესი მიმდინარეობდა სათანადოდ შემუშავებული მეთოდის მიხედვით.

ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმების საკითხებს სერიოზული შრომები მიუძღვნეს ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა: ი. მესხიამ, ე. ცირაძემ, ე. ხარაბაძემ, ა. მაშათელაშვილმა, რ. მაძაშიამ, ამ სტრიქონების ავტორმა და მრავალმა სხვამ. მათ შრომებში საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის საგარაუდო ასპექტები და ძირითადი მიმართულებებია განხილული.

1998 წლის 2-3 ივნისს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებით გაიმართა პირველი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეფორმა საქართველოს საწარმოებში“. კონფერენციის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მას მიესალმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. ამის გარდა, 2000 წლის 21-22 აპრილს საქართველოში ჩატარდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ბუღალტერთა პირველი სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია, სადაც გარკვეულად შეჯამდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (და ცხადია მათ შორის საქართველოში) ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმის მიმდინარეობა.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში რეფორმის განხორციელების მოწინააღმდეგე ფაქტობრივად არაინ იყო, მაგრამ თავიდანვე გამოიკვეთა საკითხისადმი განსხვავებული მიდგომები, რაც ძირითადად სამი მიმართულებით შეიძლება წარმოვადგინოთ:

პირველი ჯგუფი გადაუდებელ საჭიროებად თვლიდა რეფორმის განხორციელებას მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, ძველი სისტემის მთლიანად უგულებელყოფითა და ახალი ეროვნული სააღრიცხვო სტანდარტების ან უკვე აპრობირებული საერთაშორისო სტანდარტების შემოღებით.

მეორე ჯგუფი რეფორმის განხორციელებისათვის გარკვეულ დროს და სათანადო მოსამზადებელ სამუშაოთა ჩატარებას მოითხოვდა.

შესამე ჯგუფის აზრით, უნდა მომხდარიყო ძველი სისტემის მოდიფიცირება ახალ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესწავლისა და საქმის ფაქტობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმა ქვეყანაში უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი მომენტების გათვალისწინებით:

- საბაზისო უმაღლეს სასწავლებლებში და შესაბამის საზოგადოებრივ პროფესიულ ორგანიზაციებში ბასს-ბის საფუძვლიანი შესწავლის მიზნით პროფესიული მომზადებისა და გადამზადების მუდმივმოქმედი ცენტრების ორგანიზება;
- ბუღალტრული აღრიცხვის პირველადი დოკუმენტების სტანდარტიზაცია და უნიფიკაცია;
- რეფორმის ინფორმაციული მხარდაჭერის უზრუნველყოფის ხელშეწყობა შესაბამისი პერიოდული და სხვა სახის გამოცემების საშუალებით;
- ბუღალტრული აღრიცხვის სწავლების თანამედროვე ფორმებისა და მეთოდების დანერგვა; სასწავლო პროცესისა და ცოდნის შემოწმების სისტემის საფუძვლიანი გარდაქმნა, მუშაობა პრინციპით: თეორია-პრაქტიკა-შედეგ; მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი;
- მუშაობის გაგრძელება ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტებისა და მისი ადეკვატური სამუშაო ინსტრუმენტარის შექმნაზე.

### ლიტერატურა

1. ბიგვაჯა გ., ბუღალტრული აღრიცხვისა და საფინანსო სისტემის პარმონიზაციის ზოგიერთი საკითხი, თბ., თსუ, 1992.
2. Основы аудита АССА, 1998.
3. Сердинов Э.М., Международные стандарты финансовой отчетности. Ж. "Банковское дело", 2000, №3.

### 3. Купрейшвили

#### Основные аспекты реформы бухгалтерского учета в Грузии

В статье рассмотрен ход реформы бухгалтерского учета в Грузии. Для успешного осуществления реформы автор считает необходимым: организацию постоянно действующих центров профессиональной подготовки и переподготовки





**მ. ბრიგადაშვილი**

**უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების  
 ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფის საკითხები**

საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განაპირობა უცხოური ვალუტის თავისუფალი მიმოქცევა. 1993 წლის 13 აგვისტოს ერთადერთ საგადასმდელო საშუალებად გამოცხადდა კუპონი, ხოლო ყველა სხვა ვალუტა ჩაითვადა უცხოურ ვალუტად.

სავალუტო ოპერაციების აღრიცხვა თავდაპირველად რეგულირდებოდა „საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დროებითი დებულებით“, რომელიც განსაზღვრავდა, რომ საწარმოს მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაანგარიშებული უნდა ყოფილიყო საქართველოს სახელმწიფო ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად. ამასთანავე საწარმოებს ვეალებოდათ პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგებიდან რესპუბლიკის სახელმწიფო სავალუტო ფონდისათვის, ეროვნული ბანკისა და ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისათვის მიეყიდათ უცხოური ვალუტის ნაწილი დადგენილი ნორმატივების მიხედვით.

შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ზემოაღნიშნული მეტად მწირი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზისა და ნაკლები პრაქტიკული გამოცდილების პირობებში მიმდინარეობდა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის რეგულირების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანა ჩვენს მიერ შემუშავებულმა „დებულებამ საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ საკითხები ჯერ კიდევ მოგვარებული არ არის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის, ასევე საგადასახადო თვალსაზრისით.

ჩვენი აზრით, საჭიროა ეროვნული სტანდარტის შემუშავება, რითაც დარეგულირდება უცხოურ ვალუტაში გამოსახული ქონებისა და

ვალდებულებების ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის წესები. პირველ ყოვლისა საჭიროა განემარტოთ შემდეგი ტერმინები:

ვალუტის კურსი – საქართველოს ეროვნული ვალუტის თანაფარდობა უცხოურ ვალუტასთან, რომელიც ყალიბდება თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე\*.

ფულადი მუხლები – მოცემული მუხლი საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში განმარტებულია შემდეგნაირად: „ფულადი საბალანსო მუხლები არის საწარმოს განკარგულებაში არსებული ფულადი სახსრები და მისაღები აქტივები და გასანაღდებელი ვალდებულებები, რომლებიც ასახულია ფიქსირებული ფულადი თანხით“ [1]. აქ იგულისხმება ბალანსის ის მუხლები, რომლებიც გამოხატული არიან უცხოურ ვალუტაში და ასახავენ ფულად საშუალებებსა და ანგარიშსწორებებს.

მოცემული განმარტება გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს, რადგან ფულად მუხლებში გაერთიანებულია მოთხოვნები და ვალდებულებები, რომელთა დაფარვა შესაძლებელია აგრეთვე ნატურითაც. მიგვაჩინია, რომ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების საქართველოს სტანდარტში ცალკე უნდა გამოიყოს „საანგარიშსწორებო მუხლები და მიზნობრივი დაფინანსების სახსრები“, რომელშიც გაერთიანდება მოთხოვნები, ვალდებულებები, გრანტები და სხვა მიზნობრივი შემოსულობანი.

არაფულადი მუხლები – ეს ის მუხლებია, რომლებიც არ ითვლებიან ფულად და საანგარიშსწორებო მუხლებად. მათ მიეკუთვნება ძირითადი საშუალებები, სასაქონლო და საწარმოო მარაგები, საწესდებო კაპიტალი და სხვა ანალოგიური აქტივები და პასივები.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების სწორად აღრიცხვის საქმეში გადაამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ოპერაციის მოხდენის თარიღის ზუსტად განსაზღვრას, რადგან მასთან არის დაკავშირებული საკურსო სხვაობის სიდიდე და, აქედან გამომდინარე, ფინანსური შედეგები.

სამეურნეო საქმიანობიდან გამომდინარე, უცხოურ ვალუტაში სხვადასხვა ოპერაცია შეიძლება განხორციელდეს ჩვენ შეგვიძლებით ქვემოთ წარმოვადგინოთ ამ ოპერაციათა კლასიფიკაცია და განვსაზღვროთ ოპერაციის მოხდენის თარიღი. კერძოდ:

სალაროსა და ბანკის ანგარიშებზე ოპერაციის მოხდენის თარიღად უნდა ჩაითვალოს ამ ანგარიშებზე თანხების ფაქტობრივად შემოსავლის (ჩარიცხვის) ან პირიქით გასვლის (გადარიცხვის) თარიღი.

საქონლის, სამუშაოებისა და მომსახურების რეალიზაციის შემთხვევაში გასათვალისწინებელია ორი მომენტი. კერძოდ, როდესაც რეალიზაციის ასახვისათვის გამოყენებულია დარიცხვის მეთოდი, ოპერაციის მოხდენის თარიღად უნდა ჩაითვალოს ბანკში დოკუმენტების წარდგენის ან ანგარიშის გამოწერის თარიღი. ხოლო თუ საწარმო იყენებს საკასო მეთოდს – სალაროში ან ბანკში სავალუტო ანგარიშზე თანხების შემოსვლის თარიღი.

\* 1999 წლის 4 დეკემბრამდე საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსს უცხოური ვალუტის მიმართ ადგენდა საქართველოს ეროვნული ბანკი.

ბარტერული ოპერაციების შემთხვევაში, როდესაც რეალიზაციის მომენტად აღიარებულია მიწოდება, ოპერაციის მოხდენის თარიღად უნდა ჩაითვალოს ანგარიშების გამოწერის თარიღი, ხოლო როდესაც რეალიზაციის მომენტად აღიარებულია განაღდება, საქონლის იმპორტზე სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში მითითებული თარიღი. ასეთივე წესით უნდა განხორციელდეს ნებისმიერი საქონლისა და სხვა ქონების იმპორტისას ოპერაციის მოხდენის თარიღის განსაზღვრა.

ზემოაღნიშნულთან ერთად დასარეგულირებელია საწარმოს მუშაკებზე გაცემული უცხოური ვალუტის მიხედვით სამეურნეო და სამიწიანებო თანხების დავალთანების დაფარვის თარიღის განსაზღვრის საკითხი. პრაქტიკაში ამას სხვადასხვაგვარად წყვეტენ, რაც ცხადია, სათანადო მეთოდოლოგიის უქონლობით არის გამოწვეული. მიგვაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში დავალთანების დაფარვის თარიღად უნდა ჩაითვალოს სააგანსო ანგარიშის წარმოდგენის თარიღი.

ცალკე განხილვას საჭიროებს აგრეთვე საწესდებო კაპიტალის ფორმირებისას ოპერაციის განხორციელების თარიღის განსაზღვრა. მიგვაჩნია, რომ საწესდებო კაპიტალში, როდესაც შენატანები გათვალისწინებულია უცხოურ ვალუტაში, ოპერაციის განხორციელების თარიღად უნდა ჩაითვალოს სადამფუძნებლო დოკუმენტებზე ხელმოწერის დღე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვაში ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია საკურსო სხვაობის ასახვა, რომელმაც საქართველოში უცხოური ვალუტის თავისუფალი მიმოქცევის დაწყებისთანავე მრავალი პრობლემა წარმოქმნა. მან განსაკუთრებით იჩინა თავი ინფლაციის პირობებში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვის მეთოდოლოგიის განსაზღვრისათვის პირველ რიგში საჭიროა თვითონ ტერმინის „საკურსო სხვაობის“ განმარტება, რომელიც საქართველოს არც ერთ ნორმატიულ აქტში არ არის მოცემული. ჩვენ მიგვაჩნია, რომ განმარტება უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „საკურსო სხვაობა“ არის განსხვავება ანგარიშსწორების ან ანგარიშების შედგენის თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ქონებისა და ვალდებულებების საქართველოს ეროვნულ ვალუტაში შეფასების თანხასა და ამავე ქონებისა და ვალდებულებების საბუღალტრო აღრიცხვაში ასახვის ან წინა საანგარიშგებო პერიოდის შედგენის თარიღისათვის შეფასების თანხას შორის, თბილისის ბანკთაშორის ბირჟაზე ჩამოყალიბებული კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებში ერთ-ერთი მთავარი საკითხია უცხოური ვალუტის გადაანგარიშება. გადაანგარიშება უნდა განხორციელდეს ოპერაციების მოხდენის თარიღისათვის ან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, მაგრამ აქ მთავარია, რა სახის ქონება და ვალდებულებები გადავანგარიშოთ ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის და ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. მიგვაჩნია, რომ საწარმოს საღაროში და ანგარიშსწორების ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები, ანგარიშსწორებათა თანხები (დებიტორ-კრედიტორები), რომლებიც გამოსახულია

უცხოურ ვალუტაში, გადაიანგარიშება როგორც ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის, ასევე ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული კურსით. რაც შეეხება ძირითად საშუალებებს, არამატერიალურ აქტივებს, საწარმოო მარაგებსა და სხვა ქონებას, რომლებიც შეადგენენ არაფულად მუხლებს, გადაიანგარიშება უნდა განხორციელდეს მხოლოდ ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის არსებული კურსით.

ჩვენ დავახასიათეთ უცხოური ვალუტის გადაიანგარიშების მექანიზმი, საკურსო სხვაობის არსი, ოპერაციის განხორციელების თარიღი და სხვ. ახლა განვიხილოთ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგია.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შედგენილ ახალ ანგარიშთა გეგმის მიხედვით უცხოურ ვალუტაში არსებული სახსრების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს 1120 „ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში“, 1220 „უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში“, 1230 „უცხოური ვალუტა არარეზიდენტ ბანკში“ ანგარიშებზე შესაბამის ანგარიშებთან კორესპონდენციით. ამასთანავე, წლის განმავლობაში საკურსო სხვაობების ფინანსურ შედეგებზე ნაკლებად ზემოქმედების მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია დადებითი და უარყოფითი საკურსო სხვაობები წინასწარ აღირიცხოს შესაბამისად 9110 „განსაკუთრებული შემოსავლების“ და 9120 „განსაკუთრებული ხარჯების“ ანგარიშებზე, რომელიც წლის ბოლოს სათანადო გატარებებით დაიხურება „მოგება-ზარალის“ ანგარიშთან კორესპონდენციით.

საკურსო სხვაობის აღრიცხვისას მნიშვნელოვანია, თუ როგორ უნდა აისახოს იგი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საერთაშორისო სტანდარტებით ეს საკითხი განსაზღვრული არ არის. ბასს 21 – უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგები მოითხოვს, რომ გარკვეული ტიპის საკურსო სხვაობები აღიარებული იქნეს შემოსავლის ან ხარჯის სახით. მაგრამ სტანდარტით არ არის განსაზღვრული, სად უნდა იყოს წარდგენილი ისინი მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში [2].

აღნიშნულთან დაკავშირებით საკურსო სხვაობის ეკონომიკური შინაარსიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ იგი უნდა აისახოს მოგება-ზარალის წლიურ ანგარიშგებაში „გაუთვალისწინებელი შემოსავლებისა“ და „გაუთვალისწინებელი ხარჯების“ მუხლებში, რის შესახებაც უნდა მიეთითოს, აგრეთვე, ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

### ლიტერატურა

1. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი. 21, პ.7
2. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი. 12, პ.78

**Л. Григалашвили**

**Вопросы совершенствования бухгалтерского учета при осуществлении операций в иностранной валюте**

В работе рассмотрены актуальные вопросы совершенствования бухгалтерского учета при осуществлении операций в иностранной валюте. Аргументирована необходимость разработки соответствующих стандартов об учете валютных операций, в которых конкретно объяснены такие термины, как «курс валюты», «разница в курсах», «денежные статьи», «не денежные статьи», «дата осуществления валютных операций» и т.д.

Автор представляет методологию бухгалтерского учета при осуществлении операций в иностранной валюте, а также отражение на счетах «прибыли и убытки», вызванное разницей в курсах.

**L. Grigalashvili**

**On the Improvement of Accounting in Currency Transaction**

The work is occupied with the urgent issues of currency transactions. The necessity of working out the appropriate standards relating to accounting in currency transaction is advanced to define such terms as "currency rate", "difference in quotations", "monetary items", "non-monetary items", "date of currency transactions", etc. The author presents the methodology of accounting in currency transaction, as well as the reflection of changes in the profit and loss statement resulting from the difference in quotations.

**ეკონომიკის ისტორია.  
მსოფლიო ეკონომიკა**

ლ. შორანაშვილი

**ინოვაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში**

გასულ საუკუნეებში ადამიანის ეკონომიკური საქმიანობის ხასიათი და მიმართულება, აგრეთვე, მნიშვნელოვანწილად შედეგებიც განისაზღვრებოდა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობითა და ბუნებრივ-კლიმატური (ნიადაგის ნაყოფიერება, წიაღისეული და ა.შ.) პირობებით. მათი როლი დღესაც ძნელი შესაფასებელია, მაგრამ მოსახლეობის ზრდის შესაბამისად ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში სულ უფრო იზრდება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების, ტექნოლოგიური ინოვაციების როლი, რადგან ისინი არსებითად ცვლიან მსოფლიო მეურნეობას, აშაღებენ შრომის მწარმოებლურობასა და წარმოების ეფექტიანობას.

ინოვაციები მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. ინოვაცია (ახალ შემონაღები) პრაქტიკაში აღიქმება როგორც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის (მტკ) გარდასახვა რეალურ ახალ პროდუქტებასა და ტექნოლოგიებში და გულისხმობს შემოქმედებითი (ინტელექტუალური) საქმიანობის შედეგად მიღებული სიახლის პრაქტიკულ გამოყენებას. ინოვაციური პროცესი, როგორც ერთიანი სისტემა, ხასიათდება საწარმოო-ტექნოლოგიური, ორგანიზაციული და სოციალურ-ეკონომიკური ერთიანობით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციების გარეშე არ არსებობს ხანგრძლივი და მძლავრი აღმავლობა. ამას ადასტურებს ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მაგალითი, რომელთაც თავიანთი სიძლიერე მოიპოვეს რადიკალური ახალ შემონაღებების საფუძველზე. ინგლისისათვის ეს იყო ინდუსტრიული მანქანა და აქტიური ქვეყანათა შორისი ვაჭრობა, ამერიკისათვის – ფორდის კონვეიერი და ყოვლისშემძველი ინფორმაციზაცია, იაპონიისათვის – მაგნიტოფონი Sony და ხარისხის უმკაცრესი კონტროლი და ა.შ.

1957 წელს ამერიკელმა ეკონომისტმა რობერტ სოლოუმ აშშ-ის ომის შემდგომი სამრეწველო ზრდის ანალიზისას აღმოაჩინა საინტერესო ფაქტი: პროდუქციის გამოშვების ზრდა ერთ ადამიან/საათზე გაანგარიშებით მხოლოდ

12,5%-ით იყო განპირობებული კაპიტალის გამოყენების ზრდით, დანარჩენი 87,5% კი მოდიოდა ტექნოლოგიურ ცვლილებებზე, ანუ ინოვაციებზე. ამავე პერიოდში ანალოგიურ დასკვნამდე მივიდა მოხეს აბრამოვიცი, რომელმაც ინოვაციები განსაზღვრა როგორც „აშშ-ის ეკონომიკური ზრდის ტექნოლოგიური მიზეზების არცოდნის ზომა“. სოლოუსა და მოზესის დასკვნებმა საფუძველი ჩაუყარა ამ პრობლემის კვლევას, რის შედეგად ინოვაციებსა და მათ გამომწვევე ფაქტორებს სულ უფრო მეტი ყურადღება დაეთმო ეკონომიკურ კონცეფციებში. აღსანიშნავია, რომ ეკონომისტების გარდა მოცემულ პრობლემას სხვა მხრიდან სწავლობდნენ ტექნიკის სპეციალისტებიც, მაგრამ მათ ვერ შეძლეს ამა თუ იმ ახალ შემონაღების შიდა ტექნოკრატიული ლოგიკის დეტალური გარკვევა, ყოველად გაუგებარი ეკონომიკური ეფექტიანობის ახსნა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ შეუძლებელი აღმოჩნდა ეკონომიკური და ტექნოლოგიური კოორდინატების მოქცევა ერთ სისტემაში. აღნიშნულის მიუხედავად, ინოვაციური პროცესი მიმდინარეობდა და მიმდინარეობს, იწვევდა და იწვევს მსოფლიო მურწნობის რევოლუციურ ცვლილებებს.

მრავალი მეცნიერის მიერ დადგენილია, რომ ინოვაცია, თავისი ბუნებით, ციკლური ხასიათისაა და გააჩნია მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენების მულტიპლიკაციური სასტარტო ეფექტი. მსოფლიო მურწნობის განვითარების გრძელვადიანი დინამიკისა და მასში სხვადასხვა ქვეყნის მდგომარეობის განსაზღვრაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს ნ. კონდრატიევის „გრძელი ტალღების თეორია“. 40-50-წლიანი ხანგრძლივობის „გრძელი ტალღების“ მატერიალურ მიზეზად ნ. კონდრატიევი თვლიდა „ძირითადი კაპიტალური დოვლათის“ ნახტომისებურ ცვლილებებს, რომლებშიც წამყვან როლს ასრულებს მტკ. რევოლუციური სტადიების დადგომას იწვევს „ბაზური“ ახალ შემონაღებების ერთობლიობა, რომლის დანერგვით რადიკალურად იცვლება მურწნობის ენერგეტიკული და ტექნიკური საწარმოო ბაზა, ტერიტორიულ-დარგობრივი სტრუქტურები და ორგანიზაციული ფორმები. ეკონომიკური ციკლის დაბალი სტადიიდან უფრო მაღალ სტადიაზე გადასვლა დაკავშირებულია მურწნობის სიღრმისეულ მოდერნიზაციასთან პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე.

ნ. კონდრატიევის თეორიაში მტკ გვევლინება ციკლური დინამიკის შიდა ელემენტად, რადგან იგი უფრო მეტად განისაზღვრება აღმოჩენებისა და გამოკონებების პრაქტიკული გამოყენებით. სწორედ ამით განსხვავდება ეს თეორია სხვა გამოკვლევებისაგან, რომელთა საფუძველში ასევე ჩადებულია განვითარების ტალღური ხასიათი. მაგალითად, ი. შუმპეტერმა გრძელი ტალღების თეორია დაასაბუთა ტექნიკური ცვლილებებიდან გამომდინარე და ტექნიკურ რევოლუციას უწოდა „კონდრატიევის ციკლების გამწვევი ძალა“. მან ასევე ჩამოაყალიბა „საინოვაციო პაკეტების თეორია“ და გამოყო სამი დიდი ტალღა: ოთქელის ძრავა (1720-1842 წ.), რკინიგზა (1843-1897 წ.), ელექტროენერჯია და ავტომობილი (1898-1949 წ.). ა. მინმა 200-წლიანი პერიოდის ანალიზის საფუძველზე დაასაბუთა ბაზური ინოვაციური პაკეტების არსებობა და

ტალღებთან მათი შეფარდების შესაბამისობა.

უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში კაცობრიობის განვითარებაში გამოყოფილია ტექნიკური აზრის ევოლუციის 5 ეტაპი, 5 ტექნოლოგიური წყობა [1,14]:

I წყობა (1785-1835 წ.), რომელიც ეფუძნებოდა საფეიქრო მრეწველობის ახალ ტექნოლოგიებს, წყლის ენერჯის გამოყენებას, მანუფაქტურას.

II წყობა (1830-1890 წ.), რომლისთვისაც დამახასიათებელია სარკინიგზო მიმოსვლის განვითარება, ორთქლის ძრავა, მსხვილი საწარმოების გაჩენა (1000-ზე მეტი მომუშავეთი).

III წყობა (1880-1940 წ.), რომლისთვისაც დამახასიათებელია წარმოებაში ელექტროენერჯის გამოყენება, მძიმე მრეწველობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, ქიმიური კომპლექსის განვითარება, კარტელებისა და კორპორაციების გაჩენა, საბანკო და საფინანსო კაპიტალის კონცენტრაცია.

IV წყობა (1941-1981 წ.), რომლის საფუძველია ენერჯეტიკა ნავთობის, ნავთობპროდუქტებისა და გაზის ბაზაზე, ახალი სინთეზური მასალების გაჩენა, მსხვილი ავტომატისტრადებისა და აეროპორტების მშენებლობა, კომპიუტერებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გაჩენა, ოლიგოპოლიური კონკურენციისა და ტრანსნაციონალური კორპორაციების ბატონობა.

V წყობის ფორმირება დაიწყო XX საუკუნის 80-იანი წლების შუა ხანებში. მისთვის დამახასიათებელია მიკროელექტრონიკის, პროგრამული ტექნოლოგიების, ბიოტექნოლოგიების, გენური ინჟინერიის, ახალი სახის არატრადიციული ენერჯიების, თანამგზავრული კავშირების ახალი სახეების განვითარება, ქსელური კულტურის ელემენტების გაჩენა; წარმოების, მარკეტინგის, დისტრიბუციის ახალი ფორმები; სხვადასხვა იდეოლოგიის, იერარქიული სტრუქტურისა და საკუთრების კომპანიათა თანამშრომლობა პროდუქციის ხარისხის კონტროლის, ინვესტიციებისა და „ხუსტად ვადაში“ მიწოდების ორგანიზაციის სფეროში.

6. კონდრატევისა და სხვა ავტორების შრომების საფუძველზე გამოყოფენ მსოფლიო მეურნეობის განვითარების სამ სტადიას – ინდუსტრიამდელი, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული განვითარება [2,12].

XVIII-XIX სს. სამრეწველო რევოლუციის შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები იწოდებოდნენ ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებად. XX საუკუნის შუა ხანებში კი დ. ბელმა შემოიტანა ტერმინი „პოსტინდუსტრიული საზოგადოება“. ამ ტერმინის დამკვიდრებით დაფიქსირდა საზოგადოების გადასვლა პოსტინდუსტრიული განვითარების ეტაპზე, რომლის ფუძემდებლური არგუმენტია ეკონომიკაში მრეწველობის წამყვანი როლის დაკარგვა (ინდუსტრიული განვითარების ეტაპზე მრეწველობის დარგებში დასაქმებული იყო მუშაკთა დიდი რაოდენობა და იწარმოებოდა ქვეყნის მშპ-ს უდიდესი ნაწილი) და მომსახურების სფეროს სწრაფი ზრდა (სტატისტიკის თანახმად ამჟამად ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების მომსახურების სფეროში დასაქმებულია მთლიანი სამუშაო ძალის 1/2-დან 3/4-

მდე და მასზე მოდის მშპ-ს დაახლოებით ნახევარი). აღნიშნულთან ერთად უდიდეს როლს ასრულებს ინფორმაციები და ინფორმაციული ტექნოლოგიები (იბ).

იტ-ის გავრცელება დაკავშირებულია თანამედროვე მტრ-სთან, რომელსაც ზრდის სტადიების თეორიის ავტორმა უ. როსტომ მეთხე სამრეწველო რევოლუცია უწოდა (პირველ სამრეწველო რევოლუციას იგი 1780 წლით ათარიღებს. პირველი და მეორე სამრეწველო რევოლუციები ემთხვევა ნ. კონდრატიევის ოთხ „გრძელ ტალღას“, ანუ ინდუსტრიული განვითარების სტადიას, მესამე სამრეწველო რევოლუცია – პოსტინდუსტრიული განვითარების სტადიას). ამ რევოლუციაში გადაშვევტი მნიშვნელობა აქვს საყოველთაოდ, მათ შორის ძველ დარგებშიც, გამოყენებად ახალ ტექნოლოგიებს: მიკროელემენტებს, გენურ ინჟინერიას, ლაზერებს, რობოტიკებს, კომუნიკაციის ახალ საშუალებებს, ახალ სამრეწველო მასალებს. მეოთხე რევოლუცია შინაგანად უფრო მეტადაა დაკავშირებული ფუნდამენტურ მეცნიერებებთან, რომლებიც თვითონ განიცდიან სწრაფ რევოლუციურ ცვლილებებს. ეს ნიშნავს, რომ აქ მთავარ როლს ასრულებს მეცნიერი, ხოლო ახალი ტექნოლოგიების გენერირებისა და გავრცელებისათვის გადაშვევტი მნიშვნელობა აქვს მეცნიერის, ინჟინრისა და მეწარმის ეფექტიან კავშირუთიერთობას [3,285]. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მეოთხე რევოლუციის შედეგად მსოფლიო მურნეობა გადადის განვითარების ახალ ეტაპზე, რომელსაც ვერ სახელწოდება არ გააჩნია. მისი ტექნოლოგიური ბირთვი იქნება ბიოტექნოლოგიები, არატრადიციული ენერგეტიკა (მაგალითად, მზისა და წყალბადის), ნანოტექნოლოგიები, მოლეკულური ელექტრონიკა, მულტიმედიაური კომუნიკაციები, აგრეთვე ისეთი ეგზოტიკა, როგორცაა მთვარისა და მარსის ეკონომიკა (უკანასკნელ შემთხვევაში მხედველობაშია არა მარტო წიაღისეულის მოპოვება, არამედ აგრეთვე დედამიწიდან მანვ წარმოებების გატანა) [4,28].

პირველმა სამმა სამრეწველო რევოლუციამ სერიოზული ცვლილებები შეიტანა მსოფლიო მურნეობაში, მაგრამ ისინი პრაქტიკულად ერთი და იმავე ტიპური სქემით მოქმედებდნენ, რომლის არსი შეიძლება შემდეგი სახით გამოვხატოთ: დარგები, რომლებშიც განდნენ სამომხმარებლო ბაზრისათვის განკუთვნილი მნიშვნელოვნად მომგებიანი პრინციპულად ახალი პროდუქტები, მოქმედებდნენ ძველ სექტორებთან ურთიერთკავშირში და მათში ავრცელებდნენ თავიანთ ინოვაციებს (მაგალითად, ელექტროენერჯის აღმოჩენამ განაპირობა მისი გამოყენება მრეწველობის სხვადასხვა დარგში). ამის შედეგად ყალიბდებოდა ახალი ტექნოლოგიური წყობა, რომელიც უზრუნველყოფდა შრომის მწარმოებლურობისა და შემოსავლების ზრდას პრაქტიკულად მთელი ეკონომიკის მასშტაბით და ეს გრძელდებოდა ერთი რევოლუციიდან მეორემდე. მაგრამ უკანასკნელ მეცნიერ-ტექნიკურ რევოლუციას, ადრინდელებისაგან განსხვავებით, არ გამოუწვევია შრომის მწარმოებლურობისა და მოგების ნორმის არსებითი გადიდება. სამრეწველო ტექნოლოგიები პრაქტიკულად ძველებური დარჩა. გარდა ამისა, ადამიანთა მოთხოვნები უწინდებურად ძველი სექტორი აკამოფივლებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინფორმაციული სექტორის პროდუქციის გამოყენებულთა მნიშვნელოვან ნაწილს შეუძლია მასზე უარის თქმა ყოველგვარი დანაკარგის გარეშე, როგორც ჩანს, ინფორმაციული ტექნოლოგიების ზემოქმედება მწარმოებელურობაზე მაშინაა მოსალოდნელი, როდესაც მათთვის გამოიძებნება ახალი ამოცანები და მათი გადაჭრის საშუალებები. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სერიოზულ ცვლილებებს დრო სჭირდება. ეკონომიკის ისტორიკოსმა პოლ დევიდმა დაამტკიცა, რომ ელექტროენერგეტიკამ სხვა დარგების მწარმოებელურობაზე სერიოზული ზემოქმედება მოახდინა ელექტროენერჯის გამოყენების დაწყებიდან 40 წლის შემდეგ.

ეკონომიკაზე ინფორმაციული ტექნოლოგიების ზემოქმედების გააზრებას და მომხდარ ცვლილებებში გარკვევას მრავალი მეცნიერი ცდილობს. საინტერესოა ჟურნალ Wired-ის კახუხისმგებელი რედაქტორის ქვენი ქელის მოსაზრებები, რომელიც მან ჩამოაყალიბა თავის სტატიაში „ახალი წესები ახალი ეკონომიკისათვის, წარმატების 12 პრინციპი სწრაფად ცვალებად მსოფლიოში“ (1997წ.). ამ პრინციპების არსი იმაშია, რომ მომავალში მკვეთრად გაიზრდება ეკონომიკის სუბიექტთა კავშირუთიერთობების როლი და ფასეულობა. ამასთან, ეს კავშირები უფრო მობილური და მოქნილი იქნება. ობიექტების რიცხვის ექსპონენციალური ზრდა და მათი კავშირები „ქსელურ ეკონომიკას“ ამსგავსებს ბიოლოგიურ სისტემას, რომელიც ცხოვრობს ტექნოლოგიებისაგან განსხვავებული კანონებით.

ქელის აზრით, ქსელის ლოგიკა თავდაყირა აყენებს ზოგიერთ ტრადიციულ წარმოდგენას. ფასეული ხდება არა ის, რაც დეფიციტურია, არამედ ის, რაც ჭარბადაა და ყველგანაა გავრცელებული. ეს „ფაქსის ეფექტი“ იმდენაა ქსელში დაბანდებული სახსრების უკუგების ზრდის შესაძლებლობას მისი ყველა მონაწილისათვის (მოგებას ისინი, რა თქმა უნდა, არათანაბრად ინაწილებენ). მასობრივი წარმოების საქონლის, პროდუქტის ან მომსახურების როგორც თვითღირებულება, ისე ფასი სწრაფად დაეცემა, ხოლო ხარისხი კონკურენციის შედეგად გაიზრდება. ეს საუკეთესო სიტუაციაა მომხმარებლისათვის, რომელიც უკეთესი ხარისხის საქონელს სულ უფრო დაბალი ფასით მიიღებს. მწარმოებლებს კი თავის გადასარჩენად მოუწევთ ინდივიდუალური წარმოების ახალი საქონლისა და მომსახურების მიწოდების გაფართოება, რომელთა ხარჯზეც ისინი მიიღებენ ძირითად შემოსავალს. შესაბამისად, გამეორება და კოპირება, ისევე როგორც წინასწარ მოცემულ ვიწრო ჩარჩოებში პრობლემის გადაჭრის მცდელობა უფრო არაეფექტიანი იქნება, ხოლო გამოთვლიანობა, ორიგინალურობა, შემოქმედება მკვეთრად ამაღლდება ფასში. მაგრამ რადგან ნებისმიერი ინოვაცია მუდამ ნგრევაა, ამიტომ გარდაუვალია კომპანიების, მთელი ინდუსტრიების, იდეების პერმანენტული დაღუპვა, რომელთა ნაცვლად მოდის ახალი იდეები, კომპანიები, ინდუსტრიები.

ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები არა მარტო კომპანიების,

ინდუსტრიების ცვლილებათა მიზეზია, არამედ ისინი განვითარების სტრატეგიების ძირითად პარამეტრებად გადაიქცნენ. მათ ბაზაზე ყალიბდება გლობალური ეკონომიკა, ვითარდება გლობალური ბიზნესი, კაცობრიობას გაუჩნდა პროგრესის პრინციპულად ახალი შესაძლებლობები, მსოფლიო ეკონომიკას – პროგრესის პარადიგმა, რის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტელექტუალური შემადგენლის მნიშვნელობა. ინტელექტუალური პოტენციალის რაციონალური გამოყენება, ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება დღეს ყველა ქვეყნისა და მთლიანად მსოფლიო მეურნეობის განვითარების მასტიმულირებელი ფაქტორია. თანამედროვე საერთაშორისო გარემოცვაში ტექნოლოგიური ინოვაციები კომპანიების კონკურენტუნარიანობის მთავარი წყაროა. ახალი ტექნოლოგიები გარდაიქმნება „მეორე ბუნებად“, რომელიც აყალიბებს პიროვნებისა და კაცობრიობის განვითარების პირობებს, ცვლის ბაზარსა და საკუთრების უფლებას, ძირს უთხრის კონკურენციას, ხელს უწყობს გლობალური მონოპოლიების ბატონობას და ასუსტებს მათ საქმიანობაზე სახელმწიფო რეგულირების შესაძლებლობას.

გლობალურ ეკონომიკაში კომპანიებს ბაზარზე თავიანთი პოზიციების შესანარჩუნებლად სჭირდებათ მომხმარებელთა მოთხოვნის, მათი განწყობის ტენდენციების დროული გათვალისწინება, იმის დადგენა, თუ ინოვაციების რა პროცენტია სტიმულირებული მომხმარებლებით, რა – იდეების გენერატორებით. აშშ-ში ეს თანაფარდობა შესაბამისად შეადგენს 3:4 და 1:5. ინოვაციური საქმიანობის საიდუმლო საბაზრო მოთხოვნის უბრალო გათვალისწინებაშია.

უცხოელი მკვლევარების აზრით, ინოვაციები ან გამოგონებები იშვიათად არიან აღმოჩენების შედეგები. ისინი უფრო ხშირად წარმოიშობა ორგანიზაციის შიდა ან გარე გარემოში არსებული პრობლემის ან შესაძლებლობის საპასუხოდ. პ. დრუკერის მიერ გამოყოფილია ინოვაციების 4 შიდა და 3 გარე წყარო [5]. შიდა წყაროებს მიეკუთვნება გაუთვალისწინებელი შემთხვევები, შეუსაბამობა-შეუთავსებლობა, საწარმოო პროცესისა და დარგის საჭიროება, ბაზრის ცვლილებები, ცვლილებები მოლოდინში და ახალი ცოდნა. საბოლოო ჯამში, ინოვაციური საქმიანობის ყველაზე მძლავრი წყაროა ახალი ცოდნა, რომელიც კომპანიებს აძლევს მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობას.

თანამედროვე ინოვაციური პროცესებისათვის დამახასიათებელია მეცნიერების როლის არსებითი ცვლილება, რომელიც გამოიხატება მეცნიერებასთან მათი კავშირების შესუსტებასა და მოვლენებთან კავშირში. ინოვაციურ პროცესებში მეცნიერების როლის ცვლილებები აიხსნება იმ გარემოებით, რომ თანამედროვე ეტაპზე ეს უკანასკნელი გვევლინება არა მარტო ინოვაციური იდეების წყაროდ, არამედ ინოვაციური პროცესის ყველა რგოლის გამჭოლ რესურსად. ინოვაციურმა პროცესმა შეიძინა სისტემური, კომპლექსური ხასიათი. აღნიშნულის შედეგად გაჩნდა სამეცნიერო წარმოების ხარისხობრივად ახალი ხერხი. მისი ძირითადი მახასიათებელი ნიშნებია ცოდნის წარმოება მისი გამოყენების კონტექსტში, დისციპლინათა შორისობა, პეტეროგენურობა და ორგანიზაციული დივერსიფიკაცია, სოციალური

პასუხისმგებლობის ამაღლება, უფრო ფართო პრინციპებზე დაფუძნებული ხარისხის კონტროლის სისტემა [6].

ახალი ტექნოლოგიებით მიღწეული რევოლუციური გარდაქმნები ცვლის ცნობიერებას, თვით ტექნოლოგიები კი, რომლებმაც მიიღეს სახელწოდება high hume ჩვეულებრივი high tech-ის ნაცვლად, ყველაზე მომგებიან ბიზნესად იქცა. high hume-ს მთავარი პიპოთეზაა ბიზნესში ადამიანის ფაქტორის გაძლიერება ადრინდელ ტექნოლოგიებთან შედარებით. ბიზნესი აღარ იქნება ფაბრიკანტის საქმე, იგი ისევ ხელოსნის საქმედ გადაიქცევა.

აშშ-ში გამოგონებებისა და მეცნიერული კვლევის შედეგების გარდაქმნა წარმატებულ ტექნოლოგიურ ბიზნესად განვითარებულია უმაღლეს დონეზე. აშშ მსოფლიო ლიდერია მეცნიერებატევადი პროდუქციის ექსპორტში. მისი ექსპორტი შეადგენს დაახლოებით 700 მლრდ დოლარს, გერმანიის – 530 მლრდ დოლარს, იაპონიის – 400 მლრდ დოლარს. აშშ-ს დადებითი სავაჭრო საღდო გააჩნია ინტელექტუალური საკუთრების ოპერაციებზე. აშშ მეცნიერებასა და გამოგონებებში აბანდებს შშპ-ის 2,7-2,8%-ს. აშშ-ს გარდა, დადებითი სავაჭრო საღდო ინტელექტუალური საკუთრების ოპერაციებზე აქვს იაპონიას, რომელსაც სურს გაუსწროს აშშ-ს და ამიტომ მასზე მეტ სახსრებს აბანდებს მეცნიერებასა და გამოგონებებში [8].

გლობალური კონკურენციის პირობებში კომპანიები ეძებენ ინოვაციური პროცესის რეალიზაციის ეფექტიან გზებს. ერთ-ერთი ასეთი ეფექტიანი გზაა ფირმათა შორის და სექტორთა შორის თანამშრომლობა. იზრდება აგრეთვე კონტაქტების მნიშვნელობა სახელმწიფო, საუნივერსიტეტო და სამრეწველო სამეცნიერო ორგანიზაციებს შორის. უცხოური წყაროების მონაცემებით [9], უნივერსიტეტებისა და სამრეწველო მეცნიერების თანამშრომლობის ძირითადი ფორმებია სამეცნიერო-ტექნიკური პარკები, ინოვაციური ცენტრები, ერთობლივი საწარმოები, საუნივერსიტეტო სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრები, შეთანხმებები სამრეწველო-საუნივერსიტეტო კვლევების შესახებ, სამეცნიერო-კვლევითი კონსორციუმები. მძლავრი სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსები, როგორც წესი, იქმნება უნივერსიტეტების ირგვლივ. საუნივერსიტეტო და სამრეწველო სამეცნიერო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით შექმნილი მთელი რიგი სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრები, ერთიანი სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური ზონები, რომლებიც ხელს უწყობენ საუნივერსიტეტო კვლევის შედეგების დანერგვის დაჩქარებასა და ახალი თაობის სტუდენტთა მომზადებას, რომელთაც შეუძლიათ მათი დანერგვა. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია აშშ-ის „სილიკონის ველი“, რომელიც შეიქმნა სტენდფორდის უნივერსიტეტთან და რომლის შექმნაც განაპირობა მაღალი ტექნოლოგიების ინდუსტრიამ. ამ სილიკონის (კაუბადის) ველში განლაგებულია 4 ათასზე მეტი კომპიუტერული ფირმა. აქ უშეგებენ აშშ-ის რაკეტებისა და თვითმფრინავების წარმოების 1/3-ს, ნახევარგამტარების მსოფლიო წარმოების 1/5-ს, კომპიუტერების – 1/6-ს [10]. სილიკონის ველში თავიანთი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები აქვთ ამერიკულ IBM-ს, Intel-ს, იაპონურ Sony-ს, ტაივანის Acer Incorporation-ს

და სხვა კომპანიებს.

ინგლისელი ეკონომისტის კ. ფრიმანის კვლევის შედეგად (იგი აანალიზებდა აშშ-ისა და დასავლეთ ვეროის კომპანიების სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ხასიათს ბიოტექნოლოგიების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ახალი მასალების წარმოების სფეროში) დადგინდა, რომ ამ თანამშრომლობის ძირითადი ფორმა იყო ერთობლივი პროექტები სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სფეროში. მასზე მოდიოდა ყველაზე მეტი პროექტი: 29,8%-ბიოტექნოლოგიებში, 27,6%-ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, 25,1%-ახალ მასალებში. თანამშრომლობის დანარჩენი ფორმების რიცხვშია ერთობლივი ვენჩურული ფორმები, კვლევითი კორპორაციები, შეთანხმებები ტექნიკური გაცვლის შესახებ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, შეთანხმებები მომხმარებლებსა და მომწოდებლებს შორის შეთანხმებები ცალმხრივი ტექნოლოგიური ნაკადების შესახებ [11].

კომპანიების ახალი ტექნოლოგიური საფუძვლების ფორმირება იწვევს „მეცნიერება-ტექნოლოგია-წარმოება-მომხმარება“ სისტემის გართულებას, რაც, თავის მხრივ, ინოვაციურ პროცესს მატებს ახალ ფუნქციურ ელემენტებს. კერძოდ, მის სტრუქტურაში მარკეტინგთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ინვესტიციურმა კომპონენტმა. ინოვაციური პროცესის დაფინანსება უაღრესად აქტუალური პრობლემაა. ინოვაციურ პროექტებში ინვესტიციების მოზიდვის მთავარი სირთულე განპირობებულია დაბანდებათა გრძელვადიანი ხასიათითა და პირველ ეტაპებზე უკუგების არარსებობით, აგრეთვე იმის რისკით, რომ იგი შეიძლება საერთოდ უშედეგო იყოს. მაღალტექნოლოგიურ სექტორში მომუშავე ტრანსნაციონალური კორპორაციების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მომავალი მოთხოვნა უნდა იყოს არა მარტო პროგნოზირებული, არამედ იგი ფორმირებასაც საჭიროებს. ინოვაციური პროცესების რისკის შემცირების მიზნით იზრდება კერძო კომპანიების თანამშრომლობა საერთო პროექტების ერთობლივი დაფინანსების კუთხით. ერთობლივი ძალისხმევით შექმნილია ისეთი სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრები, როგორებიცაა AT&T კომპანიის Bell Labs-ი, IBM-ის Yorktown laboratories-ი, Xerox-ის, Microsoft-ის და სხვა კომპანიების კვლევითი ცენტრები.

დასავლეთში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსების მთავარი წყარო კერძო სექტორია. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში კერძო სექტორის მიერ ფინანსდება სამეცნიერო ხარჯების 70%-მდე. სახელმწიფო ინვესტირება ძირითადად განათლებასა და ფუნდამენტურ კვლევებში ხორციელდება.

ინოვაციების რეალიზაციას ხელს უწყობს ეროვნული კვლევითი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია. მაგალითად, ბ. კლინტონის ადმინისტრაციის მიერ შემუშავებულია ნანოსამყაროს კვლევის განვითარების სპეციალური პროგრამა „ეროვნული ინიციატივა ნანოტექნოლოგიების სფეროში“. 2000 წელს ამ პროგრამის დაფინანსება შეადგენდა 270 მლნ დოლარს, 2001 წელს კი იგი 495 მლნ დოლარამდე გაიზარდა. დაფინანსების ასეთი ზრდა

განპირობებულია ნანოტექნოლოგიებთან დაკავშირებული ბუმით (ბერძნული "nanos" ნიშნავს ჯუჯას, ხოლო ნანოტექნოლოგიები ითვალისწინებენ მეტრის ერთ მემილიარდედ ზე ნაკლები ზომის ობიექტებთან მუშაობას). ნანოტექნოლოგიების სფეროს სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ შესაძლებელია ნანომანქანების შექმნა, რომლებიც, თავის მხრივ, შეძლებენ თავიანთი ასლების წარმოებას. თვითაღწარმოებულ ნანორობოტებს ექნებათ პროდუქციის წარმოების მასის ზრდის პრაქტიკულად უსაზღვრო პოტენციალი. აღსანიშნავია, რომ ნანოტექნოლოგიები თავისი წარმოშობით მიკროსკოპის წარმატებებთანაა დაკავშირებული. პირველად ნანოტექნოლოგიები მოიხსენება 1959 წელს ფიზიკის მეცნიერების კონგრესს რიჩარდ ფეინმანის ლექციებში, მაგრამ მათი დაბადების წლად მიჩნეულია 1982 წელი, როდესაც ამერიკული IBM-ის შვეიცარიული განყოფილების მეცნიერებმა გ. ბინინგმა და გ. როჩერმა შექმნეს სასკანერო ზონდური მიკროსკოპის პირველი ნიმუში (ამ აღმოჩენისათვის მათ მიენიჭათ ნობელის პრემია ფიზიკაში). აშშ-ისა და სხვადასხვა ქვეყნის მთავრობების გარდა, პერსპექტიული ნანოტექნოლოგიების დამუშავებაში უდიდეს სახსრებს აბანდებენ უმსხვილესი High-Tech კორპორაციები.

ნანოტექნოლოგიების გარდა, მსოფლიო ეკონომიკის ინოვაციური კონტურების განმსაზღვრელ მიმართულებებს მიეკუთვნება: დამუშავებები ბიოტექნოლოგიების, გენეტიკისა და მედიცინის სფეროებში, ციფრული ტექნოლოგიების განვითარება და განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებული ე.წ. ციფრული უთანასწორობის, ტექნოლოგიური გარღვევის გადალახვა, მსოფლიოს ფულადი და სავაჭრო სისტემების რეორგანიზაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე.

თანამედროვე პირობებში ამა თუ იმ ქვეყნის ბედი და მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჩაეწერება იგი მსოფლიო ეკონომიკის ახალ ინოვაციურ კონტურებში. დღეს ქვეყნის ეკონომიკური ძალის განმსაზღვრელია მეწარმეთა კლასის ინტელექტუალური დონე და ინოვაციური უნარი. ეკონომიკურ აღმავლობას ადგილი აქვს იქ, სადაც ასეთი რესურსია. სწორედ ამიტომ გრძელვადიან პერსპექტივაში წინგამსწრები ტემპით განვითარების ძირითადი წყარო იქნება ადამიანისუფლი (ინტელექტუალური) კაპიტალის ხარისხი (სხვადასხვა გამოკვლევებით სხვა თანაბარ პირობებში ადამიანისუფლი კაპიტალის ხარისხის ზრდა, მაგალითად, ბრაზილიის დონიდან აშშ-ის დონემდე ეკონომიკის ზრდის ტემპებს აღიძებს 1,5-2%-ით წელიწადში). მისი კვლავწარმოებისათვის საჭიროა განათლების თანამედროვე სისტემა, რომელიც თავის მხრივ, ვერ იარსებებს კონკურენტუნარიანი სამეცნიერო კვლევების გარეშე.

საქართველო ინტელექტუალური კაპიტალით მდიდარი ქვეყანაა. მას გააჩნია განვითარებული ქვეყნების შესაფერისი მეცნიერული ელიტა. შესაბამისად, საქართველოს აქვს ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი რესურსი, რომლის გონივრული გამოყენებით შესაძლებელია სერიოზული აღმავლობა. უკვე დღეს საჭიროა იმის გაგება, რომ ქვეყნის გრძელვადიანი

განვითარების ვექტორი ადამიანისუფელი კაპიტალით უნდა განისაზღვროს. საქართველოს სტირდება ისეთი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც განაპირობებს მძლავრი ინოვაციური სექტორის ჩამოყალიბებას. ჩვენმა ქვეყანამ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში თავისი ღირსეული ადგილი სწორედ ამ სექტორით უნდა დაიმკვიდროს.

ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირებისათვის უნდა გამოიძენოს სათანადო სახსრები, რომლებიც მოხმარდება მეცნიერების აღორძინებასა და განათლების სისტემის სრულყოფას. სახელმწიფოსთან ერთად ამ პროცესში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს კერძო სექტორმა. რა თქმა უნდა, ჩვენი საწარმოებისათვის ინოვაციების დანერგვა და, შესაბამისად, ამ მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო საშუალოთა წარმოება არაა პრიორიტეტული. მიუხედავად ამისა, უნდა ვიზრუნოთ, რომ დარგობრივი ინსტიტუტები გადაიქცეს კერძო კომპანიების საკუთრებად, მათი ბიზნეს-სქემების ნაწილად, მათი საქმიანობა კი ორიენტირებული იყოს ბაზრის მოთხოვნაზე. ქვეყნის ინოვაციური პოლიტიკა უნდა აეფუძნოს ეროვნული იდეოლოგიის რანგში. ყველამ უნდა გაითავისოს, რომ ახალ შემონაღებები და ინფორმაცია მათ შესახებ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პერსპექტივების დამადასტურებელი და კაპიტალიზაციის ამაღლების საშუალებაა.

ქვეყნის ინოვაციური სექტორის შესაქმნელად საჭიროა ინოვაციური პოტენციალის შეფასება, არსებული მეცნიერული დამუშავებებისა და გამოგონებების დაყვანა „საბაზრო კონდიციაზე“, აქტუალური სიახლეების ძიება და მათზე მოთხოვნის სტიმულირება, ინოვაციური ფირმების შექმნა და დასავლეთის ბაზრებზე მათი გასვლის სახელმწიფო ხელშეწყობა, ვენჩურული ბიზნესის განვითარება. ამ უკანასკნელის განვითარებისათვის ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებთან (უპირველესად, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან) მიზანშეწონილია ბიზნეს-ინკუბატორების, ტექნოპარკების შექმნა, რომლებიც გადაიქცევიან ვენჩურული ფირმების პროტოტიპებად. ვენჩურულმა ბიზნესმა ხელი შეუწყოს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გადასვლას პოსტინდუსტრიული განვითარების ფაზაზე [10,11,12]. იგი მუშაობს ინდუსტრიული სამყაროს ახალ ტექნოლოგიურ და დარგობრივ ნიშებში. ვენჩურული კაპიტალით ინვესტირებული კომპანიები განსაზღვრავენ ოპტიმალურ ტრავექტორიებს ეროვნული ბიზნესის განვითარებისა და მასშტაბური ინვესტიციებისათვის და, რაც მთავარია, ესაა ინვესტიციები მტკ-ში, რომელიც, თავის მხრივ, ამაღლებს მეურნეობის ეფექტიანობას. ამას კარგად ადასტურებს ლათინური ამერიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ომნიშემდგომი განვითარების ტემპების შედარება. ლათინური ამერიკის ქვეყნებში მტკ-ზე იხარჯებოდა მშპ-ის 1%-ზე ნაკლები და ადგილი ჰქონდა მეურნეობის სტაგნაციას. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთმა ქვეყანამ კი მეცნიერების სახელმწიფო სტიმულირება ქვეყნის პოლიტიკად აქცია და მეცნიერებაზე შეძლო მშპ-ის 2,7%-მდე კაპიტალდაბანდებათა განხორციელება. ზოგიერთ მომენტში ეს ინვესტიციები აღემატებოდა აშშ-ისა და გერმანიის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

აღნიშნულის შედეგად სამხრეთი კორეა გახდა საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის მსოფლიო ბაზრის აქტიური სუბიექტი. მაგალითად, Samsung-ი აწარმოებს ჩიპების, ბიოტექნოლოგიების, ძალიან დიდ ეკრანის ტელევიზორების, კედლის ბრტყელი ტელევიზორების, ნოუთბუკების ფერადი დისკლეების საკუთარ ვერსიებს და ღირსეულ კონკურენციას უწევს იაპონელ და ამერიკელ მწარმოებლებს. მაღალიზამ დიდ წარმატებებს მიაღწია მიკროპროცესორების ბაზის მსოფლიო ბაზარზე, სინგაპურმა – პროგრამული უზრუნველყოფისა და ბიოტექნოლოგიების ბაზარზე, ტაივანმა – პერსონალური კომპიუტერების წარმოებაში.

ზემოთ აღნიშნული მაგალითიდან გამომდინარე, საინოვაციო საქმიანობის გააქტიურება, ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს სისტემატური ზრუნვის საგნად უნდა იქცეს. ჩვენმა მთავრობამ არ უნდა დაუშვას „ტვინების გადინება“, ახალგაზრდა პერსპექტიული კადრების დაკარგვა. ამისათვის კი საჭიროა სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება და მაღალი ხელფასები, ჩვენს სასარგებლოდ იმ თანამედროვე მსოფლიო ტენდენციის გამოყენება, რომელიც გამოიხატება განვითარებად ქვეყნებში მაღალტექნოლოგიური წარმოებების გადატანაში, რადგან იქ იაფია შრომა. აღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ დღეს ტერიტორიის ეფექტიანი ათვისება მისი ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების ამოღებაა. განვითარებული ქვეყნები ცდილობენ საუკეთესო მეცნიერების, სპეციალისტების მიზიდვას და ასეთი სახით ინტელექტუალური კაპიტალის დაგროვებას. ადამიანისეული კაპიტალის კონცენტრაცია ობიექტური პროცესია. უფრო განვითარებული სამყაროს პროგრესი მიმდინარეობს „ასათვისებელი“ ქვეყნების დეგრადაციის ხარჯზე. სწორედ ამ პრობლემის გააზრებამ წარმოშვა ე.წ. „წყალწაღებული“ ქვეყნების ცნება. ესაა ის ქვეყნები, რომელთაც დაკარგეს განვითარების რესურსი და მათი წარმოების უნარი. საქართველოს წინაშეც დგას ასეთი საშიშროება და მისი თავიდან აცილება პროგრესული ეკონომიკური პოლიტიკითაა შესაძლებელი, რომლის მთავარი შემადგენელი უნდა იყოს ახალი ცოდნის დაგროვების ხელშეწყობა, ინტელექტუალური კაპიტალის ხარისხის ამაღლება. მსოფლიო მეურნეობაში მიმდინარე რევოლუციური ცვლილებები ნათლად მტყვევებს, რომ ცოდნის გარეშე „ახალი ეკონომიკის“ პროდუქტების მოხმარება, ახალ ინოვაციურ კონტურებში ჩაწერა უბრალოდ შეუძლებელია. მსოფლიო ეკონომიკის ინოვაციურ კონტურებს გარეთ დარჩენილი ქვეყნები კი განწირულნი არიან.

ინოვაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში შეუფასებელია და მათი შედეგები არაა შეცდრად დეტერმინირებული. მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების გამოყენება შეიძლება როგორც ადამიანთა სასიკეთოდ, ისე ცივილიზაციის საწინააღმდეგოდ. XX საუკუნე იყო ფენომენალური მეცნიერული აღმოჩენების საუკუნე, მაგრამ ისტორიაში იგი შევიდა როგორც ყველაზე სისხლიანი, მოკლული და დასახიჩრებული ადამიანების რიცხვითა და მატერიალური ფასეულობების

განადგურების მასშტაბებით. XXI საუკუნეში კიდევ უფრო დიდი მეცნიერულ-ტექნიკური აღმოჩენებია მოსალოდნელი, მაგრამ კაცობრიობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ისინი მის საწინააღმდეგოდ არ შემობრუნდნენ.

### ლიტერატურა

1. Ж. «Эксперт», 2001, № 42
2. Липец Ю. Г., Пуляркин В. А., Шлихтер С. Б. География мирового хозяйства. М., 1999
3. Rostow W. W. Is There Need for Economic Leadership U. S. // American Economician Review. 1985, № 2 (may)
4. Ж. «Эксперт», 2000, № 16
5. Maurer J. G., Shulman J. M., Ruwe M. L., Becherer R. C. Encyclopedia of business. London, 1995
6. Организация, управление и планирование экономики // Экономика и управление в зарубежных странах (по материалам иностранной печати): Информ. бюл., М., 1997, №9
7. Финансовые известия, 1998, № 13
8. Б. Столярков. Сколько потратить на науку. Эксперт, 2000, № 16
9. Галаган А. И. Университеты США и Японии и их сотрудничество с промышленной наукой. М., 1993
10. ღ. ყორღანაშვილი. ვენჩურული ბიზნესი და საქართველოში მისი განვითარების პერსპექტივები. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაშრომთა კრებული „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, XIX გამოშვება, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001
11. Инновационная деятельность зарубежных фирм. Отв. ред. Вишнякова Г. В., М., 1993
12. ვენჩურული ბიზნესის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. საერთაშორისო საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო შრომების კრებული „საერთაშორისო ბიზნესი“, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002, №3-4

### Л. Корганашвили Роль инноваций в мировой экономике

За последние столетия характер и направление человеческой экономической деятельности, в значительной степени и ее результаты, определялись географическим положением региона и климатическими условиями. В настоящем и будущем времени основой прогресса будет интеллектуальная составляющая. Исходя из этого в статье рассматриваются вопросы развития инновационной деятельности и значения международного сотрудничества в области НИОКР, отмечены инновационные контуры мировой экономики. Особое внимание уделено вопросу развития инновационной деятельности в Грузии, которая имеет достойный для развитой страны человеческий (интеллектуальный) капитал.

**L. Korghanashvili**  
**The Role of Innovations in World Economy**

For the last centuries the character and trend of human economic activity and to a great extent its outcomes have been determined by the geographic location and climatic conditions of a region. Nowadays and in the future the intellectual component will be the basis of progress. Proceeding from the above, the article discusses the questions of development of innovative activity and the significance of international cooperation in the R&D field. Also mentioned are innovative outlines of world economy. Special attention is given to the development of innovative activity in Georgia, having the human (intellectual) potential worthy of a developed country.

Year	2004	2005	2006	2007	2008	2009
Research and development expenditure (current prices)	100	100	100	100	100	100
Government expenditure	100	100	100	100	100	100
Private expenditure	100	100	100	100	100	100
Expenditure on R&D as a share of GDP	100	100	100	100	100	100



For the first time the character and kind of business economic activity and its great extent in countries have been determined by the...  
 conditions of a region...  
 basis of progress...  
 of innovative activity...  
 field...  
 to the development of innovative activity...  
 the world market...

რ. შუტკარაძე

გერმანიის საგარეო ვაჭრობა

გერმანიის მსოფლიო ვაჭრობაში წამყვანი ადგილი უკავია. საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობით მას აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს. გერმანიის ექსპორტმა 2000 წელს 550 114 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა და მასზე მოდის საქონლის მსოფლიო ექსპორტის 9.6%. გერმანია მსოფლიოში, როგორც საქონლის ექსპორტის, ისე იმპორტის მოცულობით ჩამორჩება მხოლოდ აშშ-ს, რომლის ექსპორტმა შეადგინა 702 098 მლნ აშშ დოლარი, რაც მსოფლიო ექსპორტის 12.4%-ია. მაგრამ გერმანია ერთ მიცხოვრებზე ექსპორტის რაოდენობით (6613 აშშ დოლარი) ბევრით უსწრებს აშშ-ს (2554 აშშ დოლარი). რაც შეეხება გერმანიის იმპორტს, მან 501 559 მლნ აშშ დოლარი შეადგინა და უჭირავს მსოფლიო იმპორტის 8.2%. (აშშ იმპორტი 1 059 430 მლნ აშშ დოლარია, რაც მსოფლიო იმპორტის 18.5%-ია). ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის გააჩნია სტაბილური დადებითი სავაჭრო ბალანსი. გერმანიაში ყოველი მეოთხე სამუშაო ადგილი ექსპორტზეა დამოკიდებული. ასე რომ, ათ მილიონზე მეტ სამუშაო ადგილს ქმნის ექსპორტი.

(ცხრილი 1, 282-283; 2, 279-280)

გერმანიის საგარეო ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები

მილიონი აშშ დოლარი

წლები	1996	1997	1998	1999	2000
ექსპორტი	542 140	512 367	543 597	542 864	550 114
იმპორტი	458 752	445 492	471 315	473 543	501 559
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	1 000 892	957 879	1 014 912	1 016 407	1 051 673
საგარეო სავაჭრო ბალანსი (ხაღდო)	83 388	66 875	72 282	69 321	48 555

ცნობილია, რომ გერმანია ევროკავშირის წამყვანი ქვეყანაა და ეს მის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიულ სტრუქტურაზე აისახება (იხ. ცხრილი 2).

გერმანიის საგარეო ვაჭრობაში იზრდება ევროკავშირის ქვეყნებისა და სხვა განვითარებული ქვეყნების წილი.

ცხრილი 2[3,275-282]

გერმანიის ექსპორტ-იმპორტის გეოგრაფიული სტრუქტურა

	ექსპორტი		იმპორტი	
	მლნ. აშშ \$	%-ით ჯამისადმი	მლნ. აშშ \$	%-ით ჯამისადმი
EU*	312 544	57.6	255 237	53.9
NAFTA*	62 751	11.6	43 452	9.2
ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები	44 892	8.3	40 943	8.6
დსთ*	7 885	1.5	10 981	2.3
MERCOSUR*	6 336	1.2	4 562	1
ASEAN*	8 811	1.6	12 627	2.7
სხვა ქვეყნები	99 615	18.3	105 741	22.3
ჯამი	542 864	100	473 543	100

გერმანიის ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის კუთხით არის საფრანგეთი (იხ. ცხრილი 3). 1999 წელს გერმანიიდან საფრანგეთში ექსპორტირებულია 55 634 მლნ აშშ დოლარის, ხოლო 2000 წელს – 62 825 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საქონელი. 1999 წელს გერმანიაში საფრანგეთიდან იმპორტირებულია 48 933 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საქონელი და 2000 წელს – 47 940 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საქონელი. გერმანიის უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს წარმოადგენენ საფრანგეთი, აშშ, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო, იტალია, ავსტრია, ბელგია, იაპონია, შვეიცარია, ესპანეთი, პოლონეთი, ჩინეთი, შედეთი, ჩეხეთი, უნგრეთი და დანია.

საბოლოო ჯამში გერმანიის საგარეო ვაჭრობის 70-75% ევროპის ქვეყნებზე მოდის, დაახლოებით 13% – აზიის ქვეყნებზე, 10% - ჩრდილოეთ ამერიკისა და დაახლოებით 2% აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებზე. [4,333].

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, გერმანიის მთავარი სავაჭრო პარტნიორებია: ევროკავშირის ქვეყნები, აშშ და იაპონია. რაც შეეხება გერმანიის სავაჭრო ურთიერთობებს დსთ-ს ქვეყნებთან, 1999 წელს ექსპორტირებულია 7885 მლნ და აშშ დოლარის ღირებულების საქონელი და

\* EU – European Union - ევროკავშირი, NAFTA – North American Free Trade Agreement- ჩრდილოამერიკული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება, დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, MERCOSUR - Mercado Comunal Sur- Common Market in Southern Latin America - სამხრეთამერიკული სურთო ბაზარი, ASEAN – Association of South East Asian Nations- სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია.

გერმანიის უმსხვილესი საეკონომიკური პარტნიორი ქვეყნები

ქვეყანა	1997	1998	1999	2000
	% მთლიან ექსპორტთან			
საფრანგეთი	10.5	10.7	10.2	9.6
ნიდერლანდები	8.7	8.4	8.1	8.8
აშშ	7.6	8.2	8.3	8.5
გაერთ. სამეფო	7.0	6.8	6.9	7.0
იტალია	7.9	7.8	7.4	6.7
იაპონია	4.9	5.0	4.9	4.9
ბელგია	6.1	5.6	4.9	4.8
ავსტრია	3.8	4.0	4.1	3.8
შვეიცარია	3.9	3.9	3.8	3.4
ჩინეთი	2.8	2.8	3.1	3.4
ესპანეთი	3.4	3.4	3.3	3.0
რუსეთი	2.2	1.8	1.9	2.7
სხვა ქვეყნები	31.2	31.5	33	33.4
	% მთლიან იმპორტთან			
საფრანგეთი	10.5	10.7	10.2	9.6
აშშ	8.6	9.4	10.1	10.3
გაერთ. სამეფო	8.4	8.5	8.5	8.3
იტალია	7.3	7.4	7.4	7.5
ნიდერლანდები	7.1	7.0	6.7	6.4
ავსტრია	5.3	5.4	5.5	5.3
ბელგია	5.8	5.7	5.3	5.1
ესპანეთი	3.7	4.0	4.4	4.5
შვეიცარია	4.5	4.5	4.5	4.3
პოლონეთი	2.3	2.5	2.4	2.4
შვედეთი	2.3	2.3	2.3	2.3
იაპონია	2.3	1.9	2.0	2.2
სხვა ქვეყნები	31.7	30.3	29.3	29.9

იმპორტირებულია 10981 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საქონელი. დსთ-ს ქვეყნებთან გერმანიას გააჩნია უარყოფითი საეკონომიკური ბალანსი 3096 მლნ აშშ დოლარის ოდენობით. თანამედროვე ეტაპზე დსთ-ს საეკონომიკური ურთიერთობებში გერმანიას წამყვანი ადგილი უჭირავს. მაგალითად, დსთ-ს ქვეყნებიდან უმსხვილესი ექსპორტიორ-იმპორტიორია რუსეთი, რომლის მთავარ პარტნიორს გერმანია წარმოადგენს. 1996 წელს გერმანიიდან რუსეთში ექსპორტირებულია 5158 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საქონელი, 1997 და 1998 წელს

შესაბამისად - 6640 და 5504 მლნ აშშ დოლარის, ხოლო 1999 წელს - 4195 მლნ აშშ დოლარის ღირებულების, რაც რუსეთის ექსპორტის 13.9%-ს შეადგენს.

ასევე 1996 რუსეთში გერმანიიდან იმპორტირებულია 6734 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საქონელი, 1997, 1998 და 1999 წელს შესაბამისად 6531, 5697 და 6178 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საქონელი, რაც რუსეთის იმპორტის 8.5%-ს შეადგენს [6, 278, 7, 277]. შედარებისათვის, რუსეთს ექსპორტის 14.8% (10690 მლნ აშშ დოლარი) დსთ-ს ქვეყნებზე, როცა 33.2% ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის. 1999 წლის მონაცემებით რუსეთის იმპორტის 27.5% (8339 მლნ აშშ დოლარი) დსთ-ს ქვეყნებზე და 36.5% (11101 მლნ აშშ დოლარი) ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის.

ცნობილია საგარეო ვაჭრობის სამი ძირითადი ფორმა: იმპორტი, ექსპორტი და ტრანზიტული ვაჭრობა [8,25] გერმანიას საქართველო ინტერესებს ტრანზიტული ვაჭრობის, შემდეგ ექსპორტის და ბოლოს იმპორტის კუთხით. პერსპექტივაში მოსალოდნელია საგარეო ურთიერთობების გაზრდა დსთ-ს ქვეყნებსა და გერმანიას შორის. ცნობისათვის, ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს სოციალისტური ქვეყნიბიდან სსრ კავშირი ყველაზე ფართოდ ვაჭრობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, ხოლო კაპიტალისტური ქვეყნიბიდან საგარეო ურთიერთობათა დარგში სსრ კავშირის ყველაზე მთავარი პარტნიორი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. შემდეგ მოდიოდნენ: იაპონია, საფრანგეთი, ფინეთი, იტალია და ინგლისი [9,57-59].

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მონაცემებით 1997 წელს გერმანიიდან საქართველოში ექსპორტირებულია 115 მლნ ღირებულების საქონელი, 1998, 1999 და 2000 წელს შესაბამისად 171,4, 90,2 და 195,5 მლნ ღირებულების საქონელი. 1997 წლის მონაცემებით გერმანიაში საქართველოდან იმპორტირებულია 40,5 მლნ ღირებულების საქონელი, 1998, 1999 და 2000 წელს - შესაბამისად 36,2, 41,5 და 51 მლნ ღირებულების საქონელი. როგორც მე-4 ცხრილიდან ჩანს, გერმანიის ექსპორტი საქართველოში და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიაში ევროპის ქვეყნებში მისი ექსპორტის დაახლოებით 0,05%-ს შეადგენს, მაგრამ ეს რეგიონი გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების სფეროშია. ჩვენ თუ ერთმანეთს შევადარებთ გერმანიის სტატისტიკის ფედერალური სამსახურისა და საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებს, ვნახავთ, რომ საქართველო-გერმანიის საგარეო ბრუნვა 1997-2000 წლებში საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით გერმანიის მონაცემებთან შედარებით ნაკლებია 100 მლნ აშშ დოლარით. ნათელია, ამ ერთ-ერთ კონკრეტულ შემთხვევაში რა რაოდენობის თანხებს კარგავს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი.

საქართველო დიდი ხნის მანძილზე მოწყვეტილი იყო ევროპაში მიმდინარე პროცესებს, მაგრამ გერმანიასთან, ევროპასთან საქართველოს ურთიერთობები არასოდეს გაუწყვეტია. როცა გერმანიას ვახსენებთ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს გერმანია როგორც ევროკავშირის წამყვანი ქვეყანა და ევროკავშირის სტაბილურობის გარანტია, ევროკავშირი კი ევროპის

გერმანიის სავაჭრო ურთიერთობები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან  
მლნ DM

	ექსპორტი				იმპორტი			
	1997	1998	1999	2000	1997	1998	1999	2000
საქართველო	115	171.4	90.2	195.5	40.5	36.2	41.5	51
აზერბაიჯანი	123.8	191.8	128.6	173.4	24.5	22.5	336.1	477.1
სომხეთი	52.8	54.3	48.6	65.2	13.1	9.7	13.9	42.8
ჯამი	291.6	417.5	267.4	434.1	78.1	68.4	391.5	570.9

და, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს სტაბილურობის გარანტია. სუციალისტების აზრით, საქართველომ უნდა გაზარდოს სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები გერმანიასთან, შექმნას ხელსაყრელი გარემო და უფრო მეტიც, ევროკავშირის წევრი გახდეს. „მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა აღიღვინა, ევროკავშირის წევრობის გარდა, ჩვენ, მომავლისათვის სხვა ალტერნატივაზე არასოდეს გვიფიქრია“ [11,3].

საქართველო მთავარ პრიორიტეტად ყოველთვის ევროკავშირის წევრობას სახედა. ამ მიზნის მისაღწევად განვლილი წლების მანძილზე ყველაფერი კეთდებოდა. ქვეყანაში ფუნქციონირებს ევროკავშირთან თანამშრომლობის საკოორდინაციო საბჭო, ხდება ეროვნული კანონმდებლობის ევროპულიდან პარმონიზაცია, ხელმოწერილია პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება და ა.შ. თავად ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა ისე წარმართა, რომ დღეს ეჭვს აღარ იწვევს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანება.

გარდამავალ ეტაპზე საქართველომ აუცილებელია მჭიდრო და მეგობრული კავშირები გაზარდოს მეზობელ ქვეყნებთან, ასევე იმ ქვეყნებთან, რომელთა ეკონომიკური განვითარების დონე მსოფლიოში მაღალია. მათ შორის გერმანიასთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის გაზრდის აუცილებლობა დღეს არაერთარ ეჭვს არ იწვევს თანამედროვე ეტაპზე საქართველო და უფრო სწორად მთლიანად სამხრეთ კავკასიის ქვეყნები აშშ-ის, გერმანიის, იაპონიის, ჩინეთის, რუსეთის, გაერთიანებული სამეფოს და სხვა ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სავაჭრო ინტერესების სფეროშია.

მართალია, საქართველოზე გერმანიის ექსპორტის 0.02%-იც არ მოდის, მაგრამ, ჩვენი აზრით, 1. სავაჭრო ურთიერთობები მხარეებს შორის გაიზრდება. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 2001-2005 წლების ინდიკატური გეგმით 2005 წლისათვის საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის პროგნოზი შეადგენს შესაბამისად 1240-1338 და 1785-1920 მლნ აშშ დოლარს. ჩვენი აზრით, ამ პერიოდისათვის გერმანიასთან სავაჭრო ურთიერთობები მნიშვნელოვნად იქნება გაზრდილი. 2. გერმანია წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოს თავისი ეკონომიკური და

პოლიტიკური პოტენციალით. ბუნებრივია, გერმანიის ეკონომიკური ინტერესები ძირითადად დაკავშირებულია საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობასთან. საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით გერმანიას ეძლევა საშუალება გაზარდოს სავაჭრო კავშირები უფილი საბჭოთა კავშირის, ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებთან. გერმანიისათვის საქართველო, როგორც დამაკავშირებელი პუნქტი, მარტო იმ მხრივ არ იქნება საინტერესო, რომ ამ გზით შეიძლება გერმანიაში წარმოებულ პროდუქციას მოექმნოს ბაზარი, არამედ პირიქით – ამ გზით გერმანიისათვის საჯირო საქონლის ექსპორტი მოხდება იმავე ქვეყნებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო უფრო ადრე პოლიტიკური ინტერესების სფეროდ იქცევა, ვიდრე ეკონომიკურისა, რაც საქართველომ ეკონომიკის განვითარებისათვის უნდა გამოიყენოს. საქართველოში, ალბათ, დასავლეთ ევროპას არ ექნება ერთიანი პოლიტიკური ინტერესი. ჩემი აზრით, ალბათ, პოლიტიკური ინტერესები ექნება: აშშ-ს, თურქეთს, რუსეთს, გერმანიას. ყველაზე დიდი ეკონომიკური ინტერესები ექნება გერმანიასა და იტალიას. საქართველოსათვის პოლიტიკური თვალსაზრისით მისაღებია გერმანული ორიენტაცია, რომელიც მისთვის მოხსნის ჩრდილო-სამხრეთის დაპირისპირებას [12,100-101]. საქართველო აშშ-ის გეოპოლიტიკური ინტერესების სფეროშია და აქ დიდი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამასთან, ევროკავშირისაკენ საქართველოს დღევანდელი რეალობა და ევროსაბჭოში მისი გაწევრიანებითაა განმტკიცებული. შორეულ ამერიკასთან შედარებით მეზობელი ევროპა, ალბათ, უფრო მიმზიდველია, მაგრამ ევროკავშირში შესასვლელად ჩვენს ქვეყანას განვითარების სათანადო დონე არ გააჩნია და ეს მომავლის საქმეა [13,301]. ამასთან, აშშ და მასთან კოალიციაში მყოფი ევროპული სახელმწიფოები საქართველოს არა მარტო სტრატეგიული პარტნიორები არიან, არამედ მათი როლი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ევროპული ორიენტაციის შენარჩუნებაში განუზომლად იზრდება [14, გვ.20].

ცხადია, გერმანია საქართველოს მეგობარი, სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანაა და მისი როლი ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, დამოუკიდებლობისა და ევროპული ორიენტაციის შენარჩუნებაში განუზომლად იზრდება. „მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკისაკენ მიმავალ გზაზე შეუძლია საქართველოს ძლიერი პარტნიორების იმედი ჰქონდეს“ [153]. საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობა აქვს, ის მსოფლიოს გაზაფხურდინზე მდებარეობს და აკავშირებს ევროპას აზიასთან. საქართველოს საკმარისი პოტენციალი გააჩნია, რომ ღირსეული ადგილი დაიკავოს მსოფლიო ეკონომიკაში და ასევე სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები მნიშვნელოვნად გაზარდოს გერმანიასთან. ეს პერიოდი საქართველოს აუცილებლად დაუდგება ახლო მომავალში. ამასთან, ჩვენი აზრით, ევროპა-კავკასია-ცენტრალური აზიის სტრანსპორტო დერეფნის (TRASECA) ამოქმედებით ყველაზე მეტად მოიგებს გერმანია. ჯერ ერთი, საფუძველი ტრასეკას პროგრამას 1993 წელს ევროკავშირის წევრი ქვეყნების კონფერენციაზე ჩაეყარა, მართალია ამ კონფერენციაში

მონაწილეობდნენ ყირგიზეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და ცენტრალური აზიის სახელმწიფოები. ამ კონფერენციის ერთ-ერთი მთავარი კატალიზატორი იყო გერმანია. მეორე, ტრასეკას პროგრამა ითვალისწინებს სატრანსპორტო დერეფნის შექმნას, ანუ ისტორიული აბრეშუმის გზის აღდგენას.

გერმანია წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობაში ექსპორტ-იმპორტის მოცულობით მეორე ქვეყანას მსოფლიოში და პირველ ქვეყანას ევრაზიის კონტინენტზე, მასზე მოდის საქონლის მსოფლიო ექსპორტის 9.6%, ევროპის ექსპორტის 21.4%, ევროპისა და აზიის ექსპორტის 12.6%. ასევე გერმანიაზე მოდის საქონლის მსოფლიო იმპორტის 8.2%, ევროპის იმპორტის 18.9%, ევროპისა და აზიის იმპორტის 11.9%. ამრიგად, უნდა ვიფიქროთ, გერმანია ამ პროექტით მეტს მოიგებს, ვიდრე მასში მონაწილე სხვა სახელმწიფოები.

ბოლო პერიოდში სულ უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება საქართველოსადმი გერმანიის დაინტერესების ზრდა. საქართველოსა და გერმანიას შორის ჩამოყალიბდა აქტიური პოლიტიკური, სავაჭრო, ფინანსური, ტექნიკური და სხვა სახის ურთიერთობები. დაბოლოს, საქართველოს დასავლური ორიენტაცია, აღებული კურსი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაზე, მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები და ამ მხრივ კონკრეტულად გადადგმული ნაბიჯები, გეოპოლიტიკური მდებარეობა ქნის იმის საფუძველს, რომ საქართველო გერმანიის ერთ-ერთი უმთავრესი პარტნიორი გახდეს კავკასიის რეგიონში.

### ლიტერატურა

1. StBA. Stat. Jahrbuch 2001 für das Ausland.
2. Statistisches Jahrbuch 2001 für die Bundesrepublik Deutschland. Herausgeber: statistisches Bundesamt.
3. Einfuhr ausgewählter Länder 1999 nach Ländergruppen. Ausfuhr ausgewählter Länder 1999 nach Ländergruppen Quelle: Statistisches Jahrbuch 2001 für das Ausland. Herausgeber: statistisches Bundesamt.
4. Tatsachen über Deutschland. Frankfurt, 2000.
5. Statistisches Jahrbuch 2001 für das Ausland. Herausgeber: statistisches Bundesamt.
6. Statistisches Jahrbuch 2001 für das Ausland. Herausgeber: Statistisches Bundesamt. Wiesbaden, 2001.
7. Europa von A-Z: Taschenbuch der europäischen Integration / Institut für Europäische Politik. Hrsg. Von Prof. Werner Weidenfeld und Prof. Wolfgang Wessels. 6. Aufl. Bonn: Europa Union Verlag, 1997.
8. Außenhandel / Prof. F. -Ulrich Jahrman. -9., überarb. Und erw. Aufl. -Ludwigshafen: Kiehl, 1998.

9. ჩიქავა ლ., სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა. ჟურნალი „კომუნისტი“, №1. 1981.
10. StBA. Stat. Jahrbuch 2001 für die BRD
11. საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა, ადამიანის უფლებათა, ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვითი პოლიტიკის კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №66 (4125). 2002.
12. ნარკვიანი გ., საქართველო აუცილებლად მიაღწევს საწაღელ მიზანს. ჟურნალი „მუდმივი კავშირის სამყარო“, 2002, №2 (14).
13. ჯიბუტი მ., მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის უახლესი ისტორია და პერსპექტივები. „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“. (სამეცნიერო ნაშრომთა კრებული), XVI გამოშვება, თბილისი, 2001.
14. ყორღანაშვილი ლ., საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები და საქართველო. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები I, თბილისი, 2001.
15. პაპავა ვ., საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“. 2001, №5
16. Finanzielle Zusammenarbeit mit Georgien. Eine Partnerschaft mit Perspektiven. Herausgeber: Kreditanstalt für Wiederaufbau. 2001.

**Р. Путкарадзе**  
**Внешняя торговля Германии**

Рассмотрены динамика внешней торговли, географическая структура экспорта-импорта и крупнейшие торговые партнёры Германии. Особое внимание обращено на роль Германии и ее экспортную ориентацию в мировой торговле. Рассмотрены торговые отношения Германии со странами СНГ, в том числе с Грузией.

**R. Putkaradze**  
**Foreign Trade of Germany**

The German foreign trade dynamics, the geographic structure of its exports and imports and the largest trade partners are discussed. Specific attention is given to the fact that Germany ranks second in the world trade, every fourth job in the country being dependent on exports, which accounts for more than ten thousand jobs. The trade relations of Germany with the CIS countries, including Georgia, are described. Three basic forms of foreign trade are given, as well as Germany's interest in cooperation with Georgia in terms of

transit trade, exports and imports. Germany is found to benefit from the putting into operation of the transport corridor Europe-Caucasus-Central Asia (TRACECA).

**დ. შორაანაშვილი**  
**ბ. შადურო**

**თეორიული შეხედულებები საფინანსო და სამრეწველო  
კაპიტალის ინტეგრაციის შესახებ**

საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაცია ობიექტური პროცესია და მას საფუძველი XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე ჩაეყარა. მისი ბირთვია ფინანსური კაპიტალი, რომელიც წარმოიქმნება საბანკო და სამრეწველო მონოპოლიების შერწყმის შედეგად.

საბანკო და სამრეწველო კაპიტალის დაახლოებისა და კავშირთიერთობათა გაძლიერების, შემდგომ კი ფინანსური ჯგუფების შექმნის პრობლემის კვლევა XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ამ პერიოდის კვლევათა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგლისელი ეკონომისტის ჯ. ა. ჰობსონის ნაშრომები, რომლებშიც ფინანსური ოლიგარქია დახასიათებულია, როგორც კაპიტალისტური სამყაროს ახალი მოვლენა. ზღვრული სარგებლიანობის თეორიის საფუძველზე ჯ. ა. ჰობსონმა გაანალიზა კონკურენციის პრობლემები გაცვლის პროცესში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მასში ფინანსისტის როლი ბევრად აღემატება ვაჭრისას. 1902 წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი „იმპერიალიზმი“, სადაც წერს, რომ ძლიერ და კარგად ორგანიზებულ სამრეწველო და საფინანსო ჯგუფებს სურთ განეითარონ ბაზრები საკუთარი ჭარბი საქონლისა და კაპიტალისათვის [1, 98]. თავისი ანალიზის საფუძველზე ჰობსონმა ასევე დაასკვნა, რომ განეითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკაში გაბატონებულ პოზიციებს სულ უფრო მეტად იკავებენ მსხვილი საფინანსო და სამრეწველო ბიზნესის წარმომადგენლები. მათი დახასიათებისას კი შემოიტანა „ფინანსური ოლიგარქიის“ ცნება.

ჯ. ა. ჰობსონის კვლევის შედეგებმა სერიოზული ზემოქმედება მოახდინა ინგლისელი ლეიბორისტებისა და ამერიკელი რეფორმისტების თეორიულ შეხედულებებზე. ისინი გამოიყენა, აგრეთვე, ვ. ი. ლენინმა წიგნში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“.

ინგლისელი ეკონომისტის ჯ. ა. ჰობსონის კვლევების მიუხედავად, საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის პრობლემის პირველ

სპეციალურ გამოკვლევად ითვლება ავსტრიელი ეკონომისტის რ. ჰილფერდინგის ნაშრომი „ფინანსური კაპიტალი“, რომელიც ფაქტობრივად ფინანსური კაპიტალის პრობლემის პირველი ფუნდამენტური ნაშრომია. ამ ნაშრომში გამოკვეთილია ბანკების განსაკუთრებული როლი კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციაში.

აღნიშნული პრობლემის შესასწავლად, რ. ჰილფერდინგი ჯერ ახალიზებს ფულისა და კრედიტის თეორიებს, შემდეგ სააქციო კაპიტალის, ბირჟებისა და ბანკების საკითხებსა და ბოლოს, - ფინანსურ კაპიტალს. იგი თვლის, რომ ერთობლივი ინტერესის საფუძველზე, ბანკი სამრეწველო საწარმოთა გაერთიანებებს ამზადებს მჭიდრო კავშირუროთიერთობათა დასამყარებლად. ბანკი, რომელიც სერიოზულადაა დაინტერესებული, მაგალითად, ქვანახშირის შახტით, იყენებს თავის ზემოქმედებას მეტალურგიულ ქარხანაზე იმისათვის, რათა იგი გახადოს ამ შახტის ქვანახშირის მყიდველი. ესაა კომბინაციის ჩანასახი. ან თუ იგი დაინტერესებულია ორი ერთგვაროვანი საწარმოთი, რომელთა შორის მბაფრი კონკურენციაა, ბანკი ცდილობს მათ მორიგებას და ასეთი სახით იხსნება გზა კომოგენური შეთანხმებისათვის ან ფუზიისათვის (შთანთქმისათვის). სამრეწველო საწარმოთა საქმიანობაში ბანკების ასეთი ჩარევა აჩქარებს და ამარტივებს სამრეწველო კონცენტრაციის პროცესს, ამასთან, შესაძლებელია კონკურენტული ბრძოლის შედეგების განკურება [2, 265-266].

რ. ჰილფერდინგი თავისი კვლევის შედეგად აღგენს, რომ მრეწველობის დამოკიდებულება ბანკებზე არის საკუთრებითი ურთიერთობების შედეგი. სულ უფრო მზარდი კაპიტალი აღარაა იმათი კუთვნილება, ვინც მას იყენებს. კაპიტალის განკარგვის უფლებას ისინი იღებენ ამ კაპიტალის მფლობელი ბანკის მეშვეობით. ამასთან, ბანკი თავისი კაპიტალის სულ უფრო დიდ ნაწილს აბანდებს მრეწველობაში და ხდება სამრეწველო კაპიტალისტი. ასეთი სახით სამრეწველო კაპიტალად გარდაქმნილ საბანკო კაპიტალს, ანუ ფულის ფორმით წარმოდგენილ კაპიტალს რ. ჰილფერდინგი უწოდებს ფინანსურ კაპიტალს.

ავსტრიელი მეცნიერის ამ განმარტებამ ფართო აღიარება და გამოყენება კიოვა მოცემული პრობლემატიკის კვლევაში.

რ. ჰილფერდინგს შესწავლილი აქვს აგრეთვე პერსონალური უნიის როლი ფინანსურ ოლიგარქიაში. მისი აზრით, იმ შემთხვევაში, როდესაც მრეწველობა სულ უფრო დამოკიდებული ხდება საბანკო კაპიტალზე, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მრეწველობის მაგნატები ხდებიან საბანკო მაგნატებზე დამოკიდებულნი. იმის მსგავსად როგორც თვით კაპიტალი თავის უმაღლეს საფეხურზე გადაიქცევა ფინანსურ კაპიტალად, ისევე კაპიტალისტური მაგნატი, ფინანსური კაპიტალისტი თავის ხელში სულ უფრო მეტად იგდებს ძალაუფლებას ეროვნულ კაპიტალზე და ეს სწორედ საბანკო კაპიტალზე ბატონობის ფორმით ხდება. ამაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პერსონალური უნია [2, 301-302].

კაპიტალის მოძრაობის ფორმების ანალიზის საფუძველზე რ. ჰილფერდინგი ასკენს, რომ ფინანსური კაპიტალი წარმოადგენს ფულად

კაპიტალს და მას ნამდვილად აქვს ამ უკანასკნელის მოძრაობის ფორმა: ფ. ფ., ანუ ესაა ფული, რომელსაც მოაქვს ფული . . . ფულადი კაპიტალის როლში იგი ორნაირი ფორმით – როგორც სასესხო კაპიტალი და როგორც ფიქციური კაპიტალი – შეიძლება მიეწოდოს მწარმოებელ კაპიტალისტს. ამ პრობლემის შუამავალი ბანკია, რომელიც ამავდროულად ცდილობს ფულადი კაპიტალის მზარდი ნაწილის გარდაქმნას საკუთარ კაპიტალად და ამგვარად ფინანსური კაპიტალი იღებს საბანკო კაპიტალის სახეს. ეს საბანკო კაპიტალი სულ უფრო მეტად გადადის უბრალო ფულად ფორმაში ანუ გადაიქცევა ნამდვილად ფუნქციონირებად კაპიტალად, ე. ი. სამრეწველო კაპიტალად. ერთდროულად საეპრო კაპიტალი სულ უფრო მეტად კარგავს დამოუკიდებლობას იმისდა მიხედვით, როგორ ისმოდა საბანკო კაპიტალისა და სამრეწველო კაპიტალის დაყოფა ფინანსურ კაპიტალში [2, 313].

რ. ჰილფერდინგის კვლევებში აღნიშნულია ფინანსური კაპიტალის ჩამოყალიბებისა და განვითარების მონოპოლისტური ასპექტები, ამიტომ მან ფაქტობრივად გარკვეული საფუძველი ჩაუყარა „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ კონცეფციას, რომლის თანახმად წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის განვითარება იწვევს ე. წ. „საყოველთაო კარტელის“ წარმოქმნას.

ჯ. პობსონის მიერ ჩამოყალიბებული ფინანსური ოლიგარქიის ცნება საფუძვლიანად აქვს გაანალიზებული ე. ი. ლენინს. იგი ფინანსურ ოლიგარქიას განიხილავს როგორც მონოპოლისტების სათავეში მდგომებს, რომლებიც განასახიარებენ ფინანსური კაპიტალის ბატონობას კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში იმპერიალიზმის სტადიაზე. რა თქმა უნდა, ე. ი. ლენინი ყველა საკითხს უდგებოდა კლასობრივი თვალსაზრისით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფინანსური კაპიტალის არსის გარკვევაში.

ჯ. პობსონის, რ. ჰილფერდინგისა და ე. ლენინის კვლევები განხორციელებულია ფინანსური კაპიტალის „წანასახოვან“ პერიოდში. ფინანსური კაპიტალის ფორმირებისა და განვითარების შესაბამისად, საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის პროცესებისადმი მიდგომამ არსებითი ცვლილებები განიცადა. გაჩნდა სხვადასხვა, ზოგიერთ შემთხვევაში სრულიად საწინააღმდეგო თეორიული შეფასებები. ამასთან იყო პერიოდები, როდესაც მეცნიერები კარგავდნენ ინტერესს აღნიშნული პრობლემისადმი. ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემის კვლევა წარმოებდა სხვა კუთხით: მაგალითად, კორპორაციების (განსაკუთრებით კი მსხვილის) ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგადი საკითხების ჩარჩოში, ან ეფექტიანი კონკურენციის კონცეფციების პოზიციებიდან გამომდინარე, ან ქვეყნის ეკონომიკის მონოპოლიზაციის (ან ოლიგოპოლიზაციის) სრული შეზღუდვის შეუძლებლობის საფუძველზე და სხვ. ასეთი სახის კვლევებიდან აღსანიშნავია XX საუკუნის 30-იან წლებში გამოქვეყნებული ა. ბერლისა და გ. მინზის ნაშრომი „თანამედროვე კორპორაცია და კერძო საკუთრება“ [3], რომელშიც განვითარებულია ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებლების თ. ვებლენისა და ჯ. კომონის მიერ ჩამოყალიბებული იდეა „მმართველთა რევიოლუციის“ შესახებ,

რომლის თანახმად წარმოების საშუალებებზე კონტროლს უნდა ახორციელებდნენ მენეჯერი-ტექნოკრატები. ასეთი სახით შესაძლებელია ეკონომიკური ინტერესების დაბალანსება ან შეხამება.

ა. ბერლიმ და გ. მინზმა თავიანთი კვლევის საფუძველზე დაადგინეს, რომ:

1. ქვეყნის ეკონომიკაში უმეტესობას შეადგენენ უმსხვილესი კორპორაციები და ადგილი აქვს მათი ეკონომიკური პოტენციალის კონცენტრაციის ზრდის ტენდენციას - აშშ-ის დაახლოებით 200 სამრეწველო კორპორაციაში თავმოყრილია ქვეყნის მთლიანი სამრეწველო კაპიტალის დაახლოებით 40%.

2. მკვეთრად იზრდება აქციონერთა რიცხვი და, უპირველესად, მოსახლეობის მიერ დაზოგილი თანხებით სამრეწველო კომპანიების აქციების ყიდვის შედეგად.

კვლევის აღნიშნულმა შედეგებმა წარმოშვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ კონტროლის უფლება კაპიტალის მფლობელთაგან უნდა გადასულიყო მმართველთა ხელში და ეს, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, განაპირობებდა ეკონომიკურ ინტერესთა დაბალანსებას. აღსანიშნავია, რომ ა. ბერლისა და გ. მინზის ნაშრომში თითქმის მთლიანადაა უარყოფილი ფინანსური კაპიტალის და მისი ორგანიზაციული ფორმების (ფაქტობრივად, ფინანსური ოლიგარქიის) არსებობა. ა. ბერლის საკმაოდ დრო დასჭირდა იმისათვის, რომ კორექტივები შეეტანა ამ დასკვნაში. კერძოდ, 1959 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ძალაუფლება მესაკუთრის გარეშე“ აღიარა, რომ ფინანსური ინსტანციები, მართალია, სპეციფიკური ფორმით, მაგრამ მაინც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სამრეწველო კაპიტალის კონცენტრაციაში. ფინანსური ჯგუფების როლი აშშ-ის ეკონომიკაში ასევე არაა სათანადოდ შეფასებული ამერიკელი ეკონომისტების რ. გორდონისა და პ. ტრესკოტის ნაშრომებშიც. მაგრამ 60-80-იან წლებში გაჩნდა მთელი რიგი ნაშრომებისა, რომლებშიც ნათლადაა წარმოჩენილი ფინანსური კაპიტალისა და ფინანსური ჯგუფების არსი და მათი როლი ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასეთი სახის ნაშრომებიდან აღსანიშნავია რ. ფიტჩისა და პ. ოპენგეიმერის სტატია „უინ მართავს კორპორაციას“ [5], რომელშიც გაკეთებულია დასკვნა, რომ ბანკები იმაზე უფრო ძლიერ ზემოქმედებენ არასაფინანსო კორპორაციებზე, ვიდრე ამას მათი წინამორბედები ვარაუდობდნენ.

ფინანსური კაპიტალისა და ფინანსური ჯგუფების არსის ტყუილად გაგება ჩამოყალიბებულია დ. კოტცის წიგნში „საბანკო კონტროლი აშშ-ის მსხვილ კორპორაციებზე“ [6]. დ. კოტცს თავის ნაშრომში „ფინანსური კაპიტალის“ ცნების ნაცვლად გამოყენებული აქვს „ფინანსური კონტროლი“, რომელშიც იგი გულისხმობს ფინანსური დაწესებულების უნარს განსაზღვროს კორპორაციის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ასევე ფინანსური ჯგუფების ნაცვლად იგი ხმარობს ტერმინს „საფინანსო ინსტიტუტების ჯგუფი“, რომელშიც იგულისხმება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩამოყალიბებული, მსხვილ არასაფინანსო ფორმებზე კონტროლის განმახორციელებელი კომპლექსები.

დ. კოტცმა გამოიკვლია მსხვილ ფირმებზე საფინანსო დაწესებულებების ზემოქმედების ბერკეტები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსხვილი კორპორაციების მაკონტროლებელი მთავარი ფაქტორი ბანკებია. ბანკები დომინირებენ და ბატონობენ მრეწველობის, ვაჭრობისა და სხვა სფეროებში. აშშ-ის სამრეწველო ფირმების სააქციო კაპიტალის სულ უფრო მზარდი ნაწილი კონცენტრირებულია საფინანსო დაწესებულებებში მათ მიერ ფასიანი ქაღალდების პირდაპირი შესყიდვის, აგრეთვე სატრასტო ოპერაციების აქტიური განვითარების შედეგად.

საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის პრობლემის საინტერესო ანალიზი და ამ პრობლემისადმი ფრანგი ეკონომისტების მიდგომებია მოცემული ბ. ბელონის წიგნში „ფინანსური კაპიტალი და მრეწველობა საფრანგეთში“ [7]. ფინანსური კაპიტალის არსი, მნიშვნელობა და წარმოშობის საკითხები საკმაოდ საფუძვლიანად აქვთ შესწავლილი ნ. ვანაგს, მ. გოლდმანს, ს. რონინს, ე. გრანოვსკის, ი. გინდინს, ა. სიდლოვს, ი. ლიუშინს, ვ. ბოვიკინს, ს. სტრუმილინს, მ. ვოლკოვს, ა. მოვსესიანსა და სხვებს. ამასთან ერთად, აღნიშნული პრობლემის კვლევა ხშირ შემთხვევაში განხორციელებულია ეკონომიკური თეორიის განვითარების ზოგადი მიმართულების ჩარჩოში. მაგალითად, ე. წ. „ახალი ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის“ ჩარჩოშია გამოკვლეული თანამედროვე ფინანსური ფაქტორების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პრობლემები რ. კოუსის, დ. ნორტის, ჯ. ბიუკენის, ო. ულიამსის და სხვათა მიერ. აღსანიშნავია, რომ რ. კოუსმა ჯერ კიდევ 1937 წელს დაწერილ სტატიაში (იგი ამერიკელი ეკონომისტების მიერ განხილულია როგორც კლასიკური) ეკონომიკური ორგანიზაციის პრობლემატიკა განიხილა ინსტიტუციური ანალიზის ტერმინებში, რის გამოც იგი თავის წინამორბედ ფ. ნაითთან ერთად ითვლება თანამედროვე ინსტიტუციონალიზმის ფუძემდებლად. ამ სტატიაში [8] რ. კოუსის ამოსავალი მომენტია ის, რომ სამეურნეო კოორდინაციის უზრუნველყოფის მთავარ და ტრადიციულ საშუალებას - საბაზრო მექანიზმს ამ ფუნქციის შესრულებაში ხშირად ფირმა ეხმარება. აღნიშნულის გამო იგი თვლის, რომ ფირმა და ბაზარი უნდა იყოს განხილული ეკონომიკური ორგანიზაციის ალტერნატიული ხერხების სახით. ამის გამო, სამმართველო გადაწყვეტილებათა მრავალფეროვნება გამოწვეულია აღმინისტრაციული კონტროლის იერარქიული სისტემის მეშვეობით და ორგანიზაციის სასარგებლოდ შერჩეული ფირმის შიდა ტრანსაქციებით ან ავტონომიური ფირმების ურთიერთმოქმედებით, რომელიც, თავის მხრივ, საბაზრო მექანიზმის მეშვეობით ხორციელდება. ორგანიზაციის კონკრეტული ხერხის შერჩევა დამოკიდებულია ყოველი მათგანის შესაბამის ტრანსაქციულ ხარჯებზე. შესაბამისად, ფირმის არსებობის მთავარი მიზანია არა წარმოება ან მოგების მაქსიმიზაცია, არამედ ტრანსაქციული ხარჯების მინიმიზაცია. გარკვეულწილად ფირმის ორგანიზაციასაც აზრი აქვს მაშინ, როდესაც არსებობს ახალი ბაზრის შექმნის ან ძველ ბაზარზე ზემოქმედების (მისი ცვლილების) შესაძლებლობა. რ. კოუსმა ტრანსაქციულ ხარჯებს უწოდა ფასების მექანიზმის გამოყენების ხარჯები და ისინი განმარტა შემდეგი სახით: საბაზრო ტრანსაქცია რომ

განხორციელდეს, უნდა განისაზღვროს, თუ ვისთანაა სასურველი გარიგება. საჭიროა პოტენციური პატრნიორებისათვის გარიგების პირობების შეტყობინება, უნდა მომზადდეს კონტრაქტი, შეგროვდეს ცნობები, რომ კონტრაქტის პირობები სრულდება და ა. შ. [8].

ტრანსაქციული ხარჯების ზრდის შედეგად იქმნება ისეთი ვირტუალური ორგანიზაციები - ე. წ. გარსი ანუ ღრუ ფირმები, რომელთაც კლასიკური ფირმის ნიშნები არ გააჩნიათ.

რ. კოუსი ყველა თავის მსჯელობაში გულისხმობდა მწარმოებელ ფირმას, წარმოების საშუალებების მფლობელს, რომელსაც საქონლის წარმოების ხარჯების გარდა, აქვს ბაზრის კვლევის, საქონელმოდრაობის და ა. შ. (ტრანსაქციული) ხარჯები. ამეამად არსებობენ ფირმები, რომელთაც არ გააჩნიათ წარმოების საშუალებები, მაგრამ გარკვეული ანაზღაურების საფუძველზე შეუძლიათ იკისრონ მწარმოებლის ტრანსაქციული ხარჯები. ე. ი. გარსი ფირმა კისრულობს ბაზართან მწარმოებლის ადაპტაციას და მისი პრობლემებისაგან დაცვას, ურჩევს მას, რა და როგორ აწარმოოს. ამასთან, შეუძლია სუბმონარდეთა გამოყენება მათზე ტრანსაქციული ხარჯების გადატანით (მაგალითად, ბაზრის კვლევას აკისრებს მარკეტინგულ ფირმას, რეკლამის ორგანიზაციას - სარეკლამო სააგენტოებს და ა. შ.). საბოლოოდ თვით მწარმოებელი ფირმაც კი გარსი-ფირმისათვის შეიძლება გადაიქცეს სუბმონარდედ და დაარჩეს წარმოების გარეშე გარსი ფირმების როლი მთ უფრო დიდია, რაც უფრო მაღალია მწარმოებელი ფირმის მთლიან ხარჯებში ტრანსაქციული ხარჯების წილი [9,16-22].

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რ. კოუსის აზრით, ფირმისშიდა და საბაზრო ორგანიზაციის ფორმები არაა შეუთავსებელი. ისინი შეიძლება რაციონალურად გაერთიანდეს ერთიანი კონცეფციის ჩარჩოში, რომელიც ეყრდნობა ტრანსაქციული ხარჯების მინიმიზაციის ხერხებს.

ტრანსაქციული და საწარმოო ხარჯების მინიმიზაციას მიიჩნევს კაპიტალიზმის ეკონომიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების ძირითად მიზნად და შედეგად ინსტიტუციური სკოლის წარმომადგენელი ო. უილიამსონი. იგი წერს, რომ თანამედროვე კორპორაცია უნდა გაეგოს, როგორც ორგანიზაციული ინოვაციების სერიის პროდუქტი, რომელთა მიზანი და შედეგი იყო ტრანსაქციული ხარჯების მინიმიზაცია. ამასთან ერთად ო. უილიამსონი აღიარებს ისეთი მოტივების როლს, როგორიცაა ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობით განპირობებული სარგებლის ან ტექნოლოგიური განვითარების იმპერატივების ძიება [10]. ო. უილიამსონის დამსახურებას მიეკუთვნება აგრეთვე თანამედროვე კორპორაციებში ინოვაციების პრობლემის გამოკვლევა.

თანამედროვე ეტაპზე საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ტრანსნაციონალიზაციის პროცესებს. ტრანსნაციონალიზაციაში ჩვეულებრივ იგულისხმება საერთაშორისო სამრეწველო და საფინანსო კონცერნების შექმნა უცხოეთში წარმოების ორგანიზაციის ან ბანკების ფილიალების გახსნით ისეთი ერთიანი საკუთრების საფუძველზე, რომელიც უზრუნველყოფს მათ საქმიანობაზე

კონტროლის შესაძლებლობას. ვ. ი. ტრანსნაციონალიზაციის პროცესი განიხილება სამრეწველო ფირმების, ბანკების, მომსახურების სფეროს კომპანიათა საერთაშორისო საქმიანობის გაფართოების, ეროვნულ საზღვრებს გარეთ გასვლის პროცესად, რომლის შედეგად ეროვნული კომპანიები გარდაიქნებიან ტრანსნაციონალურ კომპანიებად. ამ პროცესისათვის დამახასიათებელია კაპიტალის ურთიერთგადახლართვა სხვა ქვეყანათა ფირმების შთანთქმისა და შეერთების, ერთობლივი კომპანიების შექმნის, უცხოური ბანკების ფინანსური სახსრების მიზიდვის, სხვადასხვა უცხოურ და ადგილობრივ კომპანიათა შორის ხანგრძლივი, მჭიდრო კავშირების დამყარებით [11, 62]. ტრანსნაციონალიზაციის პროცესების განვითარების შედეგად შესაძლებელი გახდა, ერთი მხრივ, საერთაშორისო წარმოების ორგანიზაცია, რომელმაც გააქტიურა უმსხვილესი ბანკების მიერ სავალუტო-საფინანსო ოპერაციების წარმოება და, მეორე მხრივ, ბანკების ტრანსნაციონალიზაციამ ხელი შეუწყო სამრეწველო კორპორაციების საქმიანობას საერთაშორისო მასშტაბით. ამან, თავის მხრივ, მძლავრი საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების ჩამოყალიბებასა და მსოფლიო ბაზრების მონოპოლიზაციას, ეკონომიკური საქმიანობის ტრანსნაციონალიზაციისა და ბაზრების გლობალიზაციის თანამედროვე კონცეფციების („ეკონომიკური ძალაუფლების“, „ინტერნალიზაციის“ და სხვ.) გაჩენას.

მთლიანობაში საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის შესახებ არსებული თეორიული შეხედულებების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ შეხედულებებმა არსებითი ევოლუცია განიცადა. ცვლილება განიცადა თვით ფინანსურმა კაპიტალმაც, წარმოებისა და კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციის შედეგად იგი ინტეგრირებული ჯგუფების და, საერთოდ, გლობალური ბიზნესის ბირთვად გადაიქცა. უძლიერესი ბანკებისა და სხვა ფინანსური მონოპოლიების ზემოქმედების მასშტაბები უკანასკნელ პერიოდში არსებითად გაიზარდა, მაგრამ ამ ზემოქმედების ზრდასთან ერთად აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეალურად მაკონტროლებელი ძალა წარმოიშვა სხვადასხვა სფეროს მონოპოლიათა, ფინანსური, ფუნქციური, პერსონალური და სხვა ურთიერთკავშირების შედეგად.

### ლიტერატურა

1. Гобсон Дж. А. Империализм. Пер. с англ. Л., 1927.
2. Гильфердинг Р. Финансовый капитал. Пер. с нем. М., 1959.
3. Berle A. A. and Means G. C. The moderne Corporation and Private Property. N. Y., 1934.
4. Berle A. A. Power without Property: A new Development in American Political Economy. - N. Y., 1959.
5. Fitsh R., Oppenheimer M. Who Rules the Corporations? Socialist Revolution. 1970. VII-VIII-IX-X.
6. Котц Д. Банковский контроль над крупными корпорациями США, М., Прогресс, 1982.
7. Беллон Б. Финансовый капитал и промышленность во Франции. М., 1983.
8. Коуз Р. Г. Природа фирмы (1937). Вестник СПб. ГУ. Серия «Экономика», 1992, вып. 4, с. 72-86.
9. ლ. ყორღანაშვილი. ფირმის ხარჯები საბაზრო ურთიერთობათა პირობებში. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული „ეკონომიკის აქტუალური საკითხები“, IV ნაწილი, თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998, გვ. 16-22.
10. Уильямсон Оливер И. Экономические институты капитализма: фирмы, рынки, «отношенческая контрактация». Пер. с англ. СПб., Лениздат, CEV Press, 1966.
11. ლ. ყორღანაშვილი. საერთაშორისო ბიზნესი. თბ., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.

**ლ. კორგანაშვილი**  
**გ. შადური**

### ТЕОРЕТИЧЕСКИЕ ВЗГЛЯДЫ НА ИНТЕГРАЦИЮ ФИНАНСОВОГО И ПРОМЫШЛЕННОГО КАПИТАЛА

Сближение финансового и промышленного капитала, начавшееся в конце XIX - начале XX веков и приведшее к возникновению финансовых групп, сразу же привлекло к себе внимание ведущих экономистов того времени.

Одним из первых тщательно анализу причины и последствия появления финансовой олигархии подверг английский экономист Дж. А. Гобсон в работе «Империализм», которая в свое время оказала большое влияние на теоретические

воззрения английских лейбористов и американских реформистов. Однако наиболее всеобъемлющий анализ проблемы интеграции банковского и промышленного капитала осуществил австрийский экономист Р. Гильфердинг в своей работе «Финансовый капитал».

В последующие годы исследования многих экономистов, в основном, были посвящены определению роли финансового капитала в экономике и политике, влиянию банков на промышленность, торговлю и прочие сферы.

Современный этап интеграции финансового и промышленного капитала характеризуется все более расширяющейся транснациона-лизацией, возникновением международных финансово-промышленных групп, монополизацией мировых рынков и, соответственно, появлением новых научных концепций («экономического господства», «интернализация» и др.), в которых отражаются процессы и перспективы глобализации мировой экономики.

**L. KORGANASHVILI,  
G. SHADURI**

#### **THEORETICAL STANDPOINTS ON FINANCIAL AND INDUSTRIAL CAPITAL INTEGRATION**

The financial and industrial capital became close at the end of the XIX and at the beginning of the XX century. It has stipulated the forming of the financial groups and drew famous economists' attention of that time.

English economist G.A. Hobson was the first scientist who analysed causes and consequences of formation financial oligarchy in his work "Imperialism". This work had great influence on the theoretical standpoint of English labourists and American reformists. Although the valuable analyse of the financial and industrial capital had been made by Austrian economist R. Hilferding in his work "Financial Capital". Later many economists' investigations, was basically dedicated to the determination of the financial capital role in economy and politics, banks' influence on the industry, trade and other sphere.

Modern state of financial and industrial capital integration is characterized by increasing transnationalization, formation of international financial-industrial groups, monopolization of world markets and consequently, appearance of the new scientific conception ("Economic supremacy", "Internation-ization" and others), in which the process and prospects of world economic globalization are characterized.



**ზ. ბერკაძეშვილი**

**საქართველოსა და რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური  
 ურთიერთობების ისტორიული ასპექტები**

რუსეთის სამეფოს საქართველოსთან და, კერძოდ, კახეთის სამეფოსთან უშუალო კავშირი ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში შეიქმნა. აქედან მოყოლებული ეს კავშირი სულ უფრო მტკიცდებოდა. ამ დროიდან დაწყებული ტერიტორიული გაფართოების დიდი პერსპექტივის წინაშე მდგომი მოსკოვი ცდილობს მიიზიდოს ქართველი საერო ფეოდალებისა და მეფეების ყურადღება მცირე აზიის ბაზრებზე მვირად ღირებული სიასამურის და სხვა ძვირფას ნივთთა მათთვის საჩუქრად გაგზავნით, ეკლესია-მონასტრთა საჯიროებისათვის ხელოსან-ოსტატების, ხატის მხატველების, ხუროების, მესარკმელთა მივლინებით და სხვ. [1, 38].

რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთდამოკიდებულება თავის გამომხატულებას პოულობს რუსეთის სახელმწიფოს მხრიდან მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში, რომელთა შორის აღსანიშნავია: იმერეთის მეფე ალექსანდრეს: „თავისი შვილით, მით და ყველა ქვეშევრდომით რუსეთის ხელმწიფის მიერ სამუდამო ქვეშევრდომობაში მიღება“, მეფე თეიმურაზისთვის რუსეთის ჯარის გაგზავნა „ირანისაგან საქართველოს მთელი მიწების წასართმევად და რუსეთთან შესაერთებლად“ იმერეთის მეფე არჩილის რუსეთის ქვეშევრდომად მიღება და მისთვის საცხოვრებლად ქ. ტერსკის დანიშვნა.

ამ დროიდან მოყოლებული რუსეთი უფრო აქტიურად ცდილობს საქართველოს გამოყენებას ტერიტორიული გაფართოების საქმეში ირან-თურქეთის ხარჯზე. კიდევ უფრო ფართოვდება რუსეთ-საქართველოს შორის კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა. დარიალის ხეობით, „რუსის გზით“, ვაჭრობა, გაცვლა ფართო ხასიათს იღებს. ამგვარად დაწყებული რუსეთ-საქართველოს დაახლოება სულ უფრო ვითარდება მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან, განსაკუთრებით კი უკანასკნელ მეოთხედში, როდესაც რუსეთ-საქართველოს შორის ვაჭრობა მნიშვნელოვან ხასიათს იღებს.

რუსეთის გავლენა თავს იჩენს აგრეთვე ქართლ-კახეთის სახელმწიფოს როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო-ადმინისტრაციული, საზოგადოებრივ-კულტურული და საეკლესიო გამგებლობის საქმეში, ზნეჩვეულებებში, მწერლობაში და სხვა [2, 35].

რუსეთის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები სულ უფრო უბიძგებდა ხელისუფლებას ირან-თურქეთის სამფლობელოებისა და ამიერკავკასიისაკენ. 1768-1774 წლებში რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვებამ და შემდეგ ყირიმის რუსეთთან შეერთებამ რუსეთი ძლიერ დაუახლოვა ამიერკავკასიას, რასაც თან მოჰყვა საქართველოსთან რუსეთის საეკლესიო ურთიერთობების გაფართოება და უკვე 1782 წლის 24 დეკემბერს ერეკლე II-მ რუსეთის მეფის მფარველობა ითხოვა, ხოლო 1783 წლის 24 ივლისს ციხესიმაგრე გეორგიევსკში ხელი მოეწერა რუსეთ-საქართველოს „მეგობრობის პირობას“ („ტრაქტატს“). ამავე პერიოდში დაიწყო ჩრდილოეთ კავკასიასა და თბილისს შორის გზის გაყვანა, რომელიც ცნობილია საქართველოს სამხედრო გზის სახელით და რომელმაც დიდად შეუწყო ხელი საქართველო-რუსეთს შორის ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას, ხოლო უკვე 1801 წლიდან რუსეთის ხელისუფლებამ აღმოსავლეთი საქართველო შეუერთა რუსეთს, რომელსაც საერთაშორისო ურთიერთობებში იმ პერიოდისათვის პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა.

რუსეთი დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყნებთან შედარებით, გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისიდან მისი ეკონომიკა ჩქარი ტემპით წავიდა წინ, რამაც გარკვეული გავლენა მოახდინა მეფის რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, რომელმაც განაპირობა საქართველოში კაპიტალისტური წარმოების წესის აღმოცენება და სწრაფი ტემპით განვითარება რეფორმის შემდეგმ პერიოდში. როგორც ვ. ლენინმა გვიჩვენა, კავკასიის ეკონომიკური დაპყრობა მოხდა გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე პოლიტიკური და გამოიხატა იმით, რომ „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო საქონელმომოქცევაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თვისებებს-ქველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს – ქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“, რის შედეგადაც კავკასია „ნავთობის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლის და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყნად იქცეოდა“ [3, 704]. ამრიგად, საქართველოში კაპიტალისტური ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესი მჭიდროდ იყო გადახლართული რუსეთის კაპიტალიზმის სივრცობრივ ზრდასთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნათელი ხდება საქართველოში სარკინოზო მშენებლობის განსაკუთრებული როლი, რომელიც პრაქტიკულად 1867 წელს დაიწყო და გამოწვეული იყო საქართველოში რუსეთის კაპიტალის ეკონომიკური ექსპანსიის გაძლიერებით. XIX საუკუნის ბოლოსათვის რკინიგზის ქსელმა მოიცვა საქართველოს წინათ განცალკევებული ისტორიული პროვინციების მეტი ნაწილი. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური გაერთიანების დამთავრებისა და მისი ფეოდალური

დაქუცმაცებულობის ნაშთების ღლიკვიდაციისათვის. რუსეთიდან სამრეწველო ნაკეთობანი შემოდოდა შავი ზღვით ფოთში და შემდეგ რკინიგზით იგზავნებოდა დანიშნულების პუნქტებისაკენ. მოგვიანებით ტვირთების ამ მიმართულებას მიემატა პირდაპირი სარკინიგზო გადაზიდვები ჩრდილოეთ კავკასიისა და აზერბაიჯანის გავლით. საქართველოდან ამ გზით რუსეთში იგზავნებოდა მანგანუმი, ღვინო, ძვირფასი ჯიშების მერქანი, აბრეშუმი, თამბაქო და სხვ., ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ნედლეული.

თავის მხრივ, ევროპის განვითარებული სახელმწიფოების ოცნება იყო, სხვა აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად, რუსეთი სრულად დამონებულ ქვეყნად გადაექციათ. რუსეთი კი, პირიქით, ცდილობდა ევროპული ტექნიკა და ნაწარმი თავისი ინტერესებისათვის გამოეყენებინა, თუნდაც იგი ძვირად ღირებული და სარისკო ყოფილიყო. რუსეთს ამ ახალი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის ფუძემდებელი ჯერ კიდევ იმპერატორი პეტრე I იყო [4, 57] მაგრამ არც ისე ადვილი აღმოჩნდა პეტრეს გეგმის შესრულება, რომლის შესახებაც თავის დროზე თვით პეტრე I-ს განუცხადებია: „Нам нужно несколько десятков лет, а потом к ней должны повернуться задом“ [5, 1579].

რუსული გეგმის საწინააღმდეგოდ ევროპელებმა შემოუშვეს კონტრგეგმა, რომელიც გულისხმობდა რუსეთის გადაქცევას დასავლეთ ევროპის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დანამატად. სწორედ ეს გეგმა გულისხმობდა რუსეთში პორტო-ფრანკოს დაწესებას, განსაკუთრებით ისეთ მოხერხებულ ადგილებში, როგორცაა ოდესა, ბათუმი და სხვ. 1821-1831 წლებში ოდესის პორტ-ფრანკოს „მიბაძეთ“ დიდძალი საქონელი დაიძრა საქართველოსაკენ ტექნიკურად მოუწყობელ რედუტ-კალეს ნავსადგურის მეშვეობით. რედუტ-კალეს ნავსადგურიდან შეღავათიანი ბაჟებით შემოტანილმა საქონელმა დაიპყრო არა მარტო საქართველო, არამედ მთელი ამიერკავკასია და რუსეთის გარკვეული ნაწილი, რამაც საფრთხის წინაშე დააყენა რუსეთის მრეწველობა. რედუტ-კალეს შეღავათიანი ვაჭრობის წინააღმდეგ აღდგა მთელი რუსეთის ბურჟუაზია და იგი მალე გაუქმდა.

1878 წელს ბერლინის კონგრესზე ევროპის წამყვანმა სახელმწიფოებმა ინგლისის მეთაურობით, რუსეთი აიძულეს ბათუმი პორტო-ფრანკოდ გამოეცხადებინა. ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებასთან დაკავშირებით ცარიზმის მიერ შექმნილმა საბაჟო რევიზმა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ადგილობრივი მოსახლეობა და ისინი ფაქტობრივად ქ. ბათუმს მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ. ბათუმის პორტო-ფრანკოს დღევრემელობა არ ეწერა, რადგან რუსეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ძალებმა ადვილად შეძლეს პორტო-ფრანკოს წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღება და მისი ღლიკვიდაცია 1886 წელს.

მეფის რუსეთი გარკვეულად ამუხრუჭებდა საქართველოში ეკონომიკის აღმავლობასა და განვითარებას და ყოველნაირად ცდილობდა საქართველო თავისი მრეწველობის გასაღების ბაზრად ექცია. მაგალითად: 1909-1913 წლებში ლითონის ნაკეთობათა საშუალო წლიურმა შემოტანამ კაბოტაჟით საქართველოს

შავი ზღვის ნავსადგურებში 18270 ტონა შეადგინა, რომელთაგან მნიშვნელოვანი ნაწილი მანქანებსა და მოწყობილობებზე მიდიოდა [6, 74-75].

ამდენად, საქართველო წარმოადგენდა რუსეთის მანქანათსამშენებლო და ლითონდამამუშავებელი მრეწველობისათვის გასაღების ბაზარს, რადგან ეს მრეწველობა საერთოდ იყო განვითარებული მეფის რუსეთში. საქართველოში ფაბრიკა-ქარხნების პროდუქციის გასაღების ბაზრების შენარჩუნების თვალსაზრისით, რუსეთის ხელისუფლება კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეკონომიკის განვითარების ნებისმიერ მცდელობას. ჯერ კიდევ 1853 წელს თბილისის ახლოს, სოფელ დრეში შეიქმნა მაუდის მანუფაქტურული საწარმო, რომლის ორგანიზატორებიც სამხედრო უწყებებისაგან აპირებდნენ შეკვეთის მიღებას საჭირო მაუდზე. მეფის რუსეთის ფინანსთა მინისტრმა, როდესაც განიხილა მათი წარდგინება, შემდეგი რეზოლუცია დაადო: „... ჩემი აზრით, არა მგონია დასაშვები იყოს, რომ აღნიშნული მხარის მრეწველობა წავახალისოთ შიდაგუბერნიების მრეწველობის საზიანოდ“ და სამხედრო შეკვეთების მოუღებლობის გამო, საწარმომ სამი წელი ვერც იარსება და 1855 წელს დაიხურა [7, 53]. საქართველოში საფეიქრო საწარმოთა შევიწროება რუსეთის საფეიქრო მრეწველობის ბობოღათა სასარგებლოდ მომდევნო პერიოდში გრძელდებოდა. კერძოდ, 1870 წლიდან თბილისში მოქმედებდა მირზოევის დიდი ბამბის საქსოვი ფაბრიკა, მაგრამ მან ვერ გაუძლო რუსეთის საფეიქრო მრეწველობის კონკურენციას და 1902 წელს არსებობა შეწყვიტა და უკვე 1913 წელს შავი ზღვის ნავსადგურებით რუსეთიდან საქართველოში შემოვიდა 13000 ტონა საფეიქრო ნაწარმი [8, 53].

საქართველოს ეკონომიკის დარგებიდან ყველაზე დიდი მნიშვნელობა ეკონდა მეღვინეობას. უკვე XIX საუკუნის 70-ანი წლებიდან ჩამოყალიბდა მეღვინეობის მსხვილი საწარმოებიც, რომლებიც მსოფლიოში ცნობილ ღვინოებს ამზადებდნენ და პირველი მსოფლიო ომის წინ საშუალოდ წელიწადში უშვებდნენ 155 ათას დეკალიტრ სუფრის ღვინოს ევროპული გაფორმებით[6, 74-75].

მეფის რუსეთში კონიაკის მრეწველობას სათავე დაუდო საქართველომ და უკვე 1913 წლისთვის კონიაკის გამოშვებამ 42 გრადუსზე გაანგარიშებით 73,7 ათასი დეკალიტრი შეადგინა [9, 66]. 1909-19 წლებში საქართველოს ყოველწლიურად რუსეთის ბაზარზე გაქონდა 3320 ათასი დეკალიტრი ღვინო. რუსეთის ბაზრის გაზრდილი მოთხოვნილება სტიმულს აძლევდა საქართველოში ღვინის წარმოების არამარტო რაოდენობრივ გადიდებას, არამედ მისი ხარისხის ამაღლებასაც, რაც ქართული მეღვინეობის განვითარების ახალი საფეხური გახდა და განსაზღვრავდა ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების დონეს.

1905-1907 წლების რევოლუციამ ბიძგი მისცა ბურჟუაზიულ გარდაქმნებს რუსეთში, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემაღგენელი ნაწილი იყო პ. სტოლიპინის აგრარული რეფორმა, რომელმაც დასაბამი მისცა სოფლის მეურნეობის განვითარების კაპიტალისტურ გზას, სოფლად ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბებით. სანადელო მიწების გამოსყიდვის საკითხშიც იჩინა თავი რუსეთის სამეფოს სპეციფიკურმა დამოკიდებულებამ

ღვინოებზე და სხვა მნიშვნელოვან პირდაპირ და არაპირდაპირ მცდელობათ

საქართველოსადმი, იგი მხარს უჭერდა ქართველი თავადაზნაურების პრივილეგიებს და შეგნებულად აჭიანურებდა დროებით ვალდებული გლეხების ინსტიტუტის გაუქმების საკითხის გადაწყვეტას. ზემოაღნიშნულ გარემოებათა შედეგად XX საუკუნის დასაწყისში საქართველო წარმოადგენდა ეკონომიკურად დაქვეითებულ ქვეყანას, რომელსაც რუსეთის სამეფოს შემადგენლობაში ცალმხრივად განვითარებული მრეწველობა და დაბალპროდუქტიული, უპირატესად წვრილგლეხური სოფლის მეურნეობა ჰქონდა.

1917 წელს მეფის რუსეთში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ქვეყანა დაადგა სოციალისტების მშენებლობის გზას. ერთ-ერთი პირველი დეკრეტი, რომელიც მიღებულ იქნა საბჭოთა მთავრობის მიერ, იყო „დეკრეტი მიწის შესახებ“, რომლის საფუძველზეც განხორციელდა სოფლად მემამულეების, ხაზინის და კაპიტალისტების საკუთრებაში არსებული მიწების ხალხის განკარგულებაში გადაცემა. ამას მოჰყვა ბანკების, ტრანსპორტისა და სამრეწველო ობიექტების ნაციონალიზაცია. საქართველოში თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს ეკონომიკურ წყობაში რამდენადმე შესამჩნევი ცვლილებები არ მომხდარა. „ჩვენ ვფიქრობდით, – ამბობდა ქართველი მენშევიკების ლიდერი ნ. ჭორდანიანი 1918 წ. 15 თებერვალს, – რომ დღევანდელი რევოლუცია არც თავისი შინაგანი ძალებით, არც პოლიტიკური მიზნებით არ შორდება არსებული ბურჟუაზიული წყობილების ჩარჩოებს და ბურჟუაზიული მეურნეობის საფუძვლებს არ ეხება“ [10].

1917 წლის რევოლუციამდე საქართველოს ეკონომიკა ვითარდებოდა რუსეთის გავლენის ქვეშ, ხოლო რევოლუციის შემდეგ საქართველო-რუსეთის სამეურნეო კავშირების გაწყვეტამ უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა სფეროზე: ვაჭრობისა და მრეწველობის პალატის დირექტორის ოფიციალურ მოხსენებაში, რომელიც მან მთავრობას 1919 წლის ნოემბერში წარუდგინა, ვკითხულობთ: „... მრეწველობას აწუხებს იმ მთავარი ელემენტების უქონლობა, რომლებიც განაპირობებს ნორმალურ წარმოებას, ნედლეულის, სათბობის ... დამხმარე მასალების უქონლობა ... ზედიზედ 10 თვეს – 1918 წლის თებერვლიდან ნოემბრამდე – მთელი საქართველო განიცდიდა საშინელ უბედურებას – ნავთობის უქონლობას... ლითონდამმუშავებელი მრეწველობა, რომელიც შემოტანილი (დონეცკის) ქვანახშირით მუშაობს, დღემდე პარალიზებულია... ბამბის ფაბრიკები უმოქმედოდ დგას ნედლეულის (ხამი ბამბის) უქონლობის გამო... ტყავის მრეწველობა თავისი შესაძლო მწარმოებლობის მხოლოდ ნაწილით მუშაობს ნაწილობრივ ნედლეულის, ხოლო უმთავრესად მთრიმლავი მასალების უქონლობის გამო... თამბაქოს მრეწველობა ქაღალდის მასალების მწვავე ნაკლებობას განიცდის“ [11]. ქვეყნის ეკონომიკის ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანის მიზნით, მთავრობამ დაიწყო მოლაპარაკებები ინგლისის, გერმანიის, შვიცარიისა და იტალიის მოწინავე ფირმებთან, რომელთაც კონცესიით უნდა გადასცემოდათ საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მაგრამ 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის აქტიური დახმარებით საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. საბჭოთა რუსეთის გამოცდილების გამოყენებით ქართველმა კომუნისტებმა განახორციელეს ფაბრიკა-ქარხნების, რკინიგზების, ბანკების, მიწის, ბუნებრივი

სიმდიდრეების ნაციონალიზაცია, რომლის საფუძველზეც აღმოცენდა წარმოების საშუალებების საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება. 1921 წლის მარტში შედგა პარტიის X ყრილობა, რომელზეც მრეწველობის გეგმაზომიერი განვითარების მიზნით, გადაწყდა რუსეთიდან განაპირა მხარეებში ფაბრიკების გადატანის საკითხი და საქართველოშიც მიიღო მათი ფაბრიკა, რომელიც მოსკოვიდან ქუთაისში გადმოიტანეს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე წელიდანვე საქართველოს სსრ ხელმძღვანელი ორგანოები და საბჭოები შეუდგნენ ელექტროენერგეტიკული მშენებლობის განვითარებისათვის პირველ დონისიძიებათა შემუშავებას. საჭირო მოსამზადებელი მუშაობის ჩატარების შემდეგ 1922 წლის 23 მაისს თბილისის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭომ მიიღო დადგენილება დაწვეულიყო „ხემოავჯალის 12000 ცხენის ძალის სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის“ მშენებლობა და რსფსრ შრომისა და თავდაცვის საბჭოს მიმართა თხოვნით აღმოეჩინა თბილისისათვის ამ საქმეში ამხანაგური დახმარება და მიეცა გრძელვადიანი სესხი ერთი მილიონი მანეთის ოდენობით [12, 137]. კაპიტალურმა დაბანდებებმა ზაქესის მშენებლობაზე 16385 ჩერვონული მანეთი შეადგინა.

ამ თანხიდან სსრ კავშირის მთავრობის მიერ გამოყოფილ სახსრებზე 9138 ათასი მანეთი ანუ 56%-ი მიდიოდა [13, 10-11]. ამრიგად, ვ. ი. ლენინის და საკავშირო მთავრობის უშუალო დახმარებით საქართველოში აშენდა სსრ კავშირში ყოლხოვმშენის შემდეგ მეორე დიდი ჰიდროელექტროსადგური, რომელმაც სათავე დაუდო ქვეყნის სახალხო მეურნეობის ელექტროფიკაციას.

საქართველოს მრავალდარგოვანი მრეწველობა არსებითად რუსეთის და საკავშირო მთავრობის დახმარებით საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა და ჯერ კიდევ ომამდელი ხუთწლებების მანძილზე განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. პირველ ხუთწლებში ქიმიური მრეწველობის განვითარებისათვის დიდი მუშაობა გაჩაღდა. 1928-1931 წლებში აშენდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა: გუმბრის მომპოვებელი საწარმო ქუთაისის მახლობლად, რომლის სანუსხო ღირებულება 3 მლნ ჩერვონულ მანეთს შეადგენდა; ანდეზიტის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმო ყაზბეგის რაიონში (ღირებულება 5,2 მლნ მანეთი); ბარიტის წისქვილი ქუთაისში და ბარიტის მადაროები მის ზონაში; დიატომიტის საწარმო ქუთაისში, ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხანა თბილისში [14, 142-143]. ომამდელი ხუთწლებების მანძილზე სოციალისტური მშენებლობის ღენინური პროგრამის წარმატებით განხორციელების შედეგად, საბჭოთა საქართველომ საბოლოოდ დასძლია რუსეთის ცარიზმის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა და საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ინდუსტრიული რესპუბლიკა გახდა. ომის შემდგომ პერიოდში ისევე, როგორც ომამდე, სსრ კავშირის და მასში შემავალი ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის და მათ შორის საქართველოს მრეწველობისათვის დამახასიათებელი იყო განვითარების მაღალი ტემპი. მაგალითად, 1951-1972 წლებში საქართველოს სსრ-ში სამრეწველო წარმოების მოცულობა გაიზარდა 5,7-ჯერ, ეს მაშინ, როდესაც ამავე პერიოდში სამრეწველო პროდუქციის წარმოება აშშ-ში გაიზარდა 2,6-ჯერ, ინგლისში - 1,8-ჯერ, საფრანგეთში - 3,6-

ჯერ. საქართველოს 1970 წლის დარგთაშორის ნატურალურ-ღირებულებითი ბალანსის გაცნობის შედეგად ნათელი ხდება, რომ საქართველოსა და რსფსრ-ს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში კიდევ უფრო გაღრმავდა. მაგალითად, 1970 წელს საქართველომ მოკავშირე რესპუბლიკებიდან შემოიზიდა 2212172,5 ათასი მანეთის ღირებულების 485 დასახელების ჯგუფური ასორტიმენტის პროდუქცია ანუ 264 დასახელებით მეტი, ვიდრე იმავე წელს გატანილი იქნა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. შემოიზიდვის მოცულობა გაზიდვის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 202636,7 ათასი მანეთით, ანუ 9,2%-ით. მოკავშირე რესპუბლიკებს შორის წამყვანი ადგილი რსფსრ-ს ეკუთვნის, მასზე მოდის 1970 წელს მთელი შემოსული პროდუქციის 53,2% (1177739,5 ათასი მანეთი). შემოიზიდვის საერთო მოცულობის 97,9% მოდის მრეწველობის წილად, ხოლო 2,1% – სოფლის მეურნეობაზე. მრეწველობის პროდუქციიდან საქართველოში რსფსრ-დან შემოიზიდული პროდუქციის 35,0% მოდის ხე-ტყის, ხის დამუშავების, ცელულოზის და ქაღალდის მრეწველობის პროდუქციაზე. შემდეგ მოდის მსუბუქი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, კვების მრეწველობა, შავი მეტალურგია და სათბობის მრეწველობა. თავის მხრივ, საქართველოდან 1970 წელს რსფსრ-ში გაზიდული (გატანილი) იქნა 1038185,8 ათასი მანეთის პროდუქცია, რომლიდანაც 999254,4 ათასი მანეთი, ანუ 96,3 % მოდიოდა მრეწველობაზე, ხოლო 38931,0 ათასი მანეთი ანუ 3,7% სოფლის მეურნეობაზე. მრეწველობის პროდუქციაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილით წარმოდგენილია კვების მრეწველობის პროდუქცია – 330087,2 ათასი მანეთი, შემდეგ მოდის მსუბუქი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, შავი მეტალურგია და ა. შ. მაგრამ XX საუკუნის 80-იანი წლებიდან საბჭოთა ეკონომიკაში აშკარა გახდა მისი სტაგნაციისა და რეალური ზრდის შეწყვეტის პერიოდი.

ამერიკელი სოცეოლოგის პროფ. ა. ბერგსონის გაანგარიშებით სსრკ-ის მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა და მისი ზრდის ტემპი მკვეთრად დაეცა 1951, 1963, 1969, 1972, 1974, 1979, 1980, 1981 და 1985 წლებში. აღნიშნული დასკვნა დასტურდება, თუ გამოვიცხავთ ნათობისა და გაზის ექსპორტს, რომელიც ძირითადად შემოსავლებს აღეგნება საბჭოთა კავშირს 80-იან წლებში და საბჭოთა კავშირი ფაქტობრივად ამ შემოსავლების ხარჯზე ახერხებდა ფუნქციონირებას [15, 66].

საბჭოთა კავშირის მთლიანი ეროვნული პროდუქტის წლიური მოცულობა და ზრდის ტემპი 1950-1990 წლებში (1982 წ. ფასებში)[16].

წლები	მლრდ მანკეთი	ზრდის ტემპი % -ში	წლები	მლრდ მანკეთი	ზრდის ტემპი % -ში
19 50	186,7	-	19 71	507,8	2,6
19 51	187,5	0,4	19 72	510,7	0,6
19 52	199,8	6,6	19 73	553,8	8,4
19 53	208,4	4,3	19 74	569,7	2,9
19 54	218,4	4,8	19 75	571,4	0,3
19 55	237,9	8,6	19 76	598,2	4,7
19 56	259,8	9,5	19 77	612,3	2,4
19 57	265,1	2,0	19 78	627,7	2,5
19 58	285,0	7,5	19 79	624,7	-0,5
19 59	298,9	4,9	19 80	625,5	0,1
19 60	326,3	3,2	19 81	631,2	0,9
19 61	335,2	5,7	19 82	646,7	2,5
19 62	327,6	2,7	19 83	667,4	3,2
19 63	369,9	-2,3	19 84	676,0	1,3
19 64	390,8	12,9	19 85	682,0	0,9
19 65	409,8	5,7	19 86	710,0	4,1
19 66	428,0	4,7	19 87	719,2	1,3
19 67	453,0	4,4	19 88	734,6	2,1
19 68	459,4	5,8	19 89	745,5	1,5
19 69	494,7	1,4	19 90	727,5	-2,2
19 70		7,7			

ამას თან დაერთო 90-ანი წლების მიჯნაზე საზოგადოების ყველა სფეროს პოლიტიკური, კულტურულ-სწავლბრივი განვითარების კრიზისი. თავისი ისტორიული განვითარების მანძილზე მუდმივობის საბჭოთა მოდელმა დაადასტურა, რომ ცენტრალიზებული მართვის სისტემა ასტიმულირებს ექსტენსიურ ეკონომიკურ ზრდას, რაც სერიოზულად აფერხებდა ქვეყნის ინტენსიურ განვითარებასა და ეფექტიანობის ამაღლებას. 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში ვითარება გაართულა იმ გარემოებამაც, რომ „პერესტროიკით“ დაწყებულმა ეკონომიკურმა რეფორმამ (1988-1991 წ.) ვერ გაამართლა, მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა და კრიზისის გაღრმავების დამაგვირგვინებელი ფაქტორი გახდა ეკონომიკური კავშირების თანდათანობით რღვევა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, რასაც საბოლოოდ 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა.

საბჭოთა იმპერიაში მიმდინარე პროცესები, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა საქართველოზეც. სწორედ ამ პერიოდში ყველაზე უფრო ძლიერად საქართველოში გამოვლინდა პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნა, რაც რუსეთის გაღიზიანებას იწვევდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთი ორი საუკუნის წინანდელ ტერიტორიულ საზღვრებში აღმოჩნდა და მის სამხრეთით სამი სუვერენული სახელმწიფო გაჩნდა:

საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ასე დაიწყო საკმაოდ დაძაბული და მტკივნეული ვტაპი საქართველოს ისტორიაში — დამოუკიდებლობის აღდგენისა და სახელმწიფოებრივი ჩამოყალიბების პროცესი.

საქართველოს მხრიდან დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად, იგი კვლავ შედის რუსეთის სასიცოცხლო ინტერესების სფეროში და ამ ინტერესების განხორციელება რუსეთს დღეს უხდება საქართველოსთან მწვავე კონფლიქტის ფონზე. ურთიერთდაპირისპირებანი და მათ ნიადაგზე წარმოქმნილი ქართულ-ავხაზური, ქართულ-ოსური, რუსულ-ჩეჩნური კონფლიქტები აშკარად მძიმე კვალს ტოვებს საქართველოს გეოპოლიტიკურ სიტუაციაზე, რასაც თან ერთვის რუსეთსა და დასავლეთს შორის გაძაღებული ბრძოლა საქართველოში გააღწევის მოპოვებისათვის.

რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული პრობლემები, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებენ ეკონომიკურ ურთიერთობებზე. საცესებით ბუნებრივია რუსეთის ცხოველი ინტერესი საქართველოში. მაგრამ ასევე ბუნებრივია და კანონზომიერია საქართველოს სწრაფვა აქტიურად მოიზიდოს უცხოური კაპიტალი თავისი ეკონომიკის წინსვლისა და აღმავლობისათვის. ინტერესთა ასეთი სხვადასხვაობა იჩენს თავს ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების საკითხშიც: კერძოდ, რუსეთი დაინტერესებულია იმით, რომ კასპიის ნავთობის ტრანსპორტირება განხორციელდეს „ჩრდილოეთის“ მარშრუტის, ნოვოროსიისკის ტერმინალის გამოყენებით, ამიტომაც იგი უნდობლად ეკიდება ე. წ. „დასავლეთის“ მარშრუტს (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი), რომელიც რუსეთის აშკარა იგნორირებას იწვევს. გამომდინარე აქედან უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების განვითარების საქმეში საუკეთესო პირობების შექმნა პარტნიორულ პრინციპებზე დამყარებულ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოებას შეუძლია, რომელიც უნდა განხორციელდეს ორი სუვერენული სახელმწიფოს კეთილშეზობლობისა და მეგობრობის ფონზე.

საქართველო-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე არსებითი ზეგავლენა მოახდინა ცენტრალურ-მხრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესებმა. რუსეთმა 1992 წლის იანვრიდან მოახდინა ფასების ლიბერალიზაცია, ხოლო 1992-93 წლები საქართველოსათვის ძალზე წინააღმდეგობრივი იყო და იძულებული გახდა აერჩია რადიკალური რეფორმა — „შოკური თერაპია“, იმის გამო, რომ რუსეთში წარმოებული ფასების ლიბერალიზაციის დროს იგი სამანეთო ზონაში იყო და არ ჰქონდა ეროვნული ვალუტა. სწორედ ასეთ მძიმე ეკონომიკურ პირობებში ვერებოდა საფუძველი საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობის განვითარებას. კერძოდ, 1992 წლის 2 ივლისს ქ. მოსკოვში ხელი მოეწერა ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე ოქმს, საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ. ხოლო საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქ. მოსკოვში 1993

წლის 14-15 სექტემბრის შეხვედრებს სამთავრობო დონეზე, რომელზეც ხელი მოეწერა შეთანხმებას 1993 წლის სახელმწიფო კრედიტების შესახებ და ოქმს საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის 1993 წელს სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. რუსეთის მხრიდან ე. ს. ჩერნომირდინის და საქართველოს მხრიდან ო. ფაცაციაის მიერ. ამვე პერიოდში ძალაში შევიდა ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის არასავაჭრო გადასახადების შესახებ. მოსკოვში გამართულ სექტემბრის სამთავრობო შეხვედრაზე განიხილებოდა შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ახალი ნაციონალური ვალუტის შემოღებისა და მისდამი ურთიერთმხარდაჭერის შესახებ, შესაბამისად, საქართველოს ტერიტორიაზე რუსული მანეთის მიმოქცევის შეწყვეტის შესახებ. რუსეთის ფედერაციის ცენტრალურ ბანკსა და საქართველოს ეროვნულ ბანკს შორის გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება საბანკო ანგარიშსწორების შესახებ საქართველოს ეროვნული ვალუტის შემოღების შემდეგ. მთლიანობაში 1993 წლის სექტემბრის რუსეთ-საქართველოს სამთავრობო შეთანხმებებს დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ორივე ქვეყნისათვის და ეს შეთანხმებები საფუძვლად დაედო 1994 წლიდან საქართველოში კუპონის შემოღებას, ხოლო 1995 წლის სექტემბრიდან კი ნაციონალურ ვალუტაზე – ლარზე გადასვლას. უკვე 1993 წლის 8-9 ოქტომბრის სამთავრობო შეხვედრაზე საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას საბაჟო საზღვრებზე გამშვები პუნქტების ფორმირების შესახებ, რომელმაც თავის დროზე დიდი როლი შეასრულა საქართველო-რუსეთს შორის სასაზღვრო ვაჭრობის განვითარების საქმეში.

საქართველო-რუსეთის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში მტკად მნიშვნელოვანი იყო ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1994 წლის 10 მაისიდან. ორივე ქვეყნის პრეზიდენტების შესაბამისი ბრძანებულებებით ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების საქმეში არსებითად დადებითი როლი შეასრულა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის შეთანხმებამ 1995 წლის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი პრინციპების შესახებ. საქართველო-რუსეთის სავაჭრო თანამშრომლობის გაგრძელება იყო 1996 წლის 26 იანვარს ხელმოწერილი შეთანხმება საქართველოს ვაჭრობის და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის მოსკოვის ოლქის ადმინისტრაციას შორის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ. ორ ქვეყანას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი იყო საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციის მთავრობას შორის 1996 წლის 19 მარტის შეთანხმება სავაჭრო ნაოსნობის შესახებ. საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობებზე ზეგავლენა მოახდინა 1998 წლის აგვისტოში რუსეთში დაწყებულმა საფინანსო კრიზისმა. კერძოდ, იქ მიმდინარე

ფინანსურმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს ბაზარზე, რადგან 1998 წელს საქართველოს ექსპორტის დაახლოებით 28% რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა. საქართველოსათვის იგი უმსხვილესი საგარეო პარტნიორი ქვეყანა იყო. რუსეთში მიმდინარე ფინანსური კრიზისის გამო, საქონლის ექსპორტი ძლიერ შეიზღუდა, გაიზარდა იმპორტის მოცულობა, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გაამწვავა საქართველოს საგარეო ვაჭრობაში არსებული პრობლემები და კიდევ უფრო გააუარესა საგარეო ბალანსი [17, 91]. გამომდინარე აქედან, სისტემატური შესწავლა და კონტროლი ესაჭიროება ორივე ქვეყნის ეკონომიკაში დაწვებულ ეკონომიკურ პრობლემებს, რათა მან არ კპოვოს გაგრძელება მეორე ქვეყნის ეკონომიკაში. 1999 წლის 4 აგვისტოს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ხელი მოეწერა კონვენციას ორმაგი დაბეგურის თავიდან აცილების შესახებ, მაგრამ იგი არ შესულა ძალაში.

საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების საქმეში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის მხრიდან საქართველოს საგარეო ვალის რესტრუქტურისაციის ვერუთ წოდებულ „ნულოვან ვარიანტზე“ ხელმოწერას, რომლის ძალითაც საბჭოთა კავშირის საგარეო ვალსა და აქტივებზე სამართალმემკვიდრე გახდა რუსეთი. უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ფონზე საქართველო-რუსეთის ურთიერთობა პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად დაიძაბა და რუსეთმა დსთ-ის ფარგლებში საქართველოსთან მიმართებაში 2000 წლის დეკემბრიდან შემოიღო სავიზო რეჟიმი, რამაც გარკვეული პრობლემები და გაუგებრობები შექმნა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში.

სამომავლოდ საქართველო-რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების გაუმჯობესებაზე მნიშვნელოვანი გავლენა და პროგრესი უნდა მოახდინოს ახალმა ჩარჩო ხელშეკრულებამ, რომელიც მუშავდება ორი ქვეყნის სამთავრობო სტრუქტურებში. ამ ხელშეკრულებამ უნდა უზრუნველყოს ორი სუვერენული სახელმწიფოს – საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობის განვითარება. ამჟამად აღნიშნული ხელშეკრულება მომზადების სტადიაშია და აქტიური კონსულტაციები მიმდინარეობს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის შესაბამის სამსახურებს შორის.

**ლიტერატურა**

1. პროფ. მ. პოლიგქტოვას მიერ გამოქვეყნებული: *Посольство стольника Тольчанова в Имперети 1650-1652, 1926, Тифлис, стр. 38. Посольство кня Мишенского в Кахети 1640-1643*
2. პ. გუგუშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. ეკონომისტი, 1982 №9.
3. ვ.ი. ლენინი, თხზ. ტ. 3. 1955.

4. ვ. სიჭინავა, პორტო-ფრანკოს როლი რუსეთ-საქართველოს ვაჭრობის განვითარებაში. მაცნე, 1976, №3 ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.
5. См. Русский архив, год двенадцатый, 1874, книга первая.
6. საქართველოს ცსს, „სტატისტიკური კრებული 1909-1921“.
7. Г.К. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XX веке, Тб. 1958 .
8. ნ. მ. ტყეშელაშვილი, საქართველოს მრეწველობის ისტორიის ნარკვევები. თბილისი, 1958.
9. საქართველოს სსრ მთავრობის მოკლე ანგარიში 1924 წლისათვის, თბ., 1924.
10. გაზეთი „ერთობა“, №40, 1918.
11. სცსა, ფონდი 24, ხ. 118, ფ. 1-25.
12. Центральный Государственный архив народного хозяйства СССР, ф. 4373, д. 40.
13. КОМЗАГЭС, отчет.
14. სტატისტიკური კრებული. „საბჭოთა საქართველო ციფრებში“. თბ., 1931.
15. აშშ-ის ცსს მონაცემები, 1993. იხ. Кудров В. Советский экономический рост. Официальные данные и альтернативные оценки. Ж. «Вопросы экономики», 1995, №10.
16. თ. ბახილია, ა. სილაგაძე, თ. ჩიკაიძე. პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XXI საუკუნის მიჯნაზე. თბ., 2001.
17. სავალუტო კრიზისი, ღარის დეფლაცციის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის გამოკვლევა. თბ., 1999.

### 3. Беркацашвили

#### Исторические аспекты грузино-российских торгово-экономических отношений

В статье рассматривается история формирования и развития грузино-российских отношений, начиная с XVI века до сегодняшнего дня. Показано, как менялись экономические взаимоотношения между этими двумя государствами. Освещены те положительные и отрицательные стороны, которыми характеризовались эти исторические процессы.

В статье большое внимание уделено также освещению тех экономических недостатков, которые существовали между этими двумя государствами в течение веков, вплоть до сегодняшнего дня.

Несмотря на напряжённые торгово-экономические и политические отношения этих стран, показана перспектива, которая должна улучшить и повернуть к прогрессу развитие добрососедских и дружественных отношений между Грузией и Российской Федерацией.



**Z. Berkacashvili**

**Historical Aspects of Georgian-Russian Trade-Economic Relationships**

The history of Georgian-Russian Trade-economic relations of foundations and development is discussed in this report, beginning from the XVI century up today together with the formal changes, how economic relations between these two countries had been changing. Positive and negative aspects are also demonstrated characterizing these historical processes.

Great attention is paid to those economical deficiency analyzes existed between these two countries during centuries, and even nowadays in spite of Georgian- Russian tense Trade-Economic and political relations. There is a way out that unable to improve and turn back to progress Georgian-Russian relations.

**ბ. შადურო**

**საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის  
წინაპირობები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში**

საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციას პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხანმოკლე ისტორია აქვს, რადგან იგი მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრებამ განაპირობა. მართალია, რუსეთის იმპერიაში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ადგილი ჰქონდა საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის ტენდენციას, მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ეს პროცესები მთლიანად შეწყდა. ამის მიზეზი იყო საბჭოთა საბანკო სისტემის ცენტრალიზაცია და მრეწველობის განსახოგადოება. ამასთან, საბჭოთა სახალხო მეურნეობის ეს ორი სტრუქტურული სექტორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა და მათი კავშირურთიერთობა მხოლოდ ცენტრალიზებული წესით – სსრკ სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით ხდებოდა. სსრკ ცენტრალური მმართველობითი ორგანოების გადაწყვეტილებით იქმნებოდა ტერიტორიულ-საწარმოო, სამეცნიერო-საწარმოო და საწარმოო კომპლექსები, რომელთა საქმიანობა ხშირ შემთხვევაში მთელი ქვეყნის მასშტაბით ხორციელდებოდა. ასეთი გაერთიანებები იყო საბჭოთა საწარმოების გაერთიანების მთავარი ფორმა, მაგრამ იგი არ მოიცავდა საფინანსო-საბანკო სისტემის დაწესებულებებს. ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის საფუძველზე განისაზღვრებოდა სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სტრუქტურული ნაწილების განვითარების პროპორციები და მათთვის ხდებოდა კაპიტალდაბანდებათა გამოყოფა, საწარმოთა და ორგანიზაციების მოთხოვნილებათა დაფინანსების წყაროების განსაზღვრა. ასეთ სიტუაციაში საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების (სსჯ) მსგავსი გაერთიანებების არსებობა სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობებში გამორიცხული იყო. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ცენტრალიზებული სისტემის არსებითი თავისებურება გამოიხატებოდა ბაზრების

no nopol izaciis gansakuT rebiT maRal doneSi. rogorc wers a. mo vsesiani,

ქვეყანაში მოქმედებდა დაახლოებით 1000 საწარმო, რომლებიც მთლიანად აკონტროლებდნენ ამა თუ იმ პროდუქციის ეროვნულ წარმოებას და ნათელია, კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იყვნენ ფარული მონოპოლისტები, რომლებიც ფლობდნენ წარმოებისა და გასაღების 90 ან 80%-ს [1,144].

შესაბამისად, საბჭოთა კავშირის დაშლამდე პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არ არსებობდა საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის პრაქტიკული გამოცდილება და ამ პროცესების განვითარებისათვის საჭირო იყო განსახელმწიფოებრიობა, დემონოპოლიზაცია და პრივატიზაცია. აღნიშნულის გამო, საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის პროცესები, ერთი მხრივ, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ეკონომიკის ტრანსფორმაციის შემაღენელი ელემენტის სახით გვევლინება. მეორე მხრივ, ამ პროცესების ხელშეწყობა საბაზრო გარემო, რადგან საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის შედეგად მიღებული სტრუქტურები ხელს უწყობს საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებას.

1992 წლიდან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში თანდათან ყალიბდება მეურნეობის საბაზრო პირობები და იქმნება საბაზრო ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების წინამძღვრები. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში დასაბამი მიეცა სსჯ-ების ფორმირების ტენდენციას. მათ ფორმირებასა და საქმიანობაში უმთავრეს როლს ასრულებს საკუთრებისადმი დამოკიდებულება, ამიტომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი ასპექტია პრივატიზაციის პროცესი.

რუსეთში სსჯ-ების ფორმირებისა და ფუნქციონირების მარკველირებელი ნორმატიული აქტებიდან აღსანიშნავია რფ-ის პრეზიდენტის 1993 წლის 5 დეკემბრის ბრძანება „რუსეთის ფედერაციაში საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შექმნის შესახებ“, 1995 წელს მიღებული კანონი „საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შესახებ.“

ამ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფი წარმოადგენს ძირითადი და ქალიშვილი საზოგადოების სახით, ან თავიანთი მატერიალური და არამატერიალური აქტივების (მონაწილეობის სისტემა) სრული ან ნაწილობრივი გაერთიანებით, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფის შექმნის შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედი იურიდიული პირების ერთობლიობას, რომლის მიზანია ტექნოლოგიური და ეკონომიკური ინტეგრაცია, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და საქონლისა და მომსახურების გაფართოებაზე, წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე გამიზნული საინვესტიციო და სხვა პროექტებისა და პროგრამების რეალიზაციისათვის.

ამ კანონში ფაქტობრივად არ არის გათვალისწინებული რაიმე შეზღუდვა სსჯ-ებში საწარმოთა და ფინანსური ინსტიტუტების გაერთიანებაზე. იგი ითვალისწინებს სსჯ-ების მონაწილეთა სახელმწიფო მხარდაჭერაზე გამიზნული ღონისძიებების სისტემას. ამ მხარდაჭერის მიზნით 1996 წლის 1 აპრილს აგრეთვე რფ-ის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილია ბრძანება „საფინანსო-

სამრეწველო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის სტიმულირების ღონისძიებათა შესახებ“.

სსჯ-ების შექმნისა და საქმიანობის მარეგულირებელი კანონები და ნორმატიული აქტები მიღებულია უკრაინაში, ბელორუსიაში, ყირგიზეთში, უზბეკეთსა და სხვა რესპუბლიკებში.

უკრაინაში მიღებული კანონით „სამრეწველო-საფინანსო ჯგუფების შესახებ“ სსჯ-ის მეთაური კომპანია აუცილებლად ამ ქვეყანაში უნდა იყოს რეგისტრირებული. გარდა ამისა, მათი საქმიანობის ყველა ასპექტი (დაბეგვრა, მოგების განაწილება და ა.შ.) მთლიანად რეგლამენტირებულია უკრაინის კანონმდებლობით. უკრაინის კანონით, „სამრეწველო-საფინანსო ჯგუფი წარმოადგენს გაერთიანებას, რომელშიც შეიძლება შედიოდნენ სამრეწველო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ბანკები, სამეცნიერო და საპროექტო დაწესებულებები, საკუთრების ყველა ფორმის სხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა მიზანია მოგების მიღება და, რომლებიც იქმნებიან უკრაინის მთავრობის გადაწყვეტილებით გარკვეული ვადითა და წარმოების პრიორიტეტული დარგების განვითარების სახელმწიფო პროგრამების რეალიზაციის და უკრაინის ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის მიზნით, მათ შორის პროგრამები სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების შესაბამისად, აგრეთვე საბოლოო პროდუქციის წარმოებისათვის“.

უზბეკეთის მთავრობის სახელმწიფო დადგენილების შესაბამისად, სამრეწველო-საფინანსო ჯგუფი წარმოადგენს „საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებების, საინვესტიციო ინსტიტუტების, საწარმოების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამეურნეო ასოციაციას, რომლებიც ახორციელებს საქმიანობას მოგების (შემოსავლის) მიღების მიზნით მის მონაწილეთა მატერიალური და ფინანსური რესურსების შერწყმის გზით კაპიტალის გაერთიანების საფუძველზე“.

ტაჯიკეთში საფინანსო-სამრეწველო ჯგუფში იგულისხმება საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებისა და საინვესტიციო ინსტიტუტების ჯგუფი, შექმნილი მის მონაწილეთა კაპიტალის გაერთიანების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სსჯ-ის ცნებას სხვადასხვა ინტერპრეტაცია აქვს, ამიტომ 1996 წლის თებერვალში დსთ-ის ქვეყნების პარლამენტთაშორისი ასამბლეის VII პლენარულ სხდომაზე მიღებულია სარეკომენდაციო საკანონმდებლო აქტი „საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შესახებ“. ამ სხდომის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „იღებენ რა მხედველობაში სამეურნეო სუბიექტებს შორის კოოპერაციული კავშირების აღდგენისა და განვითარების აუცილებლობას, თანამეგობრობის სახელმწიფოების საწარმოთა შორის ეკონომიკური კავშირების შეწყვეტის აღმოსაფხვრელად, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის პერსპექტიული ფორმების შექმნის მიზნით, პარლამენტთაშორისმა ასამბლემ დაადგინა, დაეგზავნოს პარლამენტთაშორისი ასამბლეის მონაწილე სახელმწიფოთა პარლამენტებს მოცემული აქტი ეროვნული კანონდებლობის შემუშავებისათვის“.

გამოსაყენებლად"[2] საკანონმდებლო აქტების პარმონიზაცია ხელს შეუწყობს დსთ-ის ქვეყნების ეკონომიკურ თანამშრომლობას. დსთ-ის სიერცეში სსჯ-ების საქმიანობის ნორმატიული აქტებიდან მნიშვნელოვანია 1993 წლის 23 დეკემბერს ხელმოწერილი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება „დსთ-ის სახელმწიფოთა საწარმოებისა და დარგების საწარმოო კოოპერაციის განვითარების ზოგადი პირობებისა და მხარდაჭერის მექანიზმის შესახებ“, აგრეთვე „კონვენცია ტრანსნაციონალური კორპორაციების შესახებ“.

დსთ-ის ქვეყნებში ტრანსნაციონალიზაციის იდეა გამოხატულია მისი მონაწილე სახელმწიფოების შეთანხმებაში „საწარმო, კომერციული, საკრედიტო-საფინანსო, სადაზღვევო და შერეული ტრანსნაციონალური გაერთიანებების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1994 წლის 15 აპრილს და ხელმოწერილია აზერბაიჯანის, სასომხეთის, ბელორუსიის, საქართველოს, ყაზახეთის, ყირგიზეთის, მოლდავეთის, რუსეთის ფედერაციის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის, უკრაინის წარმომადგენლების მიერ.

ამ შეთანხმებაში მხარეები მიიხევენ ერთობლივი საწარმოების, ტრანსნაციონალური საწარმოო გაერთიანებების, კომერციული და საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ქსელის შექმნის მხარდაჭერის აუცილებლობას; მიუხედავად ამისა, შეთანხმების პრაქტიკული რეალიზაცია მთელ რიგ წინააღმდეგობებთანაა დაკავშირებული. ეს, უპირველესად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების კანონმდებლობის განსხვავებაშია, რის შესახებ ზემოთ იყო აღნიშნული.

შეთანხმებაში დაფიქსირებულია ყველა მხარისათვის მისაღები ტრანსნაციონალური გაერთიანებების ფორმები. მათი შექმნა დასაშვებია საქმიანობის ყველა იმ სფეროში, რომელიც არ იკრძალება ეროვნული კანონმდებლობით. ამასთან, მათი შექმნა შეიძლება როგორც სამთავრობო-შორისი შეთანხმებების საფუძველზე, ისე საკუთრების სხვადასხვა ფორმის სამეურნეო სუბიექტებს შორის დადებული ხელშეკრულებების მეშვეობით.

აღნიშნული შეთანხმებით სახელმწიფოებმა აიღეს შემდეგი ვალდებულებები:

- დახმარება აღმოუჩინონ სამეურნეო სუბიექტებს პირდაპირი სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ყოველმხრივ განვითარებაზე გამიზნული ერთობლივი კომერციული ორგანიზაციების შექმნას;
- უზრუნველყონ ტრანსნაციონალურ გაერთიანებაში შემავალი საწარმოების ეფექტიანი საფინანსო-საკრედიტო მომსახურება მათი საწარმოო საქმიანობისა და საგარეო სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისათვის;
- დაეხმარონ ტრანსნაციონალური გაერთიანებებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და განთავსებას, ერთობლივ საინვესტიციო პროექტებსა და ერთობლივი სადაზღვევო კომპანიების დაფუძნებისას ამ გაერთიანებების მონაწილეობის საკითხების გადაჭრაში.

შესაბამისად, სსჯ-ების შექმნისა და ფუნქციონირებისათვის არსებობს სათანადო სამართლებრივ-ნორმატიული ბაზა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ბაზას გარკვეული ნაკლოვანებები ახასიათებს. მაგალითად, რუსეთის კანონში „საფინანსო-სამრეწველო ჯგუფების შესახებ“ ზოგიერთი დებულება საჭიროებს დაკონკრეტებას. კერძოდ, თვით სსჯ-ის განმარტება ისეთი ზოგადი ხასიათისაა, რომ მას შეიძლება მივაკუთვნოთ არა მარტო ერთიანი ინტეგრირებული სტრუქტურით წარმოდგენილი ჯგუფი, არამედ, აგრეთვე იმ დამოუკიდებელ ინსტიტუტთა ერთობლიობა, რომლებიც აერთიანებენ თავიანთ აქტივებს გარკვეული პროექტის რეალიზაციის მიზნით. გაურკვეველია თვით ცენტრალური (მეთაური) კომპანიის საკითხი, რადგან ამ კანონის მე-11 მუხლის თანახმად, ცენტრალური კომპანია ძირითადად შეიძლება იყოს საინვესტიციო ინსტიტუტი, მაგრამ ამასთან, მისი შექმნა შეიძლება სამეურნეო საზოგადოების, ასოციაციის ან კავშირის სახით. ასეთი ინსტიტუტები, როგორც წესი, ფინანსურად არამყარია.

სსჯ-ის „ბირთვის“ შერჩევა ძირითადად დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ფინანსური სისტემის ტიპზე. არსებობს ფინანსური სისტემის ორი ტიპი: ძლიერ საფონდო ბაზარზე დაფუძნებული (ამერიკული ტიპი) და ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებზე დაფუძნებული (ევროპული და იაპონური ტიპი). ყოველ მათგანს ახასიათებს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები. ამერიკული ტიპი უფრო მოქნილი და მოხერხებულია სარისკო პროექტებისათვის. ბანკები არ გამოდიან ძალის პოზიციიდან არასაფინანსო კორპორაციების მიმართ. უკანასკნელნი ძირითადად უგრძნობიან დაფინანსების შიდა წყაროებს. აღნიშნულის გამო, ამერიკულ საფინანსო სისტემაში არ არსებობს ბანკების მონოპოლია დაფინანსებაზე იმ შემთხვევაშიც კი, როდენაც ბანკები უარს ამბობენ პროექტის დაფინანსებაზე. მისი განხორციელება შესაძლებელია აქციების ემისიით ან ობლიგაციების სესხის მეშვეობით.

ევროპულ (იაპონურ) მოდელში ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები ზემოქმედებენ არასაფინანსო კომპანიების საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, ამერიკული მეთოდი უფრო კონკურენტუნარიანადაა მიჩნეული, ხოლო ევროპულ-იაპონური კი ამცირებს გაკოტრებისა და არასტაბილურობის რისკს, რადგან აქ უარს ამბობენ მაღალრისკიან პროექტებზე (იმისდა მიუხედავად, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეს პროექტები შეიძლება მაღალმოშვებანიც იყოს). ასეთ სიტუაციაში ძნელია იმის თქმა, ფინანსური სისტემის რომელი ტიპია უკეთესი. ჩვეულებრივ, საბაზრო ეკონომიკაში საბანკო დაკრედიტება და საფონდო ბაზრებზე აქციების განთავსება ერთმანეთს აესებენ. როგორც წესი, რაც უფრო მეტია საბანკო კრედიტის მოცულობა, მით უფრო მაღალია საფონდო ბაზრის კაპიტალიზაცია. როგორც სრულყოფილი საფონდო ბაზარი, ისე განვითარებული საბანკო სისტემა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ხელს უწყობს დაგროვების მაღალ ნორმასა და ეკონომიკურ ზრდას. მიუხედავად ამისა, იაპონიასა და დასავლეთ ევროპის ქვეყანათა უმეტესობაში კომპანიების საბაზრო კაპიტალიზაცია 2-3-ჯერ ნაკლებია საბანკო კრედიტების მთლიან მოცულობაზე, ხოლო აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, შვეიცარიასა და ნიდერლანდებში, აგრეთვე ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში (მაღაიზია,

სინგაპური, სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკა, ჩილე და სხვა) საბაზრო კაპიტალიზაცია თითქმის უტოლდება ეროვნული ეკონომიკის საბანკო საბაზრო დაკრედიტებას.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფინანსური სისტემის ტიპი განისაზღვრება ორი ფაქტორით: პრივატიზაციის შერჩეული მოდელითა და საბანკო სისტემის კონცენტრაციის დონით. როგორც ხემათ იყო აღნიშნული, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში განხორციელდა ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ ქვეყნებში არაა მოსალოდნელი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე დაფუძნებული ფინანსური სისტემის განვითარება.

თვლება, რომ გარდამავალი ეკონომიკის, მათ შორის პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის უფრო მისაღებია ბანკებზე დაფუძნებული საფინანსო სისტემა, რადგან ეფექტიანი საფონდო ბაზრის ჩამოყალიბებას უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე საბაზრო საბანკო სისტემას. ეს აიხსნება იმით, რომ საბჭოთა პერიოდში ბანკები არსებობდნენ, ხოლო საფონდო ბაზრები კი არა. გარდა ამისა, ბანკებს უფრო მეტად შეუძლიათ კომპანიების მენეჯერთა გაკონტროლება და მართვის ორგანიზაცია. აღნიშნულის მიუხედავად, ამ ბაზრის მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ გერმანულის მსგავსი უნივერსალური ბანკების განვითარების ალბათობა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ძალიან მცირეა, რადგან სახელმწიფო ბანკებს არ შესწევთ მასშტაბური და გრძელვადიანი დაკრედიტების, აგრეთვე მსესხებელთა მკაცრი ფინანსური კონტროლის უნარი. გარდა ამისა, ბანკებზე დაფუძნებული ფინანსური სისტემა საჭიროებს ძალიან დაბალ ინფლაციას.

ფინანსური სისტემის ორი ტიპის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეჯერების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციაში ძირითადი „ბირთვი“ საბანკო და საფინანსო დაწესებულებებით განისაზღვრება, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში, ყველაზე მეტად კი რუსეთში, მნიშვნელოვანი იქნება არასაფინანსო კომპანიების (მაგალითად „გაზპრომი“, „ლუკოილი“ და ა.შ.) როლი. სსჯ-ების ჩარჩოში მარტივდება საწარმოთა დაკრედიტების პირობები, ურთიერთანგარიშსწორება, მცირდება გადაუხდელობის რისკი, სამმართველო გადაწყვეტილების პროცედურა, ამიტომ საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა აქვს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდაში. გარდა ამისა, საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაცია უნდა განვიხილოთ როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების რეინტეგრაციის საშუალება, რომელიც იძლევა მფრინობის რესტრუქტურისა და სისტემური გარდაქმნის შესაძლებლობას საბაზრო ურთიერთობათა საფუძველზე.

1. А.Г. Мовсесян, Интеграция банковского и промышленного капитала, Москва, «Финансы и статистика», 1997
2. Курс переходной экономики. Под редакцией Абалкина А.И., М., Финстатинформ, 1997.

**Г.Шадури**

**Предпосылки интеграции финансового и промышленного капитала в постсоветских странах**

Рассмотрены возможности, особенности и предпосылки интеграции финансового и промышленного капитала в постсоветских странах. Отмечено, что интеграция финансового и промышленного капитала будет способствовать развитию экономических отношений между постсоветскими странами.

**G. Shaduri**

**About Integration of Financial and Production Capital in Post-Soviet countries**

The article discusses the abilities of integration of financial and production capital in Post-Soviet countries. Author mentions, that integration of financial and production capital will help to develop economic relationships between Post-Soviet countries.

**ლირსუსანიშნავი თარიღები**

**3. მელქაქე – თვალსაჩინო მკვლევარი, მეცნიერების ორბანიზატორი, აღმზრდელი კეღაბობი, სახელმწიფო მოღვაწე\***

ქალბატონებო და ბატონებო,

ჩვენი დღევანდელი შეკრება ერთგვარად აგვირგვინებს იმ საიუბილეო ღონისძიებათა ციკლს, რომელიც გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვალერიან მელქაქის დაბადებიდან 90-ე წლისთავს მიეძღვნა. ღრმად სიმბოლური და კანონზომიერია თავად ეს ფაქტი, რამეთუ ბატონი ვალერიანის საინტერესო, ინტენსიური და ნაყოფიერი მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, მის ეკონომიკის ფაკულტეტთანაა დაკავშირებული.

1932 წელს მან ჩააბარა გამოცდები თსუ ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომლის კურსდამთავრებული 1937 წელს ჩაირიცხა თსუ ასპირანტურაში პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით. შემდგომში იგი მიაღწინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში.

1960-1963 წლებში პროფ. ვალერიან მელქაქე მუშაობდა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე.

1972 წელს ბ-მა ვალერიანმა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ საბჭოზე წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდშიც იგი აქტიურად თანამშრომლობდა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრასთან (შეთავსებით ეკავა პროფესორის 0,5 საშტატო განაკვეთი).

\* საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ვალერიან მელქაქის დაბადებიდან 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ სხდომაზე წაკითხული მოხსენება.

პროფესორი ვალერიან მელქაძე ღრმა და მრავალმხრივად განსწავლული მკვლევარი, თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე იყო. თავს უფლებას ვერ მიეცემ პრეტენზია განვაცხადო მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა მხარის დახასიათებაზე. ნება მიბოძეთ წარმოგიდგინოთ ამ შესანიშნავი პიროვნების სამი, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი ასპექტი. ეკრძოდ:

- ბ-ნ ვალერიან მელქაძის მოღვაწეობა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტზე;
- პროფესორი ვალერიან მელქაძე როგორც ნოვატორული აზროვნების მეცნიერი;
- პროფესორ ვალერიან მელქაძის სამეცნიერო მემკვიდრეობა და თანამედროვეობა.

როგორც მოგახსენეთ, ბ-ნი ვალერიანი ეკონომიკის ფაკულტეტზე 1960 წელს, მნიშვნელოვანი პარტიული და სახელმწიფო პოსტებგავლილი მოვიდა და სამი სასწავლო წელი იმუშავა. მოსვლის პირველი დღეებიდანვე ნათლად წარმოჩინდა მისი დიდი ორგანიზატორული ნიჭი და ენერჯია. უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსებში გაფანტული ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებს მან ერთ კორპუსში მოუყარა თავი, რითაც საგრძნობლად ამაღლდა სასწავლო პროცესის ეფექტიანობა და ხარისხი. ამასთან ის ფაქტიც უნდა აღინიშნოს, რომ ბ-მა ვალერიანმა ჩვეული პრინციპულობით დააყენა საკითხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის V კორპუსისათვის ფლიგელის მიშენების თაობაზე. მიზანს მიაღწია და სტუდენტებისათვის დამატებითი 30 ოთახიანი სასწავლო ფონდი შექმნა. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და პირდაპირი მონაწილეობით როგორც რუსულიდან ითარგმნა, ასევე ქართულ ენაზე დაიწერა ბევრი მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო.

ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე მუშაობისას კიდევ ერთხელ გამოვლინდა ბ-ნი ვალერიან მელქაძის მახვილი სამეცნიერო აღღო და შორსმჭერტეულობა. საკითხი ეხებოდა ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების სპეციალობის შემოღებას ფაკულტეტზე; ცნობილ ინგლისელ ეკონომისტს ჯონ მეინარდ კენსს ეკუთვნის გამოხატვაში: ეკონომიკურმა თეორიამ მხოლოდ მაშინ შეიძლება განაცხადოს პრეტენზია მეცნიერულობაზე, თუ მოხერხდება მისი ყველა უმნიშვნელოვანესი დებულების მათემატიკური დამტკიცება. ეს ფუნდამენტური პრინციპი სსრ კავშირში დიდი ხნის მანძილზე სამწუხაროდ უარყოფილი იყო. მხოლოდ 60-იანი წლების დასაწყისიდან შეინიშნებოდა მათემატიკური მეთოდების ეკონომიკურ კვლევა-ძიებაში გამოყენების პირველი მცდელობები და ამ საქმის ავანგარდში ბ-ნი ვალერიანიც იდგა.

მათემატიკის და ფიზიკის ფაკულტეტებიდან ეკონომიკის ფაკულტეტზე მან გადმოიყვანა ნიჭიერი ახალგაზრდები და ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების ორი ჯგუფი ჩამოაყალიბა. მოგვიანებით ბატონმა ვალერიანმა იმაზედაც იზრუნა, რომ ზოგიერთი მათგანი მოსკოვში ასპირანტურაში გაეგზავნა ცოდნის გასაღრმავებლად. მის მიერვე 1963 წელს საქართველოს საგეგმო კომიტეტთან სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ ამ

ახალგაზრდების მონაწილეობით ინსტიტუტში შეიქმნა საქართველოში პირველი ეკონომიკურ-მათემატიკური კვლევების განყოფილება.

პროფესორი ვალერიან მელქაძე სტრატეგიული აზროვნების, სიახლეებზე მუდმივად ორიენტირებული მეცნიერი იყო. საქართველოში მან ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა პრაქტიკულ ანუ გამოყენებით ეკონომიკას. ამ წელიწადის მნიშვნელობის ნათლად წარმოსადგენად უნდა გავიხსენოთ ის ეპოქა და მისგან გამომდინარე ეკონომიკური მეცნიერების მდგომარეობა. ეკონომიკური მეცნიერება საბჭოური იდეოლოგიის მარწუხებში იყო მოქცეული. უპირატესობა უნიტებოდა წმინდა თეორიულ-აბსტრაქტული ხასიათის გამოკვლევებს მეცნიერ-ეკონომისტები ერთმანეთს „უჯობებოდნენ“ ახლ-ახალი ეკონომიკური კანონების „აღმოჩენაში“. ამ კანონების პრაქტიკულ გამოყენებაზე კი ნაკლებად ფიქრობდნენ.

გაბატონებული მიდგომების საწინააღმდეგოდ, ბატონი ვალერიან მელქაძე მიიჩნევდა, რომ საჭიროა არა მარტო ეკონომიკური კანონების თეორიული ახსნა, არამედ არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ კანონის მოქმედების პრაქტიკული შექანიზმის შემუშავება და რეალურ სინამდვილეში მათი მოთხოვნების გათვალისწინება. ღრმა თეორიული ცოდნა და უზარმაზარი პრაქტიკული გამოცდილება, რომელიც პროფესორ ვალერიან მელქაძის პიროვნებაში იყო სინთეზირებული, საშუალებას აძლევდა მას ეკონომიკურ კვლევაში ორგანულად შეეხამებინა ანალიზის აბსტრაქტული და კონკრეტული, თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ნებისმიერი თეორიული გამოკვლევა პრაქტიკული გამოყენებისათვის ვარგისი დასკვნა-რეკომენდაციის კონდიციამდე მიეყვანა. იმდროინდელ საზოგადოებაში გაბატონებული იდეოლოგიური კლიშეებისა და სტერეოტიპების რღვევა არ იყო ადვილი საქმე. მეცნიერული სინდისი იყო ერთადერთი მოტივი, რაც ბ-ნ ვალერიანს ხშირად აიძულებდა „ღინების საწინააღმდეგოდ“ ემოძრავა.

პროფესორ ვალერიან მელქაძის სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა კვლევარმომხმარებლის ტემპებისა და პროპორციების, ეკონომიკური რაიონების მახასიათებლების პრობლემების ანალიზი. უმნიშვნელოვანეს და ძირითად მახასიათებლად იგი ეროვნულ შემოსავალს მიიჩნევდა და ამ კატეგორიის გამოკვლევას შრავალი საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა. მან შეიმუშავა მოკავშირე რესპუბლიკაში ეროვნული შემოსავლის განსაზღვრის ორიგინალური მეთოდიკა, ერთიმეორისაგან განასხვავა წარმოებული და მოხმარებული ეროვნული შემოსავალი. იმჟამინდელი ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლით საქართველო 15 მოკავშირე რესპუბლიკას შორის ერთ-ერთი უკანასკნელი იყო, ხოლო პროფესორ ვალერიან მელქაძის მეთოდიკით მას მოწინავე პოზიციები ეკავა. ამ დასკვნას არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური დატვირთვაც უქონდა. მართალია, „ერთიან ქმურ ოჯახში“ ეცხოვრობდით, მაგრამ „უფროსი ძმის“ (რუსეთის) მხრიდან ხშირად გაისმოდა საყვედური ჩვენს მიმართ, რომ ძირითადად მომხმარებელი რესპუბლიკა ვართ და სხვების ხარჯზე ეცხოვრობთ. საკავშირო ხელმძღვანელობამ, რასაკვირველია, ბ-ნი ვალერიან მელქაძის მიერ

შეთავაზებული მეთოდის არ გაიზიარა. ეს ფაქტი კი ქართველი მეცნიერის მიერ საქართველოს სასარგებლოდ იქნა გამოყენებული და ასეთი ლოგიკა შესთავაზა საკავშირო ხელისუფლებას: თუკი საქართველო ასე ჩამორჩენილია, მაშინ აუცილებელია მისი ეკონომიკის დაქარაუბრებული განვითარება, რასაც დამატებითი რესურსები სჭირდება. ბ-ნი ვალერიანის უშუალო ინიციატივითა და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის იმპაზინდელი პირველი მდივნის ელვარდ შევარდნაძის აქტიური მხარდაჭერით საკავშირო კვ ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღო ერთობლივი დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დაქარაუბრებული განვითარების გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ“, რომლისგან გამომდინარე საქართველომ ე.წ. საკავშირო ფონდიდან დიდიხალი დამატებითი რესურსები მიიღო და უმნიშვნელოვანესი პროექტები განახორციელა.

ვისხენებთ ამ ფაქტებს და ძალაუნებურად იბადება პარადოქსები ჩვენს თანამედროვეობასთან. ორ მილიარდ აშშ დოლარზე მეტი თანხა მიღებული კრედიტებისა და დახმარებების სახით. სად და ვის ჯიბეებში წავიდა ეს ასტრონომიული თანხები? სახეზეა დანგრეული ეკონომიკა, დაშვებული ხალხი, უსინათლობა, სიცივე, უიმედობა ხვალისდელი დღის მიმართ... და კიდევ, მაინც რა არის პატრიოტიზმი? გულზე მჯილის ბრაგუნე და ყვირილი ხმის ჩახლენამდე – „თავისუფალ საქართველოს გაუმარჯოს“?! რა თქმა უნდა, არა! პატრიოტიზმი საკუთარი ქვეყნისა და ხალხის სასარგებლო საქმის კეთებაა – ზოგჯერ მცირესი, ზოგჯერ დიდის. ვალერიან მეღქაძე სწორედ რომ საქმით იყო თავისი ქვეყნის პატრიოტი.

პროფესორი ვალერიან მეღქაძე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის – რეგიონული ეკონომიკის საქართველოში ფუძემდებელი და სსრ კავშირში, აკად. ნეკრასოვთან ერთად, ერთ-ერთი ლიდერი მკვლევარი იყო. რეგიონალისტიკის საკითხებში ინსტიტუტმა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა, წამყვანი სამეცნიერო ცენტრის პოზიციებში დაიმკვიდრა ადგილი და ამ დარგში წარმოებული კვლევის სიმძიმის ცენტრმა მოსკოვიდან საქართველოში გადმოინაცვლა, სადაც მრავალი საერთაშორისო და საკავშირო სიმპოზიუმი, კონფერენცია, თათბირი და ა.შ. ჩატარდა. პროფესორ ვალერიან მეღქაძის ნაშრომებმა ფართო აღიარება პოვეს სსრ კავშირში და მის საზღვრებს გარეთ. პირადად ბატონი ვალერიანის და მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ რეგიონული ეკონომიკის პრობლემების გამოკვლევებს ჭეშმარიტად რევოლუციური ხასიათი ჰქონდა. საქმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საკუთრივ რეგიონალიზაციის იდეა წარმოების არასრული ციკლის გაბატონებული საბჭოური სტრუქტურის წინააღმდეგ იყო მიმართული და მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შესაძლებლობაზე ერთ-ერთ პირველ მინიშნებას წარმოადგენდა. ყოველივე ეს უფრო ცხადი გახდა ბ-ნი ვალერიანის გარდაცვალებიდან 7-8 წლის შემდეგ, როდესაც ე.წ. „პერსპექტივის“ პერიოდში ბალტიისპირეთის რესპუბლიკებმა პირველად წამოაყენეს რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების იდეა

(კონცეფციის ავტორი - ესტონელი აკადემიკოსი ბრონშტეინი). ეს იდეა გარდამავალი საფეხური იყო ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის გზაზე. 1988 წელს ახალგაზრდა ქართველმა ეკონომისტმა რომან გოცირიძემ რესპუბლიკურ პრესაში გამოაქვეყნა სტატიების ციკლი, სადაც იგი ხაზს უსვამდა პროფ. ვალერიან მეღვინის დეაქტულაციას ეკონომიკური დამოუკიდებლობის პრობლემების კვლევაში.

რეგიონალისტიკის პრობლემატიკაში პროფ. ვალერიან მეღვინის მიერ მიღებული შედეგები უაღრესად აქტუალურია დღევანდელი საქართველოსათვის. კერძოდ, იგი მიუთითებდა საქართველოს ცალკეული რეგიონების დეპრესიული მდგომარეობის დაძლევისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის გათანაბრების აუცილებლობაზე. ამჟამად საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას ყველაზე დიდ პრობლემებს სუპერატივში უქმნის, რასაც უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკური მიზეზები ასაზრდოებს. მრავალეროვან ქვეყანაში წმინდა ეკონომიკური პრობლემებისათვის ეთნიკურ-პოლიტიკური შეფერვილობის მიცემა ძალზე იოლი საქმეა.

პროფესორ ვალერიან მეღვინის მოსაზრებები აქტუალურია რამდენიმე თვალსაზრისით:

პირველი, საქართველოს კონსტიტუციაში ჯერჯერობით გაურკვეველია ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხი;

მეორე, უაღრესად მწვავედ დგას საქართველოს ერთიანი ეკონომიკური სივრცის (ერთიანი ბაზრის) ჩამოყალიბების ამოცანა;

მესამე, აუცილებლად გასათვალისწინებელია ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამოცდილება. საქართველოს ერთიანობა ყოველთვის ემყარებოდა მისი სხვადასხვა მხარეების (კუთხეების, სამეფოებისა თუ სამთავროების) თვითმყოფადობას. ჩვენ ვგზომ განვსხვავდებოდით ერთმანეთისაგან და იქნებ სწორედ ამიტომ ვისწრაფოდით ასე ძალუმად ერთმანეთისაკენ?! სრულიად საქართველოს ერთიანობას ხომ მყარი ეკონომიკური საფუძველი სჭირდება.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვით მსურს მივმართო ჩემს ახალგაზრდა კოლეგებს - სტუდენტებსა და ასპირანტებს, რომლებიც მრავლად არიან ამ დარბაზში: გთხოვთ წაიკითხოთ პროფესორ ვალერიან მეღვინის ნაშრომები და გარწმუნებთ, რომ თქვენ აქ იპოვით პასუხს ბევრ კითხვაზე, რაც საკუთარი ქვეყნის ბედ-იღბალით დაიტვირთებულ ახალგაზრდა თაობას გაწუხებთ. სწორედ ეს არის მეცნიერის უკვდავება. ამიტომ არის პროფესორი ვალერიან მეღვინე ჩვენი თანამედროვე.

მადლობას მოგახსენებთ ყურადღებისათვის.

პროფ. ე. მექვაბიშვილი

**პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის**

2005 წლის 28 სექტემბერს სრულდება 100 წელი ქართული ეკონომიკური მეცნიერების პატრიარქის, გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან.

დიდია აკად. პ. გუგუშვილის დამსახურება ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. მის ღრმაშინაარსიანი ცხოვრების გზას ამშვენებს 500-მდე მეცნიერული ნაშრომი, მათ შორის, 50 მონოგრაფია 1100-ზე მეტი ნაბეჭდი თაბახის მოცულობით. აქედან განსაკუთრებით გამოირჩევა 1949-1984 წლებში გამოქვეყნებული მრავალტომეული „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს.“, 5300 გვერდის მოცულობით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პ. გუგუშვილის დამსახურება ქართული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შექმნაში. მის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე 1947 წელს გამოცემულმა „ეკონომიკურმა ტერმინოლოგიამ“ ფუძემდებლური როლი შეასრულა ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

აკად. პ. გუგუშვილის ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით 1944 წელს დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც დაარსებიდან 1978 წლამდე თვით ედგა სათავეში. მისი ინიციატივით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის სამეცნიერო საბჭო, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლომდე თავმჯდომარეობდა. იყო მსოფლიოს სოციოლოგიური ასოციაციის საბჭოსა და აღმასკომის წევრი.

აკად. პ. გუგუშვილი იყო მეცნიერული კადრების შესანიშნავი აღმზრდელი. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა ეკონომისტთა არაერთი თაობა.

დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ეკონომისტთა საზოგადოება ღირსეულად აღნიშნავს სახელოვანი მეცნიერისა და აღმზრდელის დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღს.

პროფ. რ. ასათიანი



**3. ჩანტლაძე – ბაშოჩანიძე მცნობარი, აღმზრდელი და  
 საზოგადო მოღვაწე**

ახლოვდება გამოჩენილი მეცნიერის, აღმზრდელისა და საამაყო მამული შვილის, სახელმძღვანელო ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პროფესორ ვასილ ჩანტლაძის დაბადებიდან 100 წლისთავი.

ვ. ჩანტლაძე დაიბადა 1905 წლის 8 იანვარს ზესტაფონში, შუშის ოჯახში, 1923 წელს დაამთავრა თბილისის პირველი ვაჟთა პუმანიტარული ტექნიკუმი (ყოფილი ვაჟთა პირველი გიმნაზია) და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, რომელიც 1927 წელს დაამთავრა. დიდი ქართველი მეცნიერის, პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილის წინადადებით ვ. ჩანტლაძე დატოვებულ იქნა უნივერსიტეტში.

ვ. ჩანტლაძის პირველი მეცნიერული ნაშრომი გამოქვეყნდა 1930 წელს. აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე ავტორი იყო 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა. იგი იყო ფართოდ ერუდირებული მეცნიერი ეკონომიკურ დისციპლინათა სხვადასხვა დარგში. მისი შრომების უმეტესი ნაწილი ეძღვნებოდა ფინანსების თეორიას, ეკონომიკის დარგთა ფინანსებს, ფინანსების ისტორიას, ეკონომიკური აზრის ისტორიას, ეკონომიკურ ტერმინოლოგიასა და სხვ. ვ. ჩანტლაძის შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ჩინურ და ინგლისურ ენებზე.

ფინანსურ კატეგორიათა კვლევა-ძიება მეცნიერს უფრო გაშლილად და დასაბუთებულად მოცემული აქვს შრომაში „ფინანსური კატეგორიების ადგილი კ. მარქსის ეკონომიკურ სისტემაში“. ვ. ჩანტლაძის სამეცნიერო შრომებს შორის აღსანიშნავია მისი წიგნები „ფინანსები რეფორმამდე აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864 წწ.)“, თბილისი, 1975 წ., „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“, თბ., 1966 წ., „Вопросы теории финансов“, თბ., 1979 წ., (ითარგმნა ჩინურ ენაზე), „ფინანსების თეორიის საკითხები“, თბ., 1987 წ., (ხელახლად გადამუშავებული და გამდიდრებული), „შ. რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები“, თბ., 1992 წ., და მრავალი სხვ.

ვ. ჩანტლაძე ნაყოფიერად იკვლევდა ეკონომიკური აზრის ისტორიას. ამ

მხრივ აღსანიშნავია მისი შრომები „გადასახადი და სიღარიბე (ჰენრი ჯარჯი და მისი თანამოაზრენი, 1941)“, აგრეთვე „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი“ (1959). ეს უკანასკნელი წარმოადგენს პირველ ცდას სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკურ შეხედულებათა ჩამოყალიბებისა. ამ შრომაში სულხან-საბა ორბელიანის შეხედულებები შესწავლილია მსოფლიო ეკონომიკური აზრის ასპექტში და დასაბუთებულია იმ დროისათვის პროგრესული დებულება, რომლითაც იგი 70 წლით უსწრებს ფიზიოკრატების პროგრესული მაშაბთაყარს ფრანსუა კენეს. სულხან-საბა ორბელიანი ნამდვილ სიმდიდრედ აღიარებდა სოფლის მეურნეობის პროდუქციას, სიმდიდრის წყაროდ კი შრომას. ამ ნაშრომმა დიდი გამოხმაურება კპოვა. ეს საკითხი მოხსენდა ეკონომისტ-ისტორიკოსთა საერთაშორისო კონგრესს ლენინგრადში 1970 წლის აგვისტოში. მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა და გავრცელდა რუსულ და ინგლისურ ენებზე. ვ. ჩანტლაძის მიერ კონგრესზე გაკეთებულ მოხსენებას გამოეხმაურა ცნობილი ფრანგი მეცნიერი პროფ. ჰემანდინკერი, რომელმაც ქართველ მეცნიერს სთხოვა დამატებითი ცნობების მიწოდება სულხან-საბას დროინდელ საქართველოს სამეურნეო ყოფისა, რის შემდეგაც პროფ. ჰემანდინკერმა სხვებთან ერთად ფრანგულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა ადამიანის საკვები მარცვლეულის მსოფლიო ატლასი, სადაც მოხსენებულია საქართველო და სულხან-საბა ორბელიანი.

ვ. ჩანტლაძის დამსახურებაა ისიც, რომ მისი შრომის საფუძველზე საბჭოთა ეკონომისტებმა სულხან-საბა ორბელიანს ადგილი დაუთმეს საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ ენციკლოპედიაში, სადაც სულხან-საბა ორბელიანი აღიარებულია ფიზიოკრატების წინამორბედად. ამავე მიმართულებით მნიშვნელოვანია ვ. ჩანტლაძის შრომა - „შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები“, თბილისი 1992 წელი.

ვ. ჩანტლაძემ დაწერა საინტერესო შრომა <<იაკობ ცურტაველი და ეკონომიკური ტერმინების სათავეები მის ნაწარმოებებში - „წამება წმიდისა შუშანიკისა“>. მისი შრომებიდან აღსანიშნავია მონოგრაფიული გამოკვლევები: „აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი სახელმწიფოებრივი ფინანსების შესახებ“ და „აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი საფარისა და კრედიტის შესახებ“ და მრავალი სხვ.

ვ. ჩანტლაძის მოღვაწეობას ამდიდრებდა მისი მუშაობა მეცნიერულ-პედაგოგიური კადრების მომზადებისა და ატესტაციის დარგში, მან მეცნიერული ხელმძღვანელობა გაუწია სამ ათეულზე მეტ დოქტორისა და კანდიდატის მეცნიერებად კურთხევას. იგი ოც წელზე მეტი ედგა სათავეში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრას. ამჟამადაც ამ კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი მისი ყოფილი მოწაფეები არიან.


ვ. ჩანტლაძე წლების განმავლობაში სათავეში ედგა ხარისხების მიმნიჭებულ სამეცნიერო საბჭოს „ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის“ სპეციალობით. იგი იყო ღირსეული მოქალაქე, მეოჯახე და ერთგული მგობარი.

მან ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ეკონომიკურ და ფინანსურ მეცნიერებაში. ვალდობდილი წავიდა ამ ქვეყნიდან 1995 წლის 17 ოქტომბერს. მისი ნათელი ხსოვნა არასდროს დავიწყებას არ მიეცემა.

აკადემიკოს ვ. ჩანტლაძის აღზრდილებს ძალახა და სიმხნევეს გვმატებს შეგნება იმისა, რომ წლებისაგან გათეთრებულ ჩვენს აწ გარდაცვლილ მეცნიერს – პატრიარქს საქართველოს ისტორიის განვითარების ძნელბედობის წლებშიც, ანარქიის ცივი ზამთრის გრძელ დამეუბში წუთითაც არ გაუგვია კალაში ხელიდან. იგი მუხლჩაუხრელად იდგა ეროვნულ ფინანსური მეცნიერების სადარაჯოზე, მსოფლიო ფინანსური მეცნიერების სკოლებსა თუ რუსთაველის ბრძნულ სტრიქონებში ეძებდა იმპერიის მიერ დასეტყვილი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლის გზებსა და საშუალებებს.

როგორ სტირდება დღესაც დილექტანტთა „ეკონომიკურ-ფინანსური თეორიებით“ თითქმის წადეკიდ საქართველოს აკად. ვ. ჩანტლაძისათვის დამახასიათებელი საღი აზრი, ეკონომიკის ურთულეს საკითხებში გონიერული გარკვევა. მისი ნათელი ხსოვნის და გაწეული შრომის დაფასების გამოხატულებას წარმოადგენს მისი ყოფილი მოწაფეების, ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის პრობლემების სამეცნიერო ცენტრის, იე-ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის წევრებისა და თანამოაზრეების მიერ თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, ფინანსებისა და ფულის თეორიების პრობლემების მეცნიერული კვლევის გაგრძელება, წვლილის შეტანა საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის საქმეში, რომელსაც დეწლმოსილმა მეცნიერმა, სასიქადულმა მამულიშვილმა აკად. ვ. ჩანტლაძემ მთელი თავისი განვლილი ცხოვრება პირნათლად მოახმარა.


პროფ. გ. გამსახურდია  
დოც. პ. ბერიშვილი



### ირაკლი მიქელაძე -100

100 წელი გავიდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ირაკლი მიქელაძის დაბადებიდან.

დიდა ი. მიქელაძის წვლილი უკონომიკის მეცნიერების განვითარებაში. ირაკლი მიქელაძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი მასალები „უკონომიკის“ შორეულ ნომერში დაიბეჭდება.



**ახალი თემატიკა**

**სამკროეკონომიკა (სახელმძღვანელო) მაკროეკონომიკაში**

გარდამავალი ეკონომიკის პრობლემური საკითხების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე სტილის ეკონომიკური ლიტერატურის შექმნას. ახლებურ სტილზე აგებული მეცნიერული ლიტერატურა ხელს უწყობს სტუდენტი ახალგაზრდობის პროფესიულ აღზრდას და ეკონომიკური საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას ეხმარება ეკონომიკური პრობლემების რეალურად გააზრებაში. სწორედ მაკროეკონომიკის პრობლემურ საკითხებს ეძღვნება ჯვრედ კახნიაშვილის სახელმძღვანელოს ორი ტომი. „მაკროეკონომიკა“ - I ნაწილი, თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“ 1996; „მაკროეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა“ - II ნაწილი, თბილისი, საგამომცემლო ფირმა „სიახლე“ 1997, მეცნიერ-რედაქტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი როზეტა ასათიანი.

ჯ. კახნიაშვილის მაკროეკონომიკის სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი მოიცავს ორ განყოფილებას. პირველი განყოფილება ეთმობა ზოგად დებულებებს: მაკროეკონომიკის საგანსა და მაკროეკონომიკური თეორიის საფუძვლებს, აგრეთვე, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზს. მეორე განყოფილება კი მოლიანად ეძღვნება მაკროეკონომიკური დესტაბილურობის გამომწვევ მიზეზებს და მათი აღმოფხვრის საშუალებებს.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში განხილულია როგორც მაკროეკონომიკური პოლიტიკის თეორიული საფუძვლები, ისე ამა თუ იმ მაკროპრობლემის გადაჭრის მექანიზმი. ნაშრომის ამ მონაკვეთში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის ეკონომიკური თეორიების გამოყენების შესაძლებლობას.

თანამედროვე ეკონომიკა ხასიათდება მეტად რთული სტრუქტურით. ძნელი გასაგები და გადასაჭრელი გახდა მაკროეკონომიკური პრობლემები. მაკროეკონომიკური მაჩვენებლები (მშპ, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, უმუშევრობის დონე...) იძლევა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის

რაოდენობრივი შეფასების შესაძლებლობას. ეს მანქანებლები, თავის მხრივ, გამოიყენება შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად.

მაკროეკონომიკა, როგორც ეკონომიკური თეორიის შემადგენელი ნაწილი, საქართველოში, ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლასთან ერთად, ფართოდ იკავებს ფეხს უმაღლესი სკოლის სასწავლო პროგრამებში.

მაკროეკონომიკა, როგორც მაკროეკონომიკური მეცნიერება, თეორია, იკვლევს ეკონომიკის, როგორც ერთიანი მთლიანის წარმართვის მსხვილმასშტაბიან პრობლემებს. ამიტომაც ბუნებრივია, დიდია მისი შესწავლისადმი ინტერესი.

სარეცენზიო ნაშრომის შინაარსის გაცნობა გვარწმუნებს, რომ ავტორმა წარმატებით გადაწყვიტა მის წინაშე დასმული ამოცანები. სახელმძღვანელოს ავტორი აღნიშნავს, რომ ეკონომიკურმა თეორიამ უნდა უპასუხოს საზოგადოებისა და ერის წინაშე დასმულ ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: მოსახლეობის ზრდის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ცალკეული ქვეყნისათვის და მთლიანად მსოფლიოსათვის, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდა და მისი მნიშვნელობა უახლოეს და შორეულ პერსპექტივაში.

ყველა დასახელებულ და სხვა მრავალ კითხვაზე პასუხის გაცემა მოითხოვს ეკონომიკური თეორიის ცოდნას. აქ კი არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ მოცემული მზა პასუხი.

ეკონომიკური თეორია ამტკიცებს, რომ საკუთარი ინტერესების მოქმედების ფარგლებში ადამიანები ქმნიან არჩევის შესაძლებლობას სხვებისათვის, რომ საზოგადოებრივი კოორდინაცია არის განუწყვეტელი ურთიერთშეკუების პროცესი ცვალებადი სარგებლობის მისაღებად.

სახელმძღვანელოს ავტორი აანალიზებს ეკონომიკური თეორიის საგნის სხვადასხვა განმარტებას, რის შემდეგ აყალიბებს ეკონომიკური თეორიის თავისებურ ფორმულირებას: „ეკონომიკური თეორია არის მეცნიერება იმის შესახებ თუ ადამიანები და საზოგადოება იშვიათი მწარმოებლური რესურსებიდან რომელს აირჩევენ ამა თუ იმ საქონლის ან მომსახურების საწარმოებლად, როგორ მოახდენს შერჩეული ფაქტორების გამოვლინებას და ვისთვის გაანაწილებს ამ გზით წარმოებულ პროდუქციას“ (ჯ. კახნიაშვილი, მაკროეკონომიკა, ნაწ. I, გვ. 30).

ეკონომიკური თეორიის შემადგენელი ნაწილია მაკროეკონომიკური თეორია, რომელიც ემსახურება, მაკროგადაწყვეტილებების თეორიულ დასაბუთებას.

სახელმძღვანელოს I განყოფილებაში მოცემულია მაკროეკონომიკური თეორიის საფუძვლები; ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება; ერთნეული პროდუქტი: წარმოება, განაწილება, მოხმარება; ეკონომიკური ზრდის თეორია და პრაქტიკა.

მეორე განყოფილება ეძღვნება მაკროეკონომიკური დესტაბილიზაციის ანალიზს. აქ განხილულია ერთობლივი მიწოდება და ეკონომიკური ციკლი; უმუშევრობა; ინფლაცია; შემოსავლები და ცხოვრების დონე. სახელმძღვანელოს II ნაწილში გაანიზებულია მაკროეკონომიკური პოლიტიკა. ამ თავში ჯეროვანი

ადგილი ეთმობა ეკონომიკური განვითარების მოდელებს და მათ გამოყენებას საქართველოში. ავტორი აღნიშნავს, რომ ეკონომიკური მოდელის არჩევას საფუძვლად უნდა დაედოს თეორიულად დასაშვები და პრაქტიკულად შესაძლებელი ეკონომიკური პოლიტიკის ვარიანტები, რომლებიც ითვალისწინებენ, ერთი მხრივ, ეკონომიკური სისტემის ინერტულობას, ხოლო, მეორე მხრივ, რეალური საზოგადოებრივი ჯგუფების არსებობას, რომლებიც დაინტერესებული არიან მოვლენების განვითარებაში ამა თუ იმ მსვლელობით. (ნაწ. II, გვ. 40)


მეორე თავში განხილულია სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური როლი. III თავში- ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; IV თავში გაანალიზებულია საერთაშორისო ვაჭრობა და სავაჭრო პოლიტიკა. V თავში დიდი ადგილი ეთმობა საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო და ფინანსური ურთიერთობების მიმოხილვას.

სახელმძღვანელოს განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენს VI თავი, განუვითარებელი ქვეყნების ადგილი და როლი მსოფლიო ეკონომიკაში. ჩვენი აზრით, აქ აჯობებდა ავტორს ეხმარა მიღებული ტერმინი „განვითარებადი ქვეყნები“.

განსახილველი ნაშრომის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ იგი სისტემური ხასიათის სახელმძღვანელოა. მასში საკითხები მადიდ თეორიულ დონეზეა განხილული, რაც უდავოდ მოწონებას იმსახურებს. ნაშრომი წარმოადგენს სასარგებლო სახელმძღვანელოს.

ცალკეული არაარსებითი ნაკლოვანებების მიუხედავად, ჯემალ კახნიაშვილის მიერ წარმოდგენილი სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს სტუდენტებს, მაგისტრანტებს, ასპირანტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, პრაქტიკის მუშაკებს და ყველას, ვინც დაინტერესებულია მაკროეკონომიკის ზოგადი თეორიული საკითხებით.

დოც. ჯ. ხარტონაშვილი



**ანანიაშვილი იური** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური კიბერნეტიკის კათედრის პროფესორი.

**ასათიანი როზეტა** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის პროფესორი.

**ბაბუნაშვილი გიორგი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი.

**ბერიშვილი პარმენ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების და კრედიტის კათედრის დოცენტი.

**ბერიძე როსტომ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის დოქტორანტი.

**ბერკაცაშვილი ზაქარია** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის ასპირანტი.

**ბურდული ფრიდონ** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, კონტროლის, აუდიტის კათედრის დოცენტი.

**გამსახურდია გივი** – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების და კრედიტის კათედრის გამგე.

**გრიგალაშვილი ლევან** – ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის,

კონტროლის, აუდიტის კათედრის დოცენტი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიური სამმართველოს უფროსი.

**თეთრუაშვილი-ქარდავა მანია** - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსების, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის კათედრის დოცენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

**კოლუაშვილი პაატა** - ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის კათედრის დოცენტი.

**კუპრეიშვილი ელგუჯა** - ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, კონტროლის, აუდიტის კათედრის დოცენტი.

**მექვაბიშვილი ელგუჯა** - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი.

**ნათენაძე შალვა** - ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის დოცენტი.

**რიჩარდსონი ოლივერი** - ლონდონის (დიდი ბრიტანეთი) ბრუნელის უნივერსიტეტის ასოცირებული წევრი.

**ფუტკარაძე რამაზ** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის ასპირანტი.

**ქოქიაური ლამარა** - ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის დოცენტი.

**ყორღანაშვილი ლარისა** - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის გამგე.

**შადური გიორგი** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის და საგარეო ვაჭრობის ეკონომიკის კათედრის ასპირანტი.

**ხარიტონაშვილი ჯემალ** - ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკის და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის დოცენტი.

**ჯარვისი კრისი** - ლონდონის (დიდი ბრიტანეთი) ბრუნელის უნივერსიტეტის პროფესორი, სამაგისტრო პროგრამების დირექტორი.

## სტატიების მიღების წესები

1. ჟურნალში (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების სერია „ეკონომიკა“) ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ქვეყნდება სტატიები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას თანამედროვე ეკონომიკური მიმართულებების თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგების შესახებ. იბეჭდება ინფორმაციები ეკონომიკის სფეროში ახალი გამოცემების შესახებ, აგრეთვე რეცენზიები, კონფერენციების, სხდომების და სხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების მასალები.

2. რედაქციაში გამოგზავნილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში კი – ყველა თანაავტორის მიერ, სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.

3. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალის, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე შესრულებული რეფერატების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე ნაბეჭდი ტექსტის 15 გვერდს, რომელიც დაბეჭდილია 15 ინტერვალით და 10 ზომის შრიფტით.

სტატიას უნდა ახლდეს რეფერატები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე – თითოეული არა უმეტეს ნახევარი გვერდის მოცულობით. უცხოელი ავტორები რეფერატს წარმოადგენენ რუსულ და ინგლისურ ენაზე.

რედაქციაში სტატიის წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად ელექტრონულ ვერსიასთან ერთად (MS Word, ქართული ტექსტი შრიფტით AcadNusx, ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტი - Times New Roman, შრიფტის ზომა 10)

4. ლიტერატურის დასახელება უნდა მოთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი სიის სახით.

წიგნებისათვის დაცული უნდა იქნეს შემდეგი თანმიმდევრობა: ავტორის გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, ტომი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი.

საჟურნალო სტატიისათვის – ავტორის გვარი და ინიციალები, სტატიის

დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ტომი, ნომერი (გამოშვება).

ლიტერატურის სიაში მითითებული წყარო უნდა იყოს გამოყენებული სტატიის ტექსტში. ამა თუ იმ ავტორის ნაშრომის ციტირების შემთხვევაში მას უნდა მიეთითოს წყარო შესაბამისი გვერდის აღნიშვნით. წყარო მიეთითება კვადრატულ ფრჩხილებში შემდეგი სახით [2, 47], სადაც პირველი ციფრი შეესაბამება ციტირებული წყაროს რიგით ნომერს გამოყენებული ლიტერატურის სიაში, ხოლო მეორე – იმ გვერდს, საიდანაც აღებულია ციტატა. ლიტერატურის ნომერი სიაში შეესაბამება ტექსტში მათი მოხსენიების რიგს.

ძირითადი ტექსტის ცხრილები, გრაფიკები და სქემები უნდა განლაგდეს მათი მითითების ადგილზე, თუ იქ ადგილი არაა საკმარისი, შეიძლება მათი მოთავსება შემდეგ გვერდზე. ცხრილებს, გრაფიკებს და სქემებს უნდა ჰქონდეს ნუმერაცია და დასახელება, საჭიროების შემთხვევაში – დამატებითი განმარტებები.

ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს წიგნის (ჟურნალის) სატიტული ფურცელს.

5. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შესვლის რიგის მიხედვით. თუ რედაქცია დააბრუნებს სტატიას გადასამუშავებლად, სტატიის წარმოდგენის თარიღად ითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი. სტატია ექვემდებარება რეცენზირებას. სტატიის დაწუნების შემთხვევაში რედაქცია უფლებას იტოვებს არ დაუბრუნოს დედანი ავტორს.

6. სტატია, რომელიც არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ პირობებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.

საკონტაქტო ტელეფონი : 30-49-08

E-Mail: bizfak@viam.hepi.edu.ge

## შინაარსი

**ეკონომიკური თეორია. ეკონომიკურ მოქმედებათა ისტორია**

მ. თეთრუაშვილი-ქარდავა – ეკონომიკური დემოკრატიის განვითარების შესახებ ..... 7

შ. ნათენაძე – შრომითი დანახარჯების როლი  
ფასწარმოქმნაში. .... 14

**მაკროეკონომიკა**

ი. ანანიაშვილი – ფულის მიწოდების კიბერნეტიკული  
მოდელი ..... 22

ლ. ქოქიაური – საქართველოში ინოვაციური და ინვესტიციური  
აქტიურობის სტიმულირებისათვის ..... 28

**სამხორული ეკონომიკა. მენეჯმენტი.**

გ. ბაბუნაშვილი – აგრარული სექტორის დარგების  
ეკოლოგიზაცია..... 41

პაატა კოლუაშვილი – აგრარულ სექტორში ფარული ეკონომიკის  
დღეგალიზაციისათვის ..... 52

**მიკროეკონომიკა. შრომის ეკონომიკა**

რ. ბერიძე – ავთოსატრანსპორტო საწარმოს სისტემური რესტრუქტურ-  
იზაცია ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის საფუძველზე..... 58

ნ. ცანავა, მ. ტაბატაძე – რესტრუქტურისებულ სამრეწველო საწარ-  
მოთა მართვის პრობლემები გარდამავალ ეკონომიკაში. . . . . 69

**მარკეტინგი**

ო. რინარდსონი, კ.ჯარვისი – ვენახები ინტერნეტ-გვერდებზე..... 87

**სტატისტიკა. საბუღალტრო აღრიცხვა.**

**ეკონომიკური ინფორმაცია**

ფ. ბურდული – მმართველობითი აღრიცხვა GAAP-ის მიხედვით.... 89

ვ. კუპრეიშვილი – ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმირების ძირითადი  
ასპექტები საქართველოში ..... 98

ლ. გრიგალაშვილი – უცხოურ ვალუტაში განხორციელებული  
ოპერაციების საბუღალტრო აღრიცხვის სრულყოფის საკითხები....104

**აპონოზიის ისტორია. მსოფლიო აპონოზია**

ლ. ყორღანაშვილი - ინოვაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში..... 109

რ. ფუტყარაძე - გერმანიის საგარეო ვაჭრობა ..... 122

ლ. ყორღანაშვილი, გ. შადური - თეორიული შეხედულებები საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის შესახებ...131

ზაქარია ბერკაცაშვილი - საქართველოსა და რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიული ასპექტები. . . . . 140

გ. შადური - საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის წინამძღვრები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. . . . . 153

**ღირსშესანიშნავი თარიღები**

ე. მელქაძე - თვალსაჩინო მკვლევარი, მეცნიერების ორგანიზატორი, აღმზრდელი პედაგოგი, სახელმწიფო მოღვაწე (ე. მექაბიშვილი)....160

პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის(რ. ასათიანი)....165

ე. ჩანტლაძე - გამონივნილი მეცნიერი, აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე ( გ. გამსახურდია, პ. ბერიშვილი) . . . . . 166

ირაკლი მიქელაძე - 100 . . . . . 169

საყურადღებო სახელმძღვანელო მაკროეკონომიკაში (ჯ.ხარიტონაშვილი). . . . . 170

ავტორები. . . . . 173

სტატიების მიღების წესები . . . . . 175

რედაქციის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109, მედიცინის ინსტიტუტი, 100139

საქართველოს მკვლევართა საზოგადოებასთან დაკავშირების მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 109, მედიცინის ინსტიტუტი, 100139

ილუსტრაციების მარჯვენა მხარეს მდებარე ილუსტრატორები - ილია ნიჭიძე, გ. მ. მ. . . . . ინოვაციების როლი მსოფლიო ეკონომიკაში

ილუსტრაციების მარჯვენა მხარეს მდებარე ილუსტრატორები - ილია ნიჭიძე, გ. მ. მ. . . . . საქართველოს საგარეო ვაჭრობა

ილუსტრაციების მარჯვენა მხარეს მდებარე ილუსტრატორები - ილია ნიჭიძე, გ. მ. მ. . . . . თეორიული შეხედულებები საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის შესახებ

ილუსტრაციების მარჯვენა მხარეს მდებარე ილუსტრატორები - ილია ნიჭიძე, გ. მ. მ. . . . . საქართველოსა და რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიული ასპექტები

ილუსტრაციების მარჯვენა მხარეს მდებარე ილუსტრატორები - ილია ნიჭიძე, გ. მ. მ. . . . . საფინანსო და სამრეწველო კაპიტალის ინტეგრაციის წინამძღვრები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

**СОДЕРЖАНИЕ**

**ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ. ИСТОРИЯ ЭКОНОМИЧЕСКИХ УЧЕНИЙ**

**М. Тетурашвили-Кардава - О развитии экономической демократии . . . . . 13**  
**Ш. Натенадзе-Роль трудовых затрат в ценообразовании. . . . . 21**

**МАКРОЭКОНОМИКА**

**Ю. Ананишвили - Кибернетическая модель предложения денег . . . . . 27**  
**Л. Кокнаури - О стимулировании инвестиционной и инновационной активности в Грузии . . . . . 39**

**СЕКТОРНАЯ ЭКОНОМИКА. МЕНЕДЖМЕНТ**

**Г. Бабунашвили - Экологизация отраслей аграрного сектора . . . . . 51**  
**П. Когуашвили - О легализации теневой экономики в аграрном секторе . . . 57**

**МИКРОЭКОНОМИКА. ЭКОНОМИКА ТРУДА**

**Р. Беридзе - Системная реструктуризация авиатранспортного предприятия на основе реинжиниринга бизнес-процессов . . . . . 67**  
**Н. Цанава, М. Табатадзе - Проблемы управления реструктуризованных промышленных предприятий в переходной экономике . . . . . 74**

**МАРКЕТИНГ**

**О. Ричардсон, К. Джарвис - Виноградники на интернет-страницах . . . . . 88**

**СТАТИСТИКА. БУХГАЛТЕРСКИЙ УЧЕТ. ЭКОНОМИЧЕСКАЯ ИНФОРМАТИКА**

**Ф. Бурдули. Природа управленческого учета согласно GAAP . . . . . 96**  
**Э. Купреишвили- Основные аспекты реформирования бухгалтерского учета в Грузии. . . . . 102**  
**Л. Григалашвили- Вопросы совершенствования бухгалтерского учета при осуществлении операций в иностранной валюте. . . . . 108**

**ИСТОРИЯ ЭКОНОМИКИ. МИРОВАЯ ЭКОНОМИКА**

Л. Корганашвили-Роль инноваций в мировой экономике. .... 120  
 Р. Путьсарадзе-Внешняя торговля Германии. .... 129  
 Л. Корганашвили, Г. Шадури- Теоретические взгляды на интеграцию  
 финансового и промышленного капитала. .... 138  
 З. Берцацашвили- Исторические аспекты Грузино-Российских торгово-  
 экономических отношений. .... 151  
 Г. Шадури - Предпосылки интеграции финансового и промышленного капитала  
 в постсоветских странах. .... 159

**ЗНАМЕНАТЕЛЬНЫЕ ДАТЫ**

В. Мелкадзе - Видный исследователь, научный руководитель, педагог-  
 воспитатель, государственный деятель (Э. Меквабидзе). .... 160  
 К 100-летию со дня рождения П. Гугушвили (Р. Асатиани). .... 165  
 В. Чантладзе-Замечательный учёный, воспитатель  
 и общественный деятель (Г. Гамсахурдия, П. Бершвили) .... 166  
 Ираклий Микеладзе-100 ..... 169

**НОВЫЕ КНИГИ**

Примечательный учебник по макроэкономике (Дж. Харитонашви). .... 170

**АВТОРЫ**

..... 173

**ПРАВИЛА ПРИНЯТИЯ СТАТЕЙ**..... 175

## CONTENTS

### ECONOMIC THEORY. HISTORY OF ECONOMIC SCIENCES

M. Tetrushvili-Kardava. On the development of Economic Democracy.....	13
Sh. Natenadze. The Role of labor Costs in Price Formation .....	21

### MACROECONOMICS

I. Ananiashvili. Cybernetic Money Supply Model .....	27
L. Kokiauri. On the stimulation of Investment and Innovative Activity in Georgia..	39

### SECTORAL ECONOMY. MANAGEMENT

G. Babunashvili. Ecologization of Branches of Farming .....	51
P. Koguashvili. On Legalizing Shadow Economy in Agrarian Sector .....	57

### MICROECONOMICS. LABOR ECONOMICS

Beridze R. Systematic Restructuring of an Air-transport Enterprise on the Basis of Business Process Re-engineering .....	68
N. Tsanava, M. Tabatadze. Management of Restructured Enterprises in Industry...	75

### MARKETING

O. Richardson, Ch. Jarvis. Vineyards on the World Wide Web.....	76
---	----

### STATISTICS. ACCOUNTING ECONOMIC INFORMATION

P. Burduli. The Nature of Management Accounting under GAAP .....	97
E. Kupreishvili. Major Issues of Accounting Reform in Georgia.....	103
L. Grigalashvili. On the Improvement of Accounting in Currency Transactions....	108

### HISTORY OF ECONOMY. WORLD ECONOMY

L. Korghanashvili. The Role of Innovations in World Economy.....	121
R. Putkaradze. Foreign Trade of Germany.....	129



**L. Korghanashvili, G. Shaduri. Theoretical Standpoints of Financial and Industrial Capital Integration. .... 139**

**Z. Berkacashvili. Historical Aspects of Georgian-Russian Trade-economic Relationships. .... 152**

**G. Shaduri. About integration of financial and production capital in post-soviet countries ..... 159**

**MEMORABILIA**

**V. Melkadze - Outstanding Scholar, Organizer of Science, Educator, Teacher, Public Figure (E. Mekvabishvili) . . . . .160**

**For 100th Anniversary of Paata Gugushvili (R. Asatiani) .....165**

**V. Chantladze - Outstanding Scientist, Educator and Public Figure ((G. Gamsakhurdia, P. Berishvili) .....166**

**Irakli Melkadze- 100. ....169**

**NEW BOOKS**

**Noteworthy Manual in Macroeconomics (J. Kharitonashvili) .....170**

**AUTHORS .....173**

**NOTES FOR CONTRIBUTORS .....175**

STATISTICS ACCOUNTING ECONOMIC INFORMATION

R. Berishvili. The Role of Management Accounting under CAAP. .... 97

E. Kapachishvili. Major Issues of Accounting Reform in Georgia. .... 103

I. Gogishvili. On the Improvement of Accounting in Currency Transactions. .... 108

HISTORY OF ECONOMIC WORLD ECONOMY

I. Korghanashvili. The Role of Innovations in World Economy. .... 151

R. Berkacashvili. Foreign Trade of Georgia. .... 159

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ქანთარია  
ტექ. რედაქტორი თ. ფირცხელანი  
კორექტორები: ე. სულხანიშვილი  
ნ. ჩახაია  
ზელმოწერილია დასაბეჭდად 30.12.02  
საბეჭდი ქაღალდი 60x84.  
პირ. ნაბეჭდი თაბახი 17,94  
სააღრ.-საგამომც. თაბახი 11,51  
შეკვეთა № 33 ტირაჟი 120

ფასი სახელშეკრულებო

თბილისის უნივერსიტეტის  
სარედაქციო-სადუბლიკაციო კომპიუტერული სამსახური  
0128, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ., 1.

ქართული ენის ინსტიტუტი  
საქართველოს ენის ინსტიტუტი

..... 131

..... 152

..... 159

..... 171

..... 177

..... 184

..... 191

..... 197

..... 204

..... 211

..... 217

..... 224

..... 231

..... 237

..... 244

..... 251

..... 257

..... 264

..... 271

..... 277

..... 284

..... 291

..... 297

..... 304

..... 311

..... 317

..... 324

..... 331

..... 337

..... 344

..... 351

..... 357

..... 364

..... 371

..... 377

..... 384

..... 391

..... 397

..... 404

..... 411

..... 417

..... 424

..... 431

..... 437

..... 444

..... 451

..... 457

..... 464

..... 471

..... 477

..... 484

..... 491

..... 497

..... 504

..... 511

..... 517

..... 524

..... 531

..... 537

..... 544

..... 551

..... 557

..... 564

..... 571

..... 577

..... 584

..... 591

..... 597

..... 604

..... 611

..... 617

..... 624

..... 631

..... 637

..... 644

..... 651

..... 657

..... 664

..... 671

..... 677

..... 684

..... 691

..... 697

..... 704

..... 711

..... 717

..... 724

..... 731

..... 737

..... 744

..... 751

..... 757

..... 764

..... 771

..... 777

..... 784

..... 791

..... 797

..... 804

..... 811

..... 817

..... 824

..... 831

..... 837

..... 844

..... 851

..... 857

..... 864

..... 871

..... 877

..... 884

..... 891

..... 897

..... 904

..... 911

..... 917

..... 924

..... 931

..... 937

..... 944

..... 951

..... 957

..... 964

..... 971

..... 977

..... 984

..... 991

..... 997

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,  
0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.

hp 787/ 2-